- культивировать свои способности к использованию внешних и внутренних (индивидуально-психологических) ресурсов в процессе преодоления трудностей в контексте успешной предпринимательской деятельности, в связи с чем целесообразно изучение субъектных предпосылок преодоления социально-, экономически- и технологически обусловленных трудностей в индивидуальной предпринимательской деятельности;
- развивать персонально с помощью специальных методик, с помощью тренингов креативное мышление, поскольку основным психологическим механизмом развития личностного потенциала предпринимательского таланта или феномена является творчество;
- работать над своей стрессоустойчивостью, укреплять психические ресурсы, чтобы противостоять сложным социально-экономическим обстоятельствам;
- научиться самопрезентации на микро- и макроуровне, с целью достигнуть наивысших результатов самореализации в качестве субъекта своей жизни;
- совершенствовать социальный интеллект, социальную зрелость для выстраивания межличностных отношений с партнерами;
- уметь определять достигнутый уровень развития своей психологической компетентности, необходимый для предпринимательской деятельности;
- разрабатывать на определенный временной промежуток свою личную карту, то есть индивидуальную траекторию продуктивного развития психологической компетентности в контексте предпринимательской деятельности;
- научиться анализировать и осознавать свои способности, свои сильные стороны, больше уделять внимания именно их развитию.
- развивать свой потенциал с помощью самообразования, специальных тренингов, консультаций с коучами, посещать специальные семинары.

Литература

1. Шумпетер Й. А. Теория экономического развития. М., 1982.,281 с, 169 с.
- 2.Алтухов В. Феномен предпринимательства. «Служба занятости»,№4, 2012.
3. Майерс Д. Социальная психология. СПб.: Питер,2007.7-изд.794 с.
4. Сафарян К.В. Инновационный бизнес. - М.: Дело, 2016. 186 с.
- 5.ЧеберкоЕ.Ф.Основы предпринимательской деятельности. История предпринимательства. Москва, Юрайт, 2019, 429 с.
6. Стейнберг Р. Практический интеллект. - СПб.: Питер, 2002. 265 с.; (Мастера психологии); ISBN 5-318-00013-4.

7. Карташова Л.В., Никонова Т.В., Соломоницина Т.О. Поведение в организации. - Москва, Инфра, 2001. 220 с.

8. Джуэлл Л. Индустриально-организационная психология. Изд. 4-е. ЗАО «Питер», 2001. 720 с.

ციფრული ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოება და ტრანსნაციონალური ბიზნესის მართვა Economic Security and Transnational Business Management in a Digital Economy

ნინო სამჩუკუაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ ninosamchku@yahoo.com
თამარ დუდაური - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის tamro_dudka@yahoo.com
Nino Samchkuashvili - PhD in Economics, Associate Professor of Georgian National University ninosamchku@yahoo.com
Tamar Dudauri - Academic Doctor of Economy, Associate Professor of Caucasus International University tamro_dudka@yahoo.com

ასტრაქტი. სტატიაში განხილულია ტრანსნაციონალური ბიზნესი, როგორც სხვადასხვა დონის ეკონომიკური სისტემების განვითარების საკვანძო ტენდენცია, რომელიც გამოიხატება მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების გავლენაში ეროვნული ეკონომიკების საქმიანობის ყველა სფეროზე. ტრანსნაციონალური ბიზნესის განვითარება ხასიათდება ახალი ეტაპით, რომელიც დაკავშირებულია პოსტინდუსტრიული ეპოქის დასასრულთან და ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლასთან. ციფრული ეკონომიკის პირობებში კომპანიებს, რომლებიც იყენებენ შესაბამის ტექნოლოგიებს, შეუძლიათ მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა და დაიკავონ ბაზარზე უფრო ხელსაყრელი პოზიცია. ციფრული ეკონომიკის დადებითი ეფექტი ბიზნესზე შესაძლოა გამოვლინდეს დიდი მოცულობის მონაცემთა აკუმულირებაში და მათ გამოყენებაში მართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შუამავლების გამორიცხვაში, დანახარჯების ოპტიმიზაციაში, კომპანიის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის დაჩქარებაში, კლიენტთა ლოიალობის გაზრდაში, რაც ბოლო ჯამში უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, ციფრული ეკონომიკა, ტრანსნაციონალიზაცია, ციფრული ტექნოლოგიები.

Abstract. The article discusses transnational business as a key trend in the development of economic systems at different levels, which is reflected in the influence of the world's largest companies in all areas of the national economy. The development of transnational business is characterized by a new phase related to the end of the post-industrial era and the transition to a digital economy. In the digital economy, companies that use relevant technologies can gain a competitive advantage and take a more favorable position in the market. The positive effects of digital economy on business can be manifested in the accumulation of large amounts of data and their use in the management decision process, exclusion

of intermediaries, cost optimization, acceleration of information exchange between internal and external stakeholders, increasing customer loyalty, ultimately ensuring the country's economy.

Key Words: Economic Security, Digital Economy, Transnationalization, Digital Technologies.

შესავალი. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა წარმოადგენს, როგორც ქართველი ისე უცხოელი მეცნიერების კვლევის ობიექტს, ხოლო ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის გავლენას, როგორც ბაზირების ასევე რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, ციფრული ეკონომიკის პირობებში, სწავლობენ მსოფლიო სამეურნეო პროცესების განვითარების წამყვანი თეორიების ჩარჩოებში. შეუძლებელია მკაფიოდ იქნას გამოყოფილი ტრანსნაციონალური კომპანიების აქტიური საქმიანობის საზღვრები და გამოვლინდეს მათი ეფექტიანი ფუნქციონირების შესაძლებლობები ნეგატიური ზემოქმედების გარეშე.[1]


გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტები თვლიან, რომ სწორედ განვითარებული ქვეყნების ტრანსნაციონალური კომპანიების საერთაშორისო საქმიანობა განსაზღვრავს მათ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთკავშირებს. ტრანსნაციონალური კომპანიების აქტიური საწარმოო, საინვესტიციო და სავაჭრო საქმიანობა საშუალებას იძლევის მათ შეასრულონ პროდუქციის წარმოებისა და განაწილების საერთაშორისო რეგულატორის ფუნქცია.[2]

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა გართულებული სოციალური, ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების პირობებში იძენს სულ უფრო დიდ აქტუალობას. თანამედროვე საქმიანობის სხვადასხვა მიმართულება წარმოადგენს მრავალი გამოწვევისა და საფრთხის წყაროს, რაც შესაბამისად მოითხოვს ახალი პრინციპების შემუშავებას და მათ მინიმიზაციას. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნებისა და მთლიანად საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან პირობას, განსაკუთრებით ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. თავისი არსით იგი არის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტრუმენტების ერთობლიობა, რომლებიც ხელს უწყობენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესების დაცვას.

თანამედროვე ეტაპზე ჩატარებულია ეკონომიკური უსაფრთხოების მხრივ კვლევების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამ კვლევებმა აჩვენეს, რომ ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია მსხვილი ბიზნესის სტაბილური განვითარებით, ე.ი. საზოგადოების ეკონომიკური უსაფრთხოება დაკავშირებულია ბიზნესის წარმართვის პირობებზე. ასევე ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია საზოგადოების ფინანსური კონტროლის უზრუნველყოფა და

ფარული ეკონომიკის ზემოქმედების შემცირება. თავის მხრივ საზოგადოების ინსტიტუციონალური სტრუქტურა უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და სამეურნეო რისკების შემცირებას. [3]

ძირითადი ტექსტი. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე დონეზე, როდესაც სულ უფრო იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც თანმიმდევრულად გადადიან ციფრულ ეკონომიკაზე ეკონომიკური უსაფრთხოების დონის ამაღლების აუცილებლობა სულ უფრო ნათელი ხდება. ჩვენი აზრით, მსოფლიო მეურნეობის განვითარების უხლოეს პერსპექტივაში ბრძოლა ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და ეროვნულ ორგანიზაციებს შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მისაღებად საფუძვლად უდევს გლობალიზაციის პროცესების განვითარებას. ეროვნულმა ეკონომიკამ ამით შესაძლოა მიიღოს სარგებელი, რამდენადაც ეს ქმნის წინაპირობას ბიზნესის დივერსიფიკაციის სტრატეგიის რეალიზაციისათვის, ეროვნული ორგანიზაციებისა და უცხოური ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბების საფუძველზე, ეროვნულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის სანაცვლოდ. [4]



წყარო: დიაგრამა შედგენილია World Investment Report 2020-ის მონაცემებზე დაყრდნობით[5]

დიაგრამა 1. მსოფლიო ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი 2014-2019 წლებში (%-ში)


მიმღები ქვეყნების მიერ მიღებული ახალი ინვესტიციური შეზღუდვები ანუ წესები გამოწვეული იყო ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების

გადაწყვეტის და საკვანძო აქტივებზე, ტექნოლოგიებზე და რესურსებზე გავლენის შენარჩუნების აუცილებლობით.

მსოფლიო ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, რომელიც გამოითვლება, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ტრანსნაციონალიზაციის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა, გვიჩვენებს არაერთგვაროვან დინამიკას. როგორც დიაგრამაზე ნათლად ჩანს 2014 -2017 წლების პერიოდში ეს მაჩვენებელი იზრდებოდა, ხოლო 2018-2019 წელს მისი მნიშვნელობა საგრძნობლად შემცირდა. 2020 წელს ცნობილი მიზეზების გამო ეს მაჩვენებელი უფრო შემცირებულია. (იხ. დიაგრამა 1).

ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის შემცირება ხდებოდა და ხდება რამდენიმე ფაქტორის გავლენით. მოკლედ განვიხილოთ ისინი.

1. მსოფლიო ეკონომიკის სტაგნაცია, რომელიც შეინიშნებოდა 2017-2020 წლებში. ასე მაგალითად თუ პოსტკრიზისულ პერიოდში 2017 წელს მსოფლიო მშპ-ის ზრდა შეადგენდა 3.2%-ს, 2018 წელს იგი შემცირდა 3.0%-მდე, 2019 წელს კი 2.3%-მდე, ხოლო მსოფლიო პანდემიით გამოწვეული მოვლენების გამო 2020 წელს მას ჰქონდა უკვე უარყოფითი მაჩვენებელი და შეადგინა - 4.3% (იხ. დიაგრამა 2).




წყარო: დიაგრამა შედგენილია Global Economic Prospects-ის მონაცემებზე დაყრდნობით[6]

დიაგრამა 2. მსოფლიო მშპ-ის ზრდა 2017-2020 წლებში (%-ში)

მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში ასეთი სახის სტაგნაციამ გამოიწვია წარმოებისა და ვაჭრობის მოცულობების შემცირება, რამაც ხელი შეუწყო ტრანსნაციონალური კომპანიების ამბიციების გადახედვას, მსოფლიო ბაზარზე აქტიური გაფართოების მიმართულებით, მათ დაიწყეს

შიდა წყაროების, რესურსებისა და რეზერვების ძიება, რათა გაეუმჯობესებინათ თავიანთი სამეურნეო საქმიანობა.

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობების, ასევე ტრანსნაციონალური შერწყმისა და შთანთქმის სფეროში აქტიურობის შემცირება. UNCTAD-ის მონაცემების თანახმად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ნაკადები 2019 წელს 2015 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, ასევე მნიშვნელოვან შემცირებას პროგნოზირებენ 2020-2021 წლებში, რაც 2020 წელთან მიმართებაში უკვე გამართლდა, ხოლო მცირე მატებას ვარაუდობენ 2022 წელს (იხ. დიაგრამა 3).



წყარო: დიაგრამა შედგენილია World Investment Report 2020-ის მონაცემებზე დაყრდნობით[5]

დიაგრამა 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ნაკადები 2015-2019 წლებში და 2020-2022 წლების პროგნოზი (ტრილ. \$)

3. გართულებული პოლიტიკური წინააღმდეგობები მსოფლიოს განვითარებულ ცენტრებს შორის და სავაჭრო ბარიერებისა და შეზღუდვების ზრდა მიმღები ქვეყნების მხრიდან. UNCTAD-ის მიერ გაკეთებული კვლევის თანახმად მსოფლიოს 55 ქვეყანამ გაატარა 112 პოლიტიკური ღონისძიება, რომლებიც გავლენას ახდენენ ტრანსსასაზღვრო გარიგებების განვითარებისა და პირდაპირი ინვესტიციების შედინების პროცესებზე. მათგან 31 ღონისძიება დაკავშირებული იყო ახალ შეზღუდვებთან, რომლებიც გავლენას ახდენდნენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებასა და შერწყმისა და შთანთქმის სფეროებზე. ხოლო 65 კი ეხებოდა ამ მიმართებით პროცესების ლიბერალიზაციას. [5]

მიმღები სახელმწიფოების მხრიდან ახალი საინვესტიციო შეზღუდვები და წესები გამოწვეული იყო ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების

აუცილებლობით, ხოლო ლიბერალიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები კი სოფლის მეურნეობის, საინფორმაციო საშუალებების, ლოგისტიკის, გადამამუშავებელი მრეწველობის, საცალო ვაჭრობის, ტრანსპორტისა და ინტერნეტ-ბიზნესის მიმართულებით.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკაზე ტრანსნაციონალური კომპანიების გავლენის დადებითი და უარყოფითი მხარეები მოყვანილია ცხრილში (იხ. ცხრილი 1).

ტრანსნაციონალური კომპანიები სულ უფრო ხშირად ხდებიან საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ამა თუ იმ ქვეყნის ბედის განმსაზღვრელი ფაქტორი. მათი აქტიური საწარმოო, საინვესტიციო და სავაჭრო საქმიანობა საშუალებას აძლევს მათ შეასრულონ პროდუქციის წარმოებასა და განაწილებაზე საერთაშორისო კონტროლის ფუნქცია და ასევე უნარი შესწევთ მოახდინონ განვითარებადი ქვეყნების ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში.

ტრანსნაციონალური ბიზნესის განვითარების თანამედროვე თავისებურებების გამოვლენა შესაძლებელია თუ მოვახდენთ მათი სპეციფიკის ანალიზს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერეს წარმოადგენს ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა ურთიერთდამოკიდებულება დედა კომპანიასა და მის ფილიალებს შორის, განვითარების ორიენტაცია, განვითარებაში შიდა ბაზრების როლი და უცხოური ფილიალების საქმიანობის კონტროლი. ამ კრიტერიუმებიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოვყოთ ინტერნაციონალური, მრავალნაციონალური და გლობალური კომპანიები.

PwC (კომპანიების საერთაშორისო ქსელი, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობს მომსახურებას კონსალტინგისა და აუდიტის სფეროში) კომპანიის სპეციალისტების კვლევის მონაცემების მიხედვით ციფრულ გარდაქმნის კომპანია-ლიდერები უსწრებენ კონკურენტებს რიგი კრიტერიუმის მიხედვით, მათ შორის ისინი მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით 10-ჯერ უფრო ხშირად იღებენ უფრო ეფექტიან გადაწყვეტილებებს და აკეთებენ ამას უფრო სწრაფად, ვიდრე მათი კონკურენტები, რომლებიც მხოლოდ ეხლა იწყებენ ციფრულ ევოლუციას და ამდენჯერვე უსწრებენ მათ დროში ბაზარზე გასვლის პროცესში. PwC-ს სპეციალისტების შეფასებით, იმ კომპანიებს, რომლებიც სისტემურად უდგებიან ბიზნესის ციფრულ პლათფორმაზე გადაყვანას შეუძლიათ გაზარდონ მწარმოებლობა 45%-ით, 25-35%-ით შეამცირონ დანახარჯები მომსახურებაზე და თითქმის ორჯერ გაზარდონ კლიენტთა ბაზა.[7]

ცხრილი 1.

ტნკ-ის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

პოზიტიური გავლენა	პრობლემები და საფრთხეები
ასიმეტრია მსოფლიოსა და რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში	
მართვის მსოფლიო პრაქტიკის დანერგვა ტნკ-ირბი მიმღებ რეგიონებში	ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსა და რეგიონებში ნედლეულის მოპოვების სპეციალიზაციის გაძლიერება
მსოფლიო რესურსების გამოყენება	
ალტერნატიული წყაროებისა და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების სამეურნეო ბრუნვაში გამოყენების შესაძლებლობა	მსოფლიო სავანმო რესურსების (ენერჯია, მიწა, წყალი) ამოწურვის საფრთხე
საწარმოო სიმძლავრეების ქვეყნებს შორის გადაადგილება	
მიმღები ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპების გაზრდა, მათი ინტელექტუალიზაციისა და ინფორმატიზაციის გაძლიერება	ბაზირებისა და მიმღებ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და ტექნოლოგიური შეუსაბამობის შენარჩუნება
საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია	
სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების გაფართოება, ეკონომიკური საქმიანობაზე შეზღუდვების შემცირება და მოხსნა	მიმღები ქვეყნების ეროვნული მწარმოებლების ბაზრის წილის შემცირება და იმპორტზე დამოკიდებულების ზრდა

თანამედროვე მსოფლიოში ციფრული ეკონომიკა და ბიზნესის დიგიტალიზაციის პროცესი ხდება ეკონომიკური პროცესების აქტივიზაციის, მათ შორის ექსპორტის ინტენსიფიკაციის, მნიშვნელოვანი ფაქტორი. ტრანსნაციონალური ბიზნესისათვის იხსნება ახალი შესაძლებლობები თავისი გავლენის გაძლიერებისათვის მსოფლიო სამეურნეო სისტემაში. მაგრამ ეს პროცესები თავის თავში ატარებენ რიგ შეზღუდვებს, რომლებიც დაკავშირებულია ზოგიერთი ქვეყნისა და მომხმარებელთა ნაწილის დაბალი მზადყოფნით გამოიყენონ ციფრული ტექნოლოგიები ბიზნესის წარმართვის პრაქტიკაში და პროდუქციის მოხმარებაში.

გეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) და საერთაშორისო ანალიტიკური სააგენტოს McKinsey & Company-ის ექსპერტების შეფასებით იმ დარგების ტოპ-10-ში, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან ციფრული ტექნოლოგიების ზეგავლენას შედიან:

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და გართობის სფერო, საცალო ვაჭრობა, მაღალი ტექნოლოგიების სფერო, ჯანდაცვის სისტემა და მომსახურება.[8],[9]

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო პრაქტიკაში არსებული ციფრული გარდაქმნების სტრატეგიები მოდის სახელმწიფოებზე განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკებით, მათ შორის ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროს 70.3%, ხოლო ციფრული ბიზნესის 68.7%. ასეთი პოლიტიკა ცხადყოფს იმას, რომ ქვეყნები ხედავენ სერიოზულ პოტენციალს მსოფლიო ბაზარზე თავისი პოზიციების გამყარებაში და ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში ციფრული გარდაქმნების აქტივიზაციის დაჩქარებასა და განვითარებაში.

ტრანსნაციონალურ ბიზნესში იზრდება ტექნოლოგიური და ციფრული კომპანიების რაოდენობა. მსხვილი ტექნოლოგიური ტრანსნაციონალური კომპანიები აძლიერებენ თავის პოზიციებს მსოფლიო ბაზარზე, ყიდულობენ რა წარმატებულ სტარტაპებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ისინი ასევე ახორციელებენ ვერტიკალურ ინტეგრაციას, მონაწილეობენ რა კონტენტის შექმნაში თავისი ციფრული პლატფორმისათვის და აფართოებენ საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურების ქსელს. დაწყებულმა კორონა ვირუსის პანდემიამ გააძლიერა ტექნოლოგიური და ციფრული კომპანიების პოზიციები, ვინაიდან მკვეთრად გაიზარდა ელექტრონული ვაჭრობის მოცულობები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ მიმართებით მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა და სწორი მართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.

დასკვნა. ამრიგად, მსოფლიოში ტრანსნაციონალური ბიზნესის ზრდას განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებისათვის მოაქვს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე. ამიტომ მთავრობამ უნდა მოახდინონ მარეგულირებელი ღონისძიებების გატარება და ზოგიერთი შეზღუდვების დაწესება, რითაც ისინი შესძლებენ ეროვნული მწარმოებლების დაცვას. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ხდება ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლა, რომელსაც უნარი შესწევს უზრუნველყოს ეკონომიკის ყველა სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და გახდეს ძლიერი იმპულსი ეროვნული კომპანიებისათვის უცხოური ბაზრების ათვისების მიმართულებით, ხოლო ციფრული ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების ფართომასშტაბიანი გადაწყვეტა უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის პროცესის მიზანმიმართულ ფორმირებასა და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Kordos M., Vojtovic S. Transnational Corporations in the Global World Economic Environment. 3rd International Conference on New Challenges in Management and Organization: Organization and Leadership, 2 May 2016, Dubai, UAE. Pp. 150-158. <https://core.ac.uk/download/pdf/82283168.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.01.2021).
2. Попов Е. В., Семячков К. А. Проблемы экономической безопасности цифрового общества в условиях глобализации. Экономика региона. 2018. Т. 14, вып. 4. С. 1088-1101. <https://cyberleninka.ru/article/n/problemy-ekonomicheskoy-bezopasnosti-tsifrovogo-obschestva-v-usloviyah-globalizatsii> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.01.2021).
3. Zingales, L. Towards a Political Theory of the Firm. Journal of Economic Perspectives, 31(3), 2017. Pp. 113–130. DOI: 10.1257/jep.31.3.113. <https://pubs.aeaweb.org/doi/pdfplus/10.1257/jep.31.3.113> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.01.2021).
4. Wanjuu, L. & Le Roux, P. Economic Institutions and Economic Growth: Empirical Evidence from the Economic Community of West African States. South African Journal of Economic and Management Sciences, 20(1), 2017. 1607–1618. DOI: <https://doi.org/10.4102/sajems.v20i1.1607> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.01.2021).
5. UNCTAD. World Investment Report 2020. <https://unctad.org/webflyer/world-investment-report-2020> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.01.2021).
6. A World Bank Group Flagship Report. Global Economic Prospects. January 2021. <https://www.vsemirnyjbank.org/ru/publication/global-economic-prospects> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.01.2021).
7. PwC. The productivity agenda: moving beyond cost reduction in financial services. 2019. <https://www.pwc.com/gx/en/financial-services/pdf/pwc-productivity-agenda.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.01.2021).
8. UNCTAD. Digital Economy Report 2019. https://unctad.org/system/files/official-document/der2019_en.pdf
9. McKinsey & Company. Digital Globalization: The New Era of Global Flows. <https://www.mckinsey.com/~media/McKinsey/Business%20Functions/McKinsey%20Digital/Our%20Insights/Digital%20globalization%20The%20new%20era%20of%20global%20flows/MGI-Digital-globalization-Full-report.ashx>

საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევები
Industrial Policy Challenges in Georgia

ნინო გრიგოლაია - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ღია უნივერსიტეტი. ninini67@mail.ru

ნელის სესაძე - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. n.sesadze@seu.edu.ge

Nino Grigolaia - Professor, Doctor of Economics
Tbilisi Open University. ninini67@mail.ru

Neli Sesadze - Doctor of Economics, Associate Professor
Georgian National University SEU. n.sesadze@seu.edu.ge

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია ინდუსტრიული პოლიტიკის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. გაანალიზებულია ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელების გზაზე არსებული ძირითადი გამოწვევები: ინდუსტრიული პოლიტიკის ხანგრძლივი პერიოდი, პრიორიტეტების ცვლილებების რისკი, მოქმედების შეზღუდული არეალი და საგარეო შოკები.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს ეკონომიკის სამომავლო ზრდისა და განვითარებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სამრეწველო სექტორის განვითარებას, რაც დააჩქარებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესს, შემცირდება ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი, გაიზრდება ქვეყნის ექსპორტი, შეიქმნება სამუშაო ადგილები, რაც გახდება გარანტი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების.

საკვანძო სიტყვები: ინდუსტრიული პოლიტიკა, ეკონომიკის ინდუსტრიალიზაცია

Abstract. The paper discusses the role of industrial policy in the economic development of the country. The core challenges identified in the process of implementing industrial policy are analyzed: the long-term period of industrial policy, the risk of changes in priorities, the limited scope to perform and external shocks.

The paper concludes that the development of the industrial sector is crucial for the future growth and development of the Georgian economy. The development of the industrial sector will accelerate the country's industrialization and structural transformation processes, reduce the trade deficit and increase the exports of the country, create more jobs and more people will be employed in the country. All the above-mentioned processes will be the guarantee of the socio-economic situation improvement of the population in Georgia.

Keywords: industrial policy, industrialization of the economy

ნებისმიერი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომლის მიღწევა შეუძლებელია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკანასკნელ წლებში განხორციელდა მთელი რიგი რეფორმები მაღალი ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობის შემცირება და სიღარიბის დაძლევა კვლავ უმწვავეს პრობლემად რჩება. რაც გამოწვეულია იმით, რომ არ არის შემუშავებული ქვეყნის გრძელვადიანი ინდუსტრიული პოლიტიკა, სახელმწიფოს ჩარევა მრეწველობის განვითარების მიმართულებით ხშირ შემთხვევაში მხოლოდ სპონტანური ხასიათისაა და არათანამიმდევრულია.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 42,7% მუშაობს, რაც მნიშვნელოვნად მაღალია განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელზე, მაშინ როცა სოფლის მეურნეობაში მშპ-ს მხოლოდ 6.35% იქმნება. სამეწარმეო სფეროში კი დასაქმებულთა რაოდენობა 5.9% და იქმნება მშპ-ს 10.2%. აღსანიშნავია, რომ საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, თუმცა მრეწველობის განვითარების დონით, დაბალი შემოსავლების ქვეყნების ჯგუფის დონეზეა.

საქართველოში ბოლო წლებში მოხდა ფუნდამენტალურ ფაქტორებში ინვესტირება და მათი გაუმჯობესება, მაგრამ რადგან სათანადო ყურდღება არ ექცევა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას ეკონომიკის განვითარება სტაბილურად ნელია და მკვეთრად არ უმჯობესდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

საქართველოსთვის ინდუსტრიალიზაციას სარგებლის მოტანა შეუძლია მრავალი მიმართულებით. ქვეყანა ჩამოყალიბდა, როგორც მომხმარებლური ეკონომიკა, იზრდება სავაჭრო დეფიციტი, რაც იწვევს ლარის გაუფასურებას და მრავალ თანმდევ ნეგატიურ ეფექტს. სავაჭრო დეფიციტის თანაფარდობა მშპ-სთან 37%-ია, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი არცერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში არ არის 5%-ზე მეტი.

2018 წლის გაეროს საინვესტიციო ანგარიშის მიხედვით, მცირეა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც შეძლეს განვითარება, წარმოებაზე დამყარებული და ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიული განვითარების გარეშე, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს ინდუსტრიულ პოლიტიკაზე. ინდუსტრიული პოლიტიკა კი ითვალისწინებს ზომებს, რომლის მიზნია ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება, საწარმო შესაძლებლობების განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ზოგადად ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართ ეკონომისტების უმრავლესობა სკეპტიკურადაა განწყობილი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში სახეზეა გარკვეული ცვლილება და „შემობრუნება“ ამ პოლიტიკის მიმართ. ზოგადი განმარტებით, ინდუსტრიული პოლიტიკა - კონკრეტული დარგების განვითარების გაფართოებისკენ მიმართული სამთავრობო პოლიტიკაა, რომლის მიზანსაც, პოლიტიკური უპირატესობის ნაცვლად, კონკურენტული უპირატესობის მიზნის მიღწევა წარმოადგენს. ცნობილი ეკონომისტის დანი როდრიკის განმარტებით „...ინდუსტრიული პოლიტიკა მოიცავს პოლიტიკებს, რომლებიც ასტიმულირებენ სპეციალურ ეკონომიკურ აქტივობებს და ხელს უწყობენ სტრუქტურულ ცვლილებებს“ (Dani rodrik, 2004).

საქართველოში ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელების გზაზე არსებობს მრავალი სირთულე, რომლებიც გააზრებული უნდა იყოს

ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავებისას. ეს პრობლემებია: ინდუსტრიული პოლიტიკის ხანგრძლივი პერიოდი, პრიორიტეტების ცვლილებების რისკი, მოქმედების შეზღუდული არეალი და საგარეო შოკები.

ახალი სექტორების განვითარება საჭიროებს რისკიან გადაწყვეტილებებს, ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტულობას და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციას. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს სტრატეგიის გამხორციელება მოიცავს ათაწლეულებს. ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს მოკლევადიან და გრძელვადიან დანახარჯებს, რაც შეეხება სარგებელს, ის მიიღება ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. მოსახლეობას კი ითხოვს შედეგებს მოკლე დროში და აქედან გამომდინარე ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება საკმაოდ რთულია.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები რამდენიმეჯერ შეიცვალა. 2014 წელს მიღებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“, სადაც განსაზღვრული იყო ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი სამი ძირითადი პრობლემა და მისი გადაჭრის გზები: კერძოდ, დაბალი კონკურენტუნარიანობა, ადამიანური კაპიტალის განუვითარებლობა და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. 2016 წელს შემუშვდა ახალი ოთხპუნქტიანი გეგმა, რომელშიც პრიორიტეტად გამოცხადდა განათლება. ამის შემდეგ ერთხელ კიდევ შეიცვალა მიდგომა და პრიორიტეტებად განისაზღვრა ჭარბვალთანობის შემცირება, საერთაშორისო რეიტინგების გაუმჯობესება.

პრიორიტეტები იცვლება გარემო პირობებთან ადაპტაციის მიზნით, რაც გასაგები მოვლენაა. კოვიდ-19 -ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე სახელმწიფოს მიერ ტურიზმის, აგროსექტორის და სამშენებლო სექტორის მხარდაჭერა აუცილებელი ნაბიჯია. ხოლო რაც შეეხება ინდუსტრიულ პოლიტიკის წარმატებას დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად მოახერხებს სახელმწიფო ამ სტრატეგიის შენარჩუნებას - კონკრეტული ნაბიჯების, ტაქტიკის შეიცვლას, არსებული რეალობის შესაბამისად.

ინდუსტრიული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივ კომპანიებს საწარმოო შესაძლებლობებისა და სიმძლავრეების განვითარებაში. ინდუსტრიული პოლიტიკა მოითხოვს გარკვეული ტიპის სახელმწიფო ჩარევას, წამახალისებელ და დამხმარე ზომებს. თუმცა, მნიშვნელოვანია კონკურენციის შენარჩუნება, როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე, რათა კომპანიები განვითარდნენ და იყვნენ ინოვაციურები.

ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ ინდუსტრიული პოლიტიკისა და კონკურენციული ბაზრის თანაარსებობის პრობლემები, რომ ინდუსტრიულმა პოლიტიკამ არ უნდა მიანიჭოს უპირატესობა ერთ

კონკრეტულ კომპანიას. ინდუსტრიული პოლიტიკა, მიმართული მთლიან სექტორზე, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რომლითაც სარგებლობენ კონკრეტული სექტორის მოთამაშეები, გაცილებით უკეთეს შედეგებს გამოიღებს ზრდისა და ინოვაციურობის თვალსაზრისით.

იმის გამო, რომ საქართველოს აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროკავშირთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან, შეზღუდულია ვაჭრობაში ტარიფების, ქვოტებისა და სხვა შემზღუდველი ზომების დაწესებაში. ასევე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია კრძალავს ექსპორტის წამახალისებელ სუფსიდირებას, რაც ერთგვარად ზღუდავს სახელმწიფოს ინდუსტრიული პოლიტიკის ხელშეწყობაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარება არ მოითხოვს სუბსიდირებას, ქვოტებს და სხვა სატარიფო ზომებს, რამაც პირიქით შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საბოლოო შედეგებზე. თუმცა სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს „ადგილობრივი“ ხასიათის ხელმწიფობი ზომები, როგორცაა იაფი კრედიტი, საგადასახადო შლავათები, დასაქმებულთა გადამზადების დაფინანსება, სახელმწიფო შესყიდვის პროგრამა და სხვა

გლობალიზაციის ეპოქაში, სხვადასხვა სახის კრიზისები კასკადურად ვრცელდება, რაც განსაკუთრებით რთულია მცირე ეკონომიკის ქვეყნებისათვის. რთულია საგარეო შოკების მართვა და შედეგების განეიტრალება. 90-იანი წლებიდან საქართველო მუდმივად არის სხვადასხვა საგარეო შოკების, კრიზისების ზემოქმედების ქვეშ, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის განვითარებისა და ცხოვრების დონეზე.

საქართველოში არსებობს წინაპირობები ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის: მიმზიდველი ბიზნეს გარემო სტაბილური მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, კორუფციის დაბალი დონე, დაბალი გადასახადები, იაფი მუშახელი სტრატეგიული მდებარეობა, საზღვაო ინფრასტრუქტურა, გამართული სახელმწიფო ინსტიტუტები, საერთაშორისო ვაჭრობის მხრივ გახსნილობა, მსხვილმამუტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტები, ინვესტიციები განათლებაში. რითაც საქართველომ მიაღწია იმას, რომ აქ არის ბიზნესის კეთებისათვის მიმზიდველი გარემო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აქვს გრძელვადიანი, კონკრეტული ინდუსტრიული პოლიტიკა, ქვეყნის სხვადასხვა ინსტიტუტების საქმიანობა შეიცავს ინდუსტრიული პოლიტიკის გარკვეულ ელემენტებს. ამ მიმართულებით, სტრატეგია 2020-სა და 4 პუნქტიანი გეგმის ფარგლებში შეიქმნა ორგანიზაციები, რომლებსაც კოორდინაციას უწევს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. კერძოდ, პროგრამა

„აწარმოე საქართველო“, სს „საპარტნიორო ფონდი“ და „ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო.

ამრიგად საქართველოს ეკონომიკის სამომავლო ზრდისა და განვითარებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სამრეწველო სექტორის განვითარებას, რაც დააჩქარების ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესს, შემცირდება ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი, გაიზრდება ქვეყნის ექსპორტი, შეიქმნება სამუშაო ადგილები, რაც გახდება გარანტი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა, ვლადიმერ. “საით მიდის ეკონომიკური პოლიტიკა?” GFSIS, 2019.
2. ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2012/2013 https://www.unido.org/fileadmin/user_media/Services/PSD/Competitive_Industrial_Performance_Report_UNIDO_2012_2013
3. Allen, Robert C. The Industrial Revolution: A Very Short Introduction. Oxford: Oxford University Press, 2017.
4. Dani Rodrik, Industrial Policy for the Twenty-first Century, Harvard University, 2004

უმუშევრობის შემცირების ძირითადი მიმართულებები საქართველოში Main Directions of Reducing Unemployment in Georgia

ნაზი ჭიკაიძე - პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Nazi Chikaidze, Professor,
Georgian Technical University

რეზიუმე სიღარიბე კვლავ რჩება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი ჯანსაღი საშუალება დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაა, რომელიც თავისუფალმა, ძლიერმა ქართულმა ბიზნესმა უნდა შექმნას. ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა პანდემიის პირობებში შეიძინა, როცა სამუშაო ადგილების შენარჩუნებას პრობლემა შეექმნა. უმუშევრობის მაღალი დონე მკვეთრად ამცირებს, როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. უმუშევრობის ყველაზე დიდი ნეგატიური შედეგი გამოშვებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების რაოდენობის კლებაა. როდესაც დასაქმების მსურველთა უმრავლესობა ვერ პოულობს სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების პოტენციური წარმოება უკვალოდ იკარგება.

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე, პანდემია, უმუშევრობა, დასაქმება.

Abstract: Poverty remains one of the main challenges facing the country. One of the ways to tackle poverty is creation jobs, which should be created by a free, strong Georgian business. This issue has acquired a special urgency in the conditions of the pandemic, when job maintenance was a problem. High

level of unemployment dramatically reduces both the population and the state budget revenues. The biggest negative consequence of unemployment is the decrease in the number of products and services rendered. When the majority of job seekers cannot find a job, potential production of goods and services is lost without a trace.

Keywords: Poverty, Pandemic, Unemployment, Employment.

შესავალი პანდემიური ეკონომიკური კრიზისი არის სრულიად ახალი ფენომენი, რომელიც ეკონომიკის დარგების დიდი ნაწილის პარალიზებას იწვევს. შედეგად კი უმუშევრობა იზრდება და შინამეურნეობათა შემოსავლები კლებულობს. COVID-19-ის პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა მანამდე არნახული გამოწვევების წინაშე დააყენა. შემთხვევითი არ არის, რომ პანდემიით პროვოცირებულ კრიზისს ბოლო ასი წლის ყველაზე მასშტაბურ ეკონომიკურ კრიზისებს ადარებენ - 1929- 1933 წლების „დიდი დეპრესიას“ და 2008-2009 წლების „დიდი რეცესიას“. „დიდმა ლოკდაუნმა“ (Gopinath, 2020), საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, სინქრონულად შეასუსტა ეკონომიკური აქტივობა მთელ მსოფლიოში, მკვეთრად შეამცირა შინამეურნეობათა მოხმარება, განსაკუთრებით დააზიანა მომსახურების სექტორი, დიდი დარტყმა მიაყენა შრომის ბაზარს და საერთაშორისო ვაჭრობას (IMF, 2020). შედეგად, მასობრივად დაიკარგა სამუშაო ადგილები და დაიშრიტა შინამეურნეობების რეგულარული შემოსავლის წყაროები, რამაც სიღარიბის დონის მკვეთრი ზრდის რეალური საფრთხე წარმოქმნა.

ლოკდაუნის შემოღების შედეგად საქართველოს ეკონომიკა 2020 წლის მეორე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 12.3 პროცენტით შემცირდა. მესამე კვარტალში, საქსტატის წინასწარი მონაცემებით, მშპ-ის კლების ტემპი -5 პროცენტამდე დაეცა (საქსტატი, 2020)⁵

COVID-19-ით პროვოცირებულმა კრიზისმა ეკონომიკის დასახელებულ და სხვა სექტორებში სამუშაო ადგილების მასობრივი დაკარგვა - სტატისტიკურად დროებით უმუშევრობა - გამოიწვია. თუმცა პანდემიის გამო გამოწვეულ უმუშევრობასთან ერთად შეიძლება უმუშევრობა გამოიწვიოს მრავალმა მიზეზმა: ეკონომიკის ტრანსფორმაციამ, ეკონომიკური რეფორმების დროს დაშვებულმა შეცდომებმა, ინოვაციების განხორციელებამ, კორუფციის მაღალმა დონემ, რთულმა პოლიტიკურმა და კრიმინოგენულმა სიტუაციამ.

ძირითადი ნაწილი უმუშევრობა დაბრკოლებას უქმნის ადამიანის კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და საზოგადოებაში ღირსეულ ინტეგრაციას. უმუშევრობა აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ხელს უშლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. უმუშევრობის ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს შორის

⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური(საქსტატი, 2020)

აღსანიშნავია: მატერიალური დოვლათის დიდძალი დანაკარგები, შემოსავლების დანაკარგები, მასობრივი სიღარიბე, ინტენსიური გარე შრომითი მიგრაცია, ინფლაციის ზრდა, დემოგრაფიული ვითარების გამწვავება, მუშაკთა დეკვალიფიკაცია, ადამიანის ფსიქიკის შერყევა და ნერვული სისტემის მოშლა

სიღარიბე კონკრეტულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფრთხეებს შეიცავს:

1. სიღარიბე და უთანაბრობა არსებითად აფერხებს სოციალურ განვითარებას -საზოგადოების ნაწილი ვერ მონაწილეობს სოციალურ ცხოვრებაში, ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას, ვერ ახერხებს ინვესტიციას ადამიანურ კაპიტალში, რაც არსებითად აფერხებს სოციუმის ჰარმონიულ განვითარებას. განსაკუთრებით ნეგატიურია ქრონიკული სიღარიბის ზეგავლენა, ვინაიდან სოციალური რეგრესი სიღარიბეში ხანგრძლივი ცხოვრების გარდაუვალი შედეგია;

2. სიღარიბე და უთანაბრობა ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას - მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა სიღარიბის დონის უკუპროპორციულია და რაც უფრო მაღალია სიღარიბე და უთანაბრობა, მით უფრო დაბალია მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, რაც ავტომატურად ნიშნავს მოთხოვნის დაბალ დონეს და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია;

3. სიღარიბე და უთანაბრობა გავლენას ახდენს პოლიტიკურ განვითარებაზე - რაც უფრო მაღალია სიღარიბე და უთანაბრობა, მით უფრო დაქსაქსული, პოლარიზებული და გაუცხოებულია საზოგადოება, მით უფრო ქაოსური და ურთიერთსაპირისპიროა ინტერესთა ჯგუფები, რაც არსებითად ართულებს პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას;

4. სიღარიბე და უთანაბრობა ზრდის საზოგადოების შიგნით დაპირისპირების მუხტს და აქედან გამომდინარე, სოციალური აფეთქების რისკს შეიცავს - რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიღარიბის რაღაც მაჩვენებლის პირობებში აუცილებლად მოხდება სოციალური აფეთქება, მაგრამ ის ქმნის საზოგადოების შიდა დაპირისპირებისათვის ერთობ ნაყოფიერ ნიადაგს, რაც არსებითად უიოლებს საქმეს შიდა საზოგადოებრივი დაპირისპირების მოსურნე ინტერესთა ჯგუფებს.

სიღარიბის გამოვლინება რამოდენიმე მიმართულებით ხდება:

- *ფიზიოლოგიური სიღარიბე* - როდესაც პრიორიტეტი კვებაა და ეს იმდენად ძირითადი

პრიორიტეტი, რომ ყველა სხვა პრობლემა უკანა პლანზე გადადის;

- *საშემოსავლო სიღარიბე* - როდესაც საკვები ენერჯის მიღების პრობლემა მეტ-ნაკლებად

მოგვარებულია და დგება ცხოვრების ხარისხის პრობლემა. გარდა კვებისა, აქვს თუ არა პიროვნებას მინიმალურად აუცილებელი არასასურსათო საქონლისა და მომსახურების მიღების შესაძლებლობა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქვს თუ არა პიროვნებას ისეთი შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს სასურველი დიეტის კომპოზიციას და მინიმალურ არასასურსათო ხარჯებს;

- *დეპრივაციული (არამონეტარული) სიღარიბე* - როდესაც საკვები და მინიმალური

არასასურსათო საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფის პრობლემა მეტნაკლებად მოგვარებულია, მაგრამ ჰორიზონტზე ახალი ორიენტირები იკვეთება, რომლებიც განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა მომსახურებისა და საქონლის მისაწვდომობას გულისხმობს. ამდენად, დეპრივაციული სიღარიბე უფრო მაღალი რეგისტრის სიღარიბეა, ვიდრე წინა ორი საფეხური;

- *სტრუქტურული სიღარიბე* - თავის თავში მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურაზე წვდომის ნაკლებობით გამოწვეულ, ისე კანონმდებლობის არასრულყოფილებასთან დაკავშირებულ სიღარიბეს. გარდა ამისა, სტრუქტურული სიღარიბის მნიშვნელოვანი შემადგენელი შეიძლება იყოს ტექნოლოგიურ პროგრესზე მიდევნების ან ჩამორჩენის საკითხიც. ამდენად, სტრუქტურული სიღარიბე უკვე განვითარებაზე ორიენტირების საზომად შეიძლება განვიხილოთ და ეს უფრო მაღალი რეგისტრის სიღარიბეა, ვიდრე წინა სამი საფეხური;

- *მენტალური სიღარიბე* - წარმოადგენს ადამიანის ცნობიერებიდან მომდინარე სოციალური ქცევის მოდელს, რომელიც ეყრდნობა მის სუბიექტურ განცდას, რომ ის ღარიბია (თუმცა მოხმარების დონისა და ხარისხის მიხედვით ის შეიძლება სულაც არ იყოს ღარიბი) და საჭიროებს დახმარებას (სახელმწიფოს, ნათესავების თუ მეგობრების მხრიდან)

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, კითხვაზე, რომელი ეროვნული საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, პასუხები ასე განაწილდა:

სამუშაო ადგილები - 46%;

სიღარიბე - 37%;

ფასების ზრდა/ინფლაცია - 31%;

ტერიტორიული მთლიანობა - 22%

კორონავირუსი - 16%;⁶

⁶ NDI: სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ფასების ზრდა მოსახლეობის უმეტესობისთვის მთავარი საკითხია. 25.01.2021

ხოლო Edison Research-ის კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა - 72% - ქვეყნის წინაშე მდგომ მნიშვნელოვან პრობლემად უმუშევრობას ასახელებს. 61% ასახელებს სიღარიბეს; 48% - მზარდ ფასებს; 26% - ოკუპირებულ ტერიტორიებს; 16% - ჯანდაცვას; ასევე 16% ასახელებს კორონავირუსს, როგორც მნიშვნელოვან პრობლემას. შემდეგ მოდის განათლება (12%), კანონის უზენაესობის ნაკლებობა (10%); კორუფცია (8%); გარემოს დაცვის პრობლემები (4%); მედიის თავისუფლება (1%).⁷

კვლევა ადასტურებს, რომ მოსახლეობის ძირითადი პრობლემა სწორედ უმუშევრობის შედეგად გამოწვეული სიღარიბეა.

სიღარიბესთან ბრძოლის ორი ძირითადი გზა არსებობს, პირველი არის ეკონომიკის სწრაფი განვითარება და სამუშაო ადგილების ზრდა, რასაც თავის მხრივ, მოყვება მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. რა თქმა უნდა, ეს რთული და ხანგრძლივი პროცესია სიღარიბის შესამცირებლად, მაგრამ ბევრად ეფექტურიც. საქართველოს აქვს ამის გამოცდილება. მსოფლიო ბანკის [კვლევა](#) აჩვენა, რომ სიღარიბის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა, სწორედ, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს ჰქონდა.

სიღარიბის შემცირება შესაძლებელია სოციალური ტრანსფერების (ფულადი დახმარებების) ზრდითაც, რომელსაც უფრო სწრაფი ეფექტი აქვს. მოსახლეობის ის ნაწილი ვინც სიღარიბეს ამ გზით (სოციალური დახმარებით) აღწევს თავს, რჩება მოწყვლად ჯგუფად და გაღარიბების რისკის ქვეშაა. თუმცა, რამდენადაც არ უნდა გაიზარდოს სოციალური ტრანსფერები, თუ სამუშაო ადგილები და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები არ გაიზრდება, გრძელვადიან პერსპექტივაში, სიღარიბის დონე კვლავ მზარდი იქნება.

უმუშევრობის შემცირებისათვის საჭიროა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების ქსელის შექმნის დაჩქარება, რასაც ითვალისწინებს კიდევ შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია, სამუშაო ძალის პროფესიულ-კვალიფიციური მომზადების დონის შესაბამისობა სამუშაო ადგილის მოთხოვნებთან, რაც ხელს შეუწყობს უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლებას და მაღალ კონკურენტუნარიანობას. ამ კუთხით საწიროა გაიზარდოს განათლების ხარისხის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დასაქმებისთვის. პრიორიტეტი უნდა გახდეს განათლების უზრუნველყოფა

⁷ Edison Research-ქვეყნის მთავარი პრობლემები: უმუშევრობა, სიღარიბე, მზარდი ფასები:16.07.2020

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის და ქვეყანაში სიღარიბის დასაძლევად.

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდისა და, შესაბამისად, ციკლური უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და კარგი გზა არის მცირე ბიზნესის განვითარება. მცირე ბიზნესის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი დაფუძვნება შეიძლება უმოკლეს დროში, ძალიან მცირე დანახარჯებით, გამოირჩევა მეტი თავისუფლებით, დამოუკიდებლობითა და მოქმედების ოპერატიულობით. იგი პირად კონტაქტებს ამყარებს მომხმარებლებთან და ცდილობს, უკეთ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებები.

მნიშვნელოვანია მოთხოვნის სტიმულირება სამუშაო ძალაზე - ვინაიდან უმუშევრობის ერთ-ერთი მიზეზი სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა დარგში ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ისევე როგორც კერძო სექტორის წახალისება, რომელიც ხელს შეუწყობს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდას.

დასაქმების ხელშეწყობისთვის მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა“ (ALMP), რომელიც ახალი სამუშაო ადგილების მოძიება-დასაქმებისთვის მოქალაქეებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობს. აქტიური პოლიტიკის ზოგადი მიზანია დაგეგმოს და განახორციელოს მხარდამჭერი ღონისძიებები მათთვის, ვინც ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას ან დასაქმებულთა რიგებში გადასვლას. დახმარება სამუშაოს მოძიებაში, პროფესიული გადამზადება, დასაქმების სუბსიდირება თუ სახელმწიფო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნა, აქტიური პოლიტიკის გავრცელებული ფორმებია.

ასევე მნიშვნელოვანია სოციალური დაცვის არსებული სისტემის გაუმჯობესება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სოციალური დაცვის ეფექტიანი და ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მოიცავს ყველა სექტორს, ხელს შეუწყობს დასაქმებას და არ გახდის ადამიანებს დამოკიდებულს სოციალურ დახმარებაზე. შრომის ბაზარზე ინკლუზიური მონაწილეობის ღონისძიებების მიზანია მოწყვლადი ჯგუფებისათვის პერსონალური სერვისების გაწევა, რათა ხელი შეეწყოს მათ დასაქმებასა და ეკონომიკურ გააქტიურებას.

უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით ტურიზმს მნიშვნელოვანი როლი უკავია. ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. დარგის განვითარების თვალსაზრისით, საქართველომ დიდი პროგრესი აჩვენა. მაგრამ პანდემიამ სწორედ ტურიზმზე იქონია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით განვითარება გაგრძელდეს არა მარტო საყოველთაოდ

ცნობილ ლოკაციებზე, არამედ შედარებით უცნობ, მაგრამ დიდი პოტენციალის მქონე ტერიტორიებზეც. ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს, სხვა არაერთი მომიჯნავე დარგის განვითარებას (სარესტორნო ბიზნესი, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და სხვ.) ყოველივე აღნიშნულის შედეგი კი იქნება უმუშევრობის დონის შემცირება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა.

დასკვნა ცხადია ეფექტიანი დასაქმების მიღწევა და შესაბამისად სიღარიბის დაძლევა შეუძლებელი იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარეშე. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებაზე ბევრად ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართვა ეკონომიკურ პროცესებში⁸.

დასაქმება მოიცავს არა მარტო ადამიანის საქმიანობის ეკონომიკურ მხარეს, არამედ მისი სასიცოცხლო საქმიანობის ყველა სფეროს. ამდენად, ეს ცნება გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე მისი ეკონომიკური ან თუნდაც სამართლებრივი ასპექტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაქმება განხილული უნდა იქნეს როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორია, რომელიც გავლენას ახდენს როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე მთელი საზოგადოების კეთილდღეობის დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობა, 2020. COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. <https://stopcov.ge/Content/files/Government--report.pdf>
2. მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები; <http://www.economy.ge> უკანასკნელად გადამოწმდა 01.02.2021
3. კაკულია მ. კაპანაძე ნ. ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2020.

ინტერნეტ-ეკონომიკა თანამედროვე მსოფლიოს ინოვაციური გამოწვევა Internet Economy - an Innovative Challenge of the Modern World

⁸ ხადური ნ. ინკლუზიური ზრდის ფაქტორები და საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევები. ჟურნალი „ეკონომისტი“, „Ekonomisti“ N1, 2018წ. ქ. თბილისი, გვ.42

მაგდა ბაქანიძე - ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. M.baqanidze@gtu.ge
თეონა ბაქანიძე - ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ელ.ფოსტა: t.baqanidze@gtu.ge
Magda Bakanidze - Assistant Professor
Georgian Technical University. M.baqanidze@gtu.ge
Teona Bakanidze - Associate Professor
Georgian Technical University. E-mail: t.baqanidze@gtu.ge

რეზიუმე. მსოფლიოში მიმდინარე პანდემიური პროცესი (COVID-19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. სავარაუდოა, რომ ეფექტი მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა იგი დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: 1. მთავრობის მიერ არსებული ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრება; 2. მნიშვნელოვანია კრიზისის ვადები; 3. ელექტრონული მმართველობის მიმართულებით რეფორმების დაჩქარება და არსებული პლატფორმების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის ზრდა; 4. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონული კომერციის განვითარებას და ინტერნეტ-ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ელექტრონული კომერციისა და ინტერნეტ-ეკონომიკის უფრო დაჩქარებულ ზრდას და მისდამი საზოგადოების ინტერესის გაძლიერებას. თანამედროვე ბიზნესი ცდილობს კვალდაკვალ უპასუხოს არსებულ გამოწვევებს და საქმიანობის უდიდესი ნაწილი ინტერნეტ პლატფორმების გამოყენებით გააგრძელოს, რაც მის არსებობას უზრუნველყოფს.

სტატიაში განხილულია ის დადებითი გავლენები ინტერნეტ ეკონომიკისა და ელექტრონული კომერციის განვითარების, რითაც შესაძლებელია მოხდეს ქვეყნის ეკონომიკის დადებითი დინამიკის ზრდა და გარკვეულწილად შეამციროს ეკონომიკური რეცესია, რაშიც იგულისხმება ეკონომიკური აქტივობის კლება, ანუ ამ დროს იკლებს საწარმოთა მიერ საქონლისა და მომსახურების საწარმოო მაჩვენებელი, კომპანიები ათავისუფლებენ დასაქმებულ პირებს ან უმცირებენ ხელფასს, ან ორივეს ერთად აკეთებენ, ამცირებენ ფასებს რათა დაგროვილი სასაქონლო მარაგები დროულად გაყიდონ. როდესაც ამგვარ ტენდენციას მსოფლიო ეკონომიკის თითქმის ყველა ძირითად სფეროში აქვს ადგილი ეს იმას ნიშნავს, რომ სახეზეა გლობალური რეცესია.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტ-ეკონომიკა, ელექტრონული კომერცია, პანდემიური პროცესი, ეკონომიკური რეცესია, გლობალური რეცესია.

Abstract. The global pandemic process (COVID-19) is a complex challenge and a significant threat not only to world health but also to the global economy. It is quite difficult to make accurate predictions about the economic impact that the pandemic process and the epidemic picture in the country, will have on the country's economy. The effect is likely to be significant, although it depends on several factors: 1. A proper understanding of the economic challenges facing the government; 2. Duration of the crisis is an important factor; 3. Accelerate e-government reforms and develop existing platforms and increase their accessibility; 4. Even greater importance is attached to the development of e-commerce and the modern challenges of the Internet- economy.

It should be noted that the world situation has contributed to e-commerce and Internet-economy more accelerated growth and strengthening the level of public interest. Modern business is trying to meet the existing challenges and continue to do most of its activities using internet platforms, which ensures its existence.

The article discusses the positive impact that the development of the Internet economy and e-commerce can have on the country's economy and to some extent reduce the economic recession, which means a decrease in economic activity, at the same time a decline in output, companies lay off workers or do not pay, reduce prices to sell accumulated goods in a timely manner. When such a trend occurs in almost all major sectors of the world economy, it means that there is a global recession.

Keywords: Internet Economy, E-Commerce, Pandemic Process, Economic Recession, Global Recession.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები პანდემიის გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე არაერთგვაროვნად აფასებენ. აზიის განვითარების ბანკის გავრცელებულ ანგარიშში, პანდემიის მოსალოდნელი შედეგების განვითარების სამი პოტენციური შემთხვევა არის განხილული. პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე განსხვავებულად აისახება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მის დამარცხებას. აზიის განვითარების ბანკის მიხედვით, პანდემია 77\$ (0.08% მშპ) მილიარდიდან 347\$ მილიარდამდე (0.4% მშპ) ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას.

გაეროს მიერ შემოთავაზებული უკანასკნელი ანალიზით, COVID-19-ის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2.5%-მდე შემცირდება, მიყენებული ზარალი კი დაახლოებით ტრილიონ დოლარს მიაღწევს. უფრო ცუდ შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს. ყველაზე დიდი ზიანი კი ნავთობის და სხვა საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებს მიაღებება. მოსალოდნელია ასეთი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპის მინიმუმ 1%-იანი შემცირება.

საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. სავარაუდოა, რომ ეფექტი მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა იგი დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: 1. მთავრობის მიერ არსებული ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრება. 2. მნიშვნელოვანია კრიზისის ვადები და ასევე ის, თუ როგორ შეძლებს მსოფლიო მასთან გამკლავებას - რადგან საქართველოს ტიპის ქვეყნები მნიშვნელოვნად იქნებიან დამოკიდებული იმ საერთაშორისო დახმარების მასშტაბზე, რომლის მობილიზებასაც ისინი შეძლებენ; 3. ელექტრონული მმართველობის მიმართულებით რეფორმების დაჩქარება და არსებული პლატფორმების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის ზრდა; 4. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონული კომერციის განვითარებას და ინტერნეტ-ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს; 5. ასევე, მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივებიც, ანუ ის, თუ რამდენად შეძლებს ქართული ბიზნესის ნაწილი მაინც თვითორგანიზებას, ახალი ტიპის მომსახურებებისა და

პროდუქტების შემუშავებას, რომელიც არსებულ გამოწვევებს მეტად უპასუხებს.

დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა გააერთიანა და დააკავშირა მთელი პლანეტა. შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოში ინტერნეტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ინტერნეტი ცვლის მთელ რიგ მოვლენებს: იმას, თუ როგორ ვმუშაობთ, ვამყარებთ ახალ კავშირებს, ვქმნით და ვცვლით ინფორმაციას. განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ელექტრონული კომერციისა და ინტერნეტ-ეკონომიკის უფრო დაჩქარებულ ზრდას.

ეკონომიკაში ინტერნეტის გამოყენებაზე გლობალურ იმედებს ამყარებენ - შემცირდება წარმოების ხარჯები, წარმოიშობა ბიზნესის ახალი, უფრო ეფექტიანი და ზემომდებელი ფორმები და ა.შ. ეკონომისტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ, ინტერნეტ კომპანიები ძალიან მომგებიანია, სხვები პირიქით მათ წამგებიანობაზე ამახვილებენ ყურადღებას. ინტერნეტ ეკონომიკა თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დამყარებული ცივილიზებული საზოგადოების ეკონომიკაა, მას ხშირად „ვირტუალურ ეკონომიკას“ უწოდებენ, რაც ზუსტად გამოხატავს მის უკიდურესად გლობალურ-ინტელექტუალურ ბუნებას. ყველასათვის საინტერესოა ინტერნეტ-ტექნოლოგიების მოსალოდნელი გლობალური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ჩნდება უამრავი კითხვა: ხომ არ გაქრება ისეთი მძლავრი ინსტრუმენტები და მექანიზმები, როგორცაა სახელმწიფო და ფული? შეიტანს თუ არა ცვლილებებს წარმოების ორგანიზაციაში ინტერნეტ ეკონომიკა და ა.შ. თანამედროვე მსოფლიო ტენდენციების შეფასების შედეგად უნდა დავინახოთ ის რევოლუციური ცვლილებები და სიკეთეები, რასაც ინტერნეტ ეკონომიკა სთავაზობს საზოგადოებას, კერძოდ: მყიდველსა და გამყიდველს შორის პირდაპირი ელექტროინფორმაციული კავშირის გაძლიერება და არსებული არაეფექტიანი საშუაშალო სფეროს თანდათანობითი ლიკვიდაცია; მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის უშუალო ურთიერთქმედების ფორმების დანერგვა და ამ გზით ტრანსაქციური ხარჯების შემცირება; საწარმოდან (ოფისიდან) საოჯახო გარემოში წარმოების პროცესის გადატანა. ინტერნეტის საშუალებით კონკურენცია შემოქმედებითი შეჯიბრი ხდება და არასაწარმოო ხარჯები არსებითად მცირდება.

ინტერნეტ ეკონომიკაზე საყოველთაო გადასვლა სამ ფუნდამენტალურ შედეგს გამოიწვევს: 1. მკვეთრად შემცირდება ტრანსაქციური ხარჯები (ზოგიერთ ფირმაში საერთოდ ქრება); 2. მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის მყარდება უშუალო, პირდაპირი ელექტროკონტაქტები; 3. პრინციპულად შეიცვლება ადამიანთა სამეწარმეო საქმიანობაში სივრცობრივი და დროითი ორგანიზაცია, თუმცა აქვე აღსანიშნავია ისიც,

რომ ინტერნეტ ეკონომიკაზე გადასვლამ შეიძლება გაზარდოს მისი უსაფრთხოდ გამოყენების ხარჯები. ყოველივე ეს კი არსებითად შეცვლის ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათს. ტრადიციულ ბაზარზე მომხმარებელი თავის არჩევანს აკეთებს სხვადასხვა საქონელზე ფასის და ხარისხის მიხედვით, ხოლო ინტერნეტ-სივრცეში მომხმარებელი საქონლის შეძენის გადაწყვეტილებას შთაბეჭდილების მიხედვით იღებს, ანუ „სამომხმარებლო მოთხოვნის მრუდი“ „სამომხმარებლო შთაბეჭდილებების მრუდად“ გადაიქცევა, რაც არ თავსდება „სამომხმარებლო წონასწორობის“ ეკონომიკური თეორიის კლასიკურ მოდელში. ასე, რომ ინტერნეტით დაბალხარისხიანი, ფალსიფიცირებული და მავნე საქონლის შეძენის რისკები არსებითად მაღლდება. აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, ჯერ-ჯერობით ინტერნეტს მარკეტინგული ინფორმაციის ოპერატიულობის, დეტალურობისა და სიიფის თვალსაზრისით ალტერნატივა არ გააჩნია.

ტრადიციული ბაზრისაგან განსხვავებით, ინტერნეტ-ბაზარი სხვადასხვა თავისებურებებით გამოირჩევა, კერძოდ:

- ინტერნეტში შესვლის ბარიერების არარსებობის გამო, ელექტრონული ბაზარი დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან ყველა კომპანიისა და მომხმარებლისათვის გლობალურად ღია და ოპერატიულად ხელმისაწვდომია, რის გამოც ის უნიკალურია - რამდენადაც მის ვირტუალურ სივრცეში კონკურენცია აბსოლუტურად თავისუფალია; ელექტრონული ბაზარი მწარმოებლებსა და მყიდველებს შორის საშუამავლო რგოლების შემცირების რეალურ შესაძლებლობებს ქმნის (ინტერნეტი თავად ასრულებს საშუამავლო რგოლის ფუნქციას);

- ინტერნეტ-საიტის გამოყენებით, ელექტრონული ბაზარი არა მარტო პროდუქციის ან მომსახურების შეკვეთის, არამედ მისი ნაწილის, ანუ მის შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად მიღების საშუალებას იძლევა;

- ინტერნეტ სივრცეში რეკლამას სხვა ეკონომიკური სფეროებისათვის უცხო და მიუწვდომელი პარამეტრები აქვს. მაგ.: აუდიტორიას ახასიათებს ინტერაქტიურობა, რაც ნიშანდობლივია მხოლოდ ელექტრონული ბაზრისათვის და მის კონკურენტულ უპირატესობას უზრუნველყოფს;

რაც შეეხება ელექტრონულ კომერციას, ზოგადი განმარტებით ის არის ინდუსტრიის ტიპი, სადაც პროდუქტებისა და მომსახურების ყიდვა და გაყიდვა ხორციელდება ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, როგორებიცაა ინტერნეტი და სხვა კომპიუტერული ქსელები. დღესდღეობით, ის არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და ყველაზე ხელსაყრელი გზა ბიზნესს ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის დასამყარებლად და ბიზნესის წარმართვისათვის.

ელექტრონული კომერცია შესაძლებელია დაიყოს:

- ელექტრო კატალოგებად ანუ „ვირტუალურ თაროებად“, რომლებიც განთავსებულია [ვებგვერდებზე](#) ონლაინ კატალოგების სახით, ხშირად გვევლინება ელ.ფოსტებზე ფოსტის სახით;
- ყიდვა და გაყიდვა სხვადასხვა საიტებზე ან სხვადასხვა ვირტუალურ ბაზრობებზე;
- დემოგრაფიული მონაცემების შეკრება და გამოყენება სოციალური მედიისა და კონტაქტების გამოყენებით;
- ელექტრონული მონაცემების გაცვლა (EDI), ბიზნესის ბიზნესზე (B2B) მონაცემების გაცვლა;
- ელ.ფოსტისა და [ფაქსის](#) გამოყენება, როგორც მასობრივი მედიის საშუალებისა, რათა მიღწეულ იქნეს სასარგებლო და პერსპექტიული ურთიერთობები კლიენტებთან (მაგალითად, Newsletters);
- ბიზნეს ოპერაციების (ტრანზაქციების) უსაფრთხოება.

ელექტრონული კომერცია საშუალებას აძლევს კომპანიებს მიაღწიონ კონკურენტულ უპირატესობას კლიენტების მომსახურების გაუმჯობესების ხარჯზე. ინტერნეტი მეწარმეებს საშუალებას აძლევს დაუკავშირდნენ მომხმარებლებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და ამით შექმნან ღია ბაზარი, რომელიც მაღალი შემოსავლის წყარო ხდება. ეკონომიკაში ინტერნეტის გამოყენება ამცირებს წარმოების დანახარჯებს, იქმნება ბიზნესის უფრო ახალი და ეფექტიანი, ზემომდებიანი ფორმები და ა.შ.

დღესდღეობით, არსებობს მრავალი პროექტი/პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს თანამედროვე ელექტრონული კომერციის განვითარებას სახელმწიფოებს შორის. პროგრამა „EU4Digital: ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ ხელს უწყობს ელექტრონული კომერციის, ელექტრონული საბაჟოსა და ელექტრონული ლოგისტიკის განვითარებას და წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას ხელი შეუწყოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირის შორის ვაჭრობის გამარტივებას და ჰარმონიზაციას. ევროკავშირის მიერ სახელმწიფოთაშორისი ე-ვაჭრობის მხარდაჭერა გაამარტივებს ექსპორტის პროცედურებს უქალაქო ვაჭრობის და ელექტრონული ლოგისტიკის საშუალებით, შეამცირებს შეფერხებებს საზღვარზე, გაზრდის ოპერაციების უსაფრთხოებას და გამჭვირვალობას, შეკვეცავს ადმინისტრაციულ ხარჯებს და გააუმჯობესებს ციფრული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. მათი მიზანია:

- სახელმწიფოთაშორისი ე-კომერციის ბარიერების მოსპობა;
- სახელმწიფოთაშორისი ე-კომერციის მოცულობის გაზრდა;

- 2021 წელს განსახორციელებელი ევროკავშირის და გლობალური მომავალი ცვლილებების მზადება ე-კომერციასთან დაკავშირებულ საბაჟო და საგადასახადო სფეროებში.

პროექტის სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია 2020-2025 წ.წ.,სადაც მონაწილეებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან წარმოადგინეს საკუთარი წინადადებები და პერსპექტივები, რისი საშუალებითაც ხელ შეუწყობენ ელექტრონული კომერციის განვითარებას.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რომელსაც ინტერნეტის განვითარება ქმნის შეუძლია ქვეყნების ეკონომიკის მნიშვნელოვნად გაძლიერება და კეთილდღეობის გაუმჯობესება. სხვადასხვა ქვეყნები ინტერნეტ ეკონომიკისადმი სხვადასხვა მიდგომას იყენებს, მაგრამ ყველასათვის ცხადია ერთი რამ: ინტერნეტი საშუალებას აძლევს ადამიანებს მარტივად დაიწონ სამეწარმეო საქმიანობა და ბიზნესი - ამიტომ ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი ინტერნეტ-სივრცე, ხელი შეუწყოს კონკურენტულ გარემოს, რაც ნებისმიერ მომხმარებელს მისცემს საშუალებას იგრძნოს ინტერნეტ ეკონომიკის უპირატესობები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ., გაბრიჩიძე ბ., დევაძე ა., „ინტერნეტ-ეკონომიკა“ გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2014
2. თოდუა ნ., აბულაძე რ., „ ინტერნეტ-მარკეტინგი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, ბილისი, 2011
3. “The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia”, Asian Development Bank, 6 მარტი 2020. იხ: <https://bit.ly/2UpeGe9>
4. “The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It.” UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: <https://bit.ly/2WwcW5Q>
5. “Coronavirus: The world economy at risk” OECD Economic Outlook, 2 მარტი 2020. იხ: <https://doi.org/10.1787/7969896b-en>
6. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_9958_1.pdf
7. https://eprc.ge/uploads/brosh/COVID_fin-geo.pdf
8. <https://eufordigital.eu/geo/thematic-area/etrade/>
9. <https://eufordigital.eu/geo/eu4digital-etrade-network-workshop-highlights-progress-on-pilot-projects-and-future-targets/>

პანდემიის გავლენა ქვეყნის ბიზნესის განვითარებაზე

The Impact of the Pandemic on the Business Development of the Country

გოდერძი შანიძე - ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისის უნივერსიტეტი

goderdzi.shanidze@atsu.edu.ge

Goderdzi Shanidze - Associate Professor
Akaki Tsereteli State University; Kutaisi University

goderdzi.shanidze@atsu.edu.ge

აბსტრაქტი. პანდემიამ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში შეუქმნა პრობლემები ბიზნესის განვითარებას. საქმე იმაშია, რომ პროდუქციის უდიდესი ნაწილი იწარმოებოდა იმ ქვეყნებში სადაც დაავადება მძინვარება და როცა მოხდა ამ ქვეყნების ჩაკეტვა, სხვა ქვეყნებში პროდუქციის მიწოდებას და რეალიზაციას, ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნა, იგულისხმება როგორც პროდუქციის წარმოება, ისე ტრანსპორტირება, დასაწყობება, საცალო მაღაზიებში განთავსება, რეალიზაცია და ა.შ.

საერთაშორისო შეზღუდვების საპასუხოდ ალბათ უპრიანია, რომ მეტი ინვესტიცია ჩაიდოს IT ტექნოლოგიებსა და ჯანდაცვაში, ბიოტექნოლოგიებში და სოფლის მეურნეობაში.

მომდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იქნას ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

სასურველია: ბიზნესზე შეზღუდვების მოხსნა და ამუშავება, რა თქმა უნდა რეგულაციების გათვალისწინებით, ამავდროულად ქვეყანამ უნდა შეძლოს ინვესტიციების მოზიდვა და მდგრადი სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკის სტაბილიზაცია, ინფლაციის დონის მიზნობრივ მაჩვენებელთან სწრაფად დაბრუნება და პანდემიის პირობებში გაზრდილი სახელმწიფო ვალის სწრაფი და მდგრადი კონსოლიდაცია.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი; ეკონომიკა; პანდემია; ბაზარი; ევროკავშირი.

Abstract. The pandemic has created problems for business development not only in Georgia but all over the world. The fact is that most of the products were produced in countries where the disease was raging, and when these countries were closed, the supply and sale of products in other countries encountered very serious problems, including production, transportation, warehousing, retail, sale, etc.

In response to international restrictions, it is probably preferable to invest more in IT technologies and healthcare, biotechnology and agriculture.

The macroeconomic policy of the country in the current period should be aimed at the recovery of the economy in order to return the level of development of the country to the potential rate in the medium term and ensure macroeconomic stability.

It is desirable: to lift and enforce restrictions on business, of course, taking the regulations into account, at the same time the country should be able to attract investments and create sustainable jobs, to stabilize the economy, rapidly return to inflation targets, and rapid and sustained consolidation of increased public debt under pandemic conditions.

Key words: business; economic; pandemic; market; European Union

შესავალი: პანდემიიდან გამომწვეული კრიზისის პირობებში ბიზნესის განვითარების გზების ძიება საკმაოდ აქტუალური საკითხია თანამედროვე პირობებში. პანდემიამ პრობლემები შეუქმნა მთელს მსოფლიოს და საქართველოს რეალობაშიც ასე მოხდა, მართალია ჩვენ არა ვართ უდიდესი ექსპორტიორი ქვეყანა და ჩვენი ჩაკეტვა ვერ გამოიწვევდა სხვა ქვეყნების

მნიშვნელოვან ეკონომიკურ კრიზისებს, მაგრამ, რადგან ვართ გლობალური ბიზნესის ნაწილი და იმპორტიორი ქვეყანა, რა თქმა უნდა ჩვენი ქვეყნის ბიზნესის განვითარებაზეც მოახდინა უარყოფითი გავლენა.

ძირითადი ნაწილი: კრიზისმა აჩვენა, რომ ძალიან იოლად შეიძლება მოხდეს ღირებულებისა და მიწოდების ჯაჭვის რღვევა. ეს ნათლად გამოჩნდა ჩინეთის მაგალითზე. როგორც მოგეხსენებათ ძირითადი წამყვანი ფირმები პროდუქციას აწარმოებდნენ ჩინეთში და იქედან ამარაგებდა მსოფლიოს, პანდემიის მომდევნო პერიოდში შესაძლოა შეიცვალოს ეს მოცემულობა და კომპანიებმა დაიწყოს პროდუქციის წარმოება მათთვის ფინანსურად და ტერიტორიულად მიმზიდველ ქვეყნებში.

McKinsey-ს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, გლობალურ დონეზე, მომხმარებელთა 30-50%-ს მოლოდინი აქვს, რომ მათი შემოსავლები, უახლოესი პერიოდში, კიდევ განაგრძობს შემცირებას. დაახლოებით 10% პირიქით ფიქრობს, შემოსავლების მხრივ, ჩინელი მომხმარებლები უფრო ოპტიმისტურები არიან. აშშ-ში, ევროპის ბევრ ქვეყანაში, იაპონიასა და ინდოეთში, 25-49% ელის ნეგატიურ შედეგებს. ბრაზილიაში, სამხრეთ აფრიკაში, გერმანიაში და კორეაში, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია – შემოსავლების კლების მოლოდინი 54-63%-ს აქვს. (ინდუსტრიები საქართველოში COVID-19 კრიზისის შემდეგ. გვ.2. www.pmo-bc.com)

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით უმუშევართა რაოდენობა არსებული 188 მილიონი ადამიანიდან გაიზრდება 5,3-24,7 მილიონით, რაც დამოკიდებული იქნება ვირუსის გავრცელების მასშტაბზე. კორონავირუსის უარყოფითი გავლენა შეეხო ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორს: ტურიზმი, დაგადამუშავებელი მრეწველობა, საცალო ვაჭრობა, საფინანსო სექტორი, გართობა და დასვენება. (კორონავირუსის შესაძლო გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ქვეყნებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით. 2020 წ. საქართველოს პარლამენტის კვლევის ცენტრი GPRC)

ევროსტატის მონაცემებით 2019 წელს ევროზონის ქვეყნების ეკონომიკა მხოლოდ 1,2 % -ით გაიზარდა. OECD პროგნოზის მიხედვით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2020 წელს 0.8 % -მდე შემცირდება. (OECD Interim Economic Assessment, “Coronavirus: The world economy at risk”, March 2, 2020 <https://www.oecd.org/economic-outlook/>)

კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე. ვირუსის გავრცელებამ შეაფერხა იმ პოზიტიური ტენდენციების გაგრძელება, რომელიც წინა წელს დაფიქსირდა ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა მიმართულებით. კერძოდ, 2019 წელს დაფიქსირდა მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდა - 5.1%. ტურიზმიდან ქვეყნის ეკონომიკაში გენერირებულმა შემოსავალმა 3.3 მლრდ.


აშშ დოლარი (მშპ-ს 18.4%), საქონლის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა - 3.8 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 21.2%), ხოლო წმინდა ფულადმა გზავნილებმა 1.5 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 8.4%) შეადგინა. (<https://mof.ge/images/File/2020-monacemebi-mimartulebebi/>).

მოგეხსენებათ, რომ ევროკავშირის ქვეყნებს პანდემიამ დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა, რა თქმა უნდა ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკამაც განიცადა ვარდნა, ვინაიდან საქართველო - ევროკავშირს მჭიდრო სავაჭრო პარტნიორული ურთიერთობები აქვთ. ბაზრების ჩაკეტვამ დიდი პრობლემები შექმნა და უარყოფითი გავლენა იქონია ორივე მხარის ბიზნესის განვითარებაზე. აქვე მინდა გამოვყოთ ზოგიერთი საქონელი რომლებიც განმსაზღვრელია საქართველო - ევროკავშირის ვაჭრობაში. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ წინა წლებში ექსპორტში დაფიქსირებული მზარდი ტენდენციები სავარაუდოდ შემცირდება და გაუარესდება პანდემიის გახანგრძლივების პარალელურად.

2019 წელს საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3 226.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 2 პროცენტით ნაკლებია და მთლიანი სავაჭრო ბალანსის 24.5% შეადგინა.

- ექსპორტი გაიზარდა 12%-ით და 819 მლნ. აშშ დოლარის (რე-ექსპორტი 11%) ექსპორტი შეადგინა და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.6 პროცენტი დაიკავა;
- იმპორტი შემცირდა 6%-ით და 2 407.2 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, მთლიანი იმპორტის 25.3 პროცენტი შეადგინა;

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვა 2012-2019
(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: www.geostat.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წელს ევროკავშირში 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის წილმა, ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 80% შეადგინა. ეს პოზიციებია:

1. სპილენძის მადნები	462,0 მლნ\$ (ზრდა 42%);
2. თხილი	44,34 მლნ\$ (ზრდა 22%);
3. აზოტოვანი სასუქები	36,96 მლნ\$ (კლება 19%);
4. რეზინის საბურავები	25,66 მლნ\$ (კლება 17%);
5. სპირტიანი სასმელები	21,36 მლნ\$ (კლება 50%);
6. ღვინო	21,09 მლნ\$ (ზრდა 14%);
7. მინერალური წყლები	15,67 მლნ\$ (კლება 3%);
8. მსუბუქი ავტომობილები	12,62 მლნ\$ (ზრდა 17%);
9. ხის ნაწარმი (მ. შ. ცხოველების ავეჯი)	10,78 მლნ\$ (ზრდა 8%);
10. ფეროშენადნობები	10,75 მლნ\$ (კლება 27%).

სადასაბუთო

2019 წელს ევროკავშირიდან 10 ძირითადი საიმპორტო პროდუქციის წილმა, ევროკავშირიდან მთლიანი იმპორტის 36% შეადგინა. ეს პოზიციებია:

1. ნავთობი და ნავთობპროდუქტები	291,72 მლნ\$ (კლება 18%);
2. სამკურნალო საშუალებები	193,26 მლნ\$ (კლება 15%);
3. მსუბუქი ავტომობილები	216,20 მლნ\$ (ზრდა 73%);
4. სატვირთო ავტომობილები	44,23 მლნ\$ (ზრდა 1%);
5. გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	40,10 მლნ\$ (ზრდა 44%);
6. სატელეფონო აპარატები	39,58 მლნ\$ (კლება 2%);
7. ტრაქტორები	30,33 მლნ\$ (ზრდა 13%);
8. საბურღი მანქანები	26,53 მლნ\$ (ზრდა 10-ჯერ)
9. სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები	26,14 მლნ\$ (ზრდა 13%);
10. სამედიცინო ხელსაწყოები	25,01 მლნ\$ (კლება 11%).

წყარო: www.geostat.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წელს ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 13%-ით (18.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები) შემცირდა და 129.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა

19%-ით (113.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი) და 689.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია:

ღვინო - ექსპორტი 21.1 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და 2.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი (43%), ლატვია (17%), გერმანია (10%), ესტონეთი (9%), ლიეტუვა (8%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: პოლონეთი (15%), გერმანია (41%), ლიეტუვა (38%);
- ექსპორტი შემცირდა: ლატვია (7%).

ახალი ან შეყინული ბოსტნეული (მწვანელი) - ექსპორტი 1.1 მლნ. აშშ დოლარი (71%-ით და 0,5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი (45%), ლატვია (28%);
- ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: რუმინეთი (56%), ლატვია (88%).

მცენარეები სამკურნალო და პარფიუმერული დანიშნულებით - ექსპორტი 1.0 მლნ. აშშ დოლარი (22%-ით და 0.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (65%), პოლონეთი (17%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: პოლონეთი, ნიდერლანდები (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);
- ექსპორტი შემცირდა გერმანიაში (16%).

გამზარი ბოსტნეულის ფქვილი - ექსპორტი 2.9 მლნ. აშშ დოლარი (10%-ით და 0.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (81%), ჩეხეთი (7%), საფრანგეთი (6%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: გერმანია (20%), ჩეხეთი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით);

თხილი - ექსპორტი 44.3 მლნ. აშშ დოლარი (22%-ით და 7.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

წყარო: www.geostat.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5.1 პროცენტი შეადგინა. COVID-19-ით გამოწვეული მდგომარეობის გამო 2020 წელს ეკონომიკა შემცირდა. მიუხედავად ამისა, მომდევნო წლებში ეკონომიკამ უნდა დაიწყოს გაჯანსაღება და 2021-2024 წლებში საშუალოდ 5.3 პროცენტით უნდა გაიზარდოს წლიურად. ამის კვალობაზე 2024 წლისთვის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 70.4 მლრდ ლარამდე გაიზრდება, ხოლო მშპ ერთ

სულ მოსახლეზე 2019 წელთან შედარებით 5.5 ათასი ლარით მოიმატებს და 18 917 ლარს გაუტოლდება. (<https://mof.ge/images/File/2020-monacemebimimartulebebi/>). (ამ მაჩვენებლების ოდენობაზე, რა თქმა უნდა გავლენას მოახდენს ლარის კურსი, დოლართან მიმართებაში).

დასკვნა: ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იქნას ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, აღნიშნულის მისაღწევად ძირითადი პრიორიტეტებია:

- ეკონომიკის სტაბილიზაცია და მომდევნო ეტაპზე ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით ზრდა;
- ინფლაციის დონის მიზნობრივ მაჩვენებელთან სწრაფად დაბრუნება;
- პანდემიის პირობებში გაზრდილი სახელმწიფო ვალის სწრაფი და მდგრადი კონსოლიდაცია;

ინვესტიციების მოზიდვა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. მთავრობამ აუცილებლად უნდა შეამციროს ეტაპობრივად ვალის მოცულობა და იგი უნდა დაუბრუნდეს კრიზისამდელ მაჩვენებლებს, მაქსიმალურად შემცირებულ ვადებში. (გასათვალისწინებელია ის, რომ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ აქტით განსაზღვრულია მთავრობის ვალის დონე არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 60%-ს), აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2021 წელს მნიშვნელოვნად შემცირდება ვალის აღების მაჩვენებელი და უკვე მომდევნო წელსვე უნდა შემცირდეს ნაწილობრივ ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ საბაზისო პროგნოზში მთავრობის მთლიანი ვალი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ლიმიტის ზღვარზე გადის და ვალის შემდგომი აღება გართულებული იქნება.

შეიძლება ითქვას, რომ პოსტპანდემიური ეკონომიკის გასაჯანსაღებლად აუცილებელია დროულად მოხდეს ბიზნესზე შეზღუდვების მოხსნა და ამუშავება, რა თქმა უნდა რეგულაციების გათვალისწინებით, ამავდროულად ქვეყანამ უნდა შეძლოს ინვესტიციების მოზიდვა და მდგრადი სამუშაო ადგილების შექმნა, რომელიც იქნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინდუსტრიები საქართველოში COVID-19 კრიზისის შემდეგ. გვ.2. www.pmo-bc.com

2. კორონავირუსის შესაძლო გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ქვეყნებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით. 2020 წ. საქართველოს პარლამენტის კვლევის ცენტრი GPRC

3. OECD Interim Economic Assessment, "Coronavirus: The world economy at risk", March 2, 2020 <https://www.oecd.org/economic-outlook/>
4. <https://mof.ge/images/File/2020-monacemebi-mimartulebebi/>
5. www.geostat.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვენჩურული კაპიტალის გავლენა ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე **Impact of venture capital on the innovative development of the country**

გია ზოიძე - ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
giazoidze@yahoo.com

ირაკლი ჯანგავაძე - ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული ასოცირებული პროფესორი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; irakligig@gmail.com

Gia Zoidze - Doctor of Economics, Invited Lecturer. Batumi State University,
Batumi State Maritime Academy. giazoidze@yahoo.com

Irakli Jangavadze - Doctor of Economics, Invited Associate Professor:
Georgian Technical University. irakligig@gmail.com

აბსტრაქტი. დღესდღეობით, თანამედროვე საზოგადოება ქმედით ნაბიჯებს დგამს გლობალური ეკონომიკის განვითარების იმ სტადიისაკენ, რომელსაც უწოდებენ „ცოდნის ეკონომიკას“. „ცოდნის ეკონომიკა“, თავის მხრივ, წარმოადგენს განვითარების უალტერნატივო გზას. ამდენად, მნიშვნელოვანია როგორც საკუთარ ცოდნაში ინვესტიციების დაბანდება, აგრეთვე, მისი გარდაქმნა წარმოების იარაღად.

ინოვაციური ტექნოლოგიების, მრეწველობის უახლესი დარგებისა და „თანამედროვე ეკონომიკების“ დაფინანსების საფუძველს ვენჩურული (სარისკო) კაპიტალი წარმოადგენს. თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, ვენჩურული კაპიტალის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე ძალზედ დიდია. ფინანსური რესურსების მოძიება კი დამწყები საწარმოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, რაც საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ამ მხრივ, საქართველოს აქვს უნიკალური შანსი გახდეს რეგიონის ფინანსური ცენტრი. აღნიშნული კი, პირველ რიგში, კაპიტალური ბაზრის განვითარებით არის შესაძლებელი. საქართველოში კაპიტალური ბაზარი თუ ეფექტურად დაიწყებს ფუნქციონირებას, ქვეყანა მიიღებს მრავალმხრივ პოზიტიურ სარგებელს, მათ შორის შეიძლება ვიგულისხმობთ: სავალუტო რისკების შემცირება, საექსპორტო დარგების განვითარება, ხელფასების ზრდა, ფინანსური ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირება და ა.შ. აღნიშნული პოლიტიკის გატარების შედეგად, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოისურვებს საქართველოში საკუთარი ფინანსური ინსტრუმენტების განთავსებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ვენჩურული კაპიტალი, ინოვაციები, ინვესტიციები.

Abstract. Today, modern society is taking effective steps towards the stage of development of the global economy, which is called the "knowledge economy". "Knowledge economy", in turn, is an alternative way of development. Thus, it is important to invest in your own knowledge, as well as to transform it into a tool of production.

Venture capital is the basis for financing innovative technologies, the latest industries and "modern economies". In the modern post-industrial society, the impact of venture capital on the national economy is enormous. Finding financial resources is one of the most important tasks of a start-up enterprise, which is associated with quite a lot of difficulties.

In this regard, Georgia has a unique chance to become the financial center of the region. This is possible, first of all, with the development of the capital market. If the capital market in Georgia starts functioning effectively, the country will receive many positive benefits, including: reduction of currency risks, development of export sectors, increase of wages, significant reduction of financial expenses, etc. As a result of this policy, many countries around the world will wish to place their own financial instruments in Georgia, which, in turn, will contribute to the socio-economic development of our country.

Keywords: venture capital, innovations, investments.

შესავალი. ვენჩურული კაპიტალის, როგორც საინვესტიციო რესურსის რისკის დონე საგრძნობლად იზრდება ინოვაციურ საქმიანობაში ინვესტირების შედეგად, რადგან ინოვაციური პროცესი გამოირჩევა სასურველი შედეგების მიღწევის განუსაზღვრელობით.

ვენჩურული პროექტებიდან უკუგების პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია და საშუალოდ 5-10 წელს შეადგენს. ასევე, ვენჩურული ინვესტორების აქტივობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ინოვაციური საწარმოს განვითარების მიმდინარე ეტაპი და ვენჩურული ინვესტირების დადგენილი ნორმები რეგიპიენტ სახელმწიფოში.

თავდაპირველად, ვენჩურული ფონდების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა საწარმოთა განვითარების ჩანასახოვანი (Seed - თესვის) და სასტარტო (Start-Up) ეტაპები, რომელთაგან ინვესტიციების ძირითადი ნაწილი სწორედ თესვის სტადიაზე მოდიოდა. თუმცა, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მოხდა ვენჩურული ფონდების ინტერესთა ცენტრის გადანაცვლება შედარებით გვიანი სტადიის პროექტებისაკენ, რაც განაპირობა განსახორციელებელი კაპიტალდაბანდებების ღირებულების ზრდამ და საქმიანობის მოცემულ სფეროში მსხვილი ინსტიტუციური ინვესტორების (ბანკები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდები) ჩართვამ.

ძირითადი ტექსტი. ტერმინი „ვენჩურული კაპიტალი“ წარმოსდგება ინგლისური სიტყვისგან „Venture“ და გულისხმობს სარისკო მეწარმეობას. მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში ძირითადად გავრცელებულია ტერმინი „ვენჩურული კაპიტალი“-ს ევროპული და ამერიკული ინტერპრეტაცია.

ამერიკული მიდგომა შედარებით უფრო ვიწრო გააზრებისაა და გულისხმობს მაღალტექნოლოგიური კომპანიის დაფინანსებას ადრეულ სტადიაზე. ხოლო, ვენჩურული კაპიტალის ევროპული ინტერპრეტირება უფრო ფართოა და გულისხმობს სააქციო ინვესტირების ყველა სახეობას მცირე და საშუალო მაღალტექნოლოგიური საწარმოების განვითარების ყველა ეტაპზე.

ვენჩურული კაპიტალის თავისებურებებს მიეკუთვნება:

- ❖ მომგებიანობის მაღალი დონე მაღალი რისკის პირობებში;

- ❖ ვენჩურული კაპიტალის ინვესტირების ინოვაციური ეფექტი;
- ❖ ინვესტირების სპეციფიკური სფერო - სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარება.

შეიძლება ითქვას, რომ ვენჩურული ინვესტიციები წარმოადგენს პირდაპირი ინვესტიციების სპეციფიკურ ფორმას. შესაბამისად საჭიროა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ინოვაციურ საქმიანობაში დაბანდებული ინვესტიციები (რომელიც განუსაზღვრელობის მაღალი დონით ხასიათდება), სხვა სახის ინვესტიციებისგან (მაგ: ინვესტირება ფასიან ქალაქებში).

ვენჩურული კაპიტალისტები ძირითადად აფინანსებენ ამბიციურ და მზარდ სამეწარმეო პროექტებს. როგორც წესი, თუ მცირე საწარმოს პოტენციურად არ შეუძლია წლიური საქონელბრუნვის 10%-ზე მეტი საშუალო ზრდის უზრუნველყოფა 5 წლის განმავლობაში, მაშინ იგი არ განიხილება ვენჩურული კაპიტალის ინვესტირების ობიექტად.

ვენჩურული ინვესტირების ევროპული ასოციაციის მონაცემებზე დაფუძნებით, ვენჩურული ინვესტიციების მიმღები კომპანიის მახასიათებლებია:

- ტექნოლოგიებზე ორიენტაცია;
- კომპანიის ასაკი - არაუმეტეს 5 წელი;
- თანამშრომლების რიცხვი 100-დან 500-მდე ადამიანი;
- ინვესტირებიდან გასვლის სავარაუდო პერიოდი 3-4 წელი.

ვენჩურული კაპიტალისტები ყიდულობენ ფირმათა აქციებს დაბალ ფასში და შემდგომ, როდესაც იგი ღია სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნება, გაცილებით უფრო ძვირად ყიდიან.

იმისათვის, რომ ვენჩურული კაპიტალისტი დავარწმუნოთ ბიზნესის წარმატებაში აუცილებელია შემუშავდეს კომპანიის განვითარების 5-7 წლიანი გეგმა, რადგან ვენჩურული დაფინანსების მოპოვებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს გრძელვადიანი ზრდის პერსპექტივა. ვენჩურული კაპიტალისტები აბანდებენ თანხებს მხოლოდ იმ ფირმებში, რომლებსაც შეუძლიათ სწრაფად გაზარდონ რეალიზაციის მოცულობა.

როგორც წესი, ვენჩურული დამფინანსებლები მოელიან ინვესტირებული კაპიტალის სამმაგ, ან ოთხმაგ ზრდას 5-7 წლის განმავლობაში, თუმცა მათ ყველაზე უკეთ იციან, რომ ინვესტიციების მხოლოდ მცირე ნაწილი იძლევა 300 ან 400 %-იან ზრდას. ვენჩურული კაპიტალისტები ეძებენ მხოლოდ დიდი მოგების პოტენციალის მქონე პროექტებს, რათა მიღებული თანხებით გადაფარონ დანაკარგები წარუმატებელი ინვესტიციებიდან. ვენჩურული ინვესტირების უმრავლესობა დაინტერესებულია საინვესტიციო პროექტებით, რომელთა ღირებულება 250 000 \$-დან 1 500 000 \$-მდე მერყეობს.

საშუალოდ ვენჩურული კაპიტალის ფირმა წელიწადში 1000 განაცხადს განიხილავს, რომელთა 90%-ის უარყოფა საწყის ეტაპზევე ხდება, ხოლო დარჩენილი 10% საფუძვლიანად განიხილება და მოწმდება, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება. თუ საქმე ახალ პროდუქტს ან ტექნოლოგიურ სიახლეს შეეხება, შეიძლება ფირმამ დაიქირავოს ექსპერტები.

ვენჩურული კაპიტალით დაფინანსება მცირე ბიზნესის მფლობელთათვის არ არის უფასო, რადგან ინვესტირების სანაცვლოდ ვენჩურული ფირმები ყიდულობენ ბიზნესის აქციების ნაწილს. აქციების პროცენტი განსხვავებულია და დამოკიდებულია გამოყოფილი თანხის რაოდენობაზე, ბიზნესის ღირებულებაზე და მოსალოდნელ შედეგებზე. ტრადიციულად, ვენჩურული კომპანიების უმეტესობას საწყის ეტაპზე არ სურს აქციათა 30-40%-ზე მეტის შექმნა, რადგან რაც უფრო გაიზრდება ვენჩურულ ინვესტორთა მიერ შექმნილი აქციების წილი, მით უფრო შემცირდება მცირე ბიზნესის მფლობელთა სტიმულები. სწორედ ამიტომ, ვენჩურული კაპიტალისტები ცდილობენ მენეჯმენტის საკონტროლო პაკეტი კომპანიის მმართველთა მფლობელობაში დატოვონ.

ვენჩურული დაფინანსების მექანიზმს რიგი უპირატესობები გააჩნია. მაგალითად:


- ✓ ქმნის მძლავრ ფინანსურ ბაზას ვენჩურული საწარმოს შემდგომი განვითარების მიზნით;
- ✓ ფინანსდება უმეტესწილად სტარტაპი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში გეგმავს სამეცნიერო-მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებას;
- ✓ კომპანიის განვითარების სრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ვენჩურული კაპიტალისტები არ ითხოვენ ინვესტიციებზე პროცენტის გადახდას და არც კაპიტალის ანაზღაურებას;
- ✓ ვენჩურულ დაფინანსებასთან ერთად რევიპიენტ ფირმას გადაეცემა მმართველობითი ცოდნა საქმიანობის ორგანიზებისათვის;
- ✓ მაღალტექნოლოგიურ სტარტაპებში ინვესტირებული ვენჩურული კაპიტალი იძლევა მოგების ბევრად უფრო მაღალ ნამატს (შესაძლოა 10-ჯერ მეტი), ვიდრე ნებისმიერ სხვა სექტორში დაბანდებული ინვესტიციები;
- ✓ ვენჩურული კაპიტალის ინვესტორი პრაქტიკულად წარმოადგენს კომპანიის დამფუძნებლის მთავარ საქმიან პარტნიორს და შესაბამისად მისსავე ინტერესებშია, რომ დამწყები ინოვაციური კომპანია განვითარების თითოეულ ეტაპზე მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს ნესმისმიერი სახის მხარდაჭერით;
- ✓ ვენჩურული კაპიტალი ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების უმთავრესი პრობლემის გადაჭრას, რომელსაც

კომერციალიზაცია - ანუ, მიღებული შედეგის მასობრივ წარმოებაში დანერგვა და გაყიდვების ორგანიზება ეწოდება;

✓ საბანკო კრედიტისგან განსხვავებით ვენჩურული კაპიტალდაბანდება ხდება ნოვატორულ იდეებში, რომელიც არ ითვალისწინებს სპეციალურ გარანტიებს პროექტის წარუმატებლობის შემთხვევაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინვესტორების უმრავლესობა ფინანსებს ძირითადად განვითარების გვიანდელ ეტაპზე მყოფ ინოვაციურ კომპანიებში განათავსებს, რადგან მოცემულ ფაზაში ინვესტიციების წარუმატებლობის რისკი მნიშვნელოვნად შემცირებულია, ხოლო პოტენციური მოგების დონე საგრძნობლად მაღალი (აღნიშნულის საილუსტრაციოდ კი წარმოგიდგინთ დიაგრამა 1-ს, სადაც ასახულია გლობალური ვენჩურული დაფინანსების დინამიკა საწარმოს განვითარების სტადიების მიხედვით).

ვენჩურული კაპიტალის ბაზარზე კონკურენციის ამალეზამ ხელი შეუწყო როგორც ფონდების ორიენტაციას უფრო მსხვილ გარიგებებზე (მილიონ დოლარზე მეტი), ისე პროექტის შეფასების სტანდარტების ამალეზას. თანდათანობით, სათესლე ინვესტიციების სეგმენტში ფინანსური სიცარიელის შევსება არაფორმალურმა კაპიტალმა შეძლო - მხსნელებად „ბიზნეს-ანგელოზები“ მოგვევლინენ, რომლებიც საწარმოს ეხმარებიან სწორედ მაშინ, როდესაც ამას ვერავინ ვერ ბედავს.



დიაგრამა 1. გლობალური ვენჩურული დაფინანსების დინამიკა სტადიების მიხედვით (2006-2016 წ.)

„ბიზნეს-ანგელოზები“, ანუ არაფორმალური ინვესტორები გარკვეულწილად ვენჩურული კაპიტალისტების ნაირსახეობას წარმოადგენენ. ისინი საკუთარ ფინანსებს დამწყებ, არალიკვიდურ საწარმოებში განათავსებენ სესხის, ან წილის სახით, ამასთან რეციპიენტ მხარეს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და სასარგებლო კონტაქტებს. ბიზნეს ანგელოზებისთვის ინვესტირების მთავარ სამიზნეს კომპანიის ჩანასახოვანი ეტაპი წარმოადგენს, რადგან ინვესტიციები ბიზნესის განვითარების საწყის სტადიაზე საშუალოდ 2-ჯერ უფრო მომგებიანია, ვიდრე გვიანდელი ეტაპების დაფინანსებისას. ამასთან, „ბიზნეს-ანგელოზების“ მიერ ერთ პროექტში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა როგორც წესი ერთ მილიონ დოლარს არ აღემატება. ქვემოთ მოცემულ ცხრილი 1-ში წარმოდგენილია „ენჯელ ინვესტიციების“ ძირითადი უპირატესობები და ნაკლოვანებები.

უპირატესობები	ნაკლოვანებები
✓ საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე და მოქნილობა	○ ინვესტიციების მოცულობა ბევრად უფრო მცირე და ლიმიტირებულია
✓ არანაირი გირაო და პირადი ქონება	○ საჭირო ენჯელ ინვესტორის მოძიება შედარებით ხანგრძლივ დროს მოითხოვს
✓ არანაირი საპროცენტო განაკვეთი	○ ბიზნესის წილის დათმობა
✓ ინვესტორის ცოდნასა და სასარგებლო კონტაქტებზე ხელმისაწვდომობა	○ ბიზნეს ანგელოზის მხარდაჭერის ფორმა ნაკლებად სტრუქტურირებულია, ვიდრე ინვესტორი კომპანიისა
✓ უკეთესი დისციპლინა გარე დაკვირვების შედეგად	
✓ ბიზნეს ანგელოზის მენტორინგისა (სწავლების) და მართვის უნარებზე ხელმისაწვდომობა	
✓ კაპიტალის ნებისმიერ სფეროში დაბანდება	
✓ მოქმედების გაცილებით ფართო გეოგრაფიული არეალი	

ცხრილი 1. „ენჯელ ინვესტიციების“ უპირატესობები და ნაკლოვანებები.

„ბიზნეს-ანგელოზებისგან“ განსხვავებით, ვენჩურულ ფირმებს რისკის შემცირების შედარებით ეფექტიანი მექანიზმები გააჩნიათ, ვინაიდან მათი ინვესტიციები დივერსიფიცირებულია ბიზნეს სექტორების და საწარმოს განვითარების ეტაპების მიხედვით, მაშინ როდესაც „ბიზნეს-ანგელოზები“, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ იდეაში ახდენენ ინვესტირებას, ანუ იმ ეტაპზე, როდესაც ინოვაციურ საწარმოს წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევია და პრაქტიკულად არც საკუთარი ბიზნეს მოდელის ეფექტიანობის დემონსტრირება შეუძლია.

საწყისი პერიოდისთვის ბიზნეს ანგელოზების საქმიანობის მთავარ მოტივს ახლობელი ადამიანების (ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები, სამეცნიერო თანამოაზრეები) დახმარება წარმოადგენდა, თუმცა დაჩქარებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად კაპიტალდაბანდებებიდან მიღებული შემოსავლების კოლოსალურმა ზრდამ, ანგელოზების ინტერესი ინვესტირებისადმი კიდევ უფრო გააღრმავა.

თანდათანობით, ბიზნეს ანგელოზების, როგორც ფინანსური ინსტიტუტის ფორმირებამ, ხელი შეუწყო საქველმოქმედო მოტივების მნიშვნელოვნად შემცირებას და იმავდროულად კომერციული ინტერესების ზრდას. შესაბამისად, თანამედროვე „ანგელოზები“ უკვე სულაც არ არიან ქველმოქმედნი, რადგან ისინი მოგების მაღალ ნორმაზე (წლიური 40-60%) არიან ორიენტირებულნი.

აშშ-ში დაახლოებით ნახევარი მილიონი „ანგელოზის“ მიერ 50 000 დამწყებ საწარმოში ყოველწლიურად 45 მილიარდი დოლარის ინვესტირება ხდება, ხოლო ევროპაში საშუალოდ მილიონი პოტენციური „ანგელოზი“ მზად არის ყოველწლიურად 10-დან 20 მილიარდ ევრომდე კაპიტალი დააბანდოს. ბიზნეს ანგელოზების მიერ დაფინანსებული დამწყები ფირმების რაოდენობა 30-40-ჯერ აღემატება დაფინანსების ალტერნატიული წყაროებით (ბანკები, სახელმწიფო პროგრამები, ვენჩურული ფონდები და სხვ.) მოსარგებლე საწარმოთა რიცხვს.

საქართველოში ფინანსური შუამავლებიდან შედარებით განვითარებული მხოლოდ საბანკო სექტორია, რომელიც ბაზარს აწვდის შედარებით დაბალრისკიან კაპიტალს. ეკონომიკის სექტორული დივერსიფიცირებისთვის და კონკურენტული დარგების აღმოსაჩენად აუცილებელია, არასაბანკო საფინანსო შუამავლობის განვითარება. ფინანსურმა შუამავლობამ ხელი უნდა შეუწყოს გრძელვადიანი კაპიტალის მიწოდებას ეკონომიკისთვის.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემურია მცირე და საშუალო, ასევე, დამწყები ბიზნესისთვის. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლის მეურნეობის სექტორში. სოფლის მეურნეობის ბაზრის არსებული სტრუქტურა და სუსტი სასოფლო


ინფრასტრუქტურა ართულებს ამ დარგში საინვესტიციო რესურსის მიმართვას.

ვენჩურული კაპიტალის განვითარების მხრივ, ამ ეტაპზე, საქართველო ძალიან ჩამორჩება რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანას. ძალიან დავაგვიანეთ, თავის დროზე ვერ დავინახეთ საჭიროება რათა აღნიშნული დარგი განვითარებულიყო. ამიტომაც, მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა ვეცადოთ რეგიონის ქვეყნების შესაბამის მონაცემებთან დაახლოება. ვინაიდან, საქართველოს გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები: რეგიონში გეოგრაფიულად კარგად არის პოზიციონირებული; ქვეყანაში ყველა ინვესტორი და სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე თავს კარგად გრძნობს; სავიზო რეჟიმიც გაუქმებულია საკმაოდ მრავალ ქვეყანასთან; ზიზნესის კეთების სიმარტივეთაც მსოფლიოს წამყვან პოზიციებზეა; აგრეთვე, დაბალი გადასახადების კუთხით მოწინავე პოზიციებზეა - ეს ქვეყანამ უნდა გამოიყენოს მაქსიმალურად ეფექტურად. სულ რაღაც 2-5 წელია საჭირო, რომ შედეგი დავინახოთ და მეზობელ ქვეყნებს დავეწიოთ.

კაპიტალის ბაზრის განვითარების გარეშე რთული იქნება ვენჩურული კაპიტალის და კერძო კაპიტალის ფონდების განვითარება. ქართულ კომპანიაში ინვესტიციას რომ განათავსებენ, მათ უნდა შეეძლოთ, მარტივადვე გასვლა და ეს წარმოუდგენელია კაპიტალური ბაზრის გარეშე – ამ კუთხით ნამდვილად გვაქვს გამოწვევები. ვინაიდან, კაპიტალური ბაზრის ზედამხედველობა დაკისრებული აქვს ეროვნულ ბანკს, რომელსაც ამას გარდა აქვს საბანკო სფეროს, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ზედამხედველობა. ესენი მაინც სხვა სფეროა და კაპიტალური ბაზარი არის სულ სხვა სფერო. ამიტომ, აუცილებლად უნდა მოხდეს კაპიტალური ბაზრის ზედამხედველის ინსტიტუტის დაფუძნება, რომლის მეშვეობითაც: უნდა განხორციელდეს ეფექტური მენეჯმენტი.

ამ მხრივ, საქართველოს აქვს უნიკალური შანსი გახდეს რეგიონის ფინანსური ცენტრი. აღნიშნული კი, პირველ რიგში, კაპიტალური ბაზრის განვითარებით არის შესაძლებელი. საქართველოში კაპიტალური ბაზარი თუ ეფექტურად დაიწყებს ფუნქციონირებას, ქვეყანა მიიღებს მრავალმხრივ პოზიტიურ სარგებელს, მათ შორის შეიძლება ვიგულისხმოთ: სავალუტო რისკების შემცირება, საექსპორტო დარგების განვითარება, ხელფასების ზრდა, ფინანსური ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირება და ა.შ. აღნიშნული პოლიტიკის გატარების შედეგად, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოისურვებს საქართველოში საკუთარი ფინანსური ინსტრუმენტების განთავსებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

გარდა ამისა, სტარტაპის შექმნისთვის საჭიროა შესაბამისი ეკოსისტემა (ბიზნეს-გარემო), რომლის მთავარი კომპონენტებიც წარმოდგენილია დიაგრამა 2-ზე.



დიაგრამა 2. სტარტაპის ეკოსისტემა

მოცემული ეკოსისტემის ჩამოსაყალიბებლად კონკრეტული, ქმედითი და ეფექტური ნაბიჯები სწრაფად არის გადასადგმელი, ვინაიდან ყველა ქვეყანა ვითარდება და ლანდშაფტი შესაძლოა, სწრაფად შეიცვალოს - დღეს არსებული უპირატესობა შეიძლება ქვეყანას ხვალ უკვე აღარ გააჩნდეს.

აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, საგადასახადო სისტემის რეფორმირება და გადასახადების შემცირება ამ მიმართულებით გამოიწვევს აქტივობის სწრაფ ზრდას. ის ორგანიზაციები, რომელთა პროდუქცია საზღვარს ფიზიკურად არ კვეთს, მაქსიმალურად უნდა გავათავისუფლოთ საგადასახადო ტვირთისაგან, მათ შორის საშემოსავლო გადასახადისაგან, რაც, დღესდღეობით, ინოვაციების სფეროში არსებული სტარტაპების ძირითადი დანახარჯია. ამ მიმართულებით გარკვეული ქმედითი ნაბიჯები უკვე გადადგმულია, თუნდაც ის, რომ ვირტუალურ სივრცეში მოღვაწე ორგანიზაცია არ იხდის მოგების გადასახადს, თუმცა ამ ყველაფერს სჭირდება უფრო მეტი რეკლამირება.

მოცემული ქმედებები გაზრდის სტიმულებს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, უცხოური ორგანიზაციები დაინტერესდებიან საქართველოში ინვესტიციების დაბანდებით და, მეორე მხრივ, წახალისებს დამწყებ

ქართულ კომპანიებს, რომელთაც ექნებათ ამოსუნთქვის საშუალება, ვინაიდან აღარ იფიქრებენ იმაზე, რომ თუკი ისინი მოახდენენ ინვესტიციების მოზიდვას, სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხას წაიღებს გადასახადების სახით.

დასკვნა. ვენჩურული დაფინანსების თავისებურებების შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინვესტორების უმრავლესობა ფინანსებს ძირითადად განვითარების გვიანდელ ეტაპზე მყოფ ინოვაციურ კომპანიებში განათავსებს, რადგან მოცემულ ფაზაში ინვესტიციების წარმატებლობის რისკი მნიშვნელოვნად შემცირებულია, ხოლო პოტენციური მოგების დონე საგრძნობლად მაღალი.

მცირე ვენჩურულ საწარმოებს, რომლებიც ნერგავენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, გააჩნიათ არაერთი უპირატესობა ნებისმიერ სხვა სექტორში წარმოდგენილ კომპანიებთან შედარებით. კერძოდ:

- ვენჩურული კომპანიების ეკონომიკური ზრდის ტემპი ბევრად აღემატება ნებისმიერი სხვა მცირე და საშუალო ფირმის ანალოგიურ მაჩვენებელს;
- ვენჩურულ ფირმებს შეუძლიათ უზრუნველყონ მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის სწრაფი ზრდა, ან ხარისხიანი იმპორტშემცვლელი პროდუქციის მიწოდება ეროვნულ ბაზრებზე;
- მცირე ინოვაციური საწარმოები გაცილებით სწრაფად ქმნიან მაღალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებს (მაგ: მეცნიერები, ინჟინერ-კონსტრუქტორები, ტექნოლოგები და სხვ.);
- ხელს უწყობენ სამეწარმეო-ინოვაციური ინფრასტრუქტურის რეგიონულ განვითარებას და შესაბამისად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- ზრდიან ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დონეს ეკონომიკური, სამეცნიერო-ინფორმაციული, ეკოლოგიური, ენერგეტიკული, სასურსათო დამოუკიდებლობის გაძლიერების საფუძველზე;
- ხელს უწყობენ უახლესი ტექნოლოგიების სწრაფ გავრცელებასა და გამოყენებას;
- მცირე ინოვაციური ბიზნესი ბევრად უფრო მობილურია და გახსნილია სიახლებისთვის ვიდრე მსხვილი ორგანიზაციები. ამასთან, უფრო სწრაფად ახდენს წარმოების გარდაქმნას და ინოვაციების დანერგვას;
- მცირე საწარმოები საშუალოდ 4-ჯერ ნაკლებ დროით რესურსს ხარჯავენ, ვიდრე მსხვილი ფირმები;

➤ ზრდიან სამეცნიერო ცოდნაზე მოთხოვნას, ახდენენ მის პოპულარიზაციას და ხელს უწყობენ საზოგადოებაში სამეცნიერო კულტურის დამკვიდრებას.

აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ვენჩურული კაპიტალის განვითარება, რათა ქვეყანამ რაც შეიძლება სწრაფად უპასუხოს მსოფლიოს თანამედროვე გამოწვევებს. ვენჩურული კაპიტალი არის ისეთი დარგი, რომელსაც შეუძლია გაცილებით დიდი სარგებლის მიღება ნაკლები კაპიტალური დაბანდებით, მეტი შედეგის მიცემა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამისათვის კი, მნიშვნელოვანია, ვენჩურული კაპიტალისა და მოცემულ დარგთან დაკავშირებული სფეროების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, აგრეთვე, საერთაშორისო ინვესტორებთან, სხვადასხვა ასოციაციასთან, ორგანიზაციასთან და მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ტყემელაშვილი შ., როგორ მუშაობს ვენჩურული კაპიტალი და რა როლს ასრულებს ის სტარტაპების განვითარებაში, პორტალი - „ბიზნეს მედია ჯორჯია“, თბილისი, 2019
2. შაბურიშვილი შ., ბიზნეს-ანგელოზები, არაფორმალური ინვესტიციების მოძიების ქართული გამოცდილება, „უნივერსალი“, თბილისი, 2009
3. ჭეიშვილი გ., „სტარტაპ“ ბიზნესის განვითარებას გადასახადები და ეკოსისტემის არარსებობა აფერხებს, პორტალი - ყველაფერი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ, თბილისი, 2016
4. ხვედელიანი ა., სადოქტორო დისერტაცია - სარისკო კაპიტალის აქტივიზაცია საქართველოს საბანკო სისტემაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017
5. პროექტი - საქართველო 2020, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველოს მთავრობა, თბილისი, 2013
6. პირდაპირი ინვესტირების და ვენჩურული კაპიტალის ევროპული ასოციაცია - www.evca.com
7. აშშ-ს ვენჩურული კაპიტალის ეროვნული ასოციაცია - www.nvca.org

Blockchain Technology - the Invisible Hand of Self-Organizing Systems

Ekaterina Zakaradze - Invited lecturer, Ph.D.
degree in Public Governance G. Robakidze University
Ekaterine.zakaradze02@gruni.edu.ge

Abstract. The need to use blockchain as a modern concept is one of the important factors on the path of digital transformation of the state. Decentralization of blockchain technologies can accelerate the digital transformation of the state, as the ability to conduct authorized operations without the need for a central authority facilitates the delivery of citizen-centered digital public services.

A blockchain is a self-organizing system where targeted and accidentally inconsistent transactions are managed by the system. In case of non-compliance with the rules of operation, the transactions are dropped from the chain of blocks.

Key words: Blockchain technology. Self-organizing system. Digital transformation.

Main Text:

A blockchain is a chain of blocks created to record transaction records under a set of pre-defined rules, where the movement of secure data, money, goods, and other data takes place. Over time, the use of cryptocurrency, bitcoin, has made it possible to insert and validate blocks in a chain independently of a third party.

The blockchain serves:

- Using protected cryptographic algorithms, it collects data and sorts them into special blocks, where the chains are connected to each other - a self-organizing system;
- Based on mathematically validated rules, the transaction is authentic without the intervention of a central governing body.

It is also noteworthy that blockchain technology, so-called the third generation of the Internet, under its influence has led to improved security settings and made it quite difficult for third parties to intervene.

However, we should not forget that the 21st century is the time of the fourth industrial revolution. Technological shifts are developing at lightning speed.

Currently, blockchain technology is considered to be a practically new step in the field of technology that can be used to solve virtually every problem related to information technology.

Georgia is one of the countries that is actively involved in the use of blockchain technology in both private and public spaces.

The pros and cons of blockchain should definitely be considered, as further threats to even the most secure system can be avoided.

The Blockchain is a decentralized system with multifunctionality, not all uses have been found for the blockchain, however, it works well as a digital currency, database, or unbreakable platform for programming.

Due to the fact that blockchain is an independent system field, where it is possible to perform many actions without human intervention, it puts banking / financial services in a very difficult situation.

The greatest value of blockchain is that it is possible to share the database directly without the help of a central administrator.

As for blockchain security, a lot of effort is required as more than half of the simultaneously connected participants have to be able to count all the hashes at once and cheat the other half.

The foresaid is quite difficult to implement and that is why the blockchain is considered to be one of the most protected fields, as it does not have any centralized protection mechanisms, but is secured by a complex mathematical chain.

Blockchain technology, as I mentioned above, has quite a lot of potential to facilitate the digital development of public services and its use to reduce bureaucracy in public processes.

A blockchain is defined as a constantly updatable, digital, decentralized, and cryptographically encrypted database. Blockchain is not only a new technology but also a new model of thinking that is expected to transform the current model of functioning of society in multiple sectors soon.

Blockchain is the means by which we can complete a transaction without intermediaries. Consequently, when the blockchain will be fully operational in the public sector, several areas of state regulation will be eliminated and there will no longer be a kind of mediator in the provision of many services.

The risk factors that require the introduction of innovative technology and the integration of new standards and concepts in its legal system are also noteworthy.

However, in the future, blockchain will have a transformative impact on the community and public services, as it is a technology with destructive potential, without the need to digitize, protect and track transactions, without the need for a trusted third party.

Literature:

1. Wood G, Andreas M. Antonopoulos, O'Reilly (2018).
2. Satoshi N. Bitcoin - 0.1 released. (2009).
3. Abbott J. Exploring the Art of the Possible. (2018)
4. Kandelaki, N. Perspectives on the use of blockchain technology in e-government. GTU Proceedings. №3 (513). ISSN 1512-0996. DOI: <https://doi.org/10.36073/1512-0996-2019-3-11-18> (2019)

მიწოდების ჯაჭვი 4.0 Supply Chain 4.0

ბეკა ზაუტაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Bekazautashvili@gmail.com

Beka Zautashvili - Faculty Of Economics and Business
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bekazautashvili@gmail.com

აბსტრაქტი. თანამედროვე სამყაროში ეკონომისტებისა და ექსპერტების დიდი ნაწილი საკუთარ კვლევებსა და ნაშრომებს უთმობენ ისეთ თემებს როგორცაა: ციფრული ეკონომიკა, მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, ხელოვნური ინტელექტის პერსპექტივები ეკონომიკაში და სხვ. ასევე, ბოლო პერიოდის მოვლენებიდან გამომდინარე აქტუალური კვლევის საგნად იქცა Covid-19-ის და მსოფლიო ეკონომიკების შესწავლა. აღნიშნულ თემებზე შექმნილი ნაშრომები, ხელმისაწვდომია ინტერნეტში სხვადასხვა ენაზე. თუმცა, ამავდროულად არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც მოიხსენიება ტერმინით „მიწოდების ჯაჭვი 4.0“, სხვა თემებთან შედარებით ძალიან მწირი რაოდენობის ავთენტური მასალები გვხვდება საძიებო სისტემებში. რეალურად, რომ დაუვკვირდეთ ახალი მიწოდების ჯაჭვის (მიწოდების ჯაჭვი 4.0) განვითარება და სრულყოფა, პირდაპირ კავშირშია ორ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი თემსთან: კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების შემსუბუქება და ციფრული ეკონომიკის განვითარება მსოფლიოში. ამრიგად, ნაშრომის მიზანია მკითხველს უკეთ გააცნოს ტერმინ მიწოდების ჯაჭვი 4.0-ის, როგორც შინაარსობრივი მხარე ასევე მისი მუშაობის პრინციპები და ის სავარაუდო ცვლილებები, რაც ახალი მიწოდების ჯაჭვის დანერგვის შემთხვევაში მოყვება.

საკვანძო სიტყვები: მიწოდების ჯაჭვი 4.0; ეკონომიკა; ბიზნესი; Covid-19; ციფრული ეკონომიკა.

Abstract. Today, economists and experts devote their research to topics such as the digital economy, industry 4.0, the prospects of AI in economics, and more. Also, because of recent events, the study of Covid-19 has become the subject of topical research. Papers on these topics are available on the Internet in a variety of languages. However, at the same time, no less important issue, referred to as the "supply chain 4.0", compared to other topics, has a small amount of authentic material in search engines. To observe the development and perfection of the new supply chain (Supply Chain 4.0) is directly related to the implementation of the most important topics: alleviating the economic problems caused by the Coronavirus and developing the digital economy in the world. Accordingly, the paper aims to better acquaint the reader with the content of the term, as well as the principles of its operation and the likely consequences that the public will get in the event of the introduction of a new supply chain.


Key Words: Supply Chain, Economics; 4.0; Business; Covid-19; Digital Economy.

შესავალი. ბოლო 30 წლის განმავლობაში ლოგისტიკაში უამრავი ცვლილება მოხდა, რომელმაც ტერმინი მიწოდების ჯაჭვი იმაზე ფართო ფენომენად აქცია, ვიდრე უბრალოდ მომხმარებელამდე წარმოებული საქონლის მიტანაა.

მეოთხე ინდუსტრიულმა რევოლუციამ და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა, კომპანიებს უბიძგა გადაეხედათ საკუთარი მიწოდების ჯაჭვისთვის და შეეტანათ მასში ცვლილებები. შედეგად მივიღეთ ტერმინი,

განმასხვავებელი ნიშანი აქვს, მაშინ ფასის დაწესება კონკურენტზე მეტ ფასად გამართლებულია, იგი მხედველობაში არ იღებს ანალოგიური საქონლის საბაზრო ფასს. თუ კონკურენტმა თავის საქონელზე დასწია ფასი, ხანგრძლივი პერიოდისათვის მსგავს საქონელზე, მეორე მეწარმეც იძულებულია დასწიოს საქონლის ფასი გაყიდვების მოცულობის გადიდების მიზნით. თუ მას შეუძლია დაიჭიროს მაღალი ფასი და არ შეამციროს იგი, მაღალი მარკეტინგული მეთოდების ამოქმედებით, მაშინ იგი ინარჩუნებს მაღალ ფასს. ამავე დროს გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქტორი, მაგალითად, მყიდველთა უმრავლესობისათვის საქონლის შესახებ ინფორმაცია, ასევე გასათვალისწინებელია კონკურენტთა რეაქცია.

ძირითადი ტექსტი: ეფექტიანი სტრატეგიის დამუშავების მიზნით მეწარმის ინტერესებში შედის ბაზრის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მისი გამოკვლევა, გამზადება, განზოგადება და ამის საფუძველზე საქონლის მიწოდება, ასევე მისი გასაღების ორგანიზაცია. ბაზრის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე მეწარმე სტრატეგიას ამუშავებს, მის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს ძირითადი საქონლის გაყიდვა მომხმარებლებზე, ნებისმიერი კონკრეტული სტრატეგიის შერჩევის დროს, იგი იძულებულია დაამუშაოს სპეციალური ფასთა პოლიტიკა, შერეული სტრატეგიის შესაბამისად.

საწარმოები ორიენტაციას ახდენს ბაზრის მოთხოვნაზე საქონლის გასაღების პირობების მუდმივი შესწავლით, რომელიც საფუძვლად უდევს მისი ძირითადი საქმიანობის ყველა დანაყოფს. ანგარიშგასაწევია ასევე ფასის დადგენა საქონელზე ბაზრის მიმდინარე ფასების დონის მიხედვით, რაც გამოხატავს მეწარმის წინფახედულობას. ეს მეთოდი გამოიყენება ოლიგოპოლიურ ბაზარზე, სადაც ერთი სახის საქონელი იყიდება. მწაემობლები ამ შემთხვევაში გამოდიან კონკურენტის პირობებიდან, ისინი ადგენენ საქონელზე ფასებს შედარებით მაღალი ან დაბალი კონკურენტების ფასის მიმართ, მაგრამ საქონელს თუ გააჩნის ისეთი თვისება, რაც განასხვავებს მას კონკურენტების საქონლისაგან, ან მიიღება მყიდველისაგან როგორც სხვა საქონელი, მასზე ფასი შეიძლება დაწესდეს მოქნილად, კონკურენტების ფასების გაუთვალისწინებლად. ერთი სახის საქონლის მწარმოებელი, როგორც წესი უთვალთვალევენ კონკურენტების ფასების ცვლილებას და შეუძლიათ ამ ცვლილებაზე მოახდინონ რეაგირება.

სრულყოფილი კონკურენტის დროს ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა ფასების ეგზოგენურობა. თუ მეწარმეები გამოიყენებენ მონოპოლიურ ძალაუფლებას და ფასებს უკარნახებენ უფრო მსხვილ კონკურენტებს, მაშინ საბაზრო ფასი გადაიხრება ზღვრული დანახარჯებიდან მაღლა.

კონკურენტული ფასების დონე წარმოადგენს ორინენტის მონოპოლიური, მონოფსონური და მსოფლიო ბაზარზე ფასწარმოქმნისათვის, რამდენადაც ფასების დინამიკა, როგორც სრულყოფილი, ისე არასრულყოფილი კონკურენციისას იქნება ანალოგიური საწარმოო პროცესების მსგავსი ხასიათის პირობებში. ფასების დონის დადგენის ოთხი ძირითადი ხერხია გავრცელებული

- ✓ წარმოების დანახარჯებით;
- ✓ კაპიტალის შემოსავლებით;
- ✓ მოთხოვნაზე ორიენტაციით და
- ✓ მიმდინარე ფასეულობის დონით.

პირველ მეთოდს ფართოდ იყენებენ წარმოებაზე ორიენტაციის მიზნით, ხოლო მეორე მეთოდი ეყრდნობა პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებსა და კაპიტალის დაგეგმილ შემოსავალს, რომლის დროსაც პროდუქციის დანახარჯებს ემატება პროცენტი კაპიტალურ დაბანდებაზე. მოთხოვნაზე ორიენტაციით ფასების განსაზღვრის მეთოდი ყველაზე ორიგინალურია ფასწარმოქმნის მეთოდებს შორის. მეწარმეთა უმრავლესობა ორიენტირებულია არა წარმოების დანახარჯებზე, არამედ მისი პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდებით. მეწარმე გამოდის იქიდან, რომ მომხმარებელი განსაზღვრავს შეფარდებას საქონლის ფასეულობასა და მის ფას შორის და აღიარებს მას კონკურენტების საქონლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება მეოთხე მეთოდს, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებას უშუალოდ ბაზარზე იღებენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფასების ელასტიურობას. იგი გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტით იცვლება ერთი ცვლადი მეორე ცვლადის 1 %-ის შეცვლით, ასევე მყიდველის რეაქციას მათ მიერ შესყიდული საქონლის მოცულობაზე.

$$\frac{(Q2 - Q1)/(Q1 + Q2)}{(P2 - P1)/P1 + P2)}$$

სადაც,

Q1, Q2 - გაყიდვების მოცულობაა,

P1 ძველი და P2 ახალი ფასებით.

თუ $E_d < 1$ - მოთხოვნა არაელასტიურია, $E_d = 1$ მოთხოვნა ერთეული ელასტიურობის ტოლია, $E_d > 1$ მოთხოვნა ელასტიურია.

თუ მარკეტინგის სამსახურმა დაადგინა, რომ საქონელზე მოთხოვნა არაელასტიურია ($E_d < 1$) საწარმო ზრდის ფასს საქონელზე და ამავე დროს მოგება რეალიზაციიდან იზრდება, თუ პირიქით, საქონელზე მოთხოვნა ელასტიურია ($E_d > 1$), ფასების ზრდა არაა მიზანშეწონილი, ვინაიდან რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მცირდება. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია საქონელზე ფასი შემცირდეს, ვინაიდან გაიზრდება

მოთხოვნა და შესაბამისად ამონაგებიც. ეფექტიანი სტრატეგიის დამუშავების მიზნით საწარმოს ინტერესებში შედის ინფორმაციის შეგროვება ბაზრის შესახებ, მისი გამოკვლევა, განზოგადება და ამის საფუძველზე საქონლის მიწოდება. ყველა შემთხვევაში საწარმო შეიმუშავებს ფასთა პოლიტიკას შერჩეული სტრატეგიის შესაბამისად. სრულყოფილი კონკურენციის დროს ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა ფასების ეგზოგენურობა. თუ საწარმოები გამოიყენებენ მონოპოლიურ ძალაუფლებას და ფასებს უკარნახებენ უფრო მსხვილ კონკურენტებს, მაშინ საბაზრო ფასები გადაიხრება ზღვრული დანახარჯებიდან მაღლა. ფასების ინდექსის გაანგარიშებისას სამომხმარებლო საქონლის მოცულობის ზომა უნდა შეირჩეს ისე, რომ ის ტოლი იყოს საბაზრო და საანგარიშგებო პერიოდისათვის, თანაც თანაბარი უნდა იყოს მომხმარებელთა კეთილდღეობის დონე.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ლარი დაახლოებით 10%-ით გაუფასურდა და დღეს ერთი დოლარის შესაძენად 24 თეთრით მეტის გადახდა გვჭირდება, ვიდრე ერთი წლის წინ. რადგან ჩვენ იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ვართ, შესაბამისად, გაძვირდა იმპორტული პროდუქციაც, რამაც გავლენა მოახდინა ფასების ზრდაზე. სტატისტიკის მიხედვით, ფასები თითქოს დიდად არ გაზრდილა - სულ 7%-ით, ეს არის საშუალო მაჩვენებელი. მაგრამ საჭიროა ფასების ზრდა ცალკეული ჯგუფების მიხედვით შეფასდეს. მაგ. მხოლოდ სურსათი მხოლოდ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 13.4%-ით გაძვირდა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში საშუალო ხელფასის მატება პურზე ფასების მატებას 1,5-ჯერ ჩამორჩა, რძესა და რძის პროდუქტებზე ფასების მატებას - 2-ჯერ, ხოლო ხორცზე - დაახლოებით 4-ჯერ.

თუ სამ წლიან მაჩვენებელს ავიღებთ და 2019 წელს 2016 წელს შევადარებთ, 2019 წელს საშუალო ხელფასით დაახლოებით 16 კგ-ით ნაკლები ხორცის შეძენა იყო შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, რომ ნომინალური ხელფასი მთელი ამ წლის განმავლობაში იზრდებოდა. ერთი წლის წინანდელთან შედარებით, საშუალო ხელფასით, მაგალითად, 12 კგ-ით ნაკლები ხორცისა და 33 ლ ნაკლები რძის შეძენა შესაძლებელი, ხოლო მედიკამენტების 7%-ით ნაკლებს.²⁰

საქართველოში სტაბილური ფასების მისაღწევად მნიშვნელოვანია ლარის სტაბილური კურსი, რადგან მოხმარებული პროდუქციის 65%-მდე იმპორტირებულია. როდესაც ლარი უფასურდება, იმპორტიორი ცდილობს, ლარებში უფრო ძვირად გაყიდოს პროდუქცია. გარდა ამისა, ჯერჯერობით დაბალია კონკურენციის დონე. საქონლისა და მომსახურების ბაზარზე

²⁰ https://www.geostat.ge/media/23134/CPI-Press-Release_04.2019_GEO.pdf

გაცილებით მეტი კომპანია უნდა ოპერირებდეს. ამას კი დრო და ბაზრის მაქსიმალურად გახსნა სჭირდება.

საქართველოში ადგილობრივი პროდუქციის სიმცირის გამო, უცხოური კონკურენციის შემცირების მიზნით, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან საწარმოების მხარდაჭერა, რაც მოიცავს პირდაპირ სუბსიდირებას (სასოფლო-სამეურნეო წარმოება), ფასების რეგულირებას, დაზღვევას და დაკრედიტებას, პროტექციონიზმს ზოგიერთ პროდუქციაზე, კვოტირებას და ა.შ.

ფასების რეგულირების მიზნით მიზანშეწონილია ზოგიერთ პროდუქციაზე სახელმწიფომ წლის დასაწყისში დაადგინოს სასტარტო ფასი, თუმცა ინფლაციისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით გამორიცხული არ არის, რომ მოხდეს მისი კოტირება გაზრდის ან შემცირები მიმართულებით.

ჩვენი აზრით, ფასების 20-30% სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს. ეს შეეხება პირველადი მოხმარების პროდუქტებს, საგნებს. ფასები უნდა დარეგულირდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, ენერგომატარებლებზე, სატრანსპორტო ტარიფებზე, ენერგომატარებლებზე, ლითონზე, რომელებიც გამოდის როგორც დანახარჯების წარმომქმნელი ყველა სხვა საქონლის წარმოებისას. ამით სახელმწიფოს შესაძლებლობა ექნება გარკვეული ზომით აკონტროლოს ფასები დანარჩენ სახეობათა პროდუქციაზე.

ფასები შემოსავლების გადანაწილების მთავარი ბერკეტია და ვიდრე იგი გარკვეული სახის პროდუქციის თავისუფალი რჩება, ხალხთა მასების გადატაკება და ქონებრივი პოლარიზაცია გაგრძელდება და ამიტომ ზოგიერთი სახის საქონლის ფასებზე კონტროლი აუცილებელია როგორც ეკონომიკის განვითარებისათვის, ისე შემოსავლების გადანაწილებისათვის.

მისწრაფება ღია ეკონომიკისაკენ, შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა გამოყენებისაკენ უმნიშვნელოვანესია, მაგრამ თუ უცხოური საქონელი ჯაბნის საკუთარს და ამცირებს კონმურენტულ ბრძოლაში, საჭიროა სამამულო მწარმოებლის დაცვა. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ტარიფული პროტექციონიზმი, სავალუტო პოლიტიკა, საბაჟო გადასახადი, სატარიფო ბარიერები (ანტიდემპინგური და საკონპენსაციო ბაჟი, ქვოტები, სახელშეკრულებო შეზღუდვები და სხვ.) ბაზარი უნდა ვუზრუნველყოთ სამამულო მწარმოებლებისათვის და შევინარჩუნოთ საკმაოდ ქმედითი კონკურენტული გარემო. ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს საშინაო ბაზრის გაფართოებას საოჯახო და საინვესტიციო მოთხოვნის გადიდებით, სახელმწიფო ხარჯებით წარმოების მხარდაჭერაზე.

გადახდინუნარიანობის მოთხოვნის ხელოვნურმა შემცირებამ საქონელწარმოების მკვეთრი დაცემის პირობებშიც კი გამოიწვია ბაზრის გაჯერება და ცხადია, ფასების ზრდის შენელება, ასე რომ ბაზრის

დღევანდელი გაჯერება „მიღწეულია“ ბაზრისაგან მომხმარებელთა უზარმაზარი მასის ჩამოშორებით.

აუცილებელია ფასებისა და საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რამდენადაც მათ შერწყმას შეუძლია უწრუნველყოს საწარმოთა ნორმალურად ფუნქციონირებისათვის სათანადო შემოსავალი.

ფასწარმოქმნის მექანიზმი უნდა ემყარებოდეს შემდეგს:

✓ თავისუფალ ფასებსა და სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების შეთანაწყობა;

✓ ნორმატიული მეთოდებით ფასების გაანგარიშება;

✓ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებით საქონელწარმოების ეფექტიანობის ზრდა და მიმოქცევის ხარჯების შემცირება;

✓ საფინანსო-საკრედიტო სისტემასთან ურთიერთკავშირის ოპტიმიზაცია.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ რაც უფრო სწორადაა დარეგულირებული ფასები წარმოების სტადიაზე, მით უფრო რეალურად განისაზღვრება პროდუქციის თვითღირებულება და ფასები უფრო რეალურად ასახავს კვლავწარმოების პროცესს.


ფასების სტაბილიზაცია და შემცირება შესაძლებელია დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდით. ქვეყანაში ფასების, ფასწარმოქმნის და მისი რეგულირების მიზნით საჭიროა ფუნქციონირებდეს ისეთი სტრუქტურული ერთეული, რომელიც პერიოდულად გაანალიზებს სამომხმარებლო ბაზარზე მოქმედ ფასებს და შეიმუშავებს ფასების რეგულირების რეკომენდაციებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფასი კომპლექსური საბაზრო კვლევის მნიშვნელოვანი ელემენტია, იგი მიეკუთვნება ძირითადი მაჩვენებლების ფაქტორთა საკონტროლო ჯგუფს, რომელიც განსაზღვრავს მოგებას. ტრადიციულად ფასთა სტრატეგია ცუდად ვითარდება საქართველოს ბიზნესში, კერძოდ, უმეტესწილად ფასების დადგენა ხორციელდება დანახარჯების სტრუქტურის ადეკვატური აღრიცხვის გაუთვალისწინებლად. გარდა ამისა, დამუშავებული ფასთა სტრატეგია შეუსაბამობაშია მათ საერთო სტრატეგიასთან, კერძოდ, არასაკმარისად არის გამოყენებული ისეთი ძლიერი ფაქტორი, როგორცაა ფასი ბაზრის რეგულირებაში.

2019 წელს განვითარებული მოვლენები (პანდემია) მწვავედ აისახა ქართულ ვალუტაზე და შესაბამისად სამომხმარებლო ფასებზე. ქართული ვალუტა არც პანდემიამდე გამოირჩეოდა სტაბილურობით.

2020 წლის ბოლოსათვის 1 აშშ დოლარის ღირებულება 3 ლარს ასცდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო რეზერვების გაყიდვამაც კი ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ

ისეთ ქვეყანაზე, რომელსაც საგარეო ვაჭრობის ბრუნვა დეფიციტური აქვს ინფლაციური პროცესები განავითარა. ამ პირობებში ძალზედ აქტუალური გახდა სამომხმარებლო საქონელზე, უმთავრესად კი საკვებ პროდუქტებზე მთავრობის პროგრამა ფასების სტაბილურობის მიმართულებით. სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებდა ზოგიერთ იმპორტირებულ პროდუქტის სუბსიდირებას.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სააგენტო

როგორც ჩანს, სამომხმარებლო საქონელზე ფასების ზრდა არის დაფიქსირებული როგორც წლების , ისე დეკემბრის თვის მიხედვით. სტატისტიკის ეროვნულმა სააგენტომ გაავრცელა განცხადება 2020 წლის დეკემბრის თვეში წინა წლის თვის მაჩვენებელთან ინფლაციის ტემპის შესახებ.

ინფლაციის მაჩვენებლის გაანგარიშებისას გამოიყენება მომხმარებლის მიერ გადახდილი საფასური (სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგია). შესაბამისად გაანგარიშებაში არ მიიღო მონაწილეობა სუბსიდირების თანხამ. რამაც შეამცირა ინფლაციის მაჩვენებელი.

საქართველოს მთავრობამ „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების თანახმად, მომხმარებელთა გარკვეული კატეგორიისთვის განახორციელა დახარჯული ელექტროენერჯის, წყლის, დასუფდასუფთავებისა და ბუნებრივი აირის საფასურის საფასურის ანაზღაურება.

დასკვნა: სწორ ფასწარმოქმნას დიდი გავლენის მოხდება შეუძლია ეკონომიკაზე. იგი წარმოების მართვაში ეკონომიკურად საჭირო ინსტრუმენტია.

განსაკუთრებული როლი აკისრია სახელმწიფოს ფასების დარეგულირებაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა იმპორტზე ორიენტირებულია, საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფომ კვოტების შემოღებით შეამციროს ისეთი პროდუქციის შემოტანა ქვეყანაში, რაც ადგილობრივ ინარმოება.

ფასწარმოქმნის მექანიზმი უნდა ემყარებოდეს თავისუფალ ფასებსა და სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების შეთანაწყობას, ნორმატიული მეთოდებით ფასების გაანგარიშებას, საქონელწარმოების ეფექტიანობის ზრდას და მიმოქცევის ხარჯების შემცირება, ასევე საფინანსო-საკრედიტო სისტემასთან ურთიერთკავშირის ოპტიმიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გრ. მენქიუ - ეკონომიკის პრინციპები, თბ. 2010
2. https://www.geostat.ge/media/23134/CPI-Press-Release_04.2019_GEO.pdf
3. <https://forbes.ge/news/1965/ramdeniT-da-ratom-gaZvirda-cxovreba-saqarTveloSi?fbclid=IwAR3sauwRCKvt01zxOWzkl0BfCtM2WJP925de3YdUGLmlOP5u9gE5vaQfg>
4. <http://pia.ge/post/217746-inflacia-saqartvelosi?fbclid=IwAR34d9oqRJRzDDKBCKIIIycQnqZ8Q17LzZjpG71BORUug7G4Xs9mj07jIk>

საქართველოს ფარმაცევტული ინდუსტრიის ძირითადი ასპექტები The Main Aspects of Georgian Pharmaceutical Industry

ჯემმა სააკიანი - დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. jemmasaakyan@gmail.com

Jemma Saakyan – PhD

Georgian Technical University. jemmasaakyan@gmail.com

აბსტრაქტი. აღნიშნული ნაშრომი განსაზღვრავს საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის ძირითად მახასიათებლებს, თვისებებს, პრინციპებს, მუშაობის ასპექტებს, ძირითად პრობლემებს, რომლებიც დღეს აქტუალურია საქართველოს ბაზარზე, მარკეტინგული კვლევის ჩატარების უზრუნველყოფით. როგორც ბიზნესის ყველა სფერო, ასევე ფარმაცევტული ინდუსტრია ეფექტური და წარმატებული მუშაობისთვის მარკეტინგული კვლევის ჩატარებას ითვალისწინებს. საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი თითქმის პროპორციულად არის დაყოფილი 4 მსხვილ კომპანიად, მათ შორის: „პე-ეს-პე“, „ავერსი“, „ფარმადეპო“ და „ჯი-პი-სი“, ხოლო დანარჩენი მცირე ზომის კომპანიები მთლიანი ბაზრის მხოლოდ 10% შეადგენს. აღნიშნული 4 მსხვილი კომპანია კარგად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ქართულ ფარმაცევტულ ინდუსტრიის წინსვლის მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს რეგულაციის ინსტიტუტის აღდგენა, რომელიც დაინერგა 2014 წლიდან, ასევე საყურადღებოა ადგილობრივი

ფარმაცევტული საწარმოების ფუნქციონირება - „ავერსი რაციონალი“ და „ჯი-ემ-პი“, მათი წარმოებული პროდუქცია იყიდება, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გადის ექსპორტზე.

საკვანძო სიტყვები: ფარმაცევტული ინდუსტრია, მარკეტინგი, მედიკამენტი, საგარეო ვაჭრობა.

Abstract. The article defines the Georgian pharmaceutical market the main characteristics, features, principles, aspects of the market, the main problems of the market, which are currently relevant to the Georgian local market, by conducting market research. Like all business sectors, the pharmaceutical industry requires market research to operate efficiently and successfully. Georgia's pharmaceutical market is almost proportionally divided among 4 large companies, including PSP, Aversi, Pharmadepo and GPC, while other smaller companies account for only 10% of the total market. These four major companies cooperate well with each other. An important step in the development of the Georgian pharmaceutical industry is the restoring of the prescription institute, launched in 2014. The work of local pharmaceutical firms - "Aversi Rational" and "GMP" should also be noted, their products are distributed both in the local market and for export too.

Keywords: Pharmaceutical industry, marketing, medicine, foreign trade.


შესავალი. ფარმაცევტული ინდუსტრია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. საქართველოს ფარმაცევტული ინდუსტრია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარებაზე ზრუნვა საკუთარი ძალებით და შესაძლებლობით დაიწყო. დღევანდელი მდგომარეობით ბაზარზე 4 მსხვილი განვითარებული კომპანია და რამდენიმე მცირე ზომის კომპანიები ფუნქციონირებენ.

დღეს ადამიანის ჯანმრთელობა ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ასევე, ქვეყნის ფარმაცევტულ ინდუსტრიაზე, მედიკამენტების ხელმისაწვდომობაზე. საქართველოს ბაზარი რამდენიმე ათწლეულია, ინოვაციებს და ახალ გამოწვევებს იღებს, ზედმეტი დანაკარგების და ნაკლოვანებების გარეშე, რაც შეიძლება სწრაფად მიმდინარეობს ადაპტირების პროცესი ჯანდაცვისა და ფარმაცევტულ ინდუსტრიაში. ჩვენს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაზე, სამომავლო განვითარებაზე საზრუნავად ბევრი არსებითი პრობლემა დგას, მათ მოგვარებას კი შეუძლია დამოკიდებულებების და ქვეყნის შეცვლა, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფარმაცევტული ინდუსტრია, მისი განვითარება და წინსვლა. გლობალური მასშტაბით ფარმაცევტული ინდუსტრია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

ჩვენს ნაშრომის კვლევის მთავარ ღირებულებას და ასპექტს წარმოადგენს საქართველოს ფარმაცევტულ ინდუსტრიაში ჩატარებული კვლევების შედეგების და დასკვნების ანალიზი და შეჯამება, ხელს უწყობს თუ არა საზოგადოება ჩატარებულ რეფორმებს, აღიქვამს თუ არა საჭიროებას, მის ძალას და მნიშვნელობას.

ძირითადი ტექსტი. მარკეტინგული კვლევა განისაზღვრება, როგორც მონაცემების და შედეგების სისტემატური დიზაინი, შეგროვება, ანალიზი და

წარდგენა კონკრეტული მარკეტინგული სიტუაციის შესახებ, რომლის წინაშეც დგას კომპანია. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს სამომხმარებლო ქცევის ცვლილებების დადგენა მარკეტინგული ელემენტების ცვლილებისას, როგორც არის, პროდუქტის ან მომსახურების სახე, ფასი, ხარისხი, ადგილმდებარეობა, პოპულარიზაცია და ა.შ. ქართული ფარმაცევტული ისტორიის მიხედვით ფარმაცია თვალსაჩინოდ იყო განვითარებული XX საუკუნეში, ანუ საბჭოთა პერიოდში. საქართველოში ფუნქციონირებდა წამლის დამამზადებელი რამდენიმე ქარხანა, ასევე კვლევითი ინსტიტუტები, მაგრამ საბჭოთა პერიოდის დადგომით შეწყვიტეს ფუნქციონირება. დღევანდელი ქართული ფარმაცია არ წარმოადგენს წარსულში არსებულის განვითარების უწყვეტ ჯაჭვს. საბჭოთა პერიოდში შექმნილმა ვერც ერთმა ფარმაცევტულმა დაწესებულებამ ვერ შეძლო განვითარება და მუშაობის გაგრძელება შექმნილ ვითარებაში. საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფარმაცევტული ბაზრის განვითარებაზე ზრუნვა საკუთარი ძალებით და შესაძლებლობით დაიწყო. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი შედგება 4 ძირითადი წამყვანი და რამდენიმე მცირე ზომის კომპანიისაგან, მათ შორის:



ცხრილი 1. საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის განაწილება(საქსტატი)

„პე-ეს-პე“ ბაზარზე 26 წელია რაც ფუნქციონირებს. თავდაპირველად შეიქმნა, როგორც „დანერგვის ცენტრი პსპ“ - სადისტრიბუციო კომპანიადა, რომელიც შემდგომ გახდა პირველი ევროპული მედიკამენტების ოფიციალური შემომტანი საქართველოში. მას საქართველოს მასშტაბით ყველაზე დიდი სააფთიაქო ქსელი გააჩნია, 225 აფთიაქს აერთიანებს, მათ შორის თბილისის მასშტაბით 118, რეგიონები - 107. 1998 წელს „პე-ეს-პე“-მ საფუძველი ჩაუყარა პირველ ქართულ მედიკამენტების წარმოებას „ჯი-ემ-

პი“-ს GMP, რომელმაც პირველი მედიკამენტი გამოუშვა 2000 წელს. ის აწარმოებს მედიკამენტებს საერთაშორისო სტანდარტებით და ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ქართველ მეცნიერებსაც შეუძლიათ მედიკამენტების წარმოება მსოფლიო მასშტაბით.

ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“ დაარსდა 1994 წელს, კომპანიამ თავიდან მედიკამენტების პირდაპირი კონტაქტებით შემოტანა დაიწყო, ბაზარზე დამკვიდრების შემდეგ უკვე 1998 წელს საცალო გაყიდვები დაიწყო. ის საქართველოს მასშტაბით ყველაზე დიდი სააფთიაქო ქსელია, აერთიანებს 263 აფთიაქს, თბილისი - 118, რეგიონები - 145. 2002 წელს კომპანიამ შექმნა „ავერსი - რაციონალი“, რომელიც მსხვილი ფარმაცევტული საწარმოა, აწარმოებს მაღალი ხარისხის, უსაფრთხო, ეფექტურ და ხელმისაწვდომ პროდუქციას.


„ჯი-პი-სი“ სიდიდით მესამე სააფთიაქო ქსელია საქართველოში, რომელიც დაარსდა 1995 წელს, ის გამოირჩევა, როგორც ინოვაციური და სტანდარტების დამამკვიდრებელი კომპანია ფარმაცევტულ ინდუსტრიაში. ქსელში ფუნქციონირებს 120-მდე აფთიაქი,

საქართველოში **ფარმადეპო** - „ეი-ბი-სი ფარმაცია“ დაარსდა 1999 წელს, BMS -Bristol Myers Squibb გაერთიანება ჯანდაცვის სფეროში და უშუალოდ მარკეტინგულ კვლევებზე იყო ორიენტირებული. ხოლო 2009 წელს, კომპანიამ სააფთიაქო ქსელი დაარსა „**ფარმადეპო**“-ს სახელით. სააფთიაქო ქსელი სიდიდით მეოთხეა საქართველოში, 180-მდე აფთიაქია ქსელში გაერთიანებული.

აღნიშნული 4 წამყვანი კომპანია („პე-ეს-პე, „ავერსი“, „ჯი-პი-სი“, ფარმადეპო“) კარგად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც უშუალოდ ფაქტებში გამოიხატება. საინტერესოა რომ ოთხივე მსხვილ კომპანიას აქვს ლოიალობის ანალოგიური დაგროვებითი ბარათის პროგრამები. მომხმარებლისთვის შექმნილი პლასტიკური ბარათია, რომლის საშუალებით სააფთიაქო ქსელში გაკეთებული ნებისმიერი შენაძენი აღირიცხება და გროვდება ქულები, პირობითად „ვაშლები“, „ღიმილები“ ან „მტრედები“. ბარათის გაცემა ხდება აფთიაქებიდან განხორციელებულ ნებისმიერ შენაძენის დროს, მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში, პირადობის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში, აუცილებელი პუნქტია მომხმარებელი იყოს სრულწლოვანი. კომპანიებს ასევე აქვთ მობილური აპლიკაციები, რომლის უფასო გადმოწერა App Store-დან და Play Market-დან შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს. აპლიკაციით შესაძლებელია სასურველი პროდუქტის ონლაინ ძებნა, რუკაზე ქსელის ახლომდებარე აფთიაქების ძებნა, ინფორმაციის ნახვა აქციების და სხვა მოვლენების შესახებ, დაგროვებითი ბარათის ქულების შემოწმება. რაც შეეხება ფასდაკლების აქციებს ოთხივე კომპანიას აქვთ ერთი და იმავე დღეებში - **სამშაბათი**,

ოთხშაბათი, პარასკევი, ერთნაირი პროცენტულობით - **20-30%**, ერთნაირ მედიკამენტებზე. ასევე თუ ერთი მედიკამენტი არ იშოვება ერთ აფთიაქის ქსელში, გამოირიცხულია მეორეში იპოვო, ხოლო რაც შეეხება საფასო პოლიტიკას ანაგოლიურად, თეთრების განსხვავება შეიძლება იპოვოს მომხმარებელმა პროდუქციაში დაკვირვებისას.

საყურადღებოა ფარმაცევტული პროდუქციის მიმოქცევა და საგარეო ვაჭრობა საქართველოში. 2019 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 10 366.9 მლნ აშშ დოლარი, მათ შორის ექსპორტი 3 035.7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო იმპორტი 7 331.2 მლნ აშშ დოლარს. როგორც ექსპორტში, ასევე იმპორტში უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფარმაცეპს, მედიკამენტების და სხვა ფარმაცევტული საშუალებების ბრუნვას. 2019 წლის მონაცემებით ექსპორტში დაფასოებული მედიკამენტების წილი იყო 4.4% - 120 479. 2 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო რაც შეეხება იმპორტს, 2019 წლის მონაცემებით შეადგინა 3.6% - 271 570.3 ათასი აშშ დოლარი.




ცხრილი 3. ფარმაცევტული ბაზრის საგარეო ვაჭრობის წილი


ექსპორტის 5-10% ზრდით ხასიათდება ქართული ფარმაცევტული ბაზარი 2017-2019 წლების განმავლობაში, ძირითადი მიმღები ქვეყნებია სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ბელორუსია, ერაყი და ა.შ

დიდი პროცენტული წილით ფიგურირებს „პე-ეს-პე“-ს შვილობილი კომპანია „ჯი-ემ-პი“, შემდგომ „ავერსი“-ს რაციონალი. ბიოფარმა 1994 წელს შექმნილი კომპანიაა, როგორც სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ფარმაცევტულ სფეროში. წარმოებაში არის 50-მდე დასახელების მედიკამენტური საშუალება საინექციო ხსნარების, ცხვირის და თვალის

წვეთების, ტაბლეტების და სიროფების სახით. რაც შეეხება სხვა კომპანიებს რომლებსაც უკავიათ 6%, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, მათთვის არის მინიჭებული ფარმაცევტული საწარმოს სტატუსი, მათ შორის: „ნეოფარმი“, „ბიოქიმფარმი“, „ბიოპოლუსი“, ბრიტანულ - ქართული საწარმო, ონიქსკორპორეიშენი და ა.შ.



ცხრილი 4. ექსპორტიორი კომპანიების პროცენტული წილი



ცხრილი 5. იმპორტიორი ქვეყნები სია

ევროპის ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავია მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოს ფარმაცევტულ ინდუსტრიაში. ასევე აღსანიშნავია თურქეთიდან შემოტანილი მედიკამენტების მნიშვნელობა, 2019 წლის მონაცემებით თურქეთიდან იმპორტირებულ საქონელთა სიაში დაფასოებული მედიკამენტები-ს ჯგუფი იყო პირველ ადგილზე და შეადგინა 72 663.7 ათასი აშშ დოლარი.

დასკვნები. საქართველოში ფარმაცევტული ინდუსტრია სტაბილურად განვითარებადი. თუ გადავხედავთ მის ისტორიულ განვლილ გზას, საბჭოთა პერიოდს, დავრშმუნდებით, რომ საერთაშორისო განვითარებულ კომპანიების ფონზე საქართველოს ფარმაცევტული ინდუსტრია საკმაოდ განვითარებულია. უბრალოდ პრობლემად შეიძლება ჩავთვალოთ **ფარმაცევტული ინდუსტრიის ოლიგოპოლია**, ჩამოყალიბებული 4 მსხვილი კომპანიისგან, მათ შორის: „პე-ეს-პე“, „ავერსი“, „ფარმადეპო“ და „ჯი-პი-სი“. ისინი კარგად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც უშუალოდ ფაქტებში გამოიხატება, საინტერესოა რომ ოთხივე მსხვილ კომპანიას აქვს ლოიალობის ანალოგიური დაგროვებითი ბარათის პროგრამები, მსგავსი მობილური აპლიკაციები, ხოლო ფასდაკლების აქციები ერთი და იმავე დღეებშია დაწესებული, ერთნაირი პროცენტულობით - ერთნაირ მედიკამენტებზე. რაც პირდაპირ იმაზე მეტყველებს რომ ისინი შეთანხმებულად მუშაობენ. სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი აღნიშნულ 4 კომპანიას შორის არის განაწილებული პროპორციულად, ხოლო 10%-ს შეადგენს დანარჩენი მცირე ზომის კომპანიები.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ფარმაცევტული ინდუსტრია არის ჯანდაცვის სექტორის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც უშუალოდ მედიკამენტებს და ადამიანთა ჯანმრთელობას ეხება. საქართველოს ფარმაცევტული ინდუსტრია ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, თუ გადავხედავთ დღევანდელ სიტუაციას, როგორც ჩვენი ასევე სხვა უცხოური კომპანიების კვლევების თანახმად, ის მყარ პოზიციაზე დგას და საკმაოდ ნორმალურად ფუნქციონირებს. საქართველოში ბევრი პრობლემის მოგვარება და ანალიზი შესაძლებელია, მნიშვნელოვანია მათი დროული აღმოჩენა და ყურადღების მიქცევა. ძირითადად ადამიანები პრობლემებს და დისკომფორტს მაშინ გრძნობენ, როცა დგება კონკრეტული შედეგი ან უსიამოვნება, ამიტომ საჭიროა, სანამ დადგება ეს შედეგი, ანალიზისა და კვლევების საშუალებით, თავის დროზე მოხდეს პრობლემების აღმოჩენა და პრევენციული ღონისძიებები გატარდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დათეშიძე ლ., შენგელია ა., ქართული ფარმაცია, რეტროსპექტივა და პერსპექტივა. 2009.
2. თობაძე ნ., ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში, 2016.
3. კოტლერი ფ., კელერი კ., მარკეტინგის მენეჯმენტი. აშშ: Prentice Hall. 2014.
4. Prowse S., Benson M., An easier way to understand the Pharm Industry, 2019.
5. Smolynets I.B., Gutyj B., Pharmaceutical Marketing: Objectives and types, 2016.
6. <http://psp.ge/new/pharmacies> - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.01.2021
7. <http://gmp.ge/about-us/ka/us> - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.01.2021
8. <https://www.newhospitals.ge/ka/about> - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11.01.2021
9. <https://www.aversi.ge/ka/about> - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.01.2021
10. <http://globalpharm.ge/georgian/company> - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2021
11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15802?publication=0> - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.01.2021
12. <http://pharmacy.moh.gov.ge/Default.aspx> - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.01.2021
13. <https://www.geostat.ge/media/27863/saqonlit-sagareo-vachroba-saqartveloshi-19.11.2019-%28geo%29.pdf> - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.01.2021

კოვიდ -19 ის გავლენა სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ
მაჩვენებლებზე

The impact of Covid-19 on the financial performance of insurance companies

ნატო კაკაშვილი- ასისტენტ პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
599502696. Nato.kakashvili@tsu.ge

ხათუნა ბარბაკაძე - ასოცირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
593944409. Khatuna.barbakadze@tsu.ge

Nato Kakashvili - Assistant Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
599502696. Nato.kakashvili@tsu.ge

Khatuna Barbakadze - Associate Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University.
593944409. Khatuna.barbakadze@tsu.ge

აბსტრაქტი. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს და განვითარების პერსპექტივაც აქვს. მნიშვნელოვანია, განვითარებული ქვეყნების მსგავსად გარკვეული კატეგორიის სავალდებულო დაზღვევის სახეობების შემოღება, რაც დაეხმარება სადაზღვევო ბიზნესს დამატებითი სადაზღვევო პრემიის მოზიდვაში და შემოსავლების ზრდაში. საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებისა და განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებად მიგვაჩნია: მოსახლეობის დაბალშემოსავლიანობა; სადაზღვევო კომპანიის მიერ დაწესებული მაღალი სატარიფო განაკვეთი (მომსახურების ხელმისაწვდომობა); მოსახლეობის სკეპტიკური დამოკიდებულება დაზღვევისადმი; სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა; სწრაფად ცვლადი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო; ბაზარზე მონოპოლიების შექმნა; დაზღვევის ზოგიერთი სახეობისათვის ადეკვატური საკანონმდებლო ბაზის არარსებობა; მოსახლეობის დაბალი სადაზღვევო კულტურა.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ-19; სადაზღვევო კომპანია; დამზღვევი; დაზღვეული; სიცოცხლის დაზღვევა; არასიცოცხლის დაზღვევა; გადაზღვევა.

Abstract. The Georgian insurance market is approaching international standards and has a development perspective. It is important to introduce a certain category of compulsory insurance types like in developed countries, which will help the insurance business to attract additional insurance premiums and increase revenues. We consider the following as obstacles to the effective functioning and development of the Georgian insurance market: Low income of the population; High tariff rate set by the insurance company (availability of services); Skeptical attitude of the population towards insurance; Lack of information about medical services; Rapidly changing political and economic environment; Creating monopolies in the market; Lack of adequate legal framework for some types of insurance; Low insurance culture of the population.

Keywords: Covid-19; insurance company; Insurer; insured; Life insurance; Non-life insurance; Reinsurance.

აქტუალობა. სადაზღვევო კომპანიებს მოუწიათ ფინანსების მობილიზება და გამოყოფა კოვიდ-19-თან საბრძოლველად. მზღვეველებს

დაევალებათ კოვიდ დადებით პაციენტებთან კომუნიკაცია და მათი კონტროლი, ასევე კოვიდ ტესტების ყიდვა და დაფინანსება თავისი მომხმარებლისთვის, რაც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. პერსონალი კი დისტანციურ რეჟიმზე იქნა გადაყვანილი, რამაც კომუნიკაციის საშუალება მეტწილად შეზღუდა. ერთ-ერთი ინოვაციური პროექტი, რომელიც პირველმა თიბისი დაზღვევამ შემოიტანა და დანერგა საქართველოში იყო კოვიდ-19-ისგან თავის დაზღვევა. ამ დაზღვევის პაკეტით მომხმარებელი იზღვევს თავს კოვიდ-19 ის შესაძლო გართულებებისაგან. პაკეტის ღირებულება სიმბოლურად 19 ლარია და ერთჯერადად დაზღვეულს უხდის მისი ბიოლოგიური სიკვდილისას 50 000 ლარს, მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი თანხა გადაეცემა მის ოჯახს ან მემკვიდრეს. თუ დაფიქსირდა დაზღვეულის გარდაცვალება, მაშინ მისი კანონიერი მემკვიდრე იღებს 50,000 ლარს ერთჯერადად, ხოლო თუ საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში, COVID-19-ი მძიმე ფორმებში განვითარდა, დაზღვეულ პაციენტს ერიცხება ერთჯერადად 10,000 ლარი. დაზღვეულს გააჩნია ვალდებულება, რომ სადაზღვევო პაკეტით სარგებლობამდე ხელი მოაწეროს განაცხადს, რის საფუძველზეც ადასტურებს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების პერიოდისათვის ის არ არის COVID-19-ზე ჩატარებული ტესტის პასუხის მოლოდინის რეჟიმში, ან არ აქვს დადგენილი COVID-19. აუცილებელი პირობაა ასევე, რომ დაზღვეულს არ ჰქონდეს ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: გულ-სისხლძარღვთა დაავადება, სასუნთქ სისტემასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემა, ონკოლოგიური დაავადებები, დამბლა, ინსულტი, დიაბეტი. (თიბისი დაზღვევა, „COVID-19-ის გართულებული შემთხვევების დაზღვევა ბიზნესისათვის“, წყარო: <https://tbcinsurance.ge/ka/blog/article/193-covid-19-is-gartulebuli-shemtkhvevebis-dazghveva-biznesistvis>)

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა

2020 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში რეგისტრირებულია 18 სადაზღვევო კომპანია, აქედან 17 სადაზღვევო კომპანია ახორციელებს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევას, ხოლო ერთ მათგანს გააჩნია მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია. ამ პერიოდის განმავლობაში მოზიდული სადაზღვევო პრემია შეადგინდა 513.4 მილიონი ლარს, რაც შეეხება მზღვეველების მოგებას, მან შეადგინა 129.7, ხოლო წმინდა მოგებამ 44.3 მილიონი ლარი.

2019 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში, მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 481.85 მილიონი ლარი, ხოლო წმინდა მოგებამ 33.77 მილიონი ლარი. თუ შევადარებთ ჩვენს მიერ განხილულ

პერიოდებს, 2020 წლის განმავლობაში შეინიშნება როგორც მოზიდული სადაზღვევო პრემიის, ასევე მზღვეველების წმინდა მოგების ზრდა.

2020 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით (მოზიდული პრემიების მიხედვით), საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ყველაზე მაღალი მოთხოვნით ხასიათდებოდა სამედიცინო დაზღვევა (211.27 მლნ ლარი), შემდეგ, სახმელეთო-სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო მიმოსვლის ტრანსპორტისა 86.9 მლნ ლარი), ქონების დაზღვევა (85.35 მლნ ლარი), სიცოცხლის დაზღვევა (38.04 მლნ ლარი).

ამავე პერიოდის განმავლობაში მოზიდული სადაზღვევო პრემიების მოცულობით ბაზარზე ლიდერობდა „ჯიპიაი ჰოლდინგი“ (104.44 მლნ ლარი). შემდეგ ალდაგი (78.59 მლნ ლარი), თიბისი (66.19 მლნ ლარი), იმედი L (57.56 მლნ ლარი). (სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური თბ. 2020).

ასევე, სადაზღვევო კომპანიებისათვის განსაზღვრული იყო მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა:

➤ არასიცოცხლის დაზღვევა (სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევის გარდა):

- 2 000 000 ლარი – 2018 წლის 31 დეკემბრამდე;
- 3 400 000 ლარი – 2018 წლის 31 დეკემბრიდან;
- 4 800 000 ლარი – 2021 წლის 31 დეკემბრიდან;

➤ არასიცოცხლის დაზღვევა (სავალდებულო პორმის პასუხისმგებლობის დაზღვევის, ვალდებულების შესრულების დაზღვევისა და საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევის ჩათვლით):

- 2 000 000 ლარი – 2018 წლის 31 დეკემბრამდე;
- 4 200 000 ლარი – 2018 წლის 31 დეკემბრიდან;
- 7 200 000 ლარი – 2021 წლის 31 დეკემბრიდან;

➤ სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში:

- 2 200 000 ლარი – 2018 წლის 31 დეკემბრამდე;
- 4 200 000 ლარი – 2018 წლის 31 დეკემბრიდან;
- 7 200 000 ლარი – 2021 წლის 31 დეკემბრიდან;

➤ გადაზღვევის მომსახურების განხორციელების შემთხვევაში:

- 2 200 000 ლარი – 2018 წლის 31 დეკემბრამდე;
- 4 200 000 ლარი – 2018 წლის 31 დეკემბრიდან;
- 7 200 000 ლარი – 2021 წლის 31 დეკემბრიდან.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პანდემიური სიტუაციის გამო ერთი წლით გადავადდა სადაზღვევო კომპანიებისათვის მინიმალური კაპიტალის ზღვრის გაზრდის მოთხოვნა და იგი ძალაში 2021 წლის 31 დეკემბრიდან შევა. (bm.ge-სადაზღვევო კომპანიებისათვის მინიმალური კაპიტალის ზღვრის გაზრდის მოთხოვნა გადავადდა).

სადაზღვევო ბაზარზე არსებული დაზღვევის სხვადასხვა სახეობების მიხედვით. მოზიდული პრემიების რაოდენობა შემცირებულია დაზღვევის ისეთ სახეობებში, როგორცაა სამოგზაურო დაზღვევა, სადაც მოზიდული პრემიების ოდენობა 55%-ითაა შემცირებული, რაც გამოწვეულია საზღვრების ჩაკეცილობით, კოვიდიდან გამომდინარე ტურისტებისთვის განკუთვნილი სასტუმროები გადაკეთებულ იქნა კოვიდ სასტუმროებად.

შეიძლება ითქვას, რომ პანდემიამ ყველაზე მეტად ტურიზმის სექტორი აზარალა, თუმცა, 53%-ითაა შემცირებული საჰაერო სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევაში მოზიდული პრემიების ოდენობა, 29%-ით სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა, 27 %-ით საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა. პანდემიამ დიდი ზეგავლენა მოახდინა საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევის კუთხითაც, სადაც მოზიდული პრემიების ოდენობა 52,9%-ითაა შემცირებული. პანდემიამ აზარალა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა, სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა, უბედური შემთხვევების დაზღვევა, სამედიცინო დაზღვევა, სახმელეთო დაზღვევა, მცურავი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა, ასევე მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა, დაზღვევა საფინანსო დანაკარგებისგან. პანდემიის გავლენით სადაზღვევო სექტორის დაზარალების ერთ-ერთი მიზეზი საცალო გაყიდვების შეჩერებაა, თუმცა იყო შემთხვევები როდესაც სადაზღვევო კომპანიებმა კრიზისის დროს არსებული შესაძლებლობები გამოიყენეს.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის #572 დადგენილებით, სავალდებულო გახდა ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევების დაზღვევა უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტებისთვის. სადაზღვევო კომპანიებმა პოლისში ჩართეს კოვიდთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა, დაზღვევა ფარავს ტესტირებას და კარანტინს დღიური 60 ლარის ოდენობით, მკურნალობა მსუბუქი და საშუალო სიმძიმის შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 150 ლარს და მძიმე პაციენტების შემთხვევაში არაუმეტეს 350 ლარისა.

მნიშვნელოვანია სადაზღვევო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება, რადგან აუცილებელი პირობაა საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისათვის. საერთაშორისო სატრანზიტო სისტემაში საქართველოს წარმატებული ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანი ასპექტია რისკის მართვის მექანიზმის ჩამოყალიბება. საქართველო არის „დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის"(IAIS) წევრი ქვეყანა და მოქმედებს იმ სტანდარტების და კრიტერიუმების შესაბამისად,

რომელიც დადგენილია აღნიშნული ასოციაციის მიერ. ევროკავშირის სტანდარტებსა და ევროკავშირის დირექტივებზე გადასასვლელად გასატარებელია მთელი რიგი ეტაპობრივი ღონისძიებები კანონმდებლობაში.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, "დაზღვევის შესახებ" კანონში 2017 წელს განხორციელდა ცვლილებები. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა, მიმდინარე პერიოდის განმავლობაში, უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოახდინა სადაზღვევო სექტორში. კერძოდ: დაწესდა სადაზღვევო ინდუსტრიაში მდგრადობის მთავარი საფუძველი-გადახდისუნარიანობის მარჟა, გაფართოვდა სალიცენზიო მოთხოვნები და კომპანიის ხელმძღვანელ პირთა შესაფერისობის კრიტერიუმები, სადაზღვევო ბაზარზე შემომსვლელი კომპანიებისათვის სავალდებულო გახდა საკუთარი ბიზნეს-გეგმის წარმოდგენა მომდევნო სამი წლის განმავლობაში საქმიანობისათვის და სხვა. რათა კომპანიებისათვის მტკიცეული არ ყოფილიყო მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის მოთხოვნების შესრულება, ეს ცვლილებები ეტაპობრივად დაინერგა 2017 წლიდან, ხოლო სრულიად ამოქმედდა 2018 წლიდან. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მთელი რიგი ცვლილებები შევიდა 2018 წლიდან რაც განპირობებული იყო საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, სადაც საფინანსო სფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად დაზღვევა განისაზღვრა.

საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა 2018 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო გახდა. ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლისას, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ანუ მესამე პირის დაზღვევა სავალდებულო გახდა. სავალდებულო დაზღვევის სახეობა, როგორც ალტერნატიული სოციალურ-ეკონომიკური ბერკეტი, ქვეყნის სოციალურ პოლიტიკას მნიშვნელოვნად აძლიერებს.

ევროდირექტივების მოთხოვნებიდან მნიშვნელოვანია ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სტანდარტების შემუშავება და ამოქმედება, რომელმაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელების მიერ, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზარალებული ანუ მესამე პირის წინაშე წარმოშობილი ვალდებულებები უნდა დაარეგულიროს.

გამოყენებული ლიტერატურა

I. კანონები, ნორმატიული აქტები, ანგარიშები

- საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ თბ., 1997
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის #572

დადგენილება

• სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური თბ. 2020

II. წიგნები, მონოგრაფიები

- შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე თბ. 2012
- ცერცვაძე ა. ვეკუა დ. ხანთაძე გ. სადაზღვევო საქმე თბ. 2016

III. სამეცნიერო სტატიები

• კაკაშვილი ნ. სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა #1 იანვარი-მარტი, 2015 E-mail: info@iverioni.com.ge; B_K.GE გვ. 39-43

• კაკაშვილი ნ. სამოგზაურო დაზღვევის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები. N2 მაისი, 2013 ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა. E-mail: info@iverioni.com.ge; B_K.GE. გვ. 84-87

IV. ვებ-გვერდები

- <http://insurance.gov.ge>
- <http://www.insurance.org.ge>
- <https://tbcinsurance.ge>
- bm.ge

ინოვაციური საბანკო პროდუქტების განვითარების თეორიული ასპექტები
თანამედროვე ეტაპზე
**Theoretical aspects of the development of innovative banking products at the
modern stage**

ანა ტატიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
tatishviliანი@gtu.ge

გიორგი ცაავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ე.მ.დ.
Tsaavagiorgი11@gtu.ge

Ana Tatishvili - PhD student, Georgian Technical University
tatishviliანი@gtu.ge

George Tsaava - PhD in Economics, Professor, Georgian Technical University
Tsaavagiorgი11@gtu.ge

რეზიუმე: გამოკვლეულია საბანკო სფეროში ინოვაციური პროდუქტების დანერგვის პროცესები, რამდენადაც საბანკო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპი ბაზრის ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების გაჯერების მაღალი დონით და. როგორც შედეგი, საკრედიტო ორგანიზაციებს შორის ინტენსიური კონკურენციით ხასიათდება. ასეთ პირობებში არსებით უპირატესობას ღებულობენ ის საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც შემძლები არიან შეიმუშაონ და დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, მოდერნიზირება განახორციელონ თავიანთი პროდუქტიული რიგისობის, ანუ განახორციელონ ინოვაციური პროცესი. საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს მუდმივი სიახლედანერგვის პოლიტიკა წარმოადგენს. გამოკვლეულია ახალი საბანკო პროდუქტების შექმნისა და ინოვაციური მომსახურების დანერგვის შესაძლებლობები. შემუშავებულია ბაზარზე ინოვაციური საბანკო პროდუქტების შექმნისა და დანერგვის ალგორითმი, რომელიც საბანკო ინჟინერინგის პრინციპებზეა დაფუძნებული. თანამედროვე პირობებში ქვეყანაში ბანკები წარმატებულად ნერგავენ ინტერნეტბანკინგს, მობილურ ბანკინგს, უმავთული ტექნოლოგიებს, ვიდეობანკინგს, საბანკო ბარათებს. უახლოეს ათწლეულში განვითარებული ქვეყნები ეკონომიკური სისტემების ახალი ტექნოლოგიური სისტემების ფორმირებაზე გადავლენ, რომლებიც ბიოტექნოლოგიების, ინფორმატიკისა და ნანოტექნოლოგიების სფეროში უახლესი მიღწევების გამოყენებაზე იქნება დაფუძნებული.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, ინოვაციური ინვესტიციები, საბანკო საქმე, საკრედიტო ორგანიზაციები, საბანკო პროდუქტი, საბანკო ინოვაცია, გლობალიზაცია, კონკურენტუნარიანობა და საქმიანობის ეფექტიანობა.

Abstract. The authors study the processes of implementing innovative products in the banking sector, because the current stage of development of the banking system is characterized by high level of market saturation with financial products and services and the resulting intense competition between credit institutions. In such circumstances a significant advantage is given to those credit institutions that are able to develop and introduce new technologies and to update their product range, i.e. to carry out the innovation process. One of the key factors for successful banking business is the policy of constant innovations.

Are developing an algorithm for creating and introducing innovative banking products to the market on the basis of principles of banking engineering. At present banks are success-fully implementing internet banking, mobile banking, warless technologies, video banking and banking cards.

To systems the global competition banks have to focus solely on cutting-stage products and technologies. In the next decade developed countries will move to creating new technological basis of

economic systems based on the later active mats in the field of biotechnology, informatics and nanotechnology.

Keywords: innovations, innovation investment, banking, credit organizations, banking product, bank innovation, globalization, competitiveness and performance efficiency.

ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპი ბაზრის ფინანსური პროდუქტებითა და მომსახურებით გაჯერების მაღალი დონით და, როგორც შედეგი საკრედიტო ორგანიზაციებს შორის ინტენსიური კონკურენციით ხასიათდება. ასეთ პირობებში არსებულ კონკურენტულ უპირატესობას ღებულობენ ის საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის, რიგისობის მოდერნიზაციის განხორციელების, კლიენტების მომსახურების ალტერნატიული არხების შემუშავების, ანუ ინოვაციური პროცესის განხორციელების შემძლეები არიან.

დღეისათვის ქვეყნის საბანკო მომსახურების ბაზარი მზარდი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება. კომერციული ბანკები მეტი მოგების მომტანი კლიენტების, სხვადასხვა სახეობის საკრედიტო პროდუქტების შეთავაზებით, ერთმანეთისაგან გადაბირებისაკენ მიისწრაფიან. ასეთ სიტუაციაში კლიენტების მომსახურების ტექნოლოგიები უნდა იქნას გარდაქმნილი და უფრო სრულყოფილი.

მსოფლიო ფინანსკრიზისმა, რომელიც ქვეყნის საბანკო სისტემის ეფექტიანობის რეალურ სტრეს-ტესტს წარმოადგენს, მისი სუსტი ადგილების გამოვლენის შესაძლებლობა მოგვცა და დაკრედიტების ბარის ლანდშაფტი არსებითად შეცვალა იმ ბანკების სასარგებლოდ, რომლებიც თავიანთ საკრედიტო პოლიტიკაში კლიენტებთან ურთიერთსარგებლიანობის პარტნიორობის ბაზაზე კლიენტორიენ-ტირებულობის პრინციპებს თანმიმდევრულად ემხრობიან.

მკვლევარების უმეტესობა, რომლებიც ახალი საკრედიტო პროდუქტების შემუშავების პრობლემას განიხილავენ, ჩვენი მოსაზრებით, მიიჩნევენ რა ასეთის სახით ბანკის მოგების უბრალოდ გადიდებას, სტრატეგიულ მიზნებზე ყურადღებას მთლიანობაში არაკანონზომიერად აქცენტირებენ. თანამედროვე კრიზისშემდგომ პირობებში ბანკებისათვის უფრო მნიშვნელოვანს მაინც მოგების (შემოსავლის) მაქსიმუმის მიღება კი არა, არამედ პროცენტული მოგებისა და საკრედიტო რისკის გონივრული შეზღუდვის ხარჯზე საიმედოობის ამაღლება წარმოადგენს.

საკრედიტო პორტფელის ახალი საკრედიტო პროდუქტების შემუშავებისა და გამოტანის ხარჯზე დივერსიფიკაცია ასევე სხვა მიზანს ითვალისწინებს, ვიდრე დაკრედიტების შემოსავლიანობის გადიდება, უფრო კონკრეტულად კი: ბანკის საბაზრო ზეგავლენის გადიდება მისი მდგრადობისა და „კლიენტორიენტირებულობის“ ამაღლების ხარჯზე (4).

ეკონომიკის განვითარება ყოველთვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე ხორციელდებოდა, მაგრამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აღნიშნული პროცესი მეტად ნელა მიმდინარეობდა. თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში და, განსაკუთრებით, თვით ბოლო პერიოდში, როდესაც ქვეყნის განვითარება ინდუსტრიაშიმდგომ საზოგადოებისაკენ გადადიან, ეკონომიკურმა განვითარებამ ხარისხობრივად ახალი ხასიათი შეიძინა.

მისი განსაზღვრელი თვისებები წარმოდგენილია შემდეგით:

- უპირველეს ყოვლისა, ინოვაციური პროცესის როგორც ინოვაციების შექმნის, გავრცელებისა და გამოყენების პროცესის ხარისხობრივი, რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებების ცენტრში გათვალისწინება;

- მეორეს მხრივ, ინოვაციური პროცესის მუდმივად მოქმედ ფაქტორში გარდაქმნა;

- მესამე, ცვლილებების სიჩქარე უპრეცედენტოდ მაღალია (2, 3).

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიზნის სახით მთავრობის მიერ განსაზღვრულია მათ საფუძველზე შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროდუქტების ყოველმხრივი და ფართე დანერგა. აღნიშნული მთლიანი ზომიერებით ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე უფრო განვითარებული სახელწიფოების თანამედროვე განვითარების ტენდენციებს შეესაბამება. ინოვაციები ეკონომიკის ყველა სფეროებში, მათ შორის საბანკო საქმეშიც თანამედროვე განვითარების არსად გარდაიქმნა. აღნიშნული პროცესი არსებითი სახით შეეხო საბანკო სფეროს და როგორც ინოვაციების დანართის (ობიექტის) სფერო, და როგორც მთლიანად ეკონომიკაში მათი დანერგვის ხელშემწყობი ფაქტორი. „ინოვაციის“ ცნება შეიძლება ფართე და ვიწრო განსაზღვრით იქნას განხილული. ფართო განსაზღვრით საბანკო ინოვაცია ბანკის ფუნქციონირების ყველა სიახლეებისადმი და ყველა სფეროებში არის გამოყენებადი. მოცემული კვლევის ინტერესების სფეროში ინოვაციური საბანკო საქმიანობა ვიწრო განსაზღვრაში არის ჩადებული, რომელიც თვისთავად კომუნიკაციურ და ინტერნეტ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საბანკო ოპერაციებისა და გარიგებების განხორციელებას წარმოადგენს. ყველაზე უფრო გავრცელებულ დღევანდელი დღისათვის ინოვაციური საბანკო პროდუქტები, რომლებიც საკომუნიკაციო და ინტერნეტ-ტექნოლოგიებიების გამოყენების შედეგს წარმოადგენენ, დისტანციურ საბანკო მომსახურებას (დსმ) მიეკუთვნებიან .

ამრიგად, **ინოვაციური საბანკო საქმიანობის განვითარების საკითხების, კერძოდ, ინოვაციური საბანკო პროდუქტების მეცნიერული კვლევა, ბანკების საქმიანობის კონკურენტუნარიანობისა და ხარისხის ამაღლების, საბანკო**

მომსახურების მიღწევადობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ობიექტურად აუცილებელს და **აქტუალურს წარმოადგენს.**

ინოვაციები - თავისთავად წარმოებაში ან მომსახურების სფეროში მეცნიერული კვლევების, გამოგონებებისა და აღმოჩენის შედეგების მომცველი ობიექტების, ტექნოლოგიების, პროდუქტების ფორმით სიახლეების დანერგვას წარმოადგენს, რომლებიც თავიანთი ანალოგიებიდან (ან არ გააჩნიათ ანალოგები) ხარისხობრივად განსხვავდებიან. ამასთან ინოვაციური პროდუქტი არის ახალი სამომხმარებლო ღირებულებების შექმნის პროცესის შედეგი. საქონელის (პროდუქტის) სამომხმარებლო თვისებების სიახლე ინოვაციის განმსაზღვრელ ნიშანთვისებას წარმოადგენს.

საბანკო პროდუქტი - თავისთავად თანმიმდევრული ბიზნეს-ტრანზაქციების (ოპერაციების) შედარებით დახურულ (პაკეტურ) ციკლს წარმოადგენს, რომელთა არსი კლიენტისათვის წინასწარ განსაზღვრული (სტრუქტურირებული) მომსახურების ჯგუფის მიწოდებაში მდგომარეობს, რაც დროში დაიყვანება თანმიმდევრობამდე: წარმოება - გაყიდვა - მოხმარება (4).

ახალი საბანკო პროდუქტი - არის საბანკო პროდუქტის კომბინირებული ან არატრადიციული ფორმა, რომელიც ბაზროს მოთხოვნების მარკეტინგული კვლევების საფუძველზეა შექმნილი.

ახალი საბანკო პროდუქტების შექმნის და ინოვაციური მომსახურების დანერგვის საფუძველში ჩადებულია შემდეგი თეორიულ-მეთოდოლოგიური წინაპირობები:

- ფორმირდება ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ახალი პატადიგმა;

- საბანკო ოპერაციები ინოვაციების სერთო ნაკადის ნაწილს წარმოადგენენ, რომლებიც თანამედროვე ეკონომიკისათვის ტიპიურები გახდნენ;

- საბანკო ინოვაციები დაიყოფა პროდუქტიულებად და ტექნოლოგიურებად; პროდუქტიული სტრატეგიის ბირთვს მიმდინარე ანგარიში/სადებეტო ბარათი წარმოადგენს;

- ინფორმაციული ტექნოლოგიები საბანკო ბიზნესის საყოველთაო გარემოდ გადაიქცა;

- კლიენტების დისტანციური საბანკო მომსახურება ინტერნეტ-ტექნოლოგიების საფუძველზე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, საბანკო მომსახურების ერთ-ერთ ძირითად ფორმად უნდა იქცეს.

სიციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის თვალსაზრისიდან არსებობს საკრედიტო პროდუქტების განვითარების შემდეგი მიზნები:

- ბანკის მოგების მაქსიმიზაცია;

- ბანკის აქტივების ლიკვიდობის უზრუნველყოფა;

- მოთხოვნები დაკმაყოფილების ხარისხის მაქსიმიზაცია;
- კლიენტის ბიზნესის დაფინანსებისათვის გადაწყვეტადი ამოცანების ხარისხისა და რაოდენობის მაქსიმიზაცია (4).

საკრედიტო ორგანიზაციების საბანკო მომსახურების ბაზარზე საქმიანობა საბანკო პროდუქტებზე მათი განხორციელების ტრადიციულ და ინოვაციურ ჩარჩოებში მოთხოვნისა და მიწოდების გაფართოებას უზრუნველყოფს.

თანამედროვე გაგებით **ახალი საბანკო მომსახურება** - არის ბანკის კოლექტივის საქმიანობის შედეგი კლიენტისათვის მოგების მიღებაში დახმარების განხორციელებასთან ან ხელშეწყობასთან მიმართებაში, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი დროის პერიოდის განმავლობაში ძირითადი საოპერაციო და დამატებითი საკომისიო სუფთა შემოსავლის მოტანის შემძლეა.

ბოლო ათწლეულები კომპიუტერული ტექნოლოგიების, საკრედიტო ბარათების და ფულად-საკრედიტო ბაზრის მნიშვნელოვანი ინოვაციების დანერგვის პერიოდი იყო. მათ რიცხვშია საბანკო რისკების ხეჯირების ინსტრუმენტები, საკრედიტო დერივატები, ინტერნეტი, სმარტ-ბარათები.

ეკონომიკური სისტემებისათვის „ინოვაციის“ ტერმინის არსის შესწავლით და არსებული სხვადასხვა თვალსაზრისების გაანალიზებით, ჩამოყალიბებულია საბანკო ინოვაციის ავტორისეული გაგება იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც საბანკო ბიზნესში იქნა განხორციელებული. **საბანკო ინოვაციები** - არის კლიენტებამდე დაყვანილი და მათ მიერ მიღებული ახალი ან კარდინალურად შეცვლილი საბანკო პროდუქტები, ახალი საბანკო მომსახურებები და თანამედროვე ინფოკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე მიწოდებული უფრო ხარისხობრივი ნის მომსახურებები, საბანკო პროცესში დანერგილი ორგანიზაციული და ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც ბანკს ეკონომიკური ან სოციალური ეფექტის პირდაპირ ან გაშუალდებულად მიღების შესაძლებლობას აძლევს (3).

საბანკო სფეროში ინოვაციები შეიძლება დახასიათებული იქნას როგორც ბანკის ინოვაციური საქმიანობის შედეგი, პრინციპიალურად ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ერთობლიობა. **საბანკო ინოვაციები** - არის ახალი ტექნოლოგიების სფეროში ბანკის საქმიანობის მიზნებისა და შედეგის შესახებ სინთეტიკური ცნება, რომლებიც კლიენტებისათვის მოგების მიღებაში ხელშემწყობი სიახლეების დანერგვის მეშვეობით სარესურსო პოტენციალის ფორმირებისა და განთავსების კეთილსასურველი პირობების შექმნის პროცესში დამატებითი შემოსავლების მიღებაზე არის მიმართული.

კომერციული ბანკებისათვის საბანკო ინოვაციების შემუშავება და დანერგვა უკვე მათ საქმიანობაში ჩვეულებრივ სახეობად იქცა, რომელშიც შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი ეტაპი:

1. ასათიანი ვ, ც. გ. (2014). „*კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი*“.თბილისი: "დანი".
2. მოსიაშვილი ვ. ლ. ფ. (2009). „*საბანკო საქმე*“.თბილისი.
3. ეროვნული ბანკი. (2021, 01 14). *NBG*. Retrieved from <https://nbg.gov.ge/cp/index.php?m=615>
4. Richard L. Oliver. (1999). Whence Consumer Loyalty? . *Journal of marketing*.

სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა ქართულ ბიზნეს სივრცეში
Social responsibility and ethics in the business space of Georgia

დავით ჩახვაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

დავით მარგველაშვილი - მაგისტრანტი,
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

David Chakhvashvili - PhD of Economics. Professor
Georgian National University

David Margvelashvili - Master's student,
Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

რეზიუმე: ეთიკური ქცევისა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ცნებები ბოლო წლების განმავლობაში გამოჩნდა, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, კორპორაციული არასწორი ქმედებების მზარდი გრძნობის შედეგად. ამ ორ კონცეფციას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოიტანოს. იდეა იმის შესახებ, რომ კომერციულ კომპანიებს აქვთ გარკვეული ვალდებულებები საზოგადოებისა და გარემოს მიმართ, გარდა აქციონერთათვის მოგების მიღებისა, საუკუნეების განმავლობაში იყო ცნობილი. ნაშრომში განხილულია ბიზნესის ეთიკისა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ცნებები. სტუდენტებისა, მენეჯერებისა და მფლობელების აზრით, აღმოჩნდა, რომ ბიზნეს ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზაციული ზრდისა და წარმატებისთვის. კერძოდ, ისინი თვლიან, რომ ბიზნესის ეთიკა იწვევს პოზიტიურ ურთიერთობას თანამშრომლებს, მომხმარებლებსა და საზოგადოებას შორის და არა მხოლოდ ეს, არამედ ისინი აღიქვამენ ამას, როგორც საუკეთესო მექანიზმად რათა მოიპოვონ საზოგადოებრივი იმიჯი/რეპუტაცია; დიდი მომხმარებლების ერთგულება. ძლიერსა და ჯანმრთელ სოციალურ ურთიერთობებს შეუძლია სარგებლის მოტანა არა მხოლოდ სოციალურად პასუხისმგებელი კორპორაციებისთვის არამედ საზოგადოებისთვისა და თვითონ სახელმწიფოსთვისაც.

საკვანძო სიტყვები: სოციალური პასუხისმგებლობა, ეთიკა, ბიზნეს ურთიერთობები, სოციალური ვალდებულება, სამართლებრივი ჩარჩოები, ცნობიერების ამაღლება.

Abstract: Concepts of ethical conduct and corporate social responsibility have emerged in recent years in both developed and developing countries as a result of the growing awareness of corporate misconduct. These two concepts can bring significant benefits. The idea that commercial companies have certain obligations to society and the environment, in addition to generating returns for shareholders, has been around for centuries. The article discusses the concepts of business ethics and corporate social responsibility. According to students, managers and owners, business ethics and social responsibility have proven to be very important to the growth and success of the organization. In particular, they believe that business ethics leads to positive relationships between employees, customers and the community, and not only, but they perceive this as the best mechanism for gaining public image / reputation; High customer loyalty. Strong and healthy social relationships can benefit not only socially responsible corporations, but also communities and governments themselves.

Keywords: Social Responsibility, Ethics, Business Relations, Social Commitment, Legal Framework, Awareness Raising.

შესავალი: თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ტენდენციაა ბიზნესის სოციალიზაცია, რომელიც აშკარად ჩანს 90-იანი წლების დასაწყისიდან მსოფლიო მასშტაბით.

საერთაშორისო კონფერენცია მდგრადი განვითარების შესახებ, 1992 წელს, რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა და ის გარდამტეხი აღმოჩნდა, რაც მსოფლიო საზოგადოების მხრიდან ახალი მოთხოვნების დაწესებას ასახელებს კორპორაციებს თავიანთი სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკის გაზრდის მიზნით. ეს კონფერენცია მძლავრი სტიმული იყო დიდი კომპანიების როლის შესწავლის გასამდიერებლად სოციალური პრობლემების გადაჭრაში, აგრეთვე პროგრამული პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავება იმ კორპორაციულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესის სოციალური ფუნქციების სფეროებს.

მირითადი ტექსტი: სოციალური პასუხისმგებლობა განსაზღვრავს იმ ობიექტურ და ლოგიკურ საჭიროებას, რომლის მიხედვითაც ინდივიდმა უნდა აგოს პასუხი სოციალური ნორმების დარღვევისას. იგი გამოხატავს ინდივიდისა თუ ორგანიზაციის ურთიერთობის ბუნებას საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან, კოლექტივთან, სხვა სოციალურ ჯგუფებთან და ერთეულებთან - მის გარშემო მყოფ ყველა ადამიანთან. სოციალური პასუხისმგებლობა ემყარება ადამიანის ქცევის სოციალურ ხასიათს.

მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ბიზნეს ურთიერთობებს, უპირველეს ყოვლისა ეხება იურიდიულ და სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც არის პროფესიონალური ინტერესი და ექვემდებარება სპეციალურ შესწავლას. ეს არის განსაკუთრებული, იმპერიული სახის სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც დაკავშირებულია სამართლებრივი ნორმების მოქმედებასთან, რომლის ზურგის უკან დგას სახელმწიფო და „რა თქმა უნდა, თვითონ საზოგადოებაც.

სოციალური პასუხისმგებელი ქცევა გულისხმობს პირის ან ორგანიზაციის ცნობიერებას საზოგადოებაში, სახელმწიფოსა და მის გარშემო მყოფთა მიმართ მისთვის დაწესებული მოთხოვნების სისრულეზე და არა მხოლოდ ცნობიერება, არამედ ამ მოთხოვნების შესრულებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, არის უკურეაქცია გარემოსაგან, რომელშიც უშუალოდ თვითონ ინდივიდი ან ორგანიზაცია მდებარეობს და მოქმედებს. არსებითად, ეს არის ინდივიდის, ორგანიზაციისა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მარადიული.

თანამედროვე სამყარო მწვავე სოციალურ პრობლემებში ცხოვრობს. ამრიგად, მდგრადი განვითარების მართვის ახალი ეფექტური საშუალებები დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კომპანიის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად იგი არის დადასტურებული ეფექტური ინსტრუმენტი “ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია“ რომელიც არის მთელ მსოფლიოში გავრცელებული. ბიზნესის ლიდერების მხრიდან ამგვარი მუშაობისთვის განსაკუთრებული, წამყვანი როლის

გაცნობიერებამ განაპირობა მე-20 საუკუნის ბოლოს ტერმინი "კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა" (CRS)²⁸, რომელიც გახდა მდგრადი განვითარების კონცეფციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არა მხოლოდ ბიზნესისთვის, არამედ მთლიანად კაცობრიობისთვის.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია მჭიდრო კავშირშია მდგრადი განვითარების კონცეფციასთან, რომლის თანახმად, საწარმოებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც დაფუძნებულია არა მხოლოდ ფინანსურ ან ეკონომიკურ ფაქტორებზე, არამედ მოკლევადიან & გრძელვადიან სოციალური, გარემოსდაცვითისა და მათი საქმიანობის სხვა შედეგებზეც. სინამდვილეში, შეიძლება ითქვას, რომ CRS არის ინსტრუმენტი კომპანიის დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

ეთიკის ადგილი და როლი ბიზნეს ურთიერთობებში: ეთიკის უშუალო კავშირი ცხოვრების პრაქტიკასთან აშკარად ჩანს ე.წ. პროფესიონალური ეთიკის სფეროში, რაც პიროვნების პროფესიული საქმიანობისთვის მორალური მოთხოვნების სისტემაა. პროფესიული ეთიკის ერთი ტიპი არის ბიზნესის ეთიკა.

ბიზნესის ეთიკა მრავალმხრივი კონცეფციაა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ორგანიზაციის თანამშრომელთა ყოველდღიურ კომუნიკაციას, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან და უშუალო უფროსებთან, არამედ ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის უფრო გლობალურ ურთიერთობებს, ადგილობრივ, სახელმწიფო და მსოფლიო დონეზე.

არსებობს უნივერსალური ეთიკური პრინციპებისა და ბიზნესის ეთიკის კორელაციასთან დაკავშირებული ორი ძირითადი მოსაზრება: 1) ჩვეულებრივი მორალის წესები არ ვრცელდება ბიზნესზე ან ნაკლებად ეხება. ეს თვალსაზრისი შეესაბამება ეგრეთ წოდებული ეთიკური რელატივიზმის კონცეფციას, რომლის თანახმად, თითოეულ საცნობარო ჯგუფს აქვს საკუთარი სპეციფიკური ეთიკური სტანდარტები; 2) ბიზნესის ეთიკა ემყარება საყოველთაო უნივერსალურ ეთიკურ სტანდარტებს (გულწრფელობა, ზიანის არ მიყენება, სიტყვის შესრულება და ა.შ.), რომლებიც კონკრეტდება საზოგადოებაში ბიზნესის განსაკუთრებული სოციალური როლის გათვალისწინებით. თეორიულად, მეორე თვალსაზრისი უფრო სწორად არის მიჩნეული.

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ CSR-ის თანამედროვე ფორმები შეერთებულ შტატებში, კონტინენტურ ევროპასა და დიდ ბრიტანეთში, ასევე მათი ძირითადი განსხვავებები ერთმანეთისაგან. ითვლება, რომ ამერიკული

²⁸ აბრევიატურა CRS - Corporate social responsibility იგივე კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

CSR მოდელი ყველაზე მდიდარია ტრადიციებით. ბრიტანეთმა და კონტინენტურმა სისტემებმა მიიღეს ყველაზე დიდი იმპულსი მათ განვითარებაში გასული 20-25 წლის განმავლობაში, ინდივიდუალური გარე განმაპირობელი ფაქტორების წყალობით. ამერიკული დოქტრინისაგან, განსხვავებით ბრიტანული და კონტინენტური ბოლო 100 წლის განმავლობაში არ განიცდიდა მნიშვნელოვან გარდაქმნებს. ბრიტანეთის ბიზნეს საზოგადოება უფრო მგრძობიარეა სოციალური პასუხისმგებლობის იდეებისკენ, ვიდრე კონტინენტური ბიზნესი. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მოდელები აშშ-სა და ევროპაში ცოტა ხნის წინ გამოვლენილი იქნა, როგორც CSR "ღია" და "ფარული" ფორმები:

CSR-ის ღია ფორმა გულისხმობს კორპორაციის ქცევის ხაზს, რაც კორპორაციას აკისრებს პასუხისმგებლობას იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომელზეც საზოგადოება დაინტერესებულია. CSR-ის ღია ფორმა, როგორც წესი, მოიცავს კორპორაციის ნებაყოფლობით და თვითგამორკვეულ ქვეყებს, პროგრამებსა და სტრატეგიებს იმ საკითხებზე, რომლებიც კორპორაციისა და / ან მისი დაინტერესებული მხარეების მიერ აღიქმება, როგორც მათი პასუხისმგებლობის ნაწილი (კორპორაციისთვის ან / და დაინტერესებული მხარისათვის) საზოგადოებისთვის.

CSR-ის ფარული ფორმა ნიშნავს ოფიციალურ და არაოფიციალურ ინსტიტუციებს იმ ქვეყნისა, რომელთა მეშვეობითაც კორპორატიული პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი ინტერესებისთვის არის შეთანხმებული ან გათვალისწინებული კორპორაციების მიერ. CSR-ის ფარული ფორმა ჩვეულებრივ მოიცავს იმ ღირებულებებს, ნორმებსა და წესებს, რომლებიც ხშირად იწვევს სავალდებულო მოთხოვნებს კორპორაციებისთვის იმ საკითხებში, რომლებიც საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს (ქვეყნებს) მიაჩნიათ, როგორც იურიდიულ პირთა სათანადო და გონივრულ ვალდებულებებს.

ისტორის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ და დასკვნა გამოვიტანოთ რომ პირველი სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკის მქონე კომპანიების მაგალითები ჩნდება საქართველოში XX საუკუნის ბოლოს მაგრამ ჩვენ და სამწუხაროდ საქართველოს ბიზნეს გარემო ისეთ დონეზე იყო „ინფიცირებული“ რომ ვერანაირი კონკურენციის გაწევა ვერ მოახერხეს და იყვნენ განადგურებულნი.

საბაზრო რეფორმების დაწყებისთანავე, საწარმოთა სოციალურმა პოლიტიკამ გაიარა რადიკალური ცვლილებები. მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა იმოქმედა მათ სოციალურ ინფრასტრუქტურაზე. შეიძლება განვასხვავოთ ცვლილებების სამი ეტაპი: **სოციალურ - ეთიკური ინფრასტრუქტურის შემცირება**, მისი სტაბილიზაცია და ოპტიმიზაცია.

პირველ ეტაპზე (1991 – 2003 წლების პერიოდში), მკვეთრად შემცირდა საწარმოთა სოციალური ინფრასტრუქტურა. ამ წლებში, საკუთრების ყველა ფორმის საწარმოების ხელმძღვანელები აქტიურად მოიშორეს „სოციალური ქსელი“, ცდილობდნენ თავი დაეღწია არა ძირითადი აქტივებისგან. საწარმოთა უმეტესი ნაწილი იძულებული გახდა მთლიანად შეამციროს ნებისმიერი ტიპის ხარჯები, რომლებიც არ წარმოქმნიდა შემოსავალს მათი გადარჩენისთვის მოკლევადიან პერიოდში. ეს პროცესი სპონტანური იყო, არასწორად იყო გათვლილი და არ იყო კონტროლირებადი. კრიზისიდან გამოსვლისა და საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით, სოციალური სფეროსგან თავის დაღწევა მათი ლიდერების მიერ აღარ განიხილებოდა, როგორც საბაზრო ეკონომიკაში გადარჩენის პირობა.

მეორე ეტაპზე (2003–2012), სტაბილიზდა საწარმოთა სოციალური ინფრასტრუქტურა „შედარებით“. სოციალური ობიექტებისადმი მიმართ მიდგომა განსხვავებულია: საწარმოებმა დაიწყეს იმის გათვალისწინება, რომ, მიმდინარე შემოსავლის გარდა, სხვა შეღავათები აქვთ მათი აღრიცხვისაგან და ამ სარგებელის გათვალისწინებით, იღებენ გადაწყვეტილებებს მათი შენარჩუნებას ან მოშორების შესახებ. შედეგად, შეჩერებულია სოციალური ინფრასტრუქტურის შემცირების პროცესი, მაგრამ ამასთანავე არის მკვეთრი ვარდნა ეთიკურ სტანდარტებთან შედარებით, რომელიც ყველაზე მკაფიოდ გამოისახება კონკურენციის ასპექტში.

მესამე ეტაპის დროს ეკონომიკური გაჯანსაღების (2012-2020, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შედარებითი კუთხით უნდა განვიხილოთ) დაწყებისა და საწარმოების გადარჩენიდან განვითარებაზე გადასვლისთანავე, ზოგიერთმა მათგანმა დაიწყო მათი სოციალური ინფრასტრუქტურის რესტრუქტურირაცია და ეთიკური სტანდარტების ჩამოყალიბება ბიზნესის ოპტიმიზაციისათვის. სოციალური ობიექტების გამოყენება საწარმოებმა განიხილეს, როგორც შეგნებული სოციალური პოლიტიკის განხორციელების ნაწილი. ქართული ბიზნეს სტრუქტურების ლიდერები განმარტავენ სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემების აქტუალიზაციას ქვეყნის სოციალური განვითარების ახალ ეტაპზე გასავლით.

რა თქმა უნდა, აღწერილი ეტაპები არ უნდა იყოს აბსოლუტიზებული. რიგი ქართული კომპანიებისა დღესაც განაგრძობენ სოციალური სფეროს შემცირებას, ზოგი კი მხოლოდ მისი სტაბილიზაციის ეტაპზე გადადის და სავარაუდოდ, დიდი დროც დასჭირდებათ მის ოპტიმიზაციაზე. ეს ეტაპები ასახავს განსხვავებებს გათვალისწინებული შედეგების ტიპებში და იმ დროში, რომელშიც შედარებულია სოციალური ინფრასტრუქტურის საქმიანობის ხარჯები და უპირატესობები. ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა დამოკიდებულია, როგორც კომპანიების ეკონომიკურ ვითარებაზე, ასევე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ინფორმირებულობის

დონეზე იმ სოციალური და ეთიკური პრობლემების შესახებ, რომელთა წინაშე დგანან ისინი დღეს ან მომავალში.

დღეს, ბევრმა ქართულმა კომპანიამ, როგორც ყოველ წლიური სახელმწიფო ანალიზი აჩვენებს, გააცნობიერა სისტემატური სოციალური და ეთიკური პოლიტიკის საჭიროება. ეს ხელს უწყობს მათ ლიდერებს შექმნან მენეჯმენტის სტრუქტურები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ამ პოლიტიკის გატარებაზე, თავიანთ საწარმოებში ახალი სოციალური ტექნოლოგიების დანერგვასა და ეთიკის სტანდარტების დანერგვაში, ასევე სხვადასხვა პოლიტიკის სფეროში ხელისუფლების წარმომადგენლებთან პარტნიორობის დამყარებით, სოციალური პოლიტიკის სფეროში.

საშუალო დინამიურად განვითარებადი ქართული ბიზნესი იწყებს საქმიანობის სოციალური სივრცის დაუფლებას. მცირე ბიზნესი სულ უფრო და უფრო იქცევა საქველმოქმედო ღონისძიებებში, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტებში, სადაც ის ხშირად განსაზღვრავს ტერიტორიის ეკონომიკურ პოტენციალს.


ამავე დროს, ქართული ბიზნესის მონაწილეობა სოციალურ და ეთიკურ პოლიტიკაში ძალიან არათანაბარი რჩება. ეს მინიმუმ ორი გარემოებით არის განპირობებული. ჯერ ერთი, ბიზნეს გარემოში არ არსებობს საერთო სახელმძღვანელო მითითებები, თითოეული კომპანია დამოუკიდებლად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს თავისი სოციალურ-ეთიკურ საქმიანობის პარამეტრებს. მეორეც, სოციალურ - ეთიკური საკითხი, მისი ფორმით და შინაარსით, დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ და როგორ ჩამოყალიბა ეს მოთხოვნები და ეს არის ქართული ბიზნესის პასუხი ხელისუფლების საჯარო ან ლატენტურ მოთხოვნებზე.

როგორც წესი, ქართული კომპანიები სოციალურ პასუხისმგებლობასა და ეთიკის საკითხს აღიქვამენ, როგორც ინფორმაციულ წყაროს, საკუთარი იმიჯის გასაუმჯობესებლად და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიზნად.

ზოგიერთ შემთხვევაში, სოციალური და ეთიკური საქმიანობის სფეროს არჩევა ხორციელდება იმაზე, თუ რამდენად იზიდავს იგი საზოგადოების. სამწუხაროდ ყველა ქართულმა კომპანიამ ვერ გააცნობიერა ინფორმაციის გამჭვირვალეობის აუცილებლობაზე. ქართულ კომპანიებში, CSR სფეროში და ეთიკური სტანდარტების ჩარჩოებში საქმიანობას, ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ მაღალი სტატუსი და ხორციელდება მეორეხარისხოვან დონეზე.

ვითარების უკეთესი გასუქებისთვის რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საქართველოში მყოფი უცხოური, ადგილობრივი და სახელმწიფო ორგანიზაციები (კომპანიები, ორგანიზაციები და დაწესებულებები). რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა საქართველოს მამაბით, სადაც მონაწილეობდა სხვადასხვა დონისა და დასაქმებულთა ოდენობის

ორგანიზაციები. იყვნენ გამოკითხულნი მაღალ თანამდებობებზე მყოფი პირები, 10 რესპოდენტი.



კვლევაში მიიღეს მონაწილეობა: Aero Georgia Group, Wilhelmsen group, Indeco LTD, Willis Towers Watson, Betsson Group, BWC, სსიპ - ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო და დანარჩენმა ორმა კომპანიამ ისურვა ანონიმურობის დაცვა. როდესაც ბიზნესი მიმართული არის მდგრადი და გრძელვადიანი განვითარებისკენ, რეპუტაციის გაუმჯობესებისკენ, ინვესტიციის მიმზიდველობის გაზრდისკენ, მთავრობასა და საზოგადოებასთან ურთიერთსასარგებლო პარტნიორობისკენ, მაშინ სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკის საკითხი ასეთი ბიზნესის სავალდებულო ატრიბუტია.

დასკვნა: ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ფორმირება და ეთიკური სახელის მოპოვება საკმაოდ რთული და გრძელი პროცესია, რომელიც ასევე არც თუ ისე მარტივი მისაღწევია ყველაზე განვითარებული და აყვავებული ეკონომიკის დროსაც კი. დასავლური კომპანიები ყოველწლიურად ასობით მილიარდ დოლარს ხარჯავენ კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და ეთიკის სტანდარტების ასამაღლებლად. დღემდე, ამერიკამ და ევროპამ უკვე შეიმუშავეს ერთიანი სოციალური დეფინიციები, სტანდარტები და სოციალური ანგარიშგების ფორმები ყველა კომპანიისთვის.

განვითარებულ ქვეყნებში ქველმოქმედება ნიშნავს საზოგადოების კეთილდღეობის კეთებას. მფარველები იღებენ მხარდაჭერას სახელმწიფო დონეზე, მათი სახელები ქვეყნდება მედიაში. საქართველოში კი ეს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური, ერთჯერადი მოქმედებაა. დასავლური კომპანიების გამოცდილებამ აჩვენა, რომ შესწავლილი ყველა კომპანია საკმაოდ სერიოზულია CSR- სა და ეთიკის სტანდარტების მიმართ და აღიქვამს მათ, როგორც საქმიანობის სტრატეგიულ სფეროდ. უცხოელი კოლეგების მაგალითიდან გამომდინარე, ქართველი მეწარმეები ნელ-ნელა აღიარებენ CSR- სა და ეთიკის სტანდარტებს, როგორც ეფექტური ინსტრუმენტი ფინანსური რისკების მართვისთვის. მაგრამ, როგორც ვხედავთ ყველა არ ითვალისწინებს ამ მაგალითებს და მაინც მისდევს „შავი“ გზით საქმის კეთებას, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დროებითია და იმედსაც

ვიტოვებთ რომ საქართველოს ბიზნესის იტყვის თავის სიტყვას და გადავალთ ბიზნესის კეთების ახალ დონეზე.

საქართველოში, ამ დროისთვის უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური სტანდარტების ძირითადი დონის ამოცანების მოგვარება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ანაზღაურების სფეროს ეხება. მსხვილი ქართული კომპანიები, ფინანსური ანგარიშების გარდა იწყებენ ასევე სოციალური ანგარიშების გამოქვეყნებასაც, ჯერჯერობით ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე ასეთი კომპანია არის, მაგრამ მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება(ისიც არის საკითხავი თუ რა დონეზე მართებულად ხდება ამ ანგარიშების გამოთვლა და მათი ლეგიტიმურობის დადგენა). რა თქმა უნდა, სასიხარულო არის, რომ უფრო და უფრო მეტი ქართული კომპანია იწყებს სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელებას. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ ბიზნესს აქვს პოტენციალი და ესმის ამ კომპონენტების მნიშვნელობა ბიზნესის კეთებისას. სოციალურად პასუხისმგებლობისა და ეთიკური სტანდარტების მქონე მეწარმეობის მექანიზმი არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სოციალური წინააღმდეგობათა შემსუბუქების, მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარების მთავარ საშუალებად. ბიზნეს გარემოში სოციალური პასუხისმგებლობის ქცევის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივი მხარდაჭერით და მისი აქტიური მონაწილეობით სოციალური და ეთიკური პრობლემების მოგვარებაში.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. Rangan, K., Chase, L. A., & Karim, S. „Why every company needs a CSR strategy and how to build it“ - Publishing House, Harvard Business School: Working Paper 12-088 ; 2012
2. Fischer, C.M., & Lovell, A. „Business ethics and values: individual, corporate and international perspectives“ - Publishing House, Pearson Education Limited, London ; 2019
3. Donaldson, J., & Fafaliou, I. „Business ethics, Corporate Social Responsibility and corporate governance“ - Publishing House, European Research Studies ; 2013
4. „The UN Global Compact–Accenture Strategy CEO Study, Special Edition: Transforming Partnerships for the SDGs“ ; 2018
5. David Crowther & Güler Aras „Corporate Social Responsibility” - Publishing House, BookBoon.com ; 2018.

Revisiting the Epistemic Foundations of Reputation Measurement : Effect Indicators, Casual Indicators or Both?

Dr. Volkan Yüncü

Afyon Kocatepe University,

Faculty of Economics and Administrative Sciences, Business Administration

vyuncu@aku.edu.tr

ORCID: 0000-0001-5401-0683

Within the strategic management literature, corporate reputation is an intangible and strategic asset that brings forth valuable tangible gains such as competitive advantage. An essential part of effective reputation management is the measurement of corporate reputations. Since measuring corporate reputations has become increasingly important for organizations, it has remained a hot topic among scholars notably for the last two decades. As a consequence of such an interest, reputation management literature today can offer a broad array of approaches and methods to how it can be measured. For some scholars, such measurement is basically of two types- cognitive or affective. For some others, reputation can be measured through different metrics- quantitative or qualitative. As indicated in the literature earlier, however, these approaches and methods are bound up with the respective theoretical context that conceptualizes the reputation construct through its own lenses. As a result, various measurement approaches and models contingent on different scientific origins may also adopt different approaches to the relationship between the reputation construct and its measures. Above all, such idiosyncratic interpretations or assumptions regarding the conceptualization of the reputation construct culminate in several scales of measurement, which acknowledge the reputation construct differently- either as a reflective or formative construct, or both -. Thus, the purpose of this study is to contribute to the body of knowledge regarding the epistemic foundations of measurement approaches and models by discussing each in the context of its own paradigm and discipline. Based on the type of indicators and the character of measures utilized in different disciplines, the study also discusses whether we are close to a consensus on a common measurement approach or model.

Keywords: Reputation, Reputation Measurement, Indicators of Reputation

კორპორაციული მართვის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში Challenges and Perspectives of Corporate Governance in Georgia

მერაბ ვანიშვილი - ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავილირებული პროფესორი
merabvanishvili@yahoo.com

ირაკლი კაცაძე - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავილირებული პროფესორი
i.katsadze@bsma.edu.ge

Merab Vanishvili - Doctor of Economics
Affiliated Professor at the Georgian Technical University
merabvanishvili@yahoo.com

Irakli Katsadze - PhD in Business Administration
Affiliated Professor of Batumi State Maritime Academy
i.katsadze@bsma.edu.ge

აბსტრაქტი. სამეცნიერო სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებსა და ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით შესწავლილია ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა კორპორაციული მართვის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში.

სტატია მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის შედეგებსა და დასკვნას. შესავალი აღწერს ნაშრომში დასმული პრობლემის აქტუალობას და კვლევის მეთოდოლოგიას. ლიტერატურის მიმოხილვაში გაანალიზებულია კვლევის საგანთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურა და გამოკვეთილია საკვლევო პრობლემა. კვლევის შედეგები ასახავს კორპორაციული მართვის გამოწვევებს და სრულყოფის ძირითად მიმართულებებს საქართველოში. აქ წარმოდგენილი ყველა საკითხი მოიცავს იმ არსებულ გამოწვევებს კორპორაციული მართვის დარგში, რაც სადღეისოდ გვხვდება ეროვნულ ეკონომიკაში.

სტატიის დასკვნით ნაწილში, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების სახით, ლაკონურად და დეტალურად არის წარმოდგენილი საქართველოს კორპორაციული მართვის სფეროში არსებული მდგომარეობა და მისი სრულყოფის პრიორიტეტები.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული მართვა, ანგარიშვალდებული კომპანიები, ინფორმაციული გამჭვირვალობა, ინფორმაციის ღიაობა, სადივიდენდო პოლიტიკა, საფონდო ბაზარი, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

Abstract. In a scientific article, based on the latest literary sources and factual materials, such an important issue of economic theory and practice as the challenges and perspectives of corporate governance in Georgia is studied.

The article includes an introduction, literature review, research results, and conclusion. The introduction describes the urgency of the problem posed in the paper and the research methodology. The literature review analyzes the existing literature on the subject of research and identifies the research problem. The results of the research reflect the challenges of corporate governance and the main directions of improvement in Georgia. All the issues presented here cover the existing challenges in the field of corporate governance that we face today in the national economy.

In the concluding part of the article, in the form of research findings, the current situation in the field of corporate governance in Georgia and the priorities for its improvement are presented in detail.

Keywords: Corporate Governance, Accountable Companies, Information Transparency, Openness of Information, Dividend Policy, Stock Market, Corporate Social Responsibility.

შესავალი: ნებისმიერ ქვეყანაში კორპორაციული მართვის სისტემის გამართულობას საგრძნობლად განაპირობებს, როგორც ტრადიციები და

სამეურნეო ურთიერთობების დამკვიდრებული პრაქტიკა, ასევე სახელმწიფოს როლი ეკონომიკური განვითარებისა და სამართლებრივი სისტემის რეგულირების კუთხით.

მსოფლიოში, კორპორაციული მართვის მოდელების მრავალფეროვნების მიუხედავად, ყველა მათგანი შესაძლებელია დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად: ანგლო-საქსურ, გერმანულ და იაპონურ მოდელებად.

საქართველოში, კორპორაციული მართვის ფორმირების ლოგიკა, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ეფუძნებოდა ამერიკული საფონდო ბაზრის და კორპორაციული მართვის მოდელების მასი-ურ იმპორტს. სადღეისოდ, ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკის-რი ვალდებულებების შესაბამისად, კორპორაციული მართვის პრინციპები, კომპანიათა ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის პროცედურები დასახლოებულია ევროკავშირის მიდგომებთან.

თემის დამუშავების აუცილებლობა საგრძნობლად მატულობს, რამდენადაც თანამედროვე გლობალურ სამყაროში კომპანიათა რაციონალური კორპორაციული მართვა მათი წარმატებული ფუნქციონირების საფუძველი ხდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია კორპორაციული მართვის პრობლემატიკის მეცნიერული კვლევის გააქტიურება და ხელშეწყობა, რაც, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შექმნის ქვეყანაში კორპორაციული მართვის კულტურის გაუმჯობესება/ჩამოყალიბების და, შესაბამისად, საინვესტიციო მიმზიდველობის მყარ საფუძველს.

კორპორაციული მართვის აქტუალობამ, ასევე, თემის არასრულყოფილმა მეცნიერულმა დამუშავებამ განაპირობა კვლევის ობიექტი და საგანი, კვლევის მიზანი და ამოცანები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ქვეყანაში მოქმედი, კანონმდებლობით განსაზღვრული ანგა-რიშვალდებული კომპანიების კორპორაციული მართვის არსებული კულტურა, ხოლო კვლევის საგანს – მათი ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის მდგომარეობა.

კვლევის მიზანია ქვეყანაში არასაფინანსო სექტორში მოქმედ კომპანიებში ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის არსებული მდგომარეობის შესწავლა, ძირითადი გამოწვევების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების დასახვა, აგრეთვე, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება, კორპორაციული მართვის თეორიის ანალიზისა და არსებული პრაქტიკის კვლევის საფუძველზე.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველს წარმოადგენს კორპორაციული მართვის არსებული დებულებები, კლასიკური და თანამედროვე კორპორაციული მართვის თეორიები, ქართული და უცხოური

მონოგრაფიული ნაშრომები კორპორაციული მართვის საკითხებზე, სპეციალიზებული ჟურნალების მეცნიერული პუბლიკაციები.

კვლევის ინსტრუმენტულ-მეთოდური აპარატი წარმოდგენილია მეცნიერული შემეცნების ზო-გადი მეთოდების შეთანაწყობით ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ მეთოდებთან, როგორცაა ანა-ლიზი და სინთეზი, ისტორიული და ლოგიკური, განზოგადება და აბსტრაქცია, ინდუქცია და დედუქცია, ანალოგია და შედარებითი ანალიზი.

კვლევის ემპირიული ბაზა მოიცავს შემდეგ ძირითად წყაროებს: საერთაშორისო ორგანიზაციების მასალები; საქართველოს სატატისტიკის ეროვნული სამსახურის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სტრუქტურების საინფორმაციო-ანალიტიკური მასალები, საქართველოს კაპიტალის ბაზრის კვლევის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიში; ავტორთა მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგები.

ლიტერატურის მიმოხილვა: დღეისათვის, სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ განიხილება კორპორაციული მართვის ფორმირებისა და სრულყოფის მიმართულებები. აღნიშნული ფრიად აქტუალურია როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოსათვის, რამდენადაც ქვეყნის დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების მიღწევისათვის მეტად მნიშვნელოვანია სამეწარმეო სფეროში კორპორაციული მართვის საწყისებზე დაფუძნებული ბიზნესის გამჭვირვალედ წარმართვის ხელშეწყობა.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა უცხოური ლიტერატურული წყაროების გაანალიზება. წარ-მოდგენილი პრობლემის შესწავლას ეხება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული გზამკვლევები და ანგარიშები, რომლებიც ემყარება სახელმწიფოთა გამოცდილებას, ბიზნეს ანალიტიკოსების, იურისტებისა და ფინანსისტების რეკომენდაციებს და ობიექტურად ასახავს ბაზარზე არსებულ პრობლემებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა დიდ ბრიტანეთში გამოცემული ანგარიშები, რომლებიც კორპორაციული მართვის განვითარების ეტაპებს უკავშირდება. ამ მხრივ, აღსანიშნავია ქედბერის ანგარიში, რომელზე მუშაობაც კორპორაციული მართვის ფინანსური საკითხების კომიტეტმა სერ ადრიან ქედბერის თავმჯდომარეობით 1991 წელს დაიწყო. კომიტეტის შექმნის აუცილებლობა გაერთიანებული სამეფოს ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ღია სააქციო საზოგადოებების მიმართ ინვესტორთა ნდობის დაბალი ხარისხით იყო ნაკარნახევი, რაც, აგრეთვე, ორი დიდი კომპანიის Coloroll-ისა და Polly Pack consortium-ის გაკოტრებამ გამოიწვია. 1992 წლის დეკემბერში, სწორედ ქედბერის წინადადეგებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, შემუშავებულ იქნა კორპორაციული მართვის კოდექსი (ე.წ. „კორპორაციული კოდექსი“), რომლის სავალდებულო ძალის საკითხი

„დაემორჩილე ან განმარტე“ პრინციპით განისაზღვრა (The Cadbury Report, 1992; www.icaew.com/media/corporate/files).

ასევე, ყურადღებას იმსახურებს გრინბერის ანგარიში, რომელიც 1995 წელს გამოქვეყნდა და მისი მიზანი უკავშირდებოდა დირექტორთა ანაზღაურების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველ-ყოფას, დირექტორთა სამართლიანი ანაზღაურების პაკეტის შემუშავების ხელშეწყობასა და საამისოდ აუცილებელი სტანდარტების დამკვიდრებას. ანგარიშის მიხედვით, ანაზღაურების კომიტეტის შემად-გენლობა იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი ობიექტურობა და მიუ-კერძოებლობა. დოკუმენტი, ასევე, მოიცავს დირექტორთა საბჭოსათვის მავალდებულებელ ნორმებს, რათა დროულად და ეფექტურად მოხდეს აქციონერთა ინფორმირება დირექტორების ანაზღაურების პაკეტის შემუშავების პროცესისა და შედეგების თაობაზე (www.ecgi.org/codes/documents/-Greenbury).

ყურადღებას იმსახურებს ასევე ჰამპელის ანგარიში, რომელიც 1998 წლის იანვარში გამოქვეყნდა. მისი ძირითადი მიზანია გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის სისტემის გადახედ-ვა და მისი მიღწევების მდგომარეობის ანალიზი. ჰამპელის ანგარიშში ნათლად იქნა ფორმულირებუ-ლი კომპანიის, მისი ბიზნესის სიდიდისა და ტიპის მიუხედავად, საქმიანობის ძირითადი მიზანი - აქციო-ნერთა ინვესტირების დაცვა და გაფართოება (The Hampel Report, 1998; www.icaew.com/en/library). ასევე, აღსანიშნავია თორნბულის ანგარიში, რომელიც ჰამპელის ანგარიშზე ერთი წლით გვიან - 1999 წელს გამოქვეყნდა და მიედღვნა დირექტორების ეფექტური შიდა კონტროლის დამყარებას და მიზნად ისახავდა კომპანიის შიდა აუდიტის სისტემის დანერგვის მნიშვნელობის ხაზგასმას და შესაბამისი პრო-ცესების ხელშეწყობას (Internal Control: Revised Guidance for Directors on the Combined Code, 2005; www.frc.org.uk).

კორპორაციული მართვის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია ჰიგის ანგარიში, რომლის სამუშაო ჯგუფი დეტალურად მიმოიხილავს კორპორაციულ მართვაში არააღმასრულებელი დირექ-ტორების როლს და მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს აუდიტის კომიტეტსაც, აგრათვე, მიზნად ისახავს კომბინირებული კოდექსის განვითარებას და გაძლიერებას. ამასთან დაკავშირებით, საინტე-რესო სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის - დერეკ ჰიგის პოზიცია, რომელიც საკმაოდ კრიტიკულად აფასებდა „დაემორჩილე ან განმარტე“-ს პრინციპის ეფექტურობას და მიზანშეწონილად მიიჩნევდა კოდექსის მიერ მინიჭებული დისკრეციის შეზღუდვას და მეტი მავალდებულებელი ნორმის შემოღებას. მისი აზრით, კორპორაციული სკანდალები, კომპანიების მიერ კოდექსის და ქედბერის ანგარიშის მოთ-ხოვნებისათვის მეტი ანგარიშგაწევის შემთხვევაში, თავიდან

იქნებოდა აცილებული, განსაკუთრებით, კომპანიების მიერ გამჭვირვალობის უზრუნველყოფის შემთხვევაში (Derek Higgs, Review of the role and effectiveness of non-executive directors, 2003; www.ecgi.org/codes/documents/higgsreport).

კორპორაციული მართვის მიმართულებით, განსაკუთრებით, საყურადღებოა სმიტის ანგარი-ში, რომელიც 2003 წელს გამოქვეყნდა და ხაზს უსვამს აუდიტორთა დამოუკიდებლობის მნიშვნელო-ბას. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ სმიტის ანგარიში ერთ ერთია, რომელიც ევროკომისიის მიდგომებს იზიარებს აუდიტის პოლიტიკის ნაწილში. კერძოდ, მასში გათვალისწინებული საკითხებიდან ერთ-ერთ-თი მნიშვნელოვანია აუდიტორის ვალდებულება, თავადვე გადაამოწმოს, თუ რამდენად უზრუნველ-ყოფს მის დამოუკიდებლობას კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემა და უზრუნველყოფს საკუთარ მიუკერძოებლობას (Sir Robert Smith, Audit Committees Combined Code Guidance, The Financial Reporting Council Limited, 2003; www.ecgi.org/codes/documents).

კორპორაციული მართვის სრულყოფისა და მისი ინფორმაციული გამჭვირვალობის უზრუნ-ველსაყოფად მეტად მნიშვნელოვანია ევროკავშირის „მწვანე ფურცლები“, რომლითაც ვლინდება საერთო სტანდარტები და წესები, რომელთა გათვალისწინება რეკომენდებულია ყველა კორპორაცი-ისათვის, კორპორაციული მართვის ეფექტური სისტემის შესაქმნელად და თითოეული მათგანის მიერ გლობალურ ეკონომიკაზე გავლენის უზრუნველსაყოფად.

საქართველოსათვის, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მეტად აქტუალურია ეთგო-ს (OECD) მიერ 1999 წელს შემუშავებული „კორპორაციული მართვის პრინციპები“. ამ დოკუმენ-ტში მოცემულია სწორედ ახალი, უკვე გადასინჯული პრინციპები, რომლებიც ემყარება არა მხოლოდ ეთგო-ს წევრი, არამედ არაწევრი ქვეყნების უდიდეს გამოცდილებას. ეთგო-ს „კორპორაციული მარ-თვის პრინციპების“ დოკუმენტი ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველ ნაწილში მოცემული პრინცი-პები შემდეგ სფეროებს მოიცავს: 1. ეფექტური კორპორაციული მართვის სტრუქტურისათვის საჭირო საფუძვლების უზრუნველყოფა; 2. აქციონერთა უფლებები და საკუთრების უფლების ძირითადი ფუნ-ქციები; 3. აქციონერთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა; 4. დაინტერესებულ მხარეთა როლი; 5. ინ-ფორმაციის ღიაობა და გამჭვირვალობა; 6. სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობები.

ამ დოკუმენტის თითოეულ ნაწილს სათაურად აქვს ერთ-ერთი პრინციპთაგანი, რომელიც მუქი შრიფტით და დახრილი ასოებით არის მოცემული. დოკუმენტის მეორე ნაწილში პრინციპები შევსებუ-ლია ანოტაციებით, რომელიც იძლევა კომენტარს პრინციპების შესახებ და

რომლის მიზანია დაეხმაროს მკითხველს ამ პრინციპებისა და მათ მიღმა არსებული ლოგიკის სწორად გაგებაში. გარდა ამისა, ანოტაციები შეიცავენ გაბატონებული ტენდენციების აღწერას და გვთავაზობენ განხორციელების ალტერნატიულ მეთოდებს და მაგალითებს, რომლებიც სასარგებლოა აღნიშნული პრინციპების პრაქტიკაში ამოქმედების პროცესში (OECD, Principles of Corporate Governance, 1999; www.oecd.org).

მეტად საყურადღებოა ეთგო-ს 2009 წლის ანგარიში, რომელშიც გაანალიზებულია კორპორა-ციული მართვის პრინციპები და შეჯამებულია ძირითადი დასკვნები სამომავლოდ ამ სისტემაში შემავალ ქვეყნებში კორპორაციული მართვის ხისტი მხარეების გამოსავლენად და დასაძლევად. ანგა-რიში გაშუქებულია, ასევე, დირექტორთა საბჭოების წევრთა შრომის ანაზღაურების და წამახალისებელი სისტემის ახალი ფორმების დანერგვის საკითხები, წარმოდგენილია შრომის ანაზღაურების მო-დელები და მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის შესაძლებლობები. აღნიშვნას იმსახურებს ეთ-გო-ს 2010 წლის ანგარიში, რომელშიც დიდი ყურადღება ეთმობა აქციონერთა როლის ზრდას კორპორაციათა საქმიანობაში, ზედამხედველობის რისკის მართვის საკითხებს, ინსტიტუციური ინვესტორების გამჭვირვალე მონაწილეობას კენჭისყრებში, სხვადასხვა სახის აქციონერთა კონტაქტების გაღრმავებას კომპანიებში და ინვესტორებთან თანამშრომლობის წახალისებას (OECD, Annual Report, 2009; www.oecd.org).

ეთგო-ს ანგარიშებიდან დიდ ყურადღებას იმსახურებს კორპორაციულ მართვაში რისკების საკითხები. ანგარიში ეფუძნება ეთგო-ს მიერ მომზადებულ სამი ქვეყნის - ნორვეგიის, სინგაპურის და შვეიცარიის კორპორაციული რისკების მართვის პრაქტიკის გამოყენების საკითხებს. აქვე, ყურადღება მახვილდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციების პრივატიზების პრაქტიკაზე, რომელიც, თავის მხრივ, დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს, კორპორაციული რისკების მართვის პრობლემების დარეგულირებაში. ეთგო-ს 2013 წლის ანგარიშში - „ზედამხედველობა და აღსრულების კორპორაციული გამგეობა“ - ყურადღება გამახვილებულია საჯარო და კერძო ზედამხედველობის და აღსრულების პრაქტიკის საკითხებზე, ზედამხედველობის და აღსრულების კონკრეტულ სფერო-ებზე, მოტანილია ბრაზილიის კორპორაციული მართვის ჩარჩო და პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია ზედამხედველობასა და აღსრულებასთან. ასევე, წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები თურქეთის და აშშ-ის კორპორაციული მართვის ჩარჩოდან და აღსრულების პრაქტიკიდან, რომელსაც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოს კორპორაციული მართვის სრულყოფაზე.

კორპორაციული მართვის სტრატეგიის საკითხებთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა ჰარ-ვარდის ბიზნეს სკოლის მონოგრაფია -

„კორპორაციული სტრატეგია“ სერიით „იდეები რომლებიც მუშაობენ“. აღნიშნული მონოგრაფია წარმოადგენს სტატიების კრებულს, სადაც ცალკეული ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ აშშ-ში კორპორაციული უპირატესობების ფორმირების პროცესს, ასევე, გაანალიზებულია გასული საუკუნის 90-იან წლებში რესურსების საფუძველზე ჩამოყალიბებული კონკურენციული სტრატეგია. მონოგრაფიაში ხაზგასმულია კორპორაციულ სტრატეგიათა ფორმირების ევოლუცია თანამედროვე სამყაროსათვის და ფორმულირებულია განვითარებადი საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სტრატეგიები და ამ სტრატეგიათა გაანალიზების ფონზე ჩამოყალიბებულია კომპანიათა შედარებითი უპირატესობების მოპოვების შესაძლებლობები.

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში კორპორაციული მართვის სრულყოფის საკითხებს მიეძღვნა რუსული მენეჯმენტის სკოლის რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ვესნინის მონოგრაფია - „კორპორაციული მართვა“ (Веснин 2013). მონოგრაფიაში გაანალიზებულია კორპორაციული მართვის თავისებურებები რუსულ კომპანიებში; დახასიათებულია ადგილობრივ თუ ფედერალური ხელისუფლების დონეზე მიღებული ნორმატიულ-საკანონ-მდებლო აქტები; განსკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კორპორაციული მართვის ტრადიციულ ფორმებსა და მეთოდებზე, დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების კორპორაციული მართვის პრაქტიკაზე; მოწინავე ქვეყნების კორპორაციული მართვის გამოცდილების განზოგადებით, შემოთავაზებულია რუსული კომპანიების საქმიანობის პრაქტიკაში მათი დანერგვის წინადადებები.

კორპორაციული მართვის საკითხებს ეძღვნება ო. ისაევის მონოგრაფიული გამოკვლევა - „კორპორაციული მართვა და სტრატეგიული მენეჯმენტი: ინფორმაციული ასპექტი“ (Исаев 2008), რომელშიც გაანალიზებულია კორპორაციული მართვის ინფორმაციული გამჭვირვალობის თავისებურებანი რუსულ კორპორაციებში; ინფორმაციული ბაზის ფორმირების საფუძველები კორპორაციული მართვის სტრატეგიის შემუშავებისას; კომპანიათა ინფორმაციული გამჭვირვალობის ნაკადების ფორმირების ეტაპები და მაჩვენებელთა ის სისტემა, რომელიც სავალდებულოა კომპანიათა გამჭვირვალობის შესაფასებლად.

კორპორაციული მართვის ფუნდამენტური თეორიული საკითხების კვლევას ეხება ს. ორეხოვის მონოგრაფია - „კორპორაციული მართვის თეორია“ (Орехов 2008), რომელშიც განხილულია კორპორაციული მართვის ფორმირების რეტროსპექტივა და სხვადასხვა ეკონომიკური სკოლების მიერ წარმოდგენილ კორპორაციული მართვის თეორიები. ავტორი განსაკუთრებით ყურადღებას უთმობს კორპორაციათა მიერ მმართველობით

გადაწყვეტილებათა მიღების თეორიულ-მეთოდო-ლოგიური ბაზის ფორმირების საფუძვლებს.

კორპორაციული მართვის საკითხის კვლევაში ფართოდ არიან ჩართული ქართული მეც-ნიერ-ეკონომისტებიც, რომელთა შრომებში კორპორაციული მართვის პრობლემის კვლევა რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება:

1. მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილი განიხილავს კორპორაციული მართვის პრინციპებსა და სრულყოფის ძირითად მიმართულებებს. ასე, მაგალითად, ბ. ბიწაძე – მონოგრაფიაში „კორპორა-ციული მენეჯმენტის საფუძვლები“ – შეისწავლის კორპორაციის ადგილს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. ამასთან, ავტორი გვთავაზობს კორპორაციული მართვის პრინციპებს. მონოგრაფიაში გარკვეული ადგილი ეთმობა კორპორაციათა აქტივების მართვისა და დაფინანსების წყაროების კვლევის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით, მონოგრაფიაში ძირითადი ყურადღება გადატანილია კორპორაციული საქმიანობის ფინანსური ნაკადების ფორმირებისა და სრულყოფის პრობლემათა გა-დაჭრაზე (ბიწაძე 2009).

ამავე ასპექტით კორპორაციული მართვის პრობლემას ეხება ნ. ლაზვიაშვილი მონოგრაფიაში - „კორპორაციული მენეჯმენტი“. ავტორი განიხილავს კორპორაციული მართვის პრობლემებს სა-ქართველოში და გაანალიზებს კორპორაციათა მართვის ორგანოების ფუნქციებს, კორპორაციებში შიდა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკას, კორპორაციული კონტროლის გატა-რების შესაძლებლობებს და პერსონალის მართვის ფუნქციებს კორპორაციებში. ამასთან, ავტორი ყურადღებას ამახვილებს კორპორაციული საინვესტიციო საქმიანობის მართვასა და კორპორაციათა სადივიდენდო პოლიტიკაზე (ლაზვიაშვილი 2013).

2. მეცნიერ-ეკონომისტთა მეორე ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კორპორა-ციული ფინანსების მართვის საკითხებს. ასე, მაგალითად, რ. კაკულია და სხვ. ნაშრომში - „კორპო-რაციათა ფინანსები“ - ახასიათებენ კორპორაციული ფინანსების თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზას და განვითარების სპეციფიკას საქართველოში. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია კორ-პორაციული ფინანსების წყაროებისა და ფულადი ნაკადების ანალიზზე. ნაშრომში ასევე განხილულია კორპორაციათა კრედიტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები (კაკულია და სხვ. 2009).

კორპორაციული ფინანსების მართვის საკითხებზე ასევე საგულისხმოა დ. გადელიას მონოგ-რაფია - „კორპორაციული ფინანსები“, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია კორპორაციული ფინანსების ფორმირებასა და განვითარებაზე. აქ ავტორი განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა კორპორაციული ფინანსების ფორმირების წყაროები და სპეციფიკა საქართველოში, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების ადგილი

კორპორაციული ფინანსების მართვაში, ფინანსური კონ-ტროლის სახეები და მეთოდები (გადელია 2006).

3. ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა კორპორაციული მართვის განვითარების ტენდენციების განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით, ა. სვანიძე თავის სტატიაში - „რა არის კორპორაციული მართვა“ - ყურადღებას უთმობს კორპორაციული მართვის არსსა და მისი განვითარების ეტაპებს, კორპორაციული მართვის თავისებურებებს თანამედროვე პირობებში და გვთავაზობს წინადადებებს კორპორაციული მართვის ახალი ფორმების დანერგვის თაობაზე საქართველოს კორპორაციებში (სვანიძე 2003, №1).

ამავე ასპექტით, ნ. ლაზვიაშვილი სტატიაში - „მმართველობითი გადაწყვეტილების სტილი და მოდელები კორპორაციაში“ - ყურადღებას ამახვილებს კორპორაციულ მმართველობით გადაწყვეტი-ლებათა მიღების ფორმებსა და მეთოდებზე, პრიორიტეტულ მნიშვნელობას აძლევს კორპორაციულ მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების თანამედროვე მოდელის დანერგვის საკითხს და განიხილავს ამ მოდელის გავრცელების მდგომარეობას ქართულ კორპორაციებში (ლაზვიაშვილი 2013, №1). კვლევის აღნიშნული ასპექტი საყურადღებოა იმით, რომ ამ შემთხვევაში ძირითადი ყურადღება გადატანილია კორპორაციული მართვის სისტემის სრულყოფასა და მისი ცალკეული ელემენტების დახვეწაზე.

4. მრავალი ნაშრომი მიძღვნილი კორპორაციული მართვის სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე (ბურდული 2013). მათში ძირითადი აქცენტი გადატანილია კორპორაციული მართვის საკანონმდებლო-სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე, კორპორაციებში მმართველი სტრუქტურების ფორმირებასა და გამართულ საქმიანობაზე ზეგავლენის მომხდენ ფაქტორებზე.

ლიტერატურის მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ თითოეულ სკოლასა თუ ცალკეულ მეც-ნიერს დიდი წვლილი მიუძღვის კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების დამუშავებაში. ამასთან, ისიც იკვეთება, რომ განხილულ შრომებში კორპორაციული მართვის პრობლემების კვლევას მხოლოდ თეორიულ-ემპირიული ხასიათი აქვს.

გამომდინარე აქედან, ჩვენი სამეცნიერო სტატია მივუძღვებით იმის გაანალიზებას, თუ რა გამოწვევები არსებობს კორპორაციული მართვის წინაშე და როგორია მათი დამლევის პერსპექტი-ვები/პრიორიტეტები საქართველოში მოქმედ კორპორაციებში.

კვლევის შედეგები: კორპორაციული მართვის საკითხი საფონდო ბაზრის მოთხოვნებმა წარ-მოშვა. სადღეისოდ არ არსებობს „კორპორაციული მართვის“ საყოველთაოდ მიღებული, ერთიანი განმარტება, სამეცნიერო ბრუნვაში გვხვდება ამ ტერმინის რამდენიმე ვალიდური განმარტება.

ტერმინი „კორპორაციული მართვა“ (Corporate Governance) თავდაპირველად ათას ცხრაას ოთხმოცდა ოთხ წელს იხმარა რობერტ იან(ზობ) ტრიკერმა საკუთარი გამოკვლევის სათაურად და იგი მიჩნეულია ამ ტერმინის ფუძემდებლად.

რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის ყოფილი პრეზიდენტის - ჯეიმს ვულ-ფენსონის თვალსაზრისით, „კორპორაციული მართვა ეხება კომპანიების კეთილსინდისიერებას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას; ეფექტიანი კორპორაციული მართვა ისეთივე საკვანძოა ეკონომიკური განვითარებისათვის, როგორც ეფექტიანი საჯარო მმართველობა“ (CACG Guidelines – Principles of Corporate Governance in the Commonwealth towards global competitiveness and economic accountability; November, 1999: 1).

„ფინანსიულ თაიმს“-ში 1997 წელს გამოქვეყნებული განმარტების თანახმად, „კორპორაციული მართვა“, ვიწრო გაგებით, შეიძლება განიმარტოს, როგორც კომპანიის ურთიერთობა თავის აქციო-ნერებთან, უფრო ფართო გაგებით კი, - როგორც მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან. სხვა განმარტებით, „კორპორაციული მართვა“ არის ეკონომიკის დარგი, რომელიც იკვლევს, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი კორპორაციების ეფექტიანი მენეჯმენტი ისეთი მასტიმულირებელი მექანიზმებით, როგორიცაა კონტრაქტები, კანონმდებლობა“ (სვანიძე ა., კორპორაციული მართვა, 2003, №1: 4).

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Standard&Poor's იძლევა კორპორაციული მართვის შემდეგ განმარტებას: „კორპორაციული მართვა - ეს არის გზა, რომელიც კომპანიას აძლევს საშუალებას დანერგოს ორგანიზებისა და მართვის ისეთი მექანიზმები, რის მიხედვითაც კომპანიის ყველა ფინანსურად დაინტერესებული მხარე შეძლებს მიიღოს კომპანიის შემოსავლებისა და აქტივების სამართლიანი ფასი“ (D. Geeta Rani, R.K. Mishra; New Delhi, 2008: 237).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კორპორაციული მართვა შეიძლება განი-მარტოს, როგორც წესების, რეგულაციებისა და პროცესების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს კომპანიის საქმიანობის ვექტორს და მის წარმატებას. ამიტომ, მართებულად არის მიჩნეული მოსაზრება, რომლის თანახმად, „კორპორაციული მართვა არის სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიები იმართება, კონტროლდება და რეგულირდება ურთიერთობებით კომპანიის მენეჯმენტს, დირექტორ-თა საბჭოს, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის“ (ეთგო, კორპორაციული მარ-თვის პრინციპები, 2004: 11).

ეთგო-ს სპეციალისტების მიერ 2004 წელს შემუშავებულ კორპორაციული მართვის პრინცი-პებში წარმოდგენილია კორპორაციული მართვის

განხორციელების შემდეგი ერთიანი ინდიკატორები: (1) აქციონერთა უფლებები; (2) აქციონერთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა; (3) დაინტერესებულ პირთა როლი; (4) დიაღობა და ინფორმაციული გამჭვირვალობა; (5) სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებები (ეთგო, კორპორაციული მართვის პრინციპები, 2004: 109).

დაბოლოს, კორპორაციული მართვის სისტემის შეფასების განხორციელება შესაძლებელია მისი ეროვნული მოდელით. ამგვარი მოდელების ფორმირებაზე გავლენის მომხდენი მნიშვნელოვანი ფაქტორებიდან აღსანიშნავია შემდეგი: აქციების ფლობის სტრუქტურა; მთლიანი ფინანსური სისტემის სპეციფიკა; დაფინანსების წყაროების თანაფარდობა; საერთო მაკროეკონომიკური სიტუაცია და ეკო-ნომიკური პოლიტიკა; ქვეყნის პოლიტიკური სისტემისა და კულტურის განვითარების ისტორია და თავისებურებანი; სამეურნეო ურთიერთობების დამკვიდრებული პრაქტიკა; ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დოზა. ამ ფაქტორთა ხვედრითი წილის შესაბამისად, შესაძლებელია კორპორაციული მართვის ეროვნული მოდელის განვითარება და ჰარმონიზაცია ევროკავშირის საკანონმდებლო რეგულაციებთან.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს კორპორაციული მართვის მოდელების მრავალფეროვნება. ამის მიუხედავად, ყველა მათგანი შესაძლოა დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად: ანგლო-საქსურ, გერმანულ და იაპონურ მოდელებად.

კორპორაციული მართვის ანგლო-საქსური მოდელის თავისებურებანი უშუალოდ დაკავშირებულია აშშ-ში აქციონერული საკუთრების თავისებურებებთან. კერძოდ, ამერიკულ კორპორაციებში არ არსებობს მსხვილი, სხვა დანარჩენზე დომინირებული კაპიტალი (www.corpgov.net). ამასთან, აქციონერული კაპიტალი ამერიკულ კორპორაციებში მნიშვნელოვანი ხარისხით გაბნეულია. შედეგად, აქციონერთა არცერთ ჯგუფს არ შეუძლია წარადგინოს პრეტენზია დირექტორთა საბჭოში განსაკუთრებულ წარმომადგენლობაზე.

ამ მოდელის მეორე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ აქციათა უმრავლესობა არ ფლობს ინდივიდუალურ ინვესტორებს და თავმოყრილია ინსტიტუციური ინვესტორების საპენსიო და საპაიო ფონდების ხელში. ამ ინვესტორებს საკუთარ ხელში კონცენტრირებული აქვთ აქციონერული კაპიტალის 50%-ზე მეტი. ისინი არ ცდილობენ საკუთარი წარმომადგენელი ყავდეთ დირექტორთა საბჭოებში და, როგორც წესი, გაურბიან საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას საკუთრების უფლებიდან გამომდინარე იმ კომპანიებში, რომლებშიც ფლობენ აქციების მსხვილ პაკეტებს. აქციონერული კაპიტალის გაფანტულობა აადვილებს აქციების გადასვლას ერთი მესაკუთრის ხელიდან მეორის ხელში: წვრილ

აქციონერს უფრო იოლად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მისი კუთვნილი აქციების გაყიდვის შესახებ, ვიდრე მსხვილ აქციონერს, რადგან აქციების პაკეტის გაყიდვა მისთვის ხშირად სტრატეგიული გეგმების შეცვლის მომასწავებელია და შეიძლება მას მოჰყვეს დანაკარგები გასაყიდ აქციებზე საკუროსო ღირებულების დაცემის გამო.

კომპანიათა შერწყმა, ჩაყლაპვა, დაუფლება და გამოსყიდვა წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას ამერიკულ საფონდო ბაზარზე, რაც მათ აქცევს ინვესტორთა (აქციონერთა) მხრი-დან მენეჯერთა საქმიანობაზე კონტროლის მეტად ეფექტურ და იოლად რეალიზებად ინსტრუმენტად. თავისი არსით, ამერიკული კომპანიები წარმოადგენენ აქციონერების საკუთრებას. მაგრამ ამერიკული კანონებით, აქციონერების უფლებაა კომპანიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, რასაც მივყა-ვართ კომპანიის დირექტორების არჩევასთან, რომლებიც შემდგომ კომპანიას მართავენ მფლობელი აქციონერების სახელით. აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ხმის მიცემაში კომპანიის წესდების ამა თუ იმ დებულების შესაცვლელად, აირჩიონ და შეცვალონ დირექტორები, მოიწონონ ან უარყონ მნიშვნელოვანი „ორგანული“ ცვლილებები, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს კომპანიის გაქრობასთან (მისი შერწყმის ან გაყიდვისას).

კორპორაციული მართვის გერმანული მოდელი ამერიკულისგან განსხვავდება მთელი რიგი თავისებურებებით. კერძოდ, გერმანული აქციონერული კაპიტალის დიდი ნაწილი იმყოფება სხვა კომპანიების მფლობელობაში: კომპანიათა ურთიერთმონაწილეობის სისტემა, აქციათა ფლობის თვალსაზრისით, გერმანიაში მოიცავს ერთობლივი აქციონერული კაპიტალის ნახევარზე მეტს. თუმცა, ინდივიდუალური ინვესტორები არიან გერმანიაში აქციონერების მეორე მსხვილი ჯგუფი (მათ ხელშია გერმანულ კომპანიათა აქციების დაახლოებით 16%), მათი აქციების ძირითადი ნაწილი წარმოდგე-ნილია სერტიფიკატებით წარმომდგენზე, რომელსაც მათი მფლობელების მითითებით მართავენ ბან-კები, სადაც კონცენტრირებულია ინდივიდიალურ აქციონერთა აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამი-ტომ, თავისუფალ მიმოქცევაში მყოფ კომპანიათა აქციების უმეტესი წილი (90%-ზე მეტი) გერმანიაში მოდის ორგანიზაცია-ინვესტორებზე.

გერმანულ კომპანიათა აქციონერული კაპიტალი უმაღლეს დონეზეა კონცენტრირებული. გასული საუკუნის 90-იანი წლების რეესტრის მონაცემებით, 40 წამყვანი გერმანული კომპანიიდან 27 კომპანიაში ერთი აქციონერის პაკეტი შეადგენდა ერთობლივი კაპიტალის 10%-ზე მეტს, ხოლო, უმ-რავლეს შემთხვევაში, სამი ყველაზე მსხვილი აქციონერი, ერთობლიობაში, ფლობდა თავის კომპა-ნიათა აქციების 50%-ზე მეტს. ამრიგად, გერმანულ მფლობელებს და ფინანსურ ინსტიტუტებს, რომ-ლებიც

მართავენ მათ კაპიტალს, უფრო მჭიდრო საქმიანი კავშირები აქვთ თავიანთ კომპანიებთან, ვიდრე მათ ამერიკულ კოლეგებს და, როგორც შედეგი, ისინი უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი იმაში, რომ აქტიურად სარგებლობდნენ მესაკუთრის უფლებებით და ღებულობდნენ მონაწილეობას კომპანიის საქმიანობის კონტროლში.

გერმანიაში, აშშ-თან შედარებით, საფონდო ბაზარი უფრო ნაკლები ხარისხით არის განვითარებული. გერმანიის ეკონომიკაში ფუნქციონირებს 600-ზე მეტი ღია ტიპის კომპანია, რომელთა ერთი მეხუთედი წარმოდგენილია ლონდონის საფონდო ბირჟის სიებში და დაახლოებით ერთი მეათედი კოტირდება აშშ-ის ბირჟებზე.

აქციების გამოშვების გზით დაფინანსების მნიშვნელობის რამდენადმე გაზრდის მიუხედავად, გერმანული კომპანიებისათვის აქციონერული კაპიტალი არ წარმოადგენს ფინანსურ საშუალებათა ძირითად წყაროს. ტრადიციულად, ისინი იყენებენ ბანკების მომსახურებას, როგორც საგარეო დაფინანსების ძირითად წყაროს. შედეგად, გერმანელი აქციონერები შედარებით ნაკლებად ინტერესდებიან საფონდო ბაზრის საქმიანობით და, მათ ამერიკულ კოლეგებთან შედარებით, გააჩნიათ შეუდარებლად ნაკლები შესაძლებლობები – გამოხატონ საკუთარი უკმაყოფილება ამა თუ იმ კომპანიის მენეჯმენტის მიმართ, მათი აქციების მასობრივი გაყიდვისას. გერმანიაში, პრაქტიკულად, არ არსებობს „კორპორაციული კონტროლის“ ბაზარი, კომპანიათა შერწყმა და შთანთქმა ხორციელდება შთანთქმულ კომპანიათა მენეჯმენტის სურვილით, თავისუფალ ბაზარზე მათი აქციების შესყიდვის გზით. ასეთი ოპერაციების უმრავლესობა ხორციელდება ე.წ. „მეგობრული“ შერწყმის და შექმნის გზით. ამასთან, გერმანული კანონები კომპანიებს აძლევს უფლებას დააწესონ შეზღუდვები ხმის უფლებაზე ერთი აქციონერის კუთვნილი წილის შესაბამისად, რაც კიდევ უფრო აძნელებს აქციების გაყიდვების, როგორც მენეჯმენტზე კორპორაციული კონტროლის მექანიზმის, გამოყენებას.

გერმანული ეკონომიკის მრავალწლოვან ტრადიციას წარმოადგენს მისი სოციალური მიმარ-თულება, ორიენტაცია სხვადასხვა სოციალური ჯგუფების აქტიურ თანამშრომლობაზე, მთლიანობაში, ერის კეთილდღეობის ამაღლების სახელით. აღნიშნულმა მიიღო „ურთიერთგანპირობებულობის“ სახელწოდება, რომელიც იმ ცალკეულ ჯგუფებს, რომლებიც არ არიან მოცემული კომპანიის აქციონერები, მაგრამ დამოკიდებულნი არიან მის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე, შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებაში. ამასთან, საზოგადოებრივი ვალ-დებულებები კერძო საკუთრებაზე გერმანიაში უფრო გამოკვეთილი და მასშტაბურია, ვიდრე აშშ-ში.

იაპონური კორპორაციული მართვის თანამედროვე მოდელი თავის თავში მოიცავს იაპონიის განვითარების ორი ფაქტორის სიმბიოზს - ღრმა ტრადიციებსა და კულტურას და ომისშემდგომი პერიოდის გარე ძალების ზეგავლენას. ომისწინა პერიოდში, იაპონიის ეკონომიკა ეფუძნებოდა არც თუ ისე დიდი რაოდენობის საფინანსო-სამრეწველო კონგლომერატების „ზაიბატსუ“-ს საქმიანობას, რო-მელთა საკუთრებაც თავმოყრილი იყო რამდენიმე საოჯახო კლანის ხელში. მარშალის გეგმის რეა-ლიზაციამ (აშშ-ის სამართლებრივი რეგულირების კოპირებამ), რომელიც ითვალისწინებდა ომისშემ-დგომი ეკონომიკის აღდგენას, მოითხოვა ეკონომიკის დემილიტარიზაცია და დემონოპოლიზაცია და ასევე, „ზაიბატსუ“-ს დეზინტეგრაცია.

ამრიგად, შენარჩუნდა კონცენტრირებული კონტროლი კომპანიებზე იმ დროს, როდესაც ფორმალურად საკუთრება იყო მნიშვნელოვნად დაქსაქსული. ეს იყო ერთ ერთი იმ პროცესებიდან, რომელმაც იაპონია მიიყვანა თანამედროვე საფინანსო სამრეწველო ჯგუფების ე.წ. „კვირეტსუ“-ს ფორმირებამდე.

გამსხვილების პროცესი ხორციელდებოდა მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროებში, საბანკო სექტორის მოცვის გარეშე. შემდგომ, იაპონიის მთავრობამ შეიმუშავა განვითარების საკუთარი პროგ-რამა, ჩამოაყალიბა რა მისი პერსპექტიული მიმართულებები. დასახული მიზნების რეალიზაციისათვის, განხორციელდა არსებული ფინანსური რესურსების კონცენტრაცია და იგი განაწილდა ექვს მსხვილ ბანკს შორის. ბანკები ვალდებულნი იყვნენ, დამოუკიდებლად განეხორციელებინათ ინვესტიციური პროცესები, ყველა რისკის საკუთარ თავზე აღებით. ამ ბანკების გარშემო კონცენტრირებულ იქნა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა ჯგუფები.

იაპონურ ბიზნესში ბანკები იმდენად გავლენიანნი არიან, რომ თითოეული მჭიდრო ურთიერ-თობა რომელიმე მათგანთან. ასეთი ბანკი იწოდება მთავარ ბანკად. მათი ფუნქცია მრავალფერო-ვანია: ძირითადად, იგი კრედიტორია, მთავარი ბანკი წარმოადგენს პირველს ან მეორეს დაკრე-დიტების მოცულობის მიხედვით იაპონური მსხვილი კომპანიების 85%-სათვის. კომპანიათა 16%-სათვის იგი ყველაზე მსხვილი აქციონერია, 22%-ის შემთხვევაში სიდიდით მეორეა, ხოლო 15%-ის შემთხვევაში კი - სიდიდით მესამე.

იაპონური აქციონერული კაპიტალის სტრუქტურაში ინდივიდუალური ინვესტორების წილი უმნიშვნელოა. ეს განპირობებულია იმით, რომ კორპორაციული მართვის იაპონურ მოდელში ნაკლე-ბი ყურადღება ეთმობა ინვესტიციათა შემოსავლიანობას და ასეთი ინვესტიციების გაკეთება არ არის მიმზიდველი კერძო ინვესტორებისათვის. ამასთან, კორპორაციათა

ძირითადი მიზნები დაკავშირებულია საბაზრო წილის გაზრდასთან, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის ზეკონკურენტულ ეკონომიკას, რომელიც ახორციელებს ეროვნული სიმდიდრის ფორმირებას. მაგრამ ინდივიდიალური სიმდიდრე ფინანსური ინვესტიციების საშუალებით ამ დროს არ იქმნება, იმდენად, რამდენადაც ინვეტიციები არ არის მიზიდველი, მოსახლეობის დანაზოგები თავმოყრილია ბანკებში და, შესაბამისად, შუალედურად მონაწილეობენ საინვესტიციო პროგრამებში ბანკების მმართველობის ქვეშ.

კორპორაციული მართვის ზემოთ განხილულ მოდელებს აქვთ გარკვეული დადებითი და უარყოფითი მხარეები (Morck R., Nakamura M., *Journal of Finance*, 1999: 319).

ილუზია იქნებოდა გვეფიქრა, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სხვა-დასხვა ქვეყნების მოდელებისაგან დამოუკიდებლად გადაიჭრებოდა კორპორაციული მართვის ყველა პრობლემა. კონკრეტული მოდელის ფორმირება კონცეპტუალური და ვიწრო საგნობრივი დისკუსიების, ახალ-ახალი სამართალდარღვევების გამოვლენის, კორპორაციათა შიგა და გარე კონტროლის მექანიზმების ადექვატურად სრულყოფის, სამართლებრივი ბაზისა და ინვესტორთა დაცვის პერ-მანენტული პროცესია. ქვეყნების ეკონომიკური განვითარების რეალიებს, ასევე, თავისი მოდიფიკაციები შეაქვთ კორპორაციული მართვის პრაქტიკაში.

ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობა, დიდი ბრიტანეთის მსგავსად, „დაემორ-ჩილე ან განმარტე“ ანუ „comply or explain“ რეგულირების მექანიზმს მიმართავს. 1992 წლიდან, დიდ ბრიტანეთში, ქედბერის კოდექსის გამოქვეყნების შემდეგ, იგი ადაპტირებულ და გადამუშავებულ იქნა ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ. ამჟამად, ევროპული კორპორაციული მართვის მონაცემთა ბაზა დაახლოებით 350 კორპორაციული მართვის კოდექსს მოიცავს (www.ecgi.org/codes). მხოლოდ 2002 წელს, 30 ასეთი დოკუმენტი გამოქვეყნდა.

გერმანიაში, 2002 წლიდან, არსებობს კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც სავალ-დებულოა ყველა საბირჟო კოტირების მქონე სააქციო საზოგადოების გამგეობისათვის. აქვე, უნდა ავღნიშნოთ, რომ კოდექსი ორად არის გაყოფილი: (1) რეკომენდაციებად, ე.წ. აუცილებელ ნორმე-ბად, რომელთა გადახვევის უფლება გამგეობას აქვს, თუმცა, ამ შემთხვევაში ვალდებულია ყველა ამ გადახვევის შესახებ ღიად განაცხადოს და, (2) შეთავაზებებად, ე.წ. „შესაძლებელ“ და „სასურველ“ მითითებებად, რომელთა შესრულება ყოველგვარი გაცხადების გარეშეა შესაძლებელი (კორტი მ., 2003: 291). ქედბერის კოდექსმა მასობრივი ცვლილებები გამოიწვია. იგი ფოკუსირებულია ერთსა-ფეხურიანი მართვის სისტემაზე და აუდიტორების როლზე გაერთიანებულ სამეფოში.

ჰოლანდიური კოდექსი, რომელიც შემუშავებულ იქნა 2003 წელს, „დაემორჩილე“-ს ანაც-ვლებს „მიმართე“-თი, რაც კომპანიებს მეტი ლავირების საშუალებას აძლევს. კორპორაციული მარ-თვის პრინციპები აშშ-ში „რბილი სამართლის“ ანალოგს წარმოადგენს და არ ხასიათდება იმპერატი-ვიზმით. გარდა რბილი სამართლისა, აშშ-ის სამართლის სისტემაში გვხვდება ფედერალური აქტები, რომლებიც ნორმატიული ხასიათისაა. მათ შემუშავებას საფუძვლად დაედო სწორედ ეკონომიკური პრინციპები და წარმოქმნილი სირთულეები.

ჩვენ ვიზიარებთ პოზიციას, რომლის თანახმადაც არცერთი ამ მოდელთაგანი არ წარმოად-გენს სრულყოფილს. როგორც გერმანული, ისე იაპონური მოდელი „მნიშვნელოვნად ჩაკეტილია და ზღუდავენ მენეჯერებს“ (Граш Ч., 1994: 285).

გერმანიაში ბანკები ექსკლუზიურად ოპერირებენ რა საფონდო ბაზარზე და ფლობენ რა კორპორაციათა აქციების პაკეტებს, სულ უფრო მეტად ექვემდებარებიან კრიტიკას, რადგან ასეთი ფლობა ზიანს აყენებს ბანკის მეანაბრეთა ინტერესებს. ამავე დროს, სახეზე გვაქვს რეალური კონ-ფლიქტები: (1) ბანკის, როგორც საკრედიტო ორგანიზაციისა და ბანკის, როგორც სტრატეგიული ინვესტორის, ინტერესებს შორის; (2) ბანკის, როგორც სტრატეგიული ინვესტორის ინტერესებს და წვრილი აქციონერების - ფინანსურ ინვესტორების ინტერესებს შორის; (3) წარმომდგენზე აქციების ფლობა წინააღდეგობებს უქმნის აქციონერებს (განსაკუთრებით, უცხოელებს) საკუთარი უფლებების ეფექტიან რეალიზებაში.

ავილირებული აქციონერების იაპონური სისტემა, თავისი არსით, ლახავს „დამოუკიდებელი“ აქციონერების უფლებებს. დამატებით პრობლემებს პორთფელური ინვესტორებისთვის იაპონიაში, ასევე, ქმნის: პირველი - აქციონერებისათვის ყველა კრების ერთ დროს ჩატარების პრაქტიკა და მეორე - ნეგატიური დამოკიდებულება აქციონერების ინიციატივებისადმი.

ანგლო-საქსური მოდელი, თეორიულ დონეზე, ხასიათდება საკუთრების თავმოყრით, რომე-ლიც იწვევს აქციონერების პასიურობას. აქ კომპანიათა შერწყმის (შთანთქმის) ბაზარი განიხილება კორპორაციული კონტროლის მნიშვნელოვან საშუალებად; იგი კრიტიკას ობიექტია კომპანიებში სიტუაციის პოტენციური არასტაბილურობის გამო.

ამასთან ერთად, არსებობს პრაქტიკული და სამართლებრივი ხასიათის მთელი რიგი საერთო საკითხები, რომლებიც, როგორც ადრე, დღესაც რჩებიან დისკუსიის საგნად მოცემულ სფეროში (Шпотов Б., 2000).

მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს: (1) საკუთრების კონცენტრაციის (კონტროლის) ხა-რისხი როგორ მოქმედებს კორპორაციის აქციონერთა ურთიერთობებზე და მისი საქმიანობის საფი-ნანსო-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე; (2) როგორია თანაფარდობა კორპორაციაში დირექტორთა

საბ-ჭოს ფუნქციებსა, დირექტორთა საბჭოში აქციონერთა წარმომადგენლების განაწილებასა და საკუთ-რების ფაქტიურ განაწილებას (აქციების ფლობას) შორის; (3) რა ხარისხით უნდა იყვნენ ანგარიშვალ-დებულნი დირექტორთა საბჭოები აქციონერების წინაშე, როგორია სტიმულები მათ მიერ აქციონერთა ინტერესების ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელებისათვის, როგორია მათი პასუხისმგებ-ლობის საზომი კორპორაციის სტრატეგიის შემუშავებისას; (4) როგორია ოპტიმალური თანაფარდობა „შიდა შემსრულებლებსა“ და „დამოუკიდებელ“ დირექტორებს შორის დირექტორთა საბჭოს შემად-გენლობაში, ერთდროულად როგორ უზრუნველვყოთ დამოუკიდებელი დირექტორების შრომის უნა-რიანობა, სათანადო ინფორმირებულობა და დავადგინოთ მათი ჩარევის გონივრული საზღვრები; (5) სად იმყოფება ზღვარი კორპორაციაში სტრატეგიულ მართვას (კონტროლს) და ოპერატიულ მენეჯ-მენტს შორის, დირექტორთა საბჭოს წინაშე მენეჯერების ანგარიშვალდებულებასა და მენეჯერთა საქმი-ანობაში ამ უკანასკნელის ჩაურევლობას შორის; (6) როგორ უნდა გადავჭრათ (და საჭიროა თუ არა) „უბილეთო მგზავრობის“ ან „მძინარე პარტნიორების“ პრობლემა, როდესაც მსხვილ კორპორაციაში თითოეული წვრილი აქციონერი ცდილობს მენეჯერთა კონტროლი გადააბაროს სხვა აქციონერებს; (7) როგორ ეფექტიანად დავიცვათ წვრილ აქციონერთა უფლებები, რომ არ დაფუძვანთ მათი მხრიდან იმავდროულად მადესტაბილიზებული ქვევა; (8) ვის ინტერესებს (აქციონერები, ყველა ფინანსური ინვესტორი, კორპორაციის ყველა „თანამონაწილე“) უნდა წარმოადგენდეს დირექტორთა საბჭო, რა დანახარჯებს გამოიწვევს ეს, ვინ უნდა გასწიოს იგი, როგორ განაწილდება ეს დანახარჯები „თანამო-ნაწილეთა“ სხვადასხვა ჯგუფებს შორის; (9) საჭიროა თუ არა ცალკე იყოს წარმოდგენილი წვრილი და მსხვილი აქციონერების, ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მფლობელების ინტერესები.

არსებულ პრობლემათა უბრალო ჩამოთვლილიც კი იძლევა იმის მტკიცების შესაძლებლო-ბას, რომ კორპორაცია, გარკვეული თვალსაზრისით, განასახიერებს ინტერესთა შემდეგი კონფლიქ-ტების პოტენციურ კომპლექსს: (1) აქციონერებისა და მენეჯერების ინტერესთა კონფლიქტი („მოგება“ „ხელფასი“, „ეკონომია“ „პრესტიჟი“, „პორთფელური დაბანდებები“, „ძირითადი სამუშაო ადგილი“, „მაღალი მოგება“, „გაუთვალისწინებელი მდგომარეობის თავიდან აცილება“ და ა. შ.); (2) ინტერესების პირადი კონფლიქტი დირექტორთა საბჭოსა და მენეჯერებს შორის (ძალაშია კომპანიის აღმარულე-ბელი დირექტორების უფლებამოსილება ნარჩენი პრინციპით); (3) ინტერესების კონფლიქტი (ანგლო-საქსურ მოდელში) კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური (აღმასრულე-ბელი) დირექტორის თანამდებობათა

შეთავსებისას; (4) ინტერესების კონფლიქტი აქციონერთა სხვა-დასხვა ჯგუფებს შორის, მიზნებიდან გამომდინარე (მოკლევადიანი ან გრძელვადიანი მოგება, უსაფრთხოება და უსაფრთხო გრძელვადიანი ინვესტირება, სტრატეგიული კონტროლი ან ფინანსური ინ-ვესტიციები); (5) ინტერესების კონფლიქტი აქციონერთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის აქციათა პაკეტის სიდიდიდან გამომდინარე (მსხვილი აქციონერების მოქმედება წვრილი აქციონერების დასაზარალე-ზღად, ქონების გადანაწილებამდეც კი); (6) ინტერესების კონფლიქტი აქციონერებსა და კორპორაციის ობლიგაციის მფლობელთა შორის („ნარჩენი მოგების მაქსიმიზება“, „ფინანსური შემოსავალი ნასესხებ კაპიტალზე“, „სარისკო ოპერაციებიდან მთლიანი შემოსავალი“, „ძირითადი ზარალი წარუმატებელი ინვესტირებიდან“); (7) ანალოგიური ინტერესების კონფლიქტია აქციონერებსა და სხვა ფინანსურ ინ-ვესტორებს, სასესხო კაპიტალის წარმდგენებს (ბანკები და ა.შ.) შორის.

წარმოდგენილი კონფლიქტების გადაჭრა ან მათი შერბილება შესაძლებელია განხილულ იქნას, დადგენილი ნორმატივების თანახმად აქციონერთა ინტერესების დასაცავად, კორპორაციული მართვის სისტემის რეფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად.

უკანასკნელ პერიოდში, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, შეინიშნება კორპორაციული მართვის მოდელების დაახლოვების ტენდენცია (სხვადასხვა კომპონენტების და მექანიზმების ურთიერთშეთანაწყობით, ანუ, არა ცალმხრივი რეცეპციით, არამედ კონვერგენციით.

აშშ-ში, მაგალითად, იგი ვლინდება „ხმის“ ზეწოლის ზრდის ტენდენციაში ინვესტორთა მხრი-დან (ინსტიტუციურ ინვესტორთა წილის ზრდის შედეგად). იაპონიაში, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, შეინიშნებოდა კავშირების შესუსტება „კვირეცუს“ ფარგლებში ბანკებსა და ძლიერ კორპორაციებს შორის, რომლებსაც შესწევთ უნარი მიიღონ დაფინანსება საგარეო ბაზარზე. ანგლო-საქსური მო-დელის კრიტიკოსები ცდილობენ აქცენტი გააკეთონ „ხმაზე“. გერმანული და იაპონური მოდელის კრიტიკოსები გამოთქვამენ საკუთარ აზრს მათ დიდ გახსნილობაზე, მოქნილობაზე, „შესვლისა“ და „გამოსვლის“ სიმარტივეზე (Радыгин А.Д., Энтов Р.М., 2002: 51).

მთლიანობაში, თანამედროვე მსოფლიოში შესაძლებელია გამოვყოთ კორპორაციული მარ-თვის სისტემის სრულყოფის შემდგომი ძირითადი ტენდენციები:

- ▶ სააქციო საზოგადოებებში ღიაობასა და ინფორმაციულ გამჭვირვალობაზე მოთხოვნის გაძლიერება; □

- ▶ საზოგადოების მართვის უფლებაზმოსილ ორგანოებზე აქციონერთა მხრიდან კონტროლის გაძლიერება; □

▶ ემიტენტების გამჭვირვალობის გაუმჯობესება და მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნების დახვეწა;

▶ კანონმდებლობის დახვეწა წვრილ აქციონერთა უფლებების დასაცავად; ქაქციების ემისიის რეგ-ლამენტში და საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის გამკაცრება;

▶ აქციათა და ობლიგაციათა სამართლებრივი სტატუსის დაახლოვება, როგორც

▶ საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ინსტრუმენტი; □

▶ სხვადასხვა, იურიულად დამოუკიდებელ, მაგრამ ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებულ საზო-გადოებებს შორის ურთიერთობათა რეგულირების გამკაცრება.

ამრიგად, სტაბილური კორპორაციული მართვის მოდელის მქონე ქვეყნებშიც კი, არსებობს მრავალი პრობლემა, რომლებიც ართულებენ კორპორაციათა ფუნქციონირების ინსტიტუციურ და სამართლებრივ მხარეს. ამიტომ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კორპორაციული მართვის მოდელების ფორმირებისას ყველა მათგანი უნდა იქნას გათვალისწინებული.

კორპორაციული მართვის კუთხით, ევროკავშირისათვის, მნიშვნელოვანია „ლამ-ფალუსის პროცესი“. ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და არაპრაქტიკული აღმოჩნდა და მოკლევადიანი სირთულეებიც გამოიწვია, მაგრამ, მთლიანობაში, პოზიტიურად ფასდება. ლამფალუსის ძირითადი მიზანი ევროპული რეგულირებისა და საფინანსო სექტორის ზედამხედველობის გაძლიერება იყო, რაც გუ-ლისხმობდა სათანადო საკანონმდებლო ბაზისა და მისი აღსრულების ღონისძიებების შემუშავებას, წევრ სახელმწიფოებში იმპლემენტაციის ხელშეწყობასა და ეროვნულ კანონმდებლობათა ევროპის სამართალთან შესაბამისობაში მოყვანას.

დიდ ბრიტანეთში კორპორაციული მართვის სრულყოფის კუთხით ერთ-ერთ გარდამტეხ დო-კუმენტს წარმოადგენს კომპანიების აქტი, რომელიც დაინერგა ეტაპობრივად, თუმცა ჩანაცვლებულ იქნა 2009 წლის კორპორაციათა საგადასახადო აქტით (www.legislation.gov.uk). ეს აქტი, ფაქტობ-რივად, კორპორაციული მართვის კოდექსის ამომწურავი ვერსიაა და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: დირექტორთა ვალდებულებებისა და უფლებამოსილებათა განსაზღვრა; ევროგაერთიანების დირექტივების იმპლემენტაცია; რეგულაციების მოცვა კერძო და საჯარო კომპა-ნიებისათვის; ერთიანი წესრიგის დანერგვა დიდი ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში.

დირექტორთა ვალდებულებების განსაზღვრა აღნიშნული აქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა, მიიჩნევა, რომ აქტი განსაზღვრავს

დირექტორთა ვალდებულებების მხოლოდ მინი-მუმს, რომლის მიზანიც დირექტორთა მიერ პირადი სარგებლის მიღების მოტივაციის შემცირება და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხის გაზრდაა.

აქტის მიხედვით, დირექტორთა ვალდებულებებია: საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედება, რაც გულისხმობს დირექტორთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კომპანიის წესდების მოთხოვნებისა და აქციონერთა გადაწყვეტილების მიხედველობაში უპირობოდ მიღებას; კომპანიის წარმატების ხელშეწყობა - დირექტორები ვალდებული არიან, იმოქმედონ ამ სტრატეგიით, რაც ხელს უწყობს აქციონერების მდგომარეობის გაუმჯობესებას გრძელვადიან პერიოდში; მოქმედების შეზღუდვა, რაც გულისხმობს მოქმედებას მხოლოდ კომპანიის მიერ მინიჭებული უფლებამოსი-ლების ფარგლებში, იქნება ეს ხელშეკრულებით, თუ კომპანიის წესდებით მინიჭებული ფუნქცია; კომპანიაზე ზრუნვა და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება; მესამე პირისაგან სარგებ-ლის მიუღებლობა; დროული განცხადება კომპანიის აქციონერების წინაშე იმ სარგებლის შესახებ, რომელიც მან შესაძლოა მიიღოს კონკრეტული ტრანზაქციის შედეგად.

ევროკავშირის ქვეყნების კორპორაციულ მართვაში აუდიტის კომიტეტი ერთ ერთ ძირითად სტრუქტურულ ერთეულად ითვლება, რომლის ძირითადი დანიშნულებაც ფინანსური ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. კომპანიაში აუდიტის კომიტეტის შექმნის იდეა სერ ადრიან ქედბერს ეკუთვნის, რომელიც ასახულია ქედბერის კომიტეტის ანგარიშში. აუდიტის განხორციელების თაობაზე, ევროკავშირის დონეზე, რიგი ინსტრუმენტები არსებობს, მათ შორის სავალდებულო და არასავალდებულო, სავალდებულო მოთხოვნები და კრიტერიუმები აუდიტორებისათვის და მათი ზე-დამხედველობის სტანდარტები.

ამჟამად მოქმედი ძირითადი ინსტრუმენტია: აუდიტის დირექტივა (2006/43/EC), რომელიც მიზნად ისახავს ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ნდობის ჩამოყალიბებას უტყუარი და ობიექტური აუდიტის ანგარიშის მიმართ (European Communities (Statutory Audits) (Directive 2006/ 43/EC) Regulations 2010). დირექტივა აწესებს აუდიტორების მოვალეობებს და რიგ ეთიკურ პრინციპებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი ობიექტურობა და დამოუკიდებლობა. დირექტივა უზრუნ-ველყოფს საფუძველს დაბალანსებული და ეფექტური საერთაშორისო თანამშრომლობისათვის რე-გულირების სფეროში. მაგალითად, როგორცაა აშშ-ის საჯარო კომპანიების საანგარიშო საბჭოსთან თანამშრომლობა. გარდა ამისა, დირექტივამ უზრუნველყო დაბალანსებული და ეფექტური თანამ-შრომლობა ე.წ. „მესამე ქვეყნების“ მარეგულირებლებთან.

აუდიტის როლს აშშ-ის კორპორაციულ მართვაში მთელი რიგი თავისებურებები გააჩნია. 1999 წლის დეკემბერში, ორმა უმსხვილესმა ფასიანი ქაღალდების ბირჟამ NYSE-მ და NASDAQ-მა განაახ-ლა ფინანსური გამჭვირვალობის მოთხოვნები აშშ-ის უმსხვილესი კომპანიებისათვის, რაც გულისხმობდა აუდიტის კომიტეტის სავალდებულო არსებობას, სულ მცირე სამი დირექტორის შემადგენლო-ბით. თავის მხრივ, აღნიშნული ცვლილება განხორციელდა SEC-ის (აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისია) მოთხოვნის თანახმად, რომელიც ემყარებოდა Blue Ribbon Committee-ს რეკომენდაციებსა და ანგარიშებს კორპორაციული აუდიტის კომიტეტის გაუმჯობესებისათვის. თავის მხრივ, SEC-მა გაამ-კაცრა ღიაობისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებიც, რომლის ძირითადი მიზანიც იყო აუდიტის კომი-ტეტის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან, ნიუ-იორკის და ამერიკის სხვა ბირჟები, ისევე, როგორც Nasdaq-ი, ითხოვდნენ სავალდებულო და დამოუკიდებელი კომიტეტების არსებობას კომპანიებში. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქცია კომპანიის ფინანსური ანგარიშვალ-დებულების ზედამხედველობაა. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მუდმივი შეხვედრების უზრუნველ-ყოფით, როგორც დამოუკიდებელ აუდიტორებთან, ასევე, კომპანიის ფინანსისტებთან, რათა შესწავ-ლილ იქნას კომპანიის მიმდინარე საქმიანობა, ფინანსური ანგარიშები და აუდიტის პროცესი.

კორპორაციული მართვის საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით, ეთგო-ს კორპორა-ციული მართვის სისტემა შემდეგ ოთხ ძირითად ღირებულებას ეფუძნება: (1) სამართლიანობა; (2) პასუხისმგებლობა; (3) გამჭვირვალობა; (4) ანგარიშვალდებულება (კორპორაციული მართვის სახელ-მძღვანელო, 2010).

ჩვენი აზრით, სწორედ ეთგო-ს აღნიშნული პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად საქართვე-ლოს ახალი კორპორაციული მართვის კოდექსის შემუშავებას.

დაბოლოს, კორპორაციული მართვის მოდელების განხილული ღირსებები და შეზღუდვები, ასევე, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით მათი დაახლოვების ტენდენციები განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, დიდ ინტერესს იწვევს საქართველოსთვის, სადაც მიმდინარე-ობს კორპორაციული მართვის ეფექტიანი მოდელის ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით ფორმირება. დღეისათვის, იგი არის მთავარი პირობა ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლი-მატის ფორმირებისათვის და უმნიშვნელოვანეს ელემენტს კონკურენტუნარიანი ქართული კომპანიე-ბის ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოში, კორპორაციული მართვის ფორმირების ლოგიკა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ეფუძნებოდა საფონდო ბაზრისა და კორპორაციული მართვის ანგლო-საქსურ მოდელზე ორიენტირებული ინსტიტუტების მასირებულ იმპორტს. საქართველოს პირობებში, ამ მოდელის რეა-ლიზაციისათვის გადადგმული იქნა შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯები: (1) „ვაუჩერული“ პრივატიზება, ყოფილი სახელმწიფო საწარმოების იძულებითი გარდაქმნა ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად და მათი აქციების გავრცელება დიდი რაოდენობის წვრილ აქციონერებს შორის; (2) საფონდო ბაზრისა და მისი ინფრასტრუქტურის (ბირჟები, ბროკერები, დეპოზიტარები და რეგისტრატორები) ფორსირებული განვითარება; (3) კოლექტიური ინვესტიციების ინსტიტუტების (საჩეკო და საპაიო საინვესტიციო ფონდები, არასახელმწიფო საპენსიო ფონდები) ფორმირება.

რეფორმების ორგანიზატორთა მხრიდან მოიაზრებოდა, რომ აქციების გაბნევა, დიდი რაოდენობით წვრილ აქციონერთა შორის, გახდებოდა საფონდო ბაზრის მაღალი ლიკვიდობის წინაპირობა, ასევე, იგი უზრუნველყოფდა გარე ინვესტორების პრივატიზებულ საწარმოთა აქციებზე ხელმისაწვდ-ომობას (მეორად ბაზარზე ოპერაციების საშუალებით). თავის მხრივ, საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება გამოიწვევდა ტრანზაქციათა ხარჯების შემცირებას და წვრილ აქციონერებს მისცემდა ხმის მიცემის საშუალებას კომპანიის ხელმძღვანელობის პოლიტიკასთან მათი უთანხმოების დროს. საინვესტიციო ინსტიტუტებს კი საშუალება მიეცემოდათ, განეხორციელებინათ წვრილ აქციო-ნერთა აქციების აკუმულირება და უფრო ეფექტურად დაეცვათ მათი ინტერესები, შესაბამის საწარ-მოთა მენეჯმენტის გაკონტროლებით.

მაგრამ, პრაქტიკაში ამ ვარაუდის რეალიზაცია მხოლოდ ნაწილობრივ გახდა შესაძლებელი. კორპორაციული კანონმდებლობის სფეროში ინსტიტუტების ინტენსიურმა იმპორტმა და საკუთრების გაბნევამ მასობრივი პრივატიზების ფარგლებში შეუძლებელი გახადა პრივატიზების „ინსაიდერულ“ მოდელზე მოთხოვნის ნეიტრალიზება. ყოფილი სახელმწიფო საწარმოების მენეჯერების მხრიდან, უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში, კორპორაციულ სექტორში ნათლად შეიმჩნეო-და ორი ტენდენცია: (1) საკუთრების კონცენტრაცია და კონტროლი აქციების 75%-იანი პაკეტების შეძენით; (2) სააქციო საზოგადოებების მაქსიმალური დახურულობა და საქმიანობის გაუმჭვირვალობა მსხვილ საწარმოებზე კორპორაციული კონტროლის რთული სისტემის ფორმირების ფარგლებში, მრავალრიცხოვანი აფილირებული ფირმებისა და ოფშორული კომპანიების საშუალებით.

ამ ორი ტენდენციის საფუძველზე ჩამოყალიბებული კორპორაციული მართვის ქართული მოდელის ყველაზე მნიშვნელოვან სპეციფიკურ მახასიათებლად გვევლინება შემოსავლის მიღება აქციონერული საკუთრებიდან არა მოგების ხარჯზე, არამედ, საზოგადოების ფინანსურ წყაროებზე დომინანტი აქციონერის ხელმისაწვდომობით. მიღებული პრაქტიკით, ტრანსფერული ფასწარმოქმნის მექანიზმის საშუალებით, თანხების დაუფლება ხდებოდა წამყვანი კომპანიებიდან, დომინანტი აქციონერის ან მაღალი დონის მენეჯერ(ებ)ის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, რეალურად, ადგილი ჰქონდა კომპანიის მართვაში არა მონაწილე წვრილი აქციონერების, მათ შორის, კომპანიაში დასაქმებული წვრილი აქციონერების ინტერესების იგნორირებას.

საქართველოში, სადღეისოდ, არსებული ბიზნეს გარემოს ყველაზე პოპულარული ტენდენცია არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა და IPO-ზე (პირველადი საჯარო შეთავაზება) გასვლის პერსპექტივების უზრუნველყოფა. ამის გათვალისწინებით, კომპანიისათვის მეტად მნიშვნელოვანია კორპორაციული მართვის საკითხების მოგვარება.

საგულისხმოა, რომ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში კორპორაციული მართვის დონის გამართულობას აფერხებს ინფორმაციული და ფინანსური რესურსების ნაკლებობა, კვალიფიციური სპეციალისტებისა და მმართველი ორგანოების მხრიდან საკმარისი ინტერესის არარსებობა.

გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს კორპორაციების მხრიდან ინფორმაციის არასაჯაროობა. კერძოდ, კომპანიები არ ახდენენ წლიური ანგარიშების გამოქვეყნებას და ამიტომ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, მათ შორის, წვრილი აქციონერებისათვის.

ამავე დროს, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველოში, იწყება პროგრესული კორპორაციული კონონმდებლობის ფორმირება. კერძოდ, 1994 წლის 28 ოქტომბერს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომლის საშუალებითაც, დარეგულირდა ქვეყანაში მეწარმეობის სფეროში მოქმედი მეწარმე სუბიექტების იურიდიული სტატუსის და საქმიანობის ფორმები. 1998 წლის 24 დეკემბრიდან, ამოქმედდა საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, რომლის საფუძველზე, ქვეყანაში შეიქმნა საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორები, ცენტრალური დეპოზიტარი და ფასიანი ქაღალდების ბრუნვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. 1996 წლის 25 ივნისს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“, რომლის რედაქტირებაც განხორციელდა 2007 წლის მარტში და, საბოლოოდ, კანონმა მიიღო სახელწოდება - „გადახდის უუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, რომლის საფუძველზეც,

სასამართლო ორგანოებს საშუალება მიეცათ დაეწყოთ საწარმოთა გაკოტრების პროცესი.

1995 წლის 7 თებერვალს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, რომლის საფუძველზეც, განისაზღვრა აუდიტორული საქმიანობის წარმართვის წესები და პირობები, სახელმწიფო და კერძო აუდიტორული მომსახურების თავისებურებები. 1999 წლის 5 თებერვალს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების რეგულაციების შესახებ“. ამ კანონის საფუძველზე, ნორმატიულ ჩარჩოებში მოექცა ქვეყნის საწარმოებში აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, ხოლო, უკვე 2000 წლიდან, აქტიურად დაიწყო გადასვლა ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების სფეროში, მეტად მნიშვნელოვანია, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მიღებული 1995 წლის ივნისში. აღნიშნული წინადადგმული ნაბიჯი იყო კორპორაციული მართვის განვითარების საქმეში. მიუხედავად ამისა, საქართველოში, კორპორაციულ მართვასთან კავშირში მყოფი საკანონმდებლო ბაზა და-რიბია - საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“ გაუგებარია ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი, ასევე, გაურკვეველია მნიშვნელოვანი დებულებები კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“.

საგულისხმოა, რომ საქართველოში კომერციული ბანკებისათვის, 2009 წლიდან, მოქმედებს კორპორაციული მართვის კოდექსი. ეს არის ნებაყოფლობითი კოდექსი, რომელიც ემორჩილება პრინციპს „დამორჩილე ან განმარტე“. მისი მიღების შემდეგ, კომერციული ბანკები შეუერთდნენ კორპორაციული მართვის კოდექსს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ბანკებს დანერგონ პასუხისმგებლობის გამიჯვნასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დალაგებასთან, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან დაკავშირებული კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმები.

ამ კოდექსის რეკომენდაციათა თანახმად, საქართველოში მოქმედი ყველა ბანკი ითვალისწინებს კოდექსით დადგენილი ნორმების არსს და ყოველწლიურად ამზადებს კორპორაციული მართვის ანგარიშს. თითოეული ბანკის ასეთი ანგარიში სრულ შესაბამისობაშია კოდექსის მოთხოვნებთან, ხოლო განსხვავების შემთხვევაში, განმარტებულია მიზეზები, რატომ არ შეასრულა აღნიშნული მოთხოვნები ბანკმა. კოდექსით რეკომენდებულია, რომ თითოეულმა ბანკმა შეიმუშაოს მმართველი ორგანოების, სამეთვალყურეო საბჭოს და კომიტეტების შესახებ შიდა დებულებები. თითოეული დებულება უნდა მოიცავდეს ამ ორგანოს სტრუქტურულ

მხარეს, შემადგენლობას, უფლებამოსილებას, ვალდე-ბულებებს, ანგარიშვალდებულებასა და ნებისმიერ პროცედურულ საკითხებს, რომელიც უკავშირდება მის ფუნქციონირებას.

ამდენად, საქართველოში მოქმედი კორპორაციული მართვის საკანონმდებლო ბაზა დასახ-ვეწი და გასაფართოვებელია, რომლის განხორციელებაც ახლო მომავლის პერსპექტივაა. დღეისათვის, შესაძლებელია, გამოვეყნოთ კორპორაციული მართვის ქართული მოდელის ფორმირებისათვის დამახასიათებელი შემდეგი ასპექტები: (1) გარე აქციონერული დაფინანსების ალბათობა რჩება ძალი-ან დაბალი; (2) საქართველოს საფინანსო სისტემის თანამედროვე მდგომარეობა არ იძლევა იმის სა-შუალებას, რომ შევფასოთ საქართველოს კორპორაციული მართვის სისტემის სავარაუდო მიდრეკი-ლება რომელიმე კლასიკური ნიმუშისადმი; (3) აქციონერული კაპიტალის კონცენტრაცია წარმოად-გენს თვალნათლივ პროცესს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება არა მარტო კონტროლის კონ-სოლიდაცია, არამედ კორპორაციული მართვის „თვითკმარი“ მოდელის რეალიზაცია ეკონომიკური მეთოდებით; (4) სამართლებრივმა ნოვაციებმა საკუთრივ კორპორაციული სამართლის სფეროში, არსებული ეკონომიკური პირობების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ხარისხით მიაღწია თავის ზღვარს; (5) აქციონერთა უფლებების დაცვის მეთოდები ვერ ჰპოვებენ შემდგომ განვითარებას, სამარ-თლებრივი გამოყენების სფეროში ადექვატური საერთო ღონისძიებების გატარების გარეშე.

აღნიშნულის შედეგად, მთელი რიგი ემპირიული და სამართლებრივი მონაცემების გათვა-ლისწინებით, დღეისათვის, შესაძლებელია, ვილაპარაკოთ სტაბილურ და ფუნდამენტურ წინააღმდე-გობებზე კორპორაციული მართვის ქართულ ფორმირებად მოდელში. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნულ მოდელში არსებობს ორი პრინციპულად ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომა: (1) სააქციო კაპიტალის კონცენტრაცია, რომელიც ითვალისწინებს აქციონერთა სამართლებრივი დაცვის მინიმალურ საშუალებებს; (2) ანგლო-საქსური სამართლებრივი ტრადიცია, მისთვის დამახასიათე-ბელი მინორიტარული აქციონერების სამართლებრივი დაცვის საშუალებების მაქსიმუმებით.

ამ ორი მიდგომის შერწყმამ მიგვიყვანა ურთიერთნეიტრალიზების უნიკალურ სიტუაციასთან: ერთი მხრივ, აქციონერული კაპიტალის კონცენტრაციამ და თანდათანობით წვრილი აქციონერების გაქრობამ, პრინციპში, დაბლა დასწია ფართო სამართლებრივი ინსტრუმენტარიუმის მნიშვნელობა მინორიტარების დაცვის თვალსაზრისით კორპორაციულ სექტორში მთლიანობაში, მცირე აქციონე-რების დაცვის ინსტრუმენტები კი, ტრანსფორმირდებიან კორპორაციული შანტაჟის ინსტრუმენტებად; (2) მეორე მხრივ, აქციონერთა დაცვის სამართლებრივი საშუალებების გაშლილი

სისტემის შექმნა, თავის მხრივ, აკავებს კაპიტალის კონცენტრაციის შემდგომ პროცესს.

კორპორაციებში, სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების ანალიზმა გვიჩვენა, რომ განსა-ხილველ პერიოდში, ერთი მსხვილი აქციონერის წილი საქართველოს კომპანიებში მერყეობს 32-36%, ხოლო სამი მსხვილი აქციონერის წილი კი - 41-47% ფარგლებში. აქვე, კვლევებმა დაგვანახა, რომ სამ უმსხვილეს აქციონერს შორის დირექტორატის წევრები დასახელდნენ 74,6% შემთხვევაში და ადგილობრივი პირები (საბჭოს წევრთა გარდა) 56,6% შემთხვევაში. სამ უმსხვილეს აქციონერს შორის საკონ-ტროლო პაკეტის ფლობის თვალსაზრისით, დირექტორატის წევრები აღმოჩნდნენ ისინი, ვინც ყველაზე ხშირად დასახელდნენ უმსხვილეს აქციონერებს შორის (36,1%), სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მეორე ადგილზე გავიდნენ (30,6%). აქედან შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოქმედი კორპორაციული სამართლის პირობებში (შთანთქმის პირობებში) საშუალო დონის კონცენტრაციამ მიაღწია ფორმალურ ზღვარს.

უფრო ოპტიმისტური ინტერპრეტაციით, შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის, საქართველო-ში, მიღწეულია ერთგვარი „მოდელური“ ბალანსი კონცენტრაციის დონესა და წვრილი აქციონერების ინტერესების დაცვის ღონისძიებების გარკვეულ ანაკრებს შორის. ოპტიმიზმის ელემენტი მდგომარე-ობს იმაში, რომ მოხდა სისტემის ერთგვარი სტაბილიზაცია, თუმცა, მაკონტროლებელი აქციონერების უმრავლესობა, ისევე მოქმედებს, როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენელი. იმ კომპანიებშიც კი, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფენ მფლობე-ლობასა და კონტროლს, ხშირად ეს მხოლოდ ქაღალდზეა წარმოდგენილი. ასეთ კომპანიებში სახეზე გვაქვს ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის სუსტი სტრუქტურები, ინფორმაციის გამჟღავნების სუსტი მექანიზმები. ქვეყანაში ძირითადი ბიზნეს ჯგუფები ჰოლდინგური კომპანიების სახით აკონტრო-ლებენ კომპანიებს დარგების უმრავლესობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლდინგური სტრუქტურები შესაძლებელია ემსახურებოდნენ სამართლებრივ მიზნებს, კომპლექსურ ბიზნეს სტრუქტურებს, აქციე-ბის ჯვარედინ მფლობელობას, პირამიდის სტრუქტურებს და სხვა მექანიზმებს შეუძლიათ მფლობე-ლობის ბუნდოვანი სისტემის შექმნა, რის გამოც კომპანიები რთულად გასაგები ხდება აქციონერებისა და ინვესტორებისთვის.

საქართველოში, კორპორაციული მართვის სისტემაში, სახეზე გვაქვს გამოუცდელი და არა-ადექვატური კორპორაციული ორგანოები. კერძოდ, 1994 წელს კანონით განისაზღვრა სამეთვალ-ყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს ინსტიტუტები, მაგრამ 2008 წლის მარტში,

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში მნიშვნელოვანი ცვლილება იქნა შეტანილი. კერძოდ, სამეთვალ-ყურეო საბჭოს არსებობა სავალდებულო გახდა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, სხვა შემთხვევებში კი, სამეთვალყურეო საბჭოებს შექმნა კომპანიის გადასაწყვეტია. სამწუხაროდ, ქართულ ეკონომიკაში იშვიათად გვხვდება ძლიერი, სიცოცხლისუნარიანი და დამოუკიდებელი კორპორაციული ორგანოები.

საქართველოში, კორპორაციული მართვის პრინციპების დამკვიდრებისათვის, აუცილებელია კომპანიათა კორპორაციული მართვის კოდექსის დამუშავება/მიღება, რაც წარმოადგენს განაცხადს კომპანიათა კორპორაციული მართვის შესახებ. იგი გამიზნული უნდა იყოს იმაზე, რომ მართვის სტრუქტურა გახდეს უფრო გამჭვირვალე. კომპანიათა კორპორაციული მართვის კოდექსის შემოღებით და სისტემატური განახლებით ქვეყანა აკეთებს განაცხადს იმაზე, რომ ადასტურებს კორპორაციული მართვის სანიმუშო პრაქტიკის დემონსტრაციულად წარმართვისა და დამკვიდრების სურვილს.

საქართველოში არსებული სამეწარმეო ურთიერთობებიდან გამომდინარე, როდესაც არ არსებობს კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო პრინციპებიც კი, რთულია მსჯელობა ე.წ. „რბილი სამართლის“ მართებულობაზე, საწყის ეტაპზე გამართლებულად მიგვაჩნია სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების შემუშავება, რომელიც პრაქტიკული გამოყენების შედეგად, მოგვცემს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და სრულყოფის საშუალებას.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს, უპირატესად, დაკავშირებული იყო „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონებში შეტანილი რადიკალური ცვლილებებით, რომლებმაც მიგვიყვანა ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის გამჭვირვალობისა და, და შესაბამისად, ანგარიშგების საჯაროდ წარდგენის ვალდებულების მქონე კომპანიების რაოდენობის შემცირებასთან.

ნიშანდობლივია, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში „ანგარ-რიშვალდებული საწარმოს“ განმარტების შეცვლის შედეგად, რაც გულისხმობდა „ანგარიშვალდე-ბული საწარმოს“ განმარტების მდგენელის - „ნებისმიერი ემიტენტი, რომელსაც ჰყავს 100-ზე მეტი აქცი-ონერი“ - ამოღებას განმარტებიდან, მნიშვნელოვნად შემცირდა იმ კომპანიების რაოდენობა, რომელ-თაც ჰქონდათ ანგარიშგების საჯაროდ წარდგენის ვალდებულება. შედეგად, გამჭვირვალობის კუთ-ხით მდგომარეობა არსებითად გაუარესდა.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში მომხდარ ცვლილებათა გამო, ქვეყნის სააქციო საზოგადოებების გამჭვირვალობა, პროგრესის ნაცვლად, განიცდის რეგრესს. ორი ათას ჩვიდმეტ წელს არსებული ექვსას სამოცდა თხუთმეტი აქტიური სააქციო საზოგადოებიდან, მხოლოდ ორას ორ-მოცდა თვრამეტი იყო „ანგარიშვალდებული საწარმო“. ამ რაოდენობიდან მხოლოდ ორმოცდა თერთმეტი საწარმო წარადგენდა წლიურ და პერიოდულ ანგარიშგებას. ყოველივე აღნიშნული უარ-ყოფითად მოქმედებდა ინვესტორების დაინტერესებაზე.

ჩვენს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას ამწვავებს ისიც, რომ უცნობია ქართულ სააქციო საზოგადოებათა ფინანსური მდგომარეობა. საქართველოში, მეზობელი ქვეყნებისაგან განსხვავებით, სააქციო საზოგადოებებს არ მოეთხოვებათ ზოგადი საფინანსო ინფორმაციის საჯაროდ წარდგენა. ჩვენ-თან დამკვიდრებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის სავალდებულობას ფასების შესახებ პოტენციური მყიდველებისა თუ გამყიდველებისათვის. დღეისათვის, საქართველოში მოქმედი მსხვი-ლი ემიტენტები კაპიტალის უმეტეს ნაწილს, ადგილობრივი ბაზრის გვერდის ავლით, უცხოური ბაზრე-ბიდან მოიზიდავენ.

უახლოეს მომავალში, ქართული ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართლებრივი ბაზის გადა-ხედვის ძირითადი მამოტივირებელი მოვლენა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება იქნება. ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით, უნდა განხორციელდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჰარმონიზება ევროკავშირის პოზიციებთან და მიდგომებთან. ეს ვარაუდობს ოცდა ორი დირექტივისა და რეგულაციის შინაარსის ჩართვას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ მოქმედ კანონში.

ამასთან დაკავშირებით, საუკეთესო ვარიანტად ვთვლით ქართული კაპიტალის ბაზრის საკანონმდებლო ცვლილებების ორ ეტაპად განხორციელებას. საწყის ეტაპზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას ყველა საკანონმდებლო ცვლილების მომზადება და ევროკავშირის საკანონმდებლო-სამართ-ლებრივ ბაზასთან დაახლოება, მეორე ეტაპზე კი უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის სრულყო-ფის დარჩენილი სამუშაოები.

კორპორაციული მართვის საკანონმდებლო ნაკლოვანებების დასაძლევად, ცვლილებები არის შესატანი საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“, რამდენადაც დასახელებული კანონი თითქმის არაფერს ამბობს კანონით განსაზღვრულ აქციონერთა უფლებებზე. ეს განსაკუთრებით საგ-რძნობია 54-ე, 532-ე და 534-ე მუხლებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან მე-4 თავის (ორმოცდამეთერთმეტე - ორმოცდამეცხრამეტე მუხლების ჩათვლით) ამოღება. აღნიშნულ-ლის ნაცვლად, დასამუშავებელია ახალი კანონი „სააქციო საზოგადოებების შესახებ“, რომლითაც დარეგულირდება სააქციო საზოგადოებათა მართვა და გათვალისწინებული იქნება კორპორაციული მართვის ღიაობისა და გამჭვირვალობის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან დაკავშირებულ-ლი ყველა დეტალი.

ახალ კანონში უნდა შესწორდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ორმოცდამეთ-ხუთმეტე მუხლის მე-2 ნაწილის საკანონმდებლო ხარვეზი, რომლის მიხედვით დირექტორი იმავდრ-ოულად შეიძლება იყოს ამ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. კომპანიებში, „კა-რგი“ კორპორაციული მართვის კუთხით, აუცილებელია მმართველობისა და კონტროლის გამიჯვნა.

ახალ კანონში, ანგარიშვალდებული საწარმოს განმარტებასთან მიმართებაში, აღდგენილი უნდა იქნას „აქციონერთა რაოდენობის ტესტი“, განისაზღვროს საანგარიშგებო ვალდებულებები ცალ-კეული დონეების შესაბამისად, დაევალოს ყველა სააქციო საზოგადოებას ზოგადი საფინანსო ინფორ-მაციის სისტემატურად მიწოდება და სხვ.

საგულისხმოა, რომ საქართველოში კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა სისტემატურად იცვლება. ასე, მაგალითად, კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზ-რის შესახებ“, მისი ამოქმედებიდან (1998 წ.), ცხრამეტჯერ შეიცვალა; 1996 წელს მიღებულმა კანონმა „მეწარმეთა შესახებ“ ორმოცდამეცხრამეტე განიცადა ცვლილება; 2012 წლის ივნისში ამოქმედებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ ხუთჯერ შეიცვალა, ხოლო 2013 წლის ივლისში მიღებულმა კანონმა „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ სამჯერ განიცადა ცვლილებები.

მსგავსი მიდგომა, ჯერ ერთი, გარკვეულ უნდობლობას წარმოშობს კანონის ავტორიტეტის მი-მართ; მეორე, ართულებს კანონის უკანასკნელი ვარიანტით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე თვალყურის მიყოლებას; მესამე, ქმნის ისეთ წარმოდგენას, რომ მიმდინარე საკითხებზე გამოდევ-ნებულ კანონშემომქმედს არ აქვს გრძელვადიანი თვალსაწიერი; და ბოლოს, აყალიბებს უცხოელი ინვესტორებისათვის არასტაბილურობის გრძნობას.

ინვესტორების მოზიდვის სტიმულირებასთან მიმართებაში, აქვე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ დროს საქართველომ გააუმჯობესა შესაბამისი კანონების, გარდა „ფასიანი ქაღალ-დების ბაზრის შესახებ“ და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონებისა, ხელმისაწვდო-მობა ინგლისურ ენაზე, რაც ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო

მაცნეს (www.matsne.gov.ge) ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე. ამასთან, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და „მიკროსა-ფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონების არაოფიციალური თარგმანები მოიძებნება ინტერნეტ სივრცეში.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების ფარგლებში, დახვეწას მოითხოვს 2013 წლის ივლისში ამოქმედებული საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ საქართველოში არ მოქმედებს სპეციალური კანონები იპოთეკით უზრუნველ-ყოფილი ობლიგაციების ან სექიურითიზაციის თაობაზე. ამ ხარვეზის დაძლევა მეტად საჭირობოტო და სადღესია.

საქართველოში კორპორაციული მართვის პრობლემების მინიმუმამდე დასაყვანად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების კორპორაციული მართვის გამოცდილებაზე დაყრდნობით, აუცილებლად ვთვლით საქართველოს სამეწარმეო სექტორისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამუშავებას. ამ კოდექსის ამოქმედებით უზრუნველყოფილი იქნება სააქციო საზოგადოებებში მმართველი ორგანოების გამართული ფუნქციონირება, მმართველ ორგანოთა შორის უფლება-მოვალეობების სწორი გადანაწილება, კომპანიათა საქმიანობაზე შიგა კონტროლის გაძლიერება, ჩატარებული ოპერაციების ეფექტურობის ამაღლება, საფინანსო ანგარიშგების საიმედოობის ამაღლება, კომპანიებში ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირება და საქმიანობის გამჭვირვალობისთვის განსაზღვრული საერთო ნორმების აღსრულება.

ამდენად, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის ანალიზის შედეგად, შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში კორპორაციული მართვის გა-საუმჯობესებლად საჭიროა კორპორაციული მართვის ახალი კოდექსის დამუშავება სამეწარმეო სექტორისათვის, არსებითი ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“, საქარ-თველოს კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება კორპორაციული მართვის ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის თანამედროვე სტანდარტების მიღწევა.

კორპორაციული მართვის სრულყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მისი ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება. ეთგო-ს კორპორაციული მართვის პრინ-ციპებიდან გამომდინარე, ინფორმაციის ღიაობისა და გამჭვირვალობის ქვეშ მოიაზრება ინფორმაციის თავისდროული და ზუსტი გახსნა ყველა არსებით საკითხზე, რომელიც ეხება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებს, საკუთრებასა და კომპანიის მართვას.

ინფორმაციული გამჭვირვალობის პრინციპი, ასევე, გვკარნახობს ღიაობის მოთხოვნებს არა-საფინანსო საქმიანობის მიმართაც, კერძოდ, მოითხოვს კომპანიის წესდების, ნორმატიული დოკუმენტების გამოქვეყნებას. ამასთან, ინფორმაციის გავრცელების არხებმა უნდა უზრუნველყონ მოსარგებლეთათვის ინფორმაციაზე თანასწორუფლებიანი და თავისდროული ხელმისაწვდომობა, მცირე დანახარჯებით.

ინფორმაციული გამჭვირვალობა უზრუნველყოფს იმას, რომ ინვესტორს შეეძლოს წარმოდგენა კორპორაციული მართვის მდგომარეობაზე. ამიტომ, მასზე მოდის ინვესტორის ძირითადი შეფასება, რადგან სწორედ კორპორაციული მართვა ამცირებს სუბიექტივიზმს გადაწყვეტილების მიღება-სას. ეს პრინციპი უდევს საფუძვლად საერთაშორისო სააგენტო Standard&Poor's-ის რეიტინგების შეფასებას.

თუ კომპანია ხდება უფრო გამჭვირვალე, ინვესტორებს ეძლევათ ხელსაყრელი შესაძლებლობა, შეიქმნან უფრო სრული წარმოდგენა კომპანიის კომერციულ და ფინანსურ მაჩვენებლებზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომპანიის მიერ გახსნილი ინფორმაცია ატარებს ნეგატიურ ხასიათს, აქციონერები რჩებიან მოგებულნი, რადგან მცირდება მათთვის გაურკვევლობის რისკი.

კორპორაციული მართვის რეიტინგების დადგენის არსებული მეთოდოლოგიის უმრავლესობა არის დახურული, ანუ ინვესტორს არ შეუძლია შეაფასოს ყველა საანალიზო პარამეტრის მნიშვნელობა კორპორაციული მართვის რეიტინგებში. ამასთან, აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენება, თანამედროვე ეტაპზე, სრულყოფილად ვერ ასახავს დაწყები ქართული კორპორაციული მართვის რეალიებს. ამიტომ, გამოიკვეთა, აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, საქართველოს პირობებში გამოსაყენებლად მისაღები ვარიანტის მოდელირების საჭიროება, რომელიც ადაპტირებული იქნება ქვეყნის კორპორაციული მართვის სპეციფიკასთან.

იმის გათვალისწინებით, რომ აქციონერებს და ინვესტორებს ესაჭიროებათ ხელმისაწვდომი, რეგულარული და საიმედო ინფორმაცია კორპორაციის საქმიანობის შესახებ, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება, კორპორაციული მართვის რეიტინგული შეფასების ჩვენს მიერ შემუშავებული ვარიანტი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: □

⇒ კორპორაციული მართვის ინფორმაციული გამჭვირვალობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლების შერჩევა ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობის თავისებურებათა გათვალისწინებით; □

⇒ ინფორმაციის შეგროვება ატარებს დისტანციურ ხასიათს და გამოიყენება დაზუსტებული საჯარო ინფორმაცია; □

⇒ საკვლევი კომპანიების (სააქციო საზოგადოებების) კორპორაციული მართვის ინფორმაციული გამჭვირვალობის რისკების შეფასება ხორციელდება ქულების დარიცხვის გზით; □

⇒ რეიტინგის მინიჭების პროცედურა ეფუძნება კორპორაციული მართვის ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის რეალურად არსებული რისკების ანალიზს, თითოეული მათგანისათვის, განსაზღვრული წესებით, ხდება ქულების მიკუთვნება.

კორპორაციული მართვის ინფორმაციული გამჭვირვალობის მახასიათებელთა არარსებობისას, დარიცხული ქულების განაწილება ხორციელდება ექსპერტული შეფასების გზით. იმ შემთხვევაში, როდესაც სააქციო საზოგადოების აქციათა გარკვეულ რაოდენობას ფლობს სახელმწიფო, ექსპერტებად, აუცილებელია მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს / უწყების ან/და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს კომპეტენტური თანამშრომლები. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ექსპერტებად მოწვეულ უნდა იქნას დარგის შესაბამისი სპეციალისტები.

ინფორმაციული გამჭვირვალობის შეფასებისათვის შემოთავაზებულია ქულების დარიცხვის სისტემა, რომელიც შესაფასებელი ობიექტის რანგს შეესატყვისება შემდეგნაირად:

ქულა	2	5	10	14
რანგი	1	2	3	4

აღნიშნული მნიშვნელობების დახმარებით, საბოლოო ჯამური რეიტინგი დგინდება ქულების დაჯამების საფუძველზე: რაც უფრო მაღალია რეიტინგული შეფასების ქულა, მით უფრო დიდია ინვესტირების რისკი მოცემულ კომპანიაში და, შესაბამისად, მაღალია მოზიდული კაპიტალის ღირებულება. ამ დროს რისკის სიდიდე შესაძლებელია მერყეობდეს 100 ქულიდან (კორპორაციული მართვის რისკის ყველაზე მაღალი ხარისხი) 0 ქულამდე (არ არსებობს რისკი).

საქართველოს პირობებში გამოსაყენებლად მისაღებ ვარიანტში კორპორაციული მართვის ინფორმაციული გამჭვირვალობის რეიტინგული შეფასების რანჟირების შკალას აქვს შემდეგი სახე: □ ინვესტირების დაბალი რისკის მატარებელი - 28 ქულამდე დარიცხვის შემთხვევაში; ინვესტირების სა-შუალო რისკის მატარებელი - 29-დან 74 ქულამდე დარიცხვის შემთხვევაში; ინვესტირების მაღალი რისკის მატარებელი - 75 და ზემოთ ქულის დარიცხვის შემთხვევაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კორპორაციული მართვის ინფორმაციული გამჭვირვალობის რეიტინგული შეფასების მეთოდის ჩვენს მიერ შემუშავებულ ვარიანტში ფორმალიზებულ იქნა კორპორაციული მართვის ინფორმაციული გამჭვირვალობის მნიშვნელოვანი მახასიათებლების

(რისკების) შერჩევა: რეიტინგის აგების პროცედურა თავიდან ბოლომდე არის გახსნილი; კომპანიათა ანალიზს ახორციელებენ პირები (ექსპერტები), რომლებსაც არავითარი შეხება არ აქვთ ფასიანი ქაღალდების ბაზართან; საანალიზო ინფორმაციის მიღება ატარებს მკვეთრად დისტანციურ ხასიათს; კომპანიათა ანალიზი ხორციელდება მენეჯმენტისაგან დამოუკიდებლად და სარეიტინგო ქულების მინიჭებაც, ასე-ვე, არ თანხმდება საკვლევ კომპანიასთან. ამ ფაქტორების გათვალისწინება, მთლიანობაში, უზრუნველყოფს ქართულ კომპანიათა კორპორაციული მართვის ინფორმაციული ღიაობისა და გამჭვირვა-ლობის დონის უფრო სრულ და ობიექტურ შეფასებას.

დასკვნა: საქართველოში კორპორაციული მართვის გამოწვევებისა და პერსპექტივების საკითხის ანალიზისა და კვლევის შედეგად, შესაძლოა შემდეგი ძირითადი დასკვნების წარმოდგენა:

1. კორპორაციული მართვა განიმარტება, როგორც წესების, რეგულაციებისა და პროცესების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს კომპანიის საქმიანობის ვექტორს და მის წარმატებას. მართებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, კორპორაციული მართვა არის სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიები იმართება, კონტროლდება და რეგულირდება ურთიერთობებით კომპანიის მენეჯ-მენტს, დირექტორთა საბჭოს, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

2. თანამედროვე მსოფლიოში შესაძლებელია გამოვყოთ კორპორაციული მართვის სისტემის სრულყოფის შემდეგი ძირითადი ტენდენციები: სააქციო საზოგადოებებში ღიაობასა და ინფორმა-ციულ გამჭვირვალობაზე მოთხოვნის გაძლიერება; საზოგადოების მართვის უფლებამოსილ ორგანოებზე აქციონერთა მხრიდან კონტროლის გაძლიერება; ემიტენტების გამჭვირვალობის გაუმჯობესება და მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნების დახვეწა; კანონმდებლობის დახვეწა წვრილ აქცი-ონერთა უფლებების დასაცავად; აქციების ემისიის რეგლამენტში და საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის გამკაცრება; აქციათა და ობლიგაციათა სამართლებრივი სტატუსის დაახლოვება, როგორც საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ინსტრუმენტი; სხვადასხვა, იურიდიულად დამოუკიდებელ, მაგრამ ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებულ საზოგადოებებს შორის ურთიერთობათა რეგულირების გამკაცრება.

3. დღეისათვის, შესაძლებელია, გამოვყოთ კორპორაციული მართვის ქართული მოდელის ფორმირებისათვის დამახასიათებელი შემდეგი ასპექტები: (ა) გარე აქციონერული დაფინანსების ალბათობა რჩება ძალიან დაბალი; (ბ) საქართველოს საფინანსო სისტემის თანამედროვე მდგომარეობა არ იძლევა რომელიმე კლასიკური ნიმუშისადმი საქართველოს კორპორაციული მართვის სისტემის სავარაუდო მიდრეკილების შეფასების

საშუალებას; (გ) აქციონერული კაპიტალის კონცენ-ტრაცია წარმოადგენს ხილულ პროცესს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება არა მარტო კონ-ტროლის კონსოლიდაცია, არამედ კორპორაციული მართვის „თვითკმარი“ მოდელის რეალიზაცია ეკონომიკური მეთოდებით; (დ) სამართლებრივმა ნოვაციებმა საკუთრივ კორპორაციული სამართ-ლის სფეროში (აქციონერთა უფლებების დაცვა), არსებული ეკონომიკური პირობების თვალსაზრი-სით, მნიშვნელოვანი ხარისხით მიაღწია თავის ზღვარს; (ე) აქციონერთა უფლებების დაცვის მეთოდები ვერ ჰპოვებენ შემდგომ განვითარებას, სამართლებრივი გამოყენების სფეროში ადექვატური საერთო ღონისძიებების გატარების გარეშე.

4. საქართველოში, არსებული მეწარმეობრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, როდესაც არ არსებობს კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო პრინციპებიც კი, საწყის ეტაპზე, გამარ-თლებულია სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც, პრაქტიკული გამოყე-ნების შედეგად, მოგვეცემს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და სრულყოფის საშუალებას. კორპორაციული მართვის გასაუმჯობესებლად საჭიროა კორპორაციული მართვის ახალი კოდექსის დამუშავება სამეწარმეო სექტორისათვის, არსებითი ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და სხვა სა-კანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება კორპორაციული მარ-თვის ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის თანამედროვე სტანდარტების მიღწევა.

5. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, კომპანიათა კორპორაციულ მართვა-ში ინფორმაციული გამჭვირვალობის მახასიათებელთა არარსებობის დროს, ქულების დარიცხვა და განაწილება ხორციელდება 100 ბალიანი შკალით. ჯამური რეიტინგი დგინდება ქულების დაჯამებით. რაც უფრო მაღალია რეიტინგული შეფასების ქულა, მით უფრო დიდია ინვესტირების რისკი მოცემულ კომპანიაში და, შესაბამისად, მაღალია მოზიდული კაპიტალის ღირებულება. ამ დროს, რისკის სიდიდე შესაძლებელია მერყეობდეს 100 ქულიდან (კორპორაციული მართვის რისკის ყველაზე მაღალი ხარისხი) 0 ქულამდე (არ არსებობს რისკი). ჩვენი ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით, კორ-პორაციული მართვის ინფორმაციული გამჭვირვალობის რეიტინგული შეფასების შკალას აქვს შემ-დეგი სახე: □ კომპანია ინვესტირების დაბალი რისკის მატარებელია 28-მდე ქულის დარიცხვის შემთხვე-ვაში; კომპანია ინვესტირების საშუალო რისკის მატარებელია 29-დან 75-მდე ქულის დარიცხვის შემ-თხვევაში; კომპანია ინვესტირების მაღალი რისკის მატარებელია 75-დან და ზემოთ ქულის დარიცხვის შემთხვევაში. ამ მახასიათებლების სრულად გათვალისწინება

უზრუნველყოფს ქართულ კომპანიათა კორპორაციული მართვის ინფორმაციული ღიაობისა და გამჭვირვალობის დონის უფრო ობიექტურ შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიწაძე ზ., კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 2009.
2. ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, თბილისი, 2013.
3. გადელია გ., კორპორაციული ფინანსები, თბილისი, 2006.
4. ეთგო-ს კორპორაციული მართვის პრინციპები, თბილისი, 2004.
5. კაკულია რ., ბახტაძე ლ., თუთბერიძე გ., კორპორაციის ფინანსები, თბილისი, 2009.
6. კორტი მ., სააქციო საზოგადოების გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმში საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2003.
7. კორპორაციული მართვის კვლევა საქართველოს კომპანიებში, IFC, თბილისი, 2008.
8. კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010.
9. ლაზვიაშვილი ნ., კორპორაციული მენეჯმენტი, თბილისი, 2013.
10. სვანიძე ა., სტატია „რა არის კორპორაციული მართვა“, ჟურნალი „კორპორაციული მართვა“, N1, 2003.
11. Bradley, Nick, Corporate Governance: A risk worth measuring; Collection “Corporate Governance and Practice”; D. Geeta Rani, R.K. Mishra; New Delhi, 2008.
12. Derek Higgs, Review of the role and effectiveness of non-executive directors, 2003: www.ecgi.org/codes/documents/higgsreport.
13. CACG Guidelines – Principles of Corporate Governance in the Commonwealth towards global competitiveness and economic accountability; November, 1999.
14. Internal Control: Revised Guidance for Directors on the Combined Code, 2005: www.frc.org.uk.
15. OECD, Annual Report, 2009: www.oecd.org.
16. OECD, Principles of Corporate Governance, 1999: www.oecd.org.
17. Sir Robert Smith, Audit Committees Combined Code Guidance, The Financial Reporting Council Limited, 2003: www.ecgi.org/codes/documents.
18. The Cadbury Report, 1992: www.icaew.com/media/corporate/files
19. www.ecgi.org/codes/documents/Greenbury.
20. Веснин В. Корпоративное управление, Инфра, М., 2013.

21. Грэй, Ч. Корпоративные отношения в Центральной и Восточной Европе. Уроки рыночной экономики развитых стран / Ч. Грэй, Р. Дж. Хэнсон. – М. : ИНФРА-М., 1994.

22. Исаев Д. Корпоративное управление и стратегический менеджмент информационный аспект, М., 2008.

23. Орехов С. Теория корпоративного управления, М., 2008.

24. Радыгин А.Д., Энтов Р.М., Научные труды Российского–Европейского Центра Экономической Политики, 2002.

25. Шпотов Б., Корпоративное управление в XXI веке: история и перспективы // Проблемы теории и практики управления, 2000, №1.

გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა ჯანდაცვაში The necessity of Making Decisions In Healthcare

ნაირა ლვედაშვილი - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
593 33 46 75, naira1-63@mail.ru

Naira Ghvedashvili - Candidate of Economic Science
593 33 46 75, naira1-63@mail.ru

აბსტრაქტი. პროგრესული ცვლილებები ჯანდაცვის დარგში ხორციელდება დროული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობით. ჯანდაცვის მენეჯერები, რომლებიც ყოველდღიურად ათობით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში კი ათასობით მენეჯერულ გადაწყვეტილებას იღებენ, უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან, ხარისხის გაუმჯობესებასთან, ახალი სერვისის და პროდუქციის დანერგვასთან, დაქვემდებარებულთა მოტივაციის გაძლიერებასთან, ახალ გეოგრაფიულ ბაზრებზე შესვლის სურვილთან, ადამიანთა მთელ რიგ დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებების გატარებასთან და ა. შ, რომელიც ვრცელდება და მოიცავს ორგანიზაციის მთელ პერსონალს. სწორად მიღებული გადაწყვეტილების მენეჯმენტის ეფექტი კი აისახება ჯანდაცვის ორგანიზაციის საქმიანობის საბოლოო შედეგებზე.

საკვანძო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვა, ადამიანური კაპიტალი, გადაწყვეტილების მიღება, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია(ჯმო), საერთაშორისო კავშირების გაღრმავება, სამედიცინო სერვისის კონკურენტუნარიანობა.

Abstract. Progressive changes in the healthcare sector are implemented by the necessity of making timely decisions. Healthcare managers, who make dozens of managerial decisions every day and thousands of them throughout their lives, are directly involved in protection of human health, quality improvement, implementation of new services and products, increasing the motivation of subordinates, the desire to enter new geographical markets, taking measures to fight against a number of human diseases and etc. which covers and includes the entire staff of the organization.

The effect of the management of the right decisions is reflected in the final results of the activities of the healthcare organization.

ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე სტრატეგიული რეფორმების მიზანია ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება, ჯანდაცვაზე დანახარჯების გამო ნეგატიური ეკონომიკური ზეგავლენის შემცირება, ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება და ა. შ.

ყოველივე ამისთვის კი აუცილებელია ფინანსები, მატერიალური და თანამედროვე საინფორმაციო ბაზა, ადამიანური კაპიტალი, ლიდერობა და მმართველობა, მნიშვნელოვანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის ზედამხედველობას და ხელმძღვანელობას.

ჯანდაცვის მენეჯერის, ისევე როგორც სხვა დარგების პროფესიონალი მენეჯერის მუშაობას, თან ახლავს ისეთი შეუცვლელი ატრიბუტი, როგორცაა გადაწყვეტილების მიღება. ჯანდაცვის მენეჯერებს ხშირად მიიჩნევენ გადაწყვეტილების მიმღებ პირებად, რომლებიც ყოველდღიურად ათობით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში კი ათასობით მენეჯერულ გადაწყვეტილებას იღებენ.

გადაწყვეტილება დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან, ხარისხის გაუმჯობესებასთან, მთელი რიგი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიების შექმნასთან, აპარატურის შემოტანასთან, დაავადებათა პროფილაქტიკასთან, ახალი სერვისის და პროდუქციის დანერგვასთან, დაქვემდებარებულთა მოტივაციის გაძლიერებასთან, ახალ გეოგრაფიულ ბაზრებზე შესვლის სურვილთან და ა. შ, რომელიც ვრცელდება და მოიცავს ორგანიზაციის მთელ პერსონალს.

მენეჯერები, რომლებიც ასრულებენ მართვის ფუნქციებს, მათ რეალურად საქმე აქვთ დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციის, ადამიანური რესურსებით დაკომპლექტების და კონტროლის ფუნქციებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების უწყვეტ ნაკადთან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: მიზნის შემუშავებას და დასახვას; პრობლემის შესწავლას; მისაღები გადაწყვეტილების ეფექტიანობის კრიტერიუმების და შესაძლო შედეგების შერჩევას; დასაბუთებას; გადაწყვეტილების ვარიანტების განხილვას; გადაწყვეტილების შერჩევას და საბოლოო ფორმულირებას; გადაწყვეტილების მიღებას; გადაწყვეტილების შესრულებამდე მიყვანას და მისი შესრულების კონტროლს. ყოველივე ეს კი არის საპასუხისმგებლო და პროფესიონალურ მომზადებას საჭიროებს მენეჯერების მხრიდან.

მ. მესკონის, მ. ალბერტის და ფ. ჰედურის მიერ შემოთავაზებული ორგანიზაციული, ინტუიციური და რაციონალური გადაწყვეტილებების დანერგვა და გათვალისწინება აუცილებელია მიზნის მიღწევის გზაზე. გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა კი მენეჯერის მიერ

თანამდებობით განპირობებული მოვალეობის შესასრულებლად გაკეთებული შესაბამისი არჩევანია. გადაწყვეტილება დაფუძნებული ცოდნაზე, დაგროვილ გამოცდილებაზე, განსჯაზე, შეგრძნებებზე, ობიექტურ ანალიტიკურ პროცესებზე და ა. შ.

გადაწყვეტილება კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ორ ან მეტ ალტერნატივას შორის არჩევანის გაკეთებაა. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი ჯანდაცვის სფეროში ეს არის მართვის სუბიექტების მოქმედებათა ციკლური თანმიმდევრობა, ორიენტირებული ჯანდაცვის დაწესებულებების პრობლემების გადაწყვეტაზე, რომელიც მოიცავს სიტუაციის ანალიზს, ალტერნატივების გენერაციას, გადაწყვეტილების მიღებას და მათი შესრულების ორგანიზაციას. გადაწყვეტილების მიღებისას ერთდროულად ორი პროცესი მიმდინარეობს. კერძოდ: ახალი ამოცანების გადაწყვეტაზე მიმართული შემოქმედებითი საქმიანობა და იმ მმართველობით პროცედურების პუნქტუალურ შესრულებაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური საქმიანობა, რომელთაც პრაქტიკულად გაამართლეს თავისი თავი. მუდმივად განახლებადი ეს პროცესები კი მმართველობის საფუძველს შეადგენს.

სწორედ მენეჯერულ გადაწყვეტილებებზე არის დამოკიდებული ჯანდაცვის სფეროს წარმატებული თუ სამწუხაროდ წარუმატებელი მუშაობა. გადაწყვეტილების მიღებას ზოგჯერ თან ახლავს ნეგატიური შედეგებიც, რაც ასევე აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მენეჯერებმა და წავიდნენ კომპრომისზე, თუ ეს მისაღები და მომგებიანი იქნება ჯანდაცვის დაწესებულებისათვის.

დღეს, მსოფლიო პანდემიის ფონზე პირველი და აუცილებელი საკითხი იყო დროული გადაწყვეტილების მიღება, როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯმო), ასევე სახელმწიფოების და სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელთა მხრიდან. რადგან დროული და ოპერატიული გადაწყვეტილების მიღებით შესაძლებელი გამხდარიყო მოსახლეობის დროული თერმო სკრინინგი, ლაბორატორული კვლევების ჩატარება, შესაბამისი სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა და ა. შ, რაც თავიდან აგვაცილებდა იმ დიდ მოსალოდნელ პრობლემებს, რასაც ადგილი ქონდა ბევრ სხვა ქვეყნებში თუნდაც ლეტალობის კუთხით. დაგვიანებული და არაპროფესიონალურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება კი, საპირისპირო სურათს მოგვცემდა, რაც აისახებოდა საავადმყოფოების გადატვირთვაზე და არსებული საწოლ-ფონდის არარაციონალური გამოყენებაზე, ასევე სამედიცინო პერსონალთან მიმართებაშიც გვექნებოდა პრობლემები და ა. შ, რაც ძალიან დააზარალებდა როგორც ჯანდაცვის სისტემას, ასევე ქვეყნის ეკონომიკას. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებებისა, რომელიც ჩვენ ყველამ ვნახეთ, არ მოგვცა ის

სასურველი შედეგი რაც თავიდან აგვაცილებდა ბევრ ნეგატიურ პრობლემას რაც ეპიდემიის გამწვავებას ახლდა თან. თუმცა ეს პროცესი სამწუხაროდ ბევრი გამოწვევით იყო განპირობებული და ახალი რეალობის წინაშე დააყენა ჯანდაცვის სისტემა, საზოგადოება, ხელმძღვანელობა და ყველა ის პასუხისმგებელი პირი, ვისაც ევალება ეპიდსიტუაციის მართვა.

ჯანდაცვის მენეჯერების ძირითადი ყურადღება ყველა მიმართულებით, მაგრამ მაინც გამახვილებული უნდა იყოს ჯანდაცვის დაწესებულებების საკადრო პოლიტიკის გატარებაზე და უმეტესად დიდ ყურადღებას უნდა აქცევენდნენ სამედიცინო პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

დღეს, გლობალური კონკურენციის პირობებში როგორც ცნობილია, კონკურენტუნარიანია ის ორგანიზაცია-დაწესებულებები, რომლის მენეჯმენტი უფრო მოქნილია და სწრაფად რეაგირებს საბაზრო კონიუნქტურაში მომხდარ ცვლილებებზე. ცხადია, ორგანიზაციის მენეჯმენტში ადამიანური რესურსების მართვას ცენტრალური ადგილი უკავია.

თანამედროვე პირობებში არ შეიძლება ქვეყანაში იქმნებოდეს დაბრკოლება მაღალკვალიფიციური სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის საქმეში. თუ სტატისტიკას მოვიშველიებით ვნახავთ, რომ ქვეყანაში ჯანდაცვის ადამიანური რესურსების სათანადო რაოდენობის არსებობას, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯმო) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. საქართველოში 2006 წლიდან აღინიშნება ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებლის ზრდა, ამასთან საქართველოს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის, ევროკავშირის და დსთ ქვეყნების მაჩვენებლებს. რაც შეეხება ექთნებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები 1998 წლიდან 2013 წლამდე კლების ტენდენციით ხასიათდება და უკანასკნელ წლებში, ზრდის მიუხედავად, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის რეგიონის, ევროკავშირის და დსთ ქვეყნის მაჩვენებელს.

სახეზეა ექთნების ნაკლებობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. საგრძნობია ზოგადი პროფილის ექიმების ნაკლებობა, დეფიციტურ საექიმო სპეციალობებში კადრების დაბერების ტენდენცია და ზოგადად სამედიცინო პერსონალის არასათანადო კვალიფიკაცია. მდგომარეობას ამძიმებს მკვეთრი დისბალანსი ადამიანური რესურსების წარმოებასა და მოთხოვნას შორის. ასევე, ქმედითი არ არის არსებული ნებაყოფლობითი, მოტივაციის ყოველგვარ ქმედით მექანიზმს მოკლებული უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა, რომელიც ვერ აძლევს ადექვატურ თეორიულ ცოდნასა და კლინიკურ უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას, რაც კიდევ ამძიმებს ადამიანური რესურსების პრობლემებს.

ამიტომ, დროული გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო, რათა საექიმო პერსონალის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად შეიცვალოს კადრების სტრუქტურაც. აუცილებელია გაძლიერდეს პირველადი ჯანდაცვის რგოლი, გადახალისდეს სამედიცინო პერსონალი ახალი და უახლესი სპეციალისტებით, რომლის აუცილებლობაც თავისთავად აჩვენა დღევანდელმა რთულმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამაც და სწორედ ხელმძღვანელების დროული გადაწყვეტილების ფონზე მოხდა პერსონალის მართვის ღონისძიებების გატარება, მთელი რიგი პერსონალის მომზადება, ტრენინგის ჩატარება, ოჯახის ექიმების გადამზადება და ა. შ. თუმცა უფრო ბევრი რამ არის გასაკეთებელი პერსონალის გადამზადებისა და უწყვეტი განათლების მიმართულებით, საექიმო განათლების ხელშეწყობის და ა. შ. ბევრი სხვა მიმართულებით.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ჯანდაცვის მენეჯერები ვალდებული არიან აკვირდებოდნენ გადაწყვეტილების შედეგებს, რათა დაინახონ მათმა არჩევანმა მიიყვანა ისინი თუ არა სასურველ მიზნამდე, და ხომ არ იქმნება ახალი პრობლემები, ან შესაძლებლობები, რომლებიც მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე არის შესაცვლელი ან ხომ არ ჩნდება ახალი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა, რაც ბუნებრივი პროცესია.

სამედიცინო მომსახურებაზე დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად, ჯანდაცვის განვითარება სწორ და დროულ გადაწყვეტილებებს უნდა დაეფუძვნოს. სწორი და დროული გადაწყვეტილების მიღებაში კი თანამედროვე ჯანდაცვის მენეჯერს უწევს როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა მენეჯმენტის, ინოვაციების, დიაგნოსტიკისა, მკურნალობის და სხვა ჯანდაცვის სფეროების მიმართულებით. აუცილებელია ამ სფეროში საერთაშორისო კავშირების გაღრმავება, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების და სამედიცინო ტექნოლოგიების ურთიერთგაცვლის ფართოდ გაშლა. მოწინავე ტექნოლოგიების მოზიდვა კი ამაღლებს სამედიცინო მომსახურების კონკურენტუნარიანობას, რაც საშუალებას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება სამედიცინო სერვისებზე. საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება სრულებით არ გამორიცხავს ადგილობრივი ტრადიციებისა და თავისებურებების გათვალისწინებას, კრეატიული და მოტივირებული გუნდის ჩამოყალიბებას, რის საფუძველზეც მოხდება სამართლიანი და მისაღები გადაწყვეტილების მიღება ჯანდაცვის დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

სწორად მიღებული გადაწყვეტილებების მენეჯმენტის ეფექტი აისახება ჯანდაცვის ორგანიზაციის საქმიანობის საბოლოო შედეგებზე: სერვისის

გაუმჯობესებაზე, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებაზე, შრომისუნარიანობის ამაღლებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაზე, მთელი რიგი დაავადებების შემცირებაზე და ა. შ. ამ პროცესის მექანიზმების ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია როგორც მოქმედი მენეჯერებისთვის, ასევე მათთვის, ვინც გადაწყვეტს საკუთარი მომავლის დაკავშირებას ჯანდაცვის მენეჯმენტის სფეროსთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯანდაცვა, მოკლე სტატისტიკურ მიმოხილვა, თბ., 2016
2. ჯანდაცვა, სტატისტიკური ცნობარი, თბ., 2019
3. საქართველოში ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის, თბ., 2017.
4. ახალი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, თ. ტულჩინსკი, ე. ვარავიაკოვა. თბ., 2012
5. ნ. ღვედაშვილი, „ჯანდაცვის მენეჯმენტი,“ თბ., 2018(ელ. ვერსია)
6. Менеджмент в здравоохранении. М. М. Мухамбеков, И. Н. Кабукин, А. В. Фомина, Д. И. Кича, О. А. Мынбеков, З. Т. Ауезова, А. С. Макарян, К. М. Мухамбекова. М., 2012
7. WHO, Health 2020: the European policy for health and well-being <http://www.euro.who.int/en/health-topics/health-policy/health-2020-the-european-policy-forhealth-and-well-being>.

ხარისხის მენეჯმენტი სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობაში Quality Management in the Activities of Medical Institutions

ანი ბიბილური - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, anibibiluri@gmail.com
Ani Bibiluri – Doctor of Business Administration
Georgian Technical University, anibibiluri@gmail.com

აბსტრაქტი. ხარისხის მართვა საკმაოდ საინტერესო და მრავალმხრივი თემაა, ისტორიულად ძველი დროიდან არსებობს, მაგრამ აქტუალური მე-20 საუკუნიდან გახდა, მაშინ როდესაც მსოფლიო მიხვდა, რომ სჭირდებოდათ რაღაც ახალი მიდგომა საქონლის და მომსახურების წარმოების შეფასებაში. რა არის ხარისხი? იქნებ ეს კომპანიის დამკვიდრებული იმიჯია ან ლოგოტიპი? სულაც მომხმარებლის ოცნებებთან და სურვილებთან დაახლოების მაჩვენებელი და საზომი? რეალურად ხარისხი არსებობდა კაცობრიობის ცხოვრებაში გააზრებულად თუ გაუზრებლად, რადგან თუნდაც გარჩევადობა რა იყო ცუდი და კარგი, სწორედ აქედან იღებს სათავეს. ხარისხი ეს არის მარტივად რომ ვთქვათ მოთხოვნებისადმი შესაბამისობა ან მოლოდინის რეალიზება შესრულებაში. ბოლო წლებში ხარისხი იქცა სტანდარტად, რომელიც

აჩვენებს რამდენად პასუხობს პროდუქტი და მომსახურება ბაზრის მოთხოვნებს. რა თქმა უნდა განვითარებამ, ინოვაციებმა და კონკურენციის დონემ განაპირობა შექმნილიყო რაიმე საზომი, რითაც მოხდებოდა ბაზარზე არსებული საქონლისა და მომსახურების შეფასება, სწორედ აქედან იღებს სათავეს ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც თავის თავში მოიცავს მრავალ საკითხს და მათ შორის ჩემი სტატიის მთავარ თემას ხარისხს, თუმცა სტანდარტები შეიცავს ასევე ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორცაა: მმართველობის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებს და ა.შ. თავად ხარისხის მენეჯმენტი ეფუძნება ფუნდამენტურ შვიდ პრინციპს, რომელიც მნიშვნელოვანია მოცემული საკითხის რეგულირებაში.

საკვანძო სიტყვები: ხარისხი, ხარისხის მენეჯმენტი, პროდუქტი, მომსახურება, სამედიცინო დაწესებულება.

Abstract. Quality management is a very interesting and versatile topic, it has existed historically since ancient times, but it has become relevant since the 20th century, when the world realized that they needed some new approach in evaluating the production of goods and services. What is quality? Maybe it's an established image or logo of the company? An indicator and measurement of convergence with the user's dreams and desires? In fact, quality existed in the life of mankind, whether intentionally or not, because even the resolution of what was bad and good originates from here. Quality It is easy to say compliance with requirements or realization of expectations in performance. In recent years, quality has become the standard for showing how well products and services meet market demands. Of course, development, innovation, and the level of competition have led to the creation of some measurement to evaluate the goods and services on the market, this is where the International Organization for Standardization (ISO), which covers many issues, including the quality of my article, comes from. Also contains key issues such as: governance, health and safety standards, etc. Quality management itself is based on seven fundamental principles that are important in regulating a given issue.

Keywords: Quality, Quality Management, Product, Service, Medical Institution.

შესავალი. დღეისათვის ნებისმიერი კომპანია და საზოგადოების თითოეული წევრი ორიენტირებულია ნაკლები დანახარჯებით მიიღოს მაქსიმალურად კარგი პროდუქტი და მომსახურება. კარგში იგულისხმება ყველაფერი, რაც მოიცავს ხარისხს. ხარისხი რაიმეს ღირსებისა და ვარგისიანობის საზომია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს არის უარესზე უკეთესი და უკეთესზე საუკეთესო ანუ ყველაფერი ის რაც იწვევს აღფრთოვანებას, შექებას და ხელმეორედ სარგებლობის სურვილს. რა თქმა უნდა თქვენ არ დაბრუნდებით იმ ადგილას სადაც არ მიიღეთ ხარისხიანი მომსახურება, არ დაგხვდათ გულისხმიერი ექიმი, იურისტი ან უბრალოდ ბანკირი. ამით თქვენ მათ მიანიჭებთ თქვენს პირად სტანდარტებში გარკვეულ კატეგორიას, რასაც საბოლოოდ ხარისხის მენეჯმენტი შეისწავლის. ISO სტანდარტებს რომ თავი დაეანებოთ, თითოეულ ადამიანს აქვს თავისი მოთხოვნათა სტანდარტი, სადაც ხარისხობრივად და საფეხურობრივად დალაგებული პრიორიტეტები. მაგალითად: ცხოვრების დონის ხარისხი, ჯანმრთელობა, განათლება, პიროვნული განვითარება, კარიერა, ოჯახი და ა.შ. ანუ დალაგებულია პრიორიტეტებად და თითოეული მათგანის მიღწევის შემდეგ იგულისხმება რომ მან მიაღწია საკუთარი თავის საუკეთესო ხარისხს, რაც ხშირად გამოიხატება თვითკმარყოფილებაში და ბედნიერების განცდაში. დაახლოებით მსგავსია ISO-ს სტანდარტების თემა,

რომელიც მოიცავს მრავალ საკითხს და ჩემი დაკვირვების ობიექტს ხარისხის მენეჯმენტს სამედიცინო დაწესებულებებში.

ძირითადი ნაწილი. რას წარმოადგენს ISO? **ISO (International Organization for Standardization)** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1946 წელს მსოფლიოს 25 წამყვანი სახელმწიფოს მიერ, ხოლო ორგანიზაციამ ოფიციალური საქმიანობა 1947 წელს დაიწყო. დღეისათვის მსოფლიოს 165 ქვეყანას აერთიანებს და მათ შორის საქართველოს, რომელიც ბოლო წლებში აქტიურადაა ჩართული ISO სტანდარტებით ხელმძღვანელობაში. არაერთი ქართული კომპანიაა ორიენტირებული მოცემული მოთხოვნების დაცვაზე და ხარისხის ამაღლებაზე. სანამ უშუალოდ სამედიცინო დაწესებულებაში ხარისხის შესახებ ვისაუბრებთ, საჭიროა განვმარტოთ, რომელი სტანდარტი განსაზღვრავს მას, ეს არის ISO 9001, რომელიც ცნობილია როგორც ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ეყრდნობა შვიდ ძირითად პრინციპს, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ წესს ან თეორიას, რის მიხედვითაც საჭიროა მოხდეს რაიმეს კეთება. ხარისხის მართვის პრინციპები ეს არის ფუნდამენტური მასალა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ხარისხის მართვის საფუძველი. მოცემულია ჩამონათვალი პრიორიტეტების მიხედვით, რომლის ცვლილებაც ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი. მოდი განვიხილოთ თითოეული და განვმარტოთ მარტივად და გასაგებად:

1. **მომხმარებელზე ორიენტირებულობა**, რაც გულისხმობს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და მოლოდინის გადაჭარბებას, რითაც ხდება მომხმარებელთა ნდობის მოპოვება, გაღრმავება და მუდმივი დაინტერესება, რის საბოლოო შედეგი კომპანიის წარმატება და სარგებლიანობაა. რეალურად აქ ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ პროცესი პროდუქტისა და მომსახურების შექმნიდან მის საბოლოო დაწერვამდე, შემდგომ კი კლიენტთა კმაყოფილების კვლევა და შეფასებები.

2. **ლიდერობა**, ნებისმიერი ორგანიზაცია თუ კომპანია საჭიროა ადგენდეს საკუთარ მიზნებსა და მიმართულებებს, განვითარების არსებულ და შემდგომ პერსპექტივებს. ორგანიზაცია, სადაც მაღალია შიდა კულტურა, არსებობს სტრატეგიული გეგმა და პოლიტიკა, თითოეული თანამშრომელი კი ჩართულია აქტიურ სამუშაო პროცესში, შეძლებს შეინარჩუნოს ბაზრის ლიდერი პოზიციები, რადგან მარტო პროდუქტი და მომსახურება არ გვაძლევს მოწინავე ადგილს. კომპანია ხომ ეს მთლიანი ორგანიზაცია და გუნდური მუშაობით მიიღწევა ყველაფერი, სადაც სამართლიანობა, ნდობა და პასუხისმგებლობის უნარია მთავარი.

3. **ხალხის/პერსონალის ჩართულობა**, იმისათვის რომ გავიზარდოთ, საჭიროა ვისწავლოთ ძლიერებისგან ან უბრალოდ ვიმუშაოთ მათთან ერთად. დიახ, სწორედ კომპეტენტური, პროფესიონალი და საქმეში

ჩართული ადამიანებით შესაძლებელია ორგანიზაციის გაზრდა ხარისხობრივად და სათანადო დონეზე. მნიშვნელოვანია კომპანიის ეფექტური მართვა, თითოეული ინდივიდის ჩართულობა იმ სამუშაო პროცესში, რომლითაც მიიღწევა ხარისხის მიზნები.

4. **პროცესული მიდგომა**, როდესაც საქმიანობის არსი ესმით და იმართება, როგორც ურთიერთდაკავშირებული პროცესები, როგორც თანმიმდევრული სისტემა, სადაც განსაზღვრულია უფლებები-ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, კომპანიის რესურსი, ხარისხის მიზნები, მონიტორინგის სისტემა, შეფასება და რისკების მართვა.

5. **გაუმჯობესება**, რომელიც უნდა იყოს მუდმივი და არ დაკმაყოფილდეს ორგანიზაცია მიღებული შედეგებით, რადგან ბაზარზე ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს უკეთესი. ამისათვის საჭიროა შიდა და გარე შესაძლებლობების გამოყენება, ინოვაციების დანერგვა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მუდმივი აუდიტი, შეფასება იმ შედეგებისა რაც მიღწეულია და რამდენად სწორი გზითაა მიღებული.

6. **მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება**, რაც გულისხმობს საბოლოო დასკვნამდე ყველა ტიპის ანალიზისა და შეფასების განხილვას, ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას, რადგან ნებისმიერი გადაწყვეტილება განსაკუთრებით კომპანიის დამფუძნებლების ან იმ ადამიანების მხრიდან, ვისაც ეკუთვნოდათ ბიზნესის იდეა, შეიძლება იყოს სუბიექტური ხასიათის მატარებელი. სწორედ ამიტომ საჭიროა რთული და ხანგრძლივი პროცესი, მუდმივი მონიტორინგი და შემდგომი სვლის გაკეთება.

7. **ურთიერთობების მენეჯმენტი**, სწორედ ის ფაქტორი, რაზეც მუშაობით კომპანია აღწევს წარმატებას. დიახ, ურთიერთობას მესამე პირებთან, სპონსორებთან, პარტნიორებთან და ა.შ. ყველაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რითაც მიიღწევა დასახული გეგმები, თუნდაც მოკლევადიანი ურთიერთობები გრძელვადიანი პერსპექტივების მომტანია. ბიზნესი და მართვა ეს ხომ ხელოვნებაა, რომელიც სწორი მიმართულებით უნდა წავიყვანოთ და განვავითაროთ.

ზემოთ მოცემული პრინციპები ზოგად წარმოდგენას გვიქმნის თუ რა სტანდარტებით საჭიროა მოხდეს კომპანიის საქმიანობის წარმართვა, მოცემული ხარისხის მართვის პრინციპების გამოყენების მრავალი გზა არსებობს და თითოეულს თავად ირჩევს ორგანიზაცია. ხარისხის მენეჯმენტი ორგანიზაციის საქმიანობის კონტროლის საშუალებაა, ეს არ არის პროდუქტისა და მომსახურების სტანდარტები. ხარისხის კონტროლის სისტემა უყენებს მოთხოვნებს და იგი არის კარგი მენეჯმენტის სწორი მაგალითი, თუ როგორ უნდა მართოთ საკუთარი კომპანია ან საქმე ისე, რომ

არ დაუშვან ის ხარვეზები, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენენ ორგანიზაციის საქმიანობასა და დამკვიდრებულ იმიჯზე.

ხარისხის მართვა საინტერესოა ჯანდაცვის სექტორში, რადგან ეს საკითხი აქტუალური გახდა ბოლო წლებში, განსაკუთრებით 2012 წლის შემდგომ, როდესაც სრულიად შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართულებები და საქართველო დაადგა ახალ ისტორიულ გზასა და განვითარებას. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ჯანდაცვის სექტორში გარდამტეხი ცვლილებები, დაიხვეწა დაზღვევის სისტემა, დაფინანსების საკითხები ანუ ყველაფერი შეიქმნა, რაც მოსახლეობისთვის აქამდე ხელმისაწვდომი არ იყო, რადგან ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და სიცოცხლესთან დაკავშირებული ყველა დეტალი თითოეული ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. საქართველოს წარმატებულ ექიმთა ბაზა ჰყავდა და ჰყავს, რითაც ტოლს არ უდებს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, რაც სახელმწიფოში არსებული განათლების მაღალი სტანდარტისა და იმ პროფესიონალების შედეგია ვინც ამზადებს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს. ჯანდაცვის სფეროში ხარისხის მენეჯმენტის საკითხი საკმაოდ არაერთგვაროვანია, რადგანაც აქ საუბარი შეიძლება იყოს სხვადასხვა მოსაზრებებზე, რაც შეიძლება გააჩნდეს ინდივიდუალურად ყველას ვინც კი მონაწილეობს ამ სფეროში. მაგალითისთვის: პაციენტისთვის ხარისხის ცნება შეიძლება იყოს დაკავშირებული ისეთ მომსახურებასთან, რომელიც ამართლებს ან აჭარბებს მის მოლოდინს, როდესაც საჭირო სერვისები მიეწოდება კვალიფიციური პერსონალის მხრიდან, სამედიცინო დაწესებულება და იქ არსებული ფასები ხელმისაწვდომია და ამავდროულად მისაღები. დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ნებისმიერი პაციენტი ორიენტირებულია რამდენიმე ფაქტორზე: პერსონალის პროფესიონალიზმის დონე, სამედიცინო მომსახურების ფასი, სამედიცინო დაწესებულებაში წესრიგი და კეთილგანწყობილი სამედიცინო პერსონალი. თუმცა ეს იდეალური ჩამონათვალია, ჩვენს რეალობაში ზოგჯერ პაციენტის სურვილი ასეთივე მარტივად მიღწევადი არ არის, რადგან ხშირად კერძო სადაზღვევო კომპანიები თავად ურჩევენ კლინიკების ჩამონათვალს და მხოლოდ პროვაიდერებში უნაზღაურებს სამედიცინო სერვისების ღირებულებას, რაც იძულების ფაქტორია დათანხმდეს არსებულ შემოთავაზებას. ზოგადად, სამედიცინო ხარისხთან დაკავშირებით პაციენტთა აზრი მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ქმნიან წარმოდგენას საზოგადოებაში კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების მიმართ, მათი კმაყოფილება ნიშნავს იმიჯსა და პრესტიჟს. ჩემი გადმოსახედიდან, ჩემთვის, როგორც პოტენციური პაციენტისთვის იდეალური ხარისხის მენეჯმენტი კლინიკის შესასვლელიდან იწყება, როდესაც რეგისტრატურის თანამშრომელი გემსახურება, ეს ქმნის პირველ წარმოდგენას სამედიცინო

დაწესებულებაზე, იცით როგორი თემაა, დიასახლისი რომ გხვდება ზღურბლზე და მისი დახვედრით ხვდები ხარ თუ არა სასურველი სტუმარი. რა თქმა უნდა ყველაზე ძლიერი დატვირთვა კვალიფიციურ სამედიცინო პერსონალზე მოდის, განსაკუთრებით ექიმზე. როგორი უნდა იყოს იდეალური ექიმი? პირველ რიგში პროფესიონალი და თავდაჯერებული, მის საუბარში იგრძნობოდეს თავაზიანობა და კეთილშობილება, ხსნიდეს რთულ საკითხებს მარტივად და გასაგებ ენაზე, კომუნიკაციის უნარი გადამწყვეტია, რამდენად გაიხსნება პაციენტი და ისაუბრებს საკუთარ პრობლემაზე, უნდა ტოვებდეს იმედის განცდას, რადგან როდესაც მას ესაუბრებით მისგან იგრძნობთ თანაგრძნობის უნარი და დახმარებისთვის მზადყოფნა. ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს, ამიტომ ხარისხის მენეჯმენტს შევხედოთ ექიმის გადმოსახედიდან. იქნებ მათთვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება მხოლოდ სლოგანია ბევრი პაციენტის მოსაზიდად? რა თქმა უნდა ნებისმიერი ექიმის მიზანია ჰყავდეს პაციენტების არმია და ამით გაიღრმავოს საკუთარი უნარ-ჩვევები და ცოდნა, რადგან თუკი ასე არ მოხდება დაავიწყდება ყველაფერი ის რაც რეზიდენტურაში ისწავლა. ექიმთა საშუალო დატვირთვა ზოგიერთი პროფილის მიხედვით განსაზღვრულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, დაავადებათა კონტროლის მსოფლიო ცენტრისა და პროფესიული ასოციაციების მიხედვით. ბევრი პაციენტის სურვილი, წარმატებულად ჩატარებული ოპერაციების რაოდენობის ზრდა აიძულებს ექიმს მუდმივად აიმაღლოს კვალიფიკაცია. სამედიცინო ხარისხი მათი თვალთახედვით ეს არის პროფესიული ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო გარემო-პირობები, მკურნალობის ეფექტურობა და უსაფრთხოების მაღალი ხარისხი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთგვარი მოტივატორი ასევე კარგი ფინანსური ანაზღაურებაცაა, რაც ხელს უწყობს მოვალეობების იდეალურად შესრულებას.

როგორია სამედიცინო დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის როლი? რა თქმა უნდა ხარისხის მენეჯერი უყურებს კლინიკას როგორც მთლიან ორგანიზმს, სადაც ყველა პროცესი ურთიერთდაკავშირებულია, ეს ერთგვარი მუსიკალური ნაწარმოების შესრულებას ჰგავს, სადაც ერთი არასწორი ტონალობა ან ნოტი და ყველაფერი არეულია. დიახ ასეა, სწორი და თანმიმდევრული სამუშაო პროცესი უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულების გამართულ მუშაობას, რადგანაც სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა ეს არის სერვისების მიწოდება იმგვარად, რომ პაციენტმა მიიღოს ზუსტად ის სამედიცინო მომსახურება, რაც წარმოადგენს მის საჭიროებას, არც მეტი და არც ნაკლები ანუ თუ მას სჭირდება მხოლოდ ექიმის კონსულტაცია და არანაირი ანალიზი უნდა მიეწოდოს მხოლოდ პირველი მომსახურება. ყველანაირი იძულება, დამატებითი სერვისები, რაც კლინიკას მოუტანს შემოსავალს, მაგრამ პაციენტისთვის უსარგებლოა,

აკრძალულია, რადგან ერთი უკმაყოფილო პაციენტი აკარგვინებს კლინიკას საშუალოდ 10 პოტენციურ პაციენტს. ამიტომ ხარისხის მენეჯმენტის PDCA (Plan-Do-Check-Act/დაგეგმვა-კეთება-შემოწმება-ქმედება) ციკლისას საჭიროა, მოხდეს მიზნების, მიმართულებებისა და პრიორიტეტების სწორი განსაზღვრა, რათა თავიდან ავიცილოთ ჯანდაცვის სექტორში არსებული რისკები და საფრთხეები. PDCA ეს არის ეფექტიანი მართვის უწყვეტი მოდელი, სადაც თითოეული პროცესი არის წინას გაგრძელება და ამით იქმნება უწყვეტი კავშირი, რომლის მეშვეობითაც ხდება ოთხივე საფეხურის თანმიმდევრულად გავლა. სამედიცინო მომსახურების ხარისხზე თუ ვისაუბრებთ პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ, ზოგადად რა არის სამედიცინო ხარისხი? ან სულაც უბრალოდ რამდენიმე სიტყვით დავახასიათოთ იგი, რას ველით სამედიცინო სერვისებისგან? წესით უსაფრთხოებას, ეფექტურობას, პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომას, დროულობას, ეფექტიანობასა და თანასწორობას. ჩამონათვალი შეგვიძლია უსასრულოდ გავაგრძელოთ, იმისდა მიხედვით თუ ვინ და როგორ უყურებს მოცემულ საკითხს.

ჩემი აზრით ხარისხის უზრუნველყოფისათვის საჭიროა გარკვეული საფეხურების გავლა დაგეგმიდან საბოლოო შედეგამდე. ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება საჭიროა ფუნქციონირებდეს ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილი სტანდარტებით, პროტოკოლებითა და გაიდლაინებით. ასევე კლინიკას უნდა ჰქონდეს შიდა ნორმატიული დოკუმენტები, რითაც მოხდება ე.წ. შიდა სამზარეულოს რეგულირება. ამისათვის კი საჭიროა კარგი მენეჯერების არსებობა ანუ ადამიანების ვინც ქმნიან იმ გუნდს, რომელიც უზრუნველყოფს იმ საბოლოო შედეგების მიღწევას, რაც თავდაპირველად დაისახა ორგანიზაციამ. რა თქმა უნდა ხარისხის მენეჯმენტი ორიენტირებულია მუდმივ გაუმჯობესებაზე ანუ საჭიროა მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ და ვისწრაფოდეთ განვითარებისკენ. მნიშვნელოვანია მონიტორინგის როლი ანუ შიდა ვითარების ყოველდღიური შემოწმება, რადგან თუკი შეცდომა დაფიქსირდა შიდა პროცესში, მაშინ მხოლოდ შიდა დანაკარგები გვექნება, მაგრამ თუკი ის აღმოაჩინა პაციენტმა რისკია გარე დანაკარგებისაც. ყოველივე ეს საჭიროა კლინიკამ წინასწარ განსაზღვროს, დადგინოს რისკის მაქსიმალური დონე და დანაკარგების შედეგად მიღებული ზარალის მნიშვნელობა, რადგან მცირე ერთჯერადი დანაკარგი შეიძლება არ იყოს ზიანის მომტანი, მაშინ როდესაც თუკი მან მიიღო ხშირი ხასიათი შეიძლება მივიდეთ გამოუვალ მდგომარეობამდე.

ზოგადად, ხარისხის მენეჯმენტი ეს არის მართვა, გადაწყვეტილებების მიღება იმ ფორმით, რაც მისაღებია სამედიცინო ან ნებისმიერ ურთიერთობაში მონაწილე პირისათვის. ეს არის მმართველობითი

ხელოვნება თუ რა, როგორ და რატომ გავაკეთოთ, გავაკეთოთ და შევამოწმოთ კიდეც ანუ იდეა არის კომპანიის სამუშაოს დაგეგმვა და ბოლოს გადამოწმებაც. ერთგვარი საკუთარი თავის კონტროლია, რამდენად მიყვებით დასახულ მიზანს და რამდენად სწორად ვუმკლავდებით წარმოქმნილ გამოწვევებსა და პრობლემებს, რადგან თუკი გვინდა ვიყოთ ხარისხის მქონე, საჭიროა გვქონდეს უნარი შევამოწმოთ საკუთარი საქმე, გამოვავლინოთ სისუსტეები და ღირსეულად აღმოვფხვრათ ისინი. რეალურად ხარისხის მენეჯმენტი გვასწავლის პასუხისმგებლობის გრძნობას მიღებულ შედეგებზე, რადგან თუკი შედეგი დადგა, არ აქვს მნიშვნელობა როგორია იგი, თითოეული ორგანიზაცია ვალდებულია იკისროს საკუთარი წილი პასუხისმგებლობის, რომელიც წარმოიშობა საქმიანობის დაწყებიდან, რადგან თუკი რაღაცას იწყებ ე.ი. უნდა ელოდოთ ნებისმიერ გაგრძელებას ან შედეგს. ჯანდაცვის სექტორში ყველაზე მეტად საჭიროა ხარისხის სწორი მართვა, რადგან ყველაზე მოთხოვნადი და მუდმივად მზარდი სფეროა. კარგი ექიმი ვერაფერს იზამს თუ მას არ აქვს შესაბამისი სამუშაო პირობები და გარემო, რომელსაც ქმნიან სწორედ მენეჯერების გუნდი. ხარისხის მართვა იგივე სწორი მენეჯმენტია, დაგეგმით არსებული რესურსების პირობებში ყველაფერი თანმიმდევრულად, გონივრულად და რაციონალურად. საქართველოს ჯანდაცვის სექტორს წინ მრავალი გამოწვევა აქვს ჯერ კიდევ გასავლელი, ვფიქრობ ღირსეულად მოხდება ყველა გამოწვევის დაძლევა და გადალახვა, რადგან თუკი არსებობს მზაობა ცვლილებებისა და განვითარების ყოველთვის მოიძებნება გამოსავალი.

დასკვნა. ხარისხის მართვა და მენეჯმენტი, როგორც აღვნიშნე საკმაოდ საინტერესო, მრავალმხრივი და ამოუწურვადი სფეროა. დაუსრულებლად შეგვიძლია ვისაუბროთ ხარისხზე, რომელიც ჩვენი ცხოვრების თითოეულ სფეროშია უკვე ღრმად შემოჭრილი. დიახ ასეა, რეალურად ნებისმიერი პროდუქტის ან მომსახურების მიღებისას ქვეცნობიერში ყოველთვის ჩნდება კითხვა როგორია კომპანია? აქვს კი მას ის ხარისხი რაც გვჭირდება? აქედან იწყება სწორედ ის დიდი ისტორია, რასაც შემდგომ ხარისხის მენეჯმენტით ვიცნობთ. სტატიაში ვისაუბრე ჯანდაცვის სექტორის შესახებ მცირე ნაწილში, რადგან შეუძლებელია და ფაქტიურად წარმოუდგენელი, რომ ისაუბრო ხარისხის მენეჯმენტზე სამედიცინო დაწესებულებებში რამდენიმე ფურცელზე სრულყოფილად. ეს არის თემა, რომელიც შესაძლებელია განვაგრძოთ მრავალმხრივად და მრავალჯერ. გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად ყოველთვის არსებობდა, არსებობს და იარსებებს ეს საკითხი, რადგან კაცობრიობის განვითარებამ ცხადყო, რომ ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების შედეგად მატულობს მოთხოვნები და შესაბამისად შეფასების კრიტერიუმებიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ყაზახაშვილი ნ., „სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა, მართვა და გაუმჯობესება“, გამომცემლობა თსუ, 2019, გვ. 268.

2. ISO – Quality Management Principles.

(<https://www.iso.org/publication/PUB100080.html>)

ადამიანური ურთიერთობის, როგორც სისტემის, მოდელირება და გადაწყვეტილების მიღების მათემატიკური მეთოდები Human relationship, as a system, simulation and decision of Mathematic methods

ემზარ ჯულაკიძე – ეკონ. აკად. დოქტორი, პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Emzar.julakidze@atsu.edu.ge

ელიზბარ ბარბაკაძე – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
elizbar_barbakadze@yahoo.com

შალვა ჯულაკიძე – ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია
sjulakidze@gmail.com

Emzar Julakidze – The Academic Doctor of Economics, The Professor
Akaki Tsereteli State University
Emzar.julakidze@atsu.edu.ge

Elizbar Barbakadze – The Doctor of Business Administration
Akaki Tsereteli State University
elizbar_barbakadze@yahoo.com

Shalva Julakidze – Doctor of Economical Sciences, Associated Professor
David Agmashenebeli National Academy of Defense of Georgia
sjulakidze@gmail.com

ანოტაცია. ადამიანური ურთიერთობების, როგორც სისტემის, მოდელირება განპირობებულია იმით, რომ მის რეალურ გარემოსთან მანიაულირებამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები მოგვიტანოს. მოდელირების საშუალებით კი - მენეჯერებს ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ უკეთ გაერკვნენ შექმნილი პრობლემის არსში და შეიმუშაონ ადეკვატური გადაწყვეტილება. მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოდელირები, ესენია მათი პრაგმატულობა, სიმარტივე და ადექვატურობა. გადაწყვეტილებების შემუშავების თეორიაში, უმეტესად, მათემატიკური მეთოდები გამოიყენება. თუმცა, მართვად ცვლადსა და ფუნქციას შორის კავშირი შეიძლება იყოს: ალტერნატიული, საფეხურიანი, წრფივი, პროპორციული ან მრუდწირული. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მენეჯერები, უფრო მეტი და მეტი დოზით, იყენებენ ბიზნეს-გარემოს მოდელირებისა და მისი მართვის მათემატიკურ მეთოდს.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური ურთიერთობები; მოდელირების პრაგმატულობა; ცოდნის

შეფასების სისტემა; მმართველობითი გადაწყვეტილების მათემატიკური მეთოდები.

Annotation - Human relationships, as a system, simulation is conditioned that, its real environment manipulation may give us incorrigible result. By helping of simulation, managers will be able to clear up the reason of the problem and make appropriate decision. Requests, which should be satisfied by models, these are their pragmatism, simplicity and adequacy. The theory of decisions, moreover is used method of mathematics. Though, connection may be between controllable changing and function : alternative, stepped, rectilinear and proportional. It should be said that modern managers use mathematical methods for simulation of the business environment .

Key words: human relationship, pragmatic model, system of evaluate, mathematical method of managerial decision.

მოდელი, ყველაზე მარტივად, ეს არის სამართავი სისტემისა თუ პროცესის წარმოდგენა ისეთი სახით, რომელიც თითქმის რეალურად აღწერს მას. თუმცა, ის რეალობა არ არის. იხილავს რა ეკონომიკურ მოდელებს, როგორც სწორი დასკვნების მიღების მნიშვნელოვან წინაპირობას, გრეგორი მენქიუ აღნიშნავს, რომ „ადამიანთა ანატომიის შესწავლისას ყველას გვინახავს ადამიანის ჩონჩხი, გულის, ფილტვების, თირკმლების, კუჭის მოდელები. ეს მოდელები ანატომიის მასწავლებელს საშუალებას აძლევს მარტივად და გასაგებად აუხსნას მოსწავლეებს თუ როგორ ფუნქციონირებს ადამიანის სხეულის ესა თუ ის ნაწილი და როგორ ურთიერთქმედებენ ისინი ერთმანეთთან. სინამდვილეში სრულ მოდელს მრავალი დეტალი აკლია და ბოლოს და ბოლოს ის ცოცხალი ადამიანი არ არის“ [1, გვ. 21]. ანალოგიურად, როდესაც ადამიანურ ურთიერთობათა სისტემაში, მოდელების გამოყენებაზე ვსაუბრობთ, აქაც მთავარია გამოვყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი და მთელი აქცენტი გადავიტანოთ მასზე. ხოლო, არამნიშვნელოვანს არ მივაქციოთ ყურადღება, ისევე როგორც ანატომიის გაკვეთილზე წარმოდგენილ ჩონჩხს აკლია ბევრი კუნთი, კაპილარი და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური ურთიერთობების, როგორც სისტემის, მოდელირება აუცილებელია იმიტომ, რომ მის რეალურ გარემოსთან მანიპულირება, ფაქტობრივად, არ შეიძლება. საქმე იმაშია, რომ ადამიანებთან არამართებულმა ექსპერიმენტმა შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოგვიტანოს; მოდელირების მეშვეობით კი შესაძლებელი ხდება რეალურად არსებული სიტუაციის გამარტივება, რაც მენეჯერებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ უკეთ გაერკვეს მის წინაშე მდგომი პრობლემის არსში და შეიმუშაოს ადეკვატური მმართველობითი გადაწყვეტილება.

ამრიგად, მოდელის ძირითადი დანიშნულებაა მოდელზე ექსპერიმენტის ჩატარების, სიტუაციის ანალიზის და შესწავლის შესაძლებლობა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია ჩატარდეს თვით საკვლევ ობიექტზე. თუმცა, წარმატებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მოდელის რეალურ სამყაროსთან შესაბამისობის ხარისხის დადგენა. ანუ გაირკვეს, არის თუ არა ჩართული მოდელში რეალური სიტუაციის ყველა არსებითი ხასიათის

პრობლემა. წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილების საიმედოობა დაბალი იქნება [4, გვ. 72]. ამიტომ, მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოდელები, შემდეგში მდგომარეობს:

- **მოდელის პრაგმატულობა.** მოდელი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს იმ გარემოს, რომლის შესწავლაც გვინდა. თუმცა, პრაგმატულობა გულისხმობს იმასაც, რომ თავად გარემო უნდა უწყობდეს ხელს მოდელის ფუნქციონირებას. ანუ, არა მხოლოდ მოდელი უნდა იყოს გარემოსთან შესაბამისობაში, არამედ გარემოც უნდა უწყობდეს ხელს მოდელის (სისტემის) ფუნქციონირებას.

- **მოდელის სიმარტივე.** მოდელი უნდა იყოს მარტივი, ადვილად აღქმადი იმ პირთათვის, რომელთაც უხდებათ მისი რეალიზება და დასკვნების გამოტანა. მართალია, მოდელი ვერ შეძლებს რეალობის სრულად ასახვას, მაგრამ იგი გარემოს ძირითად თავისებურებებს მაინც უნდა გამოხატავდეს.

- **მოდელის ადეკვატურობა.** ეს მოთხოვნა გულისხმობს იმას, რომ მოდელს უნდა შეეძლოს გაამართლოს მოდელირების მიზანი და დააკმაყოფილოს მისდამი წაყენებული სხვა მოთხოვნები.

გადაწყვეტილებების შემუშავების თეორიაში მეთოდთა მრავალფეროვანი ჯგუფები არსებობს. თუმცა, ყველაზე მეტი გამოყენება მაინც მათემატიკურ მეთოდებს აქვს, რომელიც იძლევა საშუალებას გამოვთვალოთ გადაწყვეტილების საუკეთესო ვარიანტი ოპტიმალური კრიტერიუმის მიხედვით. მათ შორის კავშირი შეიძლება იყოს: ალტერნატიული, საფეხურიანი, წრფივი (სწორხაზოვანი), პროპორციული ან მრუდწირული (ამოზნექილი, ჩაზნექილი).

მაგალითად, როგორც სამეურნეო პრაქტიკაში, ასევე ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ ხშირია ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა. მარტივად - „კი“ ან „არა“. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ უმაღლესი სკოლის არც თუ ისე შორეული წარსულის მაგალითი სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესახებ, როდესაც გამოიყენებოდა „ჩათვლა“ ან „არჩათვლა“. კერძოდ, თუ სტუდენტის ცოდნა მის კრიტიკულ ზღვარზე მეტი ან ტოლი იქნებოდა, მაშინ „ჩათვლა“ თუ ნაკლები - „არჩათვლა“.

ცოდნის შეფასებისა და საერთოდ, გადაწყვეტილების მიღების ასეთი მოდელის ერთადერთი უპირატესობა მდგომარეობს მის სიმარტივეში, ნაკლი კი იმაშია, რომ ორივე ინტერვალში შეფასება არ ითვალისწინებს ცოდნის დონის ცვლილებას (რამდენად მეტია ან ნაკლებია იგი კრიტიკულზე). ანუ, ალტერნატიული შეფასება (ჩათვლა/არჩათვლა) ვერ

უზრუნველყოფდა სტუდენტთა დაინტერესებას სრულყოფილად შეესწავლა საგანი. ამიტომაც, იგი უგულვებელყავით.

ცოდნის დონის ინტერვალთა გაზრდა და თითოეული ინტერვალისათვის შესაბამისი შეფასების დაწესება გარკვეულწილად ამცირებს ალტერნატიული შეფასების ნაკლს. ასეთ შემთხვევაში ცოდნის შეფასება ატარებს საფეხურიან ხასიათს. სადღეისოდ მოქმედი ცოდნის შეფასების მოდელი, ფაქტობრივად, 7-საფეხურიანია (F – ჩაიჭრა, თავიდან უნდა გაიაროს საგანი; FX - ვერ ჩააბარა, გამოცდის გადაბარების უფლებით; E - საკმარისი; D - დამაკმაყოფილებელი; C - კარგი; B - ძალიან კარგი; A - ფრიადი).

ჩვენი აზრით, ცოდნის შეფასების ასეთი მეთოდიც ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთა უწყვეტ დაინტერესებას ცოდნის სრულყოფილობის პოზიციიდან. რა თქმა უნდა იგი მიიღწევა ერთი ინტერვალიდან მეორეში გადასვლის შემთხვევაში, მაგრამ ნაკლებად ითვალისწინებს ცოდნის სრულყოფილობისადმი დაინტერესებას ცალკეულ ინტერვალებში. მაგალითად, სტუდენტის ცოდნას ვაფასებთ 85 ქულით, ის კი გვთხოვს დაუუსვათ დამატებითი კითხვები, არა იმდენად იმისთვის, რომ გაზარდოს მისი შეფასება ორი-სამი ქულით, არამედ იმისთვის, რომ გადავიდეს შეფასების უფრო მაღალ საფეხურზე.

ზოგადად, აღნიშნული პრობლემიდან გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ გავზარდოთ საფეხურების რაოდენობა, ე.ი. ყოველი ინტერვალი, თავის მხრივ, დავყოთ კიდევ რამდენიმე ინტერვალად. თუმცა ფაქტია, იგი სრულყოფილად მაინც ვერ აღმოფხრის აღნიშნულ ნაკლოვანებას. ამასთან, მიღებული ინტერვალების კიდევ შემდგომი დაყოფა მიგვიყვანს ცოდნის შეფასების და საერთოდ, გადაწყვეტილების მიღების სწორხაზოვან (ან პროპორციულ) მეთოდად, სადაც შედეგი (ფუნქცია) იზრდება (მცირდება) იმავე ტემპით, როგორც იცვლება მართვადი ცვლადი (არგუმენტი).

სწორხაზოვანი და პროპორციული ფუნქციის უპირატესობა მდგომარეობს მის უბრალოებაში, გაანგარიშების სიმარტივეში. ამიტომ ასეთ ფუნქციებს ფართო გამოყენება აქვთ ბიზნეს-პრაქტიკაში. მაგალითად, შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა; ქონების გადასახადი; სამშომოსავლო გადასახადი (ამასთან, თუ დადგენილია დაუბეგრავი მინიმუმი, გადაწყვეტილება იქნება სწორხაზოვანი).

სამეურნეო პრაქტიკის თანამედროვე ეტაპზე ფართო გამოყენება ჰპოვა ასევე - ე.წ. მრუდწირულმა ფუნქციებმა, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება დავყოთ როგორც ამოხსნეილი და ჩაზნეილი ფუნქციები.

ფუნქციის ჩაზნეილობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასურველი შედეგის (ფუნქციის) ზრდის (კლების) ტემპი წინ უსწრებს მართვადი ცვლადის (არგუმენტის) ზრდის (კლების) ტემპს. ჩაზნეილი ფუნქციის გამოყენება საფუძვლად უდევს მაგალითად, შრომის ანაზღაურების სანარდო

პროგრესულ ფორმას. მისი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეულ შემთხვევებში, საჭიროა რომ მკვეთრად გაიზარდოს პერსონალის დაინტერესება შრომის ნაყოფიერების ზრდაში. ამასთან, აუცილებელია ვიცოდეთ, რომ დიდხანს და ბევრგან მისი გამოყენება გამართლებული არ არის, რადგან ბოლოს და ბოლოს ასეთი გზით მიღწეულ ეფექტს გადაფარავს მასზე გაწეული დანახარჯები.

შედარებით მეტი გამოყენება აქვს ამოზნექილ ფუნქციებს. მასში სასურველი შედეგის (ფუნქციის) ზრდის (კლების) ტემპი ჩამორჩება მართვადი ცვლადის (არგუმენტის) ზრდის (კლების) ტემპს. მის მაგალითს წარმოადგენს უამრავ კომპანიაში მოქმედი სანარდო პრემიალური ანაზღაურება. ან კიდევ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედი საშემოსავლო გადასახადის პროგრესული ფორმა, რომლის მიხედვითაც, დარიცხული ხელფასის ზრდასთან ერთად, უფრო მეტი ტემპით იზრდება საგადასახადო ნორმატივი, თუმცა ხელზე მისაღები ხელფასის ზრდადობა ყოველთვის შენარჩუნებულია.

დასკვნით სახით კი შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური ურთიერთობების, როგორც სისტემის, მოწესრიგებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის პროცესში თანამედროვე მენეჯერი, უფრო მეტი დოზით უნდა იყენებდეს ბიზნეს-გარემოს მოდელირებისა და მისი მართვის მათემატიკურ მეთოდს, რომელიც მკვეთრად ზრდის მიღებული გადაწყვეტილების საიმედოობას.

ლიტერატურა:

- 1. გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა „დიოგენე“, 2008 წ. – 846 გვ. www.ru.scribd.com/doc**
- 2. მექვაბიძე რ. გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014 წ. – 379 გვ. [ftp://files.gu.edu.ge](http://files.gu.edu.ge)**
- 3. ქერქაძე ნ., ვარდანაშვილი ი., ხუნდაძე ც. მეთოდოლოგია და მეთოდი. <http://blog.crrc.ge/2012/08/blog-post.html>**
- 4. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ. : უნივერსალი, 2008 წ. - 288 გვ. <http://www.bpa.ge/elwigni>**
- 5. Трофимова Л.А., Трофимов В.В. Методы принятия управленческих решений, Санкт-Петербург, Изд-во «Санкт-Петербургского государственного университета Экономики и Финансов», 2012 г. <http://z0081.narod.ru/mpur.pdf>**

კორპორაციული მართვის როლი და მნიშვნელობა კომპანიათა საინვესტიციო მიზიდველობის შეფასებაში
The Role and Importance of Corporate Governance in Assessing the Investment Attractiveness of Companies

თენგიზ ლაჭყვიანი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, t.lachkepani@gtu.ge

მაია ლომიშვილი - ასისტენტ პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, makomako429@mail.ru

Tengiz Lachkepani - Academic Doctor of Economics
Georgian Technical University, t.lachkepani@gtu.ge

Maia Lomishvili - Assistant Professor
Georgian Technical University, makomako429@mail.ru

აბსტრაქტი. სტატიაში განალიზებულია კორპორაციული მართვის სპეციფიკა, საინვესტიციო პოლიტიკის თავისებურებები და მოცემულია კორპორაციულ მართვაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები, რომელიც უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს კორპორაციული მართვის მოდელებისა და პრინციპების დამუშავებისა და მისი დახასიათების წარმოდგენით.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული მართვა, ინვესტორი, ეკონომიკა, ინვესტირება, ფინანსები.

Abstract. The article analyzes the specifics of corporate governance, the peculiarities of investment policy and provides ways to eliminate the shortcomings in corporate governance, which should first of all be done by developing and characterizing corporate governance models and principles.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევებმა დაგვანახა, რომ კორპორაციული მართვის მოდელს საქართველოში, გარდამავალი პერიოდის თავისებურებებიდან გამომდინარე გააჩნია სპეციფიკა. სამწუხაროდ, კორპორაციული მართვის ქართული პრაქტიკა, რეალურად, მკვეთრად გამოხატული უარყოფითი იმიჯის მატარებელია, რაც ქმნის გარკვეულ სირთულეებს გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტირების და, მთლიანად, ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების სფეროში.

მომგებიანობისა და ფინანსური მდგრადობის გვერდით, ცალკეული საწარმოს საინვესტიციო მიზიდველობის შეფასებისას და, მთლიანად, ქართულ ეკონომიკურ პრაქტიკაში ინვესტირების პრობლემის გადაჭრისას სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს კომპანიათა გახსნილობისა და აქციონერთა უფლებების დაცვის საკითხები. ამასთან, აქციონერთა უფლებები და მათი დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კორპორაციული მართვის საკითხის სათანადო დონეზე დაყენებით. მხოლოდ ასეთ პირობებში გახდება კომპანია საინვესტიციოდ მიმზიდველი და ინვესტორი, როგორც მესაკუთრე, მიიღებს დაბანდებათა უსაფრთხოებისა და საკუთარი უფლებების დაცვის გარანტიას.

საქართველოში კორპორაციული ქცევის სრულყოფა მნიშვნელოვანი პირობაა ეკონომიკის ყველა სფეროში ინვესტიციების მოსაზიდად როგორც ქვეყნის შიდა წყა-როებიდან, ისე უცხოელი ინვესტორების მხრიდან. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, გაჩნდა საერთო წესების შემუშავებისა და დანერგვის სუბიექტური საფუძველი, რომელიც პოტენციურ ინვესტორებს საშუალებას მისცემს მიიღონ ნათელი სურათი იმის შესახებ, თუ რომელი მმართველობითი პრინციპების საფუძველზე მოქმედებს ესა თუ ის კომპანია, ვინ არიან მისი მფლობელები, როგორია მისი მუშაობის ეფექტიანობის ხარისხი, რათა უმოკლეს დროში და უმნიშვნელო დანახარჯებით იქნეს მიღებული გადაწყვეტილება კაპიტალის ინვესტირების მიზანშეწონილობის შესახებ.

ასეთი წესების შემუშავების დროს ქვეყნების საქმიანი წრეები, გვევლინებიან რა ინვესტორების სახით, ეყრდნობიან საკუთარი მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურ მხარდაჭერას. ქვეყნების საქმიანი წრეების და მთავრობების წარმომადგენლები კი, როგორც ინვესტიციების რეცეპიენტები, იწყებენ იმის აღიარებას, რომ იმ წესების არსებობა და დაცვა, რომელიც გასაგები და აღიარებულია უცხო ქვეყნების ინვესტორების მხრიდან, ეროვნული კომპანიების მიერ უმნიშვნელოვანესი უპირატესობაა კონკურენციაში კაპიტალის მოზიდვისათვის.

უკანასკნელ პერიოდში რიგ ქვეყნებში იზრდება იმის აღიარება, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე შეუძლებელია კორპორაციული მართვის ეფექტიანი პრინციპების გამოყენება, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შიდა ინვესტორების ნდობის განმტკიცებას და უფრო იაფი და სტაბილური ფინანსური წყაროების მოძიებას.

უკანასკნელ პერიოდში მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, შემუშავებულ იქნა კორპორაციული მართვის კოდექსები, რომლებიც არიან კორპორაციული ურთიერთობების წესრიგის დამდგენი და მარეგულირებლები, წარმოადგენენ ნებაყოფლობით მიღებული სტანდარტებისა და შიდა ნორმების ერთობლიობას²⁹.

თანამედროვე მსოფლიოში კორპორაციული მართვის მოქმედ კოდექსთა რიცხვს შესაძლებელია მივაკუთვნოთ:

➤ „კოდექსი ქეთბერი“, მომზადებული 1991 წელს დიდ ბრიტანეთში ფინანსური ინფორმაციის საბჭოს, ლონდონის საფონდო ბირჟის, ბუღალტერთა პროფესიული კავშირის თანამშრომელთა მიერ, სერ ადრიან ქეთბერის ხელმძღვანელობით;

²⁹საქართველოში 2009 წელს შემუშავებულ იქნა ჯერ-ჯერობით კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ადგენს და არეგულირებს კორპორაციული ურთიერთობების წესრიგს საბანკო სექტორში.

➤ თეზისები - „კორპორაციული მართვის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები“, რომელიც მომზადებულია 1994 წელს კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ დირექტორთა საბჭოს მიერ;

➤ „კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები აშშ-ში“, რომელიც მომზადებულია 1998 წელს კალიფორნიის სამოქალაქო მოსამსახურეთა საპენსიო ფონდის მიერ;

➤ „არსებული პრაქტიკის კოდექსი“, რომელიც მომზადებულია 1999 წელს ბრაზილიის კორპორაციული მართვის ინსტიტუტის მიერ;

➤ „კორპორაციული მართვის კოდექსი“, რომელიც მომზადებულია 1999 წელს მალაიზიის უმაღლესი საფინანსო კომიტეტის მიერ;

➤ „სანიმუშო პრაქტიკის კოდექსი“, რომელიც მომზადებულია 1999 წელს მექსიკის მეწარმეთა საკოორდინაციო საბჭოს კორპორაციული მართვის კომიტეტის მიერ;

„სანიმუშო პრაქტიკის“ კოდექსების ძირითადი შინაარსი წარმოდგენილია რეკომენდაციების სახით, ეხება დირექტორთა საბჭოების საქმიანობის ორგანიზაციას, პრინციპებსა და ტექნოლოგიას, განიხილება კორპორაციული მართვის ძირითად და მოქმედ მექანიზმად.

კორპორაციული მართვის კოდექსები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმ წესებისა და პროცედურების გამტკიცებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიათა აქციონერების ხელმისაწვდომობას კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე, ასევე ინფორმაციის გახსნას მასში კორპორაციული მართვის ფუნქციონირების მექანიზმის შესახებ. ამასთან, კოდექსებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა რეკომენდაციებს აქციონერთა კრებების მომზადებისა და ჩატარების შესახებ!

საგულისხმოა, რომ კორპორაციული მართვის კოდექსების დებულებები ყოველთვის შესასრულებლად სავალდებულო არ არის კომპანიებისათვის და ხშირად სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. მაგრამ კორპორაციული მართვის წესების უგულებელყოფამ შესაძლებელია არა მარტო გაუფუჭოს კომპანიის იმიჯი, არამედ მნიშვნელოვანი ზეგავლენაც მოახდინოს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამიტომ საქართველოს რიგი მსხვილი კომპანიები, უპირველეს ყოვლისა, ემიტენტები, რომლებიც თავიანთი ფასიანი ქაღალდებით გავიდნენ დასავლეთის ბაზარზე, იღებენ კორპორაციული მართვის კოდექსებს, რომლის ძირითადი შინაარსიც ბიზნესის ღია და პატიოსნად გაძღოლა.

ინვესტორების ნდობის მოპოვების პრობლემა ქართული კომპანიების მენეჯერების მიერ თანდათანობით აღიქმება ბაზარზე წინსვლისა და წამყვანი პოზიციების დაკავების აუცილებელ პირობად. კომპანიის რეპუტაციაზე ზრუნვა აუცილებელია როგორც პარტნიორების, ისე ინვესტორების მოსაზიდად. ამასთან, ინვესტორი, უდარებს რა ობიექტების

მიმზიდველობას ერთმანეთს კაპიტალის ინვესტირებისათვის, აფასებს მათ საინვესტიციო მიმზიდველობას, ანუ განსაზღვრავს დონეს, ზომავს მისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენას და რისკებს, რაც მას აძლევს დასაბუთებული არჩევანის გაკეთების საშუალებას.

თანამედროვე საინვესტიციო გადაწყვეტილებებისათვის დამახასიათებელი თავისებურება არის ის, რომ ფინანსური მაჩვენებლები აღარ არის გადამწყვეტი ფაქტორი. ინვესტორები იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი კომპანია ეყრდნობა უფრო ფართო ინფორმაციას. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ კომპანიის გამჭვირვალობასა და გახსნილობაზე, კორპორაციული მართვის დონესა და ხარისხზე, რაც არის კორპორაციული მართვის რეიტინგების აგების საფუძველი.

მეორე ფუნქცია ეს არის ელიტის ფორმირება, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, თავის თავზე იღებს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების მისიას, რომელიც შეადგენს საზოგადოების მაღალგანვითარებულ ადამიანთა ჯგუფს და ამავდროულად, წარმოადგენს ქვეყნის ეროვნულ რესურსს. უმაღლესი განათლება არ არის ერთად-ერთი სფერო, რომელიც აყალიბებს პიროვნებას, სულიერებას. ლიტერატურა, ხელოვნება, ინფორმაციის მასობრივი საშუალებები ასევე დიდ გავლენას ახდენენ პიროვნების ფორმირებაზე, მაგრამ უმაღლეს განათლებას გადამწყვეტი როლი ეკისრება. ახლა ქვეყნებს შორის მიმდინარეობს ერთგვარი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური კონკურენცია ინტელექტუალური რესურსების მომზადების ხარისხთან დაკავშირებით.

მესამე ფუნქცია ეს არის კვალიფიციური სპეციალისტების მასობრივი მომზადება, პროფესიული ცოდნის, სტანდარტების, უნარების გადაცემა. აქედან გამომდინარე, თამამდ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ უმაღლესი განათლების ეკონომიკური ფუნქციის მთავარი არსი მდგომარეობს შემოსავლების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფასა და ადამიანის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში, ერთის მხრივ, და ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მეორეს მხრივ. უმაღლესი განათლება არის ერთგვარი ინსტიტუტი, რომელიც

მოწოდებულია შექმნას ოპტიმალური ეკონომიკური პირობები როგორც ცალკეული ინდივიდისათვის, ასევე მთლიანად საზოგადოებისათვის ისე, რომ მათი ინტერესები მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს. [10]

უმაღლესი განათლება არის მრავალფუნქციური სისტემა, რომელიც ასრულებს სხვადასხვა შინაარსის ფუნქციათა ფართო სპექტრს. მათ შორის, როგორც ძირითადი, გამოიყოფა საგანმანათლებლო, აღმზრდელი და ინფორმაციული ფუნქციები. ზოგიერთი მეცნიერი ხაზს უსვამს მის ორგანიზაციულ და მმართველობით როლს. ბოლო წლების განმავლობაში აქტუალური გახდა მისი შესწავლა ეკონომიკური დანიშნულების თვალსაზრისით. [10]

უმაღლესი განათლება როგორც სოციალური ინსტიტუტი, საზოგადოებაში წარმოადგენს სოციალური მობილობის მნიშვნელოვან წყაროს და საშუალებას და ამ გზით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების წევრების სოციალურ დიფერენცირებაში, მათ განაწილებაში საზოგადოების შიგნით სოციალური ფენების მიხედვით. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და მასობრივი ხასიათის პირობებში, ეს სოციალური ინსტიტუტი გახდა საზოგადოების სტრატეგიკული სტრუქტურის ფარგლებში ინდივიდების განაწილების მექანიზმი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მნიშვნელოვანი ხდება ისეთი ფაქტორებიც, როგორცაა საგანმანათლებლო დაწესებულების პრესტიჟი, მისი ხელმისაწვდომობა და განათლების ხარისხის შესაბამისობა მის საბაზრო ღირებულებასთან. უმაღლესი განათლების პროცესი არ გულისხმობს მხოლოდ საქმიანობის გარკვეული სახეობის შესრულებისათვის მომზადებას, ის ასევე ახდენს გავლენას სოციალურ სტატუსზე, რაც წარმოადგენს სოციალური მობილობის ფაქტორს და არა გარანტს.

უმაღლესი განათლების სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის მნიშვნელოვან მახასიათებელს და კრიტერიუმს მიეკუთვნება საზოგადოების ინტელექტუალური და საკადრო პოტენციალის ფორმირება, რამდენადაც არსებითად გაიზარდა თვით ადამიანური რესურსის ხარისხის მნიშვნელობა. [1]

უმაღლესი განათლების მრავალი მახასიათებლიდან, მისი ფუნქციური როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მისი თვისებების დადგენა, ეს არის: ცოდნის წარმოების უწყვეტი პროცესი, საზოგადოების ძირითადი საწარმოო ძალის მთავარი ხარისხობრივი მახასიათებელი, მეცნიერების საწარმოო ძალად გარდაქმნის ფაქტორი, ინფორმაციული ფონდი, საზოგადოების განვითარების მიზანი და ამ მიზნის მიღწევის საზოგადოებრივი საშუალება. უმაღლესი განათლება ასრულებს შემეცნებით ფუნქციას. ეს არის სამუშაო, რაც ანიჭებს ადამიანს ბუნების

კანონების ამოხსნის სიხარულს, რომლის საფუძველზეც ვითარდება საზოგადოება და ბუნება, და თუ დავუშვებთ, რომ შრომა ეს არის ბუნებისა და ადამიანის ურთიერთქმედება, მაშინ უმაღლესი განათლება ამარტივებს ამ ურთიერთქმედების პირობებს და ზრდის პროდუქტიულობას ყველა დარგსა და სფეროში. [9]

ეკონომიკა, როგორც წარმოების ორგანიზაციის სისტემა, ყველაზე უკეთ ასრულებს ფუნქციებს პოლიტიკური სტაბილურობის პირობებში. თუმცა ეკონომიკის მართვაში პოლიტიკური მოტივების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, რამდენადაც ეს ეწინააღმდეგება საზოგადოების განვითარების ეკონომიკურ კანონებს.

თანამედროვე პირობებში არც ის არ იქნება იდეალური ვარიანტი ეროვნულ ფაქტორს მივანიჭოთ სრული უპირატესობა, რადგანაც ეკონომიკა ფართო გაგებით, როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსზრისით, არის საერთაშორისო. შესაბამისად, ეროვნული, მათ შორის ტერიტორიული საზღვრები - ეს არის ჩარჩო, რაც ეწინააღმდეგება მის განვითარებას. მსოფლიო ბაზარზე ინტეგრაციის იმედი შიდა ბაზრის არ არსებობის პირობებში, იწვევს ეროვნული წარმოების და ეროვნული სიმდიდრის გადანაწილებას საზღვრებს მიღმა.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების ისტორიისა და ლოგიკის ანალიზი გვამძლეებს ბაზრის, როგორც თვითრეგულირების სისტემის უფრო საფუძვლიანად გამოყენების შესაძლებლობებს და საზღვრებს. ბაზარი ცივილიზებული, გონიერი საზოგადოებისათვის მიზნის მიღწევის საშუალებაა. საბაზრო ეკონომიკის ევოლუციური განვითარება ობიექტურად ექცევა რეგულირების მონოპოლიურ სტრუქტურაში. ცენტრალიზებული ეკონომიკის გადასვლა საბაზრო რეგულირებაზე შესაძლებელია მხოლოდ მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ, მაგრამ ის უნდა იყოს განპირობებული ევოლუციური განვითარებისათვის საჭირო ცოდნით.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსვლის ყველაზე შესაფერისი და ამავედროულად, სოციალურად ორიენტირებული გზა არის ეკონომიკური განათლების სისტემის გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს საიმედო და ყველასათვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ. ეკონომიკური განათლების გაფართოება და გაძლიერება საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის უფლებას და ამავედროულად, ანიჭებს პასუხისმგებლობას საწარმოო საქმიანობის ხარისხსა და ეფექტიანობაზე, საწარმოო ურთიერთობების, ბიზნეს ეთიკის სამეცნიერო საფუძვლებსა და ეკონომიკური კულტურის დაცვაზე.

ეკონომიკური განათლება წარმოდგენს საწარმოო ურთიერთობების ჰუმანიზაციის ობიექტურ პირობას - წარმოების მართვის

დემოკრატიზაციისა და მისი სოციალური ორიენტაციის პირობას. ცივილიზებული საზოგადოება ეს არის განათლებული საზოგადოება, რომელმაც ზუსტად იცის რა უნდა ააშენოს და როგორ უნდა ააშენოს. ადამიანი, როგორც სოციალური ურთიერთობების - ეკონომიკური, პოლიტიკური კულტურული და სხვ - განსახიერება, ვითარდება სწავლის პროცესში. ფსიქოლოგების აზრით, ინტელექტის ფორმირება ხდება 20 წლამდე, შესაბამისად, მისი შექმნის ძირითადი ტვირთი უნდა დაეკისროს განათლების საშუალო და უმაღლეს რგოლს. [5]

უმაღლესი განათლების ეკონომიკური ფუნქცია უმაღლესი განათლების სისტემაში მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის უნარების საზოგადოებრივ საქონლად და ეროვნულ სიმდიდრედ გადაქცევაში გამოიხატება. მეცნიერების საწარმოო ძალად გარდაქმნის შესაძლებლობა დამოკიდებულია განათლების დონესა და ხარისხზე, ცოდნის უნარ-ჩვევებად გადაქცევის მეთოდებზე, ცოდნის განახლების სისწრაფეზე.

ეკონომიკური ფუნქცია ვლინდება პრაქტიკაში კვალიფიციური კადრების მიერ მათი მომზადების დონისა და ხარისხის შესაბამისად. საზოგადოების საგანმანათლებლო პოტენციალი ეს არის საზოგადოების საწარმოო ძალა, რომელიც ფლობს უმაღლესი განათლების სისტემის მიერ მოწოდებულ ცოდნას.

განათლების ეკონომიკური ფუნქციის რაოდენობრივ მახასიათებელს ვხვდებით კონკრეტული ეკონომიკური მეცნიერების შინაარსში - განათლების ეკონომიკა. აღნიშნული მეცნიერების მიერ შესწავლილი პრობლემების სპექტრში შედის განათლებისა და ტექნიკური პროგრესის, საზოგადოებრივი განათლების ორგანიზაციის, მართვისა და განვითარების ურთიერთკავშირის საკითხები.

შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს „უმაღლესი განათლების ეკონომიკური ფუნქციის“ ცნების არსი და შინაარსი, რაც მდგომარეობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეკონომიკური შედეგების სისტემატიზაციაში, რაც შეიძლება გამოიხატოს ნაწილად, მიკრო და მაკრო დონეზე არა მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების ყველა მონაწილის შემოსავლების ზრდის სახით, არამედ არაკირდაპირი შედეგების ფართო სპექტრში, რაც ყოველთვის არ ვლინდება ეკონომიკურ მიღწევებში, თუმცა ქმნიან პოზიტიურ გარემოს უმაღლესი განათლების ეკონომიკური ეფექტის გასაძლიერებლად.

უმაღლესი განათლება წარმოადგენს, ერთის მხრივ, საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ფორმით და მეორეს მხრივ, მიზნის მიღწევის საშუალებას, როგორც ცოდნის დაგროვებისა და გადაცემის პროცესი, რაც ზრდის წარმოების ეფექტიანობას საქმიანობის ყველა სფეროში. საწარმოო ძალების და

საწარმოო ურთიერთობების განვითარება, რომელიც უზრუნველყოფილია განათლების არსებული დონით, საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ პროგრესად გვევლინება, სწორედ განათლების სისტემა არის პასუხისმგებელი ადამიანური რესურსების ხარისხზე. [6]

ამრიგად, უმაღლესი განათლების ეკონომიკური ფუნქციის ანალიზი გვაძლევს საფუძველს უმაღლესი განათლების ინსტიტუტი განვსაზღვროთ როგორც:

- საზოგადოების ძირითადი საწარმოო ძალის - სამუშაო ძალის - განახლების ფაქტორი (ფიზიკურ და გონებრივ უნართა ერთობლიობა, რომლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები ყალიბდება განათლების სისტემაში) - ეს არის განათლების მთავარი ეკონომიკური დანიშნულება;
- დაგროვილი პოტენციალი (განათლების დონე და განათლებულ ადამიანთა რაოდენობა), რაც ქმნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველს, შრომის მწარმოებლურობის ზრდის შესაძლებლობებს მეცნიერების საწარმოო ძალად გარდაქმნის გზით, რაც საბოლოო ჯამში, ზრდის ეროვნულ შემოსავალს.
- სისტემა, რომელიც ზრდის ადამიანთა ეკონომიკურ ცოდნასა და ეკონომიკურ კულტურას, ხელს უწყობს საწარმოო ურთიერთობების სრულყოფას უფრო ღრმა ცოდნით და ამის საფუძველზე ეკონომიკური კანონების მოთხოვნებთან მათი ინტერესების შესაბამისობას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების მეცნიერულ ორგანიზაციას და მართვას თვით წარმოების და წარმოებითი ურთიერთობების სრულყოფის გზით. საბაზრო ურთიერთობების ყველა სუბიექტის ეკონომიკური განათლება არის ერთად-ერთი სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული და ეფექტური გზა საზოგადოების დაბალანსებული და სოციალურად ორიენტირებული განვითარების უზრუნველსაყოფად.
- ბაზა, რომელიც ქმნის პირობებს საზოგადოებაში ინტერესთა ჰარმონიზაციისათვის გონიერების საფუძველზე (ძალადობისა და ცრურწმენების გარეშე). ჭეშმარიტი თავისუფლება არის თითოეულის მიერ საზოგადოებაში თავისი ადგილის, როლის, დანიშნულებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერების აუცილებლობა.
- განსაკუთრებული ფორმის შრომის პროცესი, რომლის საფუძველზეც იხვეწება სამუშაო ძალის ყველა ხარისხობრივი მახასიათებელი, თვისებები, რომელიც აყალიბებს ადამიანს პიროვნებად, მთელი რიგი მახასიათებლები, რაც განასხვავებს მას მატერიალური წარმოების სხვა პროცესებისგან, სადაც იქმნება მატერიალური სიმდიდრე.

- განათლება, საბოლოო ჯამში, სამუშაო ძალის აღწარმოების გზით, უზრუნველყოფს მთლიანობაში საზოგადოების აღწარმოებას, რაც, თავის მხრივ, ავითარებს საწარმოო ურთიერთობებსა და საწარმოო ძალებს ნებისმიერ სფეროში, მით უფრო სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაში. [3]

ხშირად უმაღლესი განათლების შედეგად თვლიან ცოდნის, უნარ-ჩვევების სისტემის შექმნას, რაც გადაეცემა ადამიანს სწავლის პროცესში. თუმცა ამგვარი მიდგომის საფუძველზე რთულია კონკრეტულად დადგინდეს განათლების სფეროს საქმიანობის შედეგი. ამის დასადგენად საჭიროა უმაღლესი განათლების სფეროს საქმიანობის შიდა და საბოლოო მიზნების გამიჯვნა. საგანმანათლებლო სფეროს საქმიანობის დადებითი ეფექტი გამოიხატება ორ განზომილებაში: ეს შეიძლება იყოს პირველადი და საბოლოო შედეგი. პირველადი, თვალსაჩინო არის შედეგი, რომელიც განისაზღვრება საგანმანათლებლო საქმიანობის შიდა მიზნებით. ასეთი შეიძლება იყოს: მოქალაქეების სულ უფრო მზარდი რაოდენობის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში; სხვადასხვა სპეციალობის კვალიფიციური კადრების განსაზღვრული რაოდენობის გამოშვება; უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერთა მომზადება და სხვ. აღნიშნული მაჩვენებლები არის უმაღლესი განათლების სისტემის, როგორც ადამიანთა საქმიანობის სპეციფიკური დარგის, ფუნქციონირების შედეგების განსაზღვრის სახელმძღვანელო პრინციპები. უმაღლესი განათლების სისტემის რაოდენობრივი პარამეტრები - უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების ოდენობა, საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, სტუდენტების რაოდენობა, პედაგოგთა და მეცნიერთა რაოდენობა - წარმოადგენს საგანმანათლებლო ინდუსტრიის საწარმოო ფუნქციის მახასიათებლებს „დანახარჯები - გამოშვება“. [6]

თუმცა საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგებისადმი ამგვარი მიდგომა სრულად არ ასახავს უმაღლესი განათლების რეალურ წვლილს საზოგადოების განვითარებაში. ინფორმაციისა და ცოდნის რაოდენობა, რომელიც შედის სასწავლო პროგრამებში და გადაეცემა სასწავლო პროცესში, როგორც წესი არ ემთხვევა იმ რაოდენობას, რასაც რეალურად ითვისებს სუბიექტი და შემდეგ გამოხატავს მას ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს შეუსაბამობა აიხსნება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზებით.

საგანმანათლებლო პროცესი პირველ რიგში წარმოადგენს სტუდენტისა და პედაგოგის კომუნიკაციის პროცესს, რაც განაპირობებს მის დამოკიდებულებას სუბიექტურ ფაქტორებზე, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტისა და პედაგოგის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან. სწავლის შედეგი დამოკიდებულია არა მარტო გადაცემული ინფორმაციის

მოცულობაზე, არამედ დიდწილად, მისი გადაცემის ტექნოლოგიურ პროცესზე: სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიაზე, პედაგოგიურ უნარ-ჩვევებზე, მასწავლებლის უნარზე გაააქტიუროს მსმენელთა ყურადღება და ა.შ. სტუდენტების მხრიდან მასალის ათვისებაც ასევე შეიძლება იყოს ძალზე განსხვავებული, რაც დამოკიდებულია ამ ინფორმაციის ათვისების განწყობაზე და დამახსოვრების უნარზე. ობიექტური ფაქტორები განპირობებულია საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირების სხვადასხვა ინსტიტუციონალური მახასიათებლებით: მისი სტრუქტურა, მენეჯმენტი, საბოლოო შდეგის მიღწევაზე მიმართული ტრადიციები და სხვ. [6]

სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების შედეგად საგანმანათლებლო დარგის დანახარჯებსა და ძალისხმევას შეიძლება ჰქონდეს ცოდნის, ინფორმაციისა და უნარ-ჩვევების განსხვავებული მაჩვენებლები, რომელიც შეადგენს მსმენელთა ინტელექტს. საზოგადოების მიერ განათლებაზე გაწეულ დანახარჯებსაც ასევე შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ეფექტიანობა, გამოვლინდეს სხვადასხვა ხარისხით და სპეციალისტების მომზადების დონით.

ამრიგად, საგანმანათლებლო საქმიანობა ქმნის იმ ცოდნას, ინფორმაციას, უნარ-ჩვევებს, რომელსაც ითვისებენ ადამიანები სასწავლო პროცესში და შემდგომ ავლენენ თავიანთ საქმიანობაში. აღნიშნული შედეგი არ მიიღწევა მყისიერად. ეს მოითხოვს ხანგრძლივ პერიოდს და აისახება გარკვეულ მიღწევებში, როგორცაა შრომის ნაყოფიერების ზრდა, პირადი შემოსავლების ზრდა, სამოქალაქო ვალდებულებების შესრულება, კოჰაბიტაციის წესების დაცვა და სხვ. საზოგადოებისათვის, მთლიანობაში, ეს გამოიხატება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლების გაუმჯობესებით. უმაღლესი განათლების უნარი მომავალში გამოვლინდეს როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოების შემოსავლების ზრდის სახით, გვაძლევს საფუძველს განათლებაზე გაწეული დანახარჯები განვიხილოთ როგორც ინვესტიცია. [4]

სპეციალისტები თვლიან, რომ უმაღლესი განათლების ეკონომიკური სარგებელი ყველაზე მეტად გამოიხატება კვალიფიციური სამუშაო ძალის რაოდენობაში. სამუშაო ძალის მიმართ წარმოების თანამედროვე მოთხოვნები მოიცავს მის წმინდა პროფესიონალურ უნარებს და პიროვნულ მახასიათებლებს. პიროვნულ მახასიათებლებს შორის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს უნარების ისეთი ჯგუფი, როგორცაა კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა. თავის მხრივ, პროფესიული თვისებები შეიძლება იყოს ზოგადი, ან წმინდა სპეციალიზირებული შინაარსის.

უფრო ზოგადი ფორმით შესაძლებელია განისაზღვროს თანამედროვე მომუშავის თვისებრივი მახასიათებლების შემდეგი ჯგუფები: 1)

პიროვნული - ეს თვისებები ახასიათებს კონკრეტულ პიროვნებას. მას შეიძლება მივაკუთვნოთ: შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერება, პატრიოტიზმი და სხვ. 2) კომუნიკაცია - იგი ახასიათებს ინდივიდის დამოკიდებულებას გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ. მას მიეკუთვნება: ლიდერობა, ხელმძღვანელობა, გუნდური მუშაობა და სხვ. 3) შემეცნება - ეს არის ზოგადი ცოდნა გარე სამყაროს შესახებ. ზოგადი მეცნიერული და კულტურული შეხედულებები, ასევე ადამიანის უნარი განვითარდეს და მიიღოს ცოდნა მთელი ცხოვრების განმავლობაში. 4) პროფესიონალიზმი - ეს გულისხმობს იმ უნარების ფლობას, რომელიც უზრუნველყოფს წმინდა პროფესიონალური ვალდებულებების შესრულებას - სპეციფიური ცოდნისა და უნარების ფლობა, გამოცდილება და სხვ. [7]

განათლების შედეგია შემეცნებითი, პროფესიული, პერსონალური და კომუნიკაციური ხასიათის კომპლექსური მახასიათებლების ფორმირება. ადამიანის ფუნდამენტურ თვისებებს სწორედ პერსონალური მახასიათებლები წარმოადგენს, იგი ყალიბდება ოჯახში პირველადი სოციალიზაციის პროცესში და ფორმალური განათლების სისტემაში მეორადი სოციალიზაციის პროცესში. ერთი შეხედვით, მათ საერთო არაფერი აქვთ ეკონომიკურ პრობლემებთან, ის უფრო მეტად ეხება კონკრეტულ ადამიანს და მის ახლო გარემოცვას. თუმცა, სწორედ პიროვნული თვისებები განსაზღვრავს პროფესიონალური და კომუნიკაციური ფუნქციების შესრულების ხარისხს. მთელი ცხოვრების განმავლობაში, მათ შორის ფორმალური განათლების პროცესში, ადამიანს უყალიბდება კომუნიკაციური უნარები, სხვებთან ურთიერთობის, ჯგუფური მუშაობის ჩვევები. ადამიანს კვალიფიციურ სპეციალისტად აყალიბებს პროფესიული მომზადების პროცესში შეძენილი სპეციფიკური ცოდნისა და უნარების სისტემა. ამავდროულად, თანამედროვე პირობებში პროფესიის დაუფლება მოითხოვს სამეცნიერო მომზადების სულ უფრო მაღალ დონეს, განვითარებულ შემეცნებით უნარებს. პირველ რიგში, მომუშავეს პროფესიულ თვისებებს აქვს ეკონომიკური ღირებულება. მოგება კი დამოკიდებულია მომუშავეს პროფესიული მომზადების დონესა და ხარისხზე. განათლებიდან უკუგება როგორც მომუშავეისათვის, ასევე წარმოებისთვის და საზოგადოებისთვის დამოკიდებულია მომუშავეის შრომის პროდუქტიულობაზე და შრომის ანაზღაურების ზრდაზე.

შრომის პროდუქტიულობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მომუშავეის პროფესიული მომზადების დონეზე, არამედ მნიშვნელოვანია ისეთი პიროვნული და ქცევითი თვისებები, როგორცაა შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება, გუნდური მუშაობის უნარები. ფორმალური განათლების დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაშიც კი, მომუშავე თუ ხასიათდება აღნიშნული თვისებებით, ის შეიძლება გახდეს ეფექტური

მომუშავე. განსაზღვრულ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ფუნდამენტური თვისებები, როგორცაა პატრიოტიზმი, საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ერთგულება. სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც პატრიოტია, გადაწყვეტილების მიღების ყველა შესაძლო ვარიანტს შორის ირჩევს ისეთს, რომელიც ზიანს არ მიაყენებს თავის ქვეყანას. [8]

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი არ არის მხოლოდ მომუშავეს მიერ პროფესიული ვალდებულებების შესრულების შედეგი. ამიტომ უმაღლესი განათლების ეკონომიკური ღირებულება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირებით. წარმოებაში დასაქმებულთა საგანმანათლებლო და კვალიფიციური პოტენციალის ამაღლება გამოიხატება როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი შემოსავლების ზრდით, შესაბამისად, განათლებას აქვს პირდაპირი ეკონომიკური სარგებელი. [2]

მოსახლეობის არააქტიური, დაუსაქმებელი ნაწილის განათლების შედეგად შეიძლება მივიღოთ არაპირდაპირი მოგება. მოსახლეობის დაუსაქმებელ კატეგორიას, როგორც წესი, ქალები, ბავშვები და მოხუცები შეადგენენ. ქალთა უმაღლეს განათლებას შეიძლება ჰქონდეს მაღალი ეკონომიკური შედეგი, რადგან განათლებული ქალები უფრო მაღალი პასუხისმგებლობით უდგებიან შვილების ჯანმრთელობას და აღზრდას, რაც ხელს უწყობს მათ შემდგომ სულიერ განვითარებას.

უმაღლესი განათლება აუმჯობესებს შვილების და მშობლების ჯანმრთელობის მდგომარეობას და კვებას, ამით ამცირებს სიკვდილიანობას და ხელს უწყობს სიცოცხლის ხანგრძლივობას. ბავშვთა არასრულფასოვანი კვება თავს იჩენს ზრდასრულ ასაკში, ხელს უშლის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და იწვევს დაავადებებისკენ მიდრეკილებას. განათლებული მშობლები უკეთეს პირობებს ქმნიან თავიანთი შვილების აღზრდისათვის, რაშიც მათ ის მატერიალური შემოსავლებიც ეხმარებათ, რასაც უმაღლესი განათლებით გამოიმუშავენ.

უმაღლესი განათლება წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტს, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების წევრთა თანასწორობაზე. განათლების დონის შესაბამისად ადამიანის სოციალური სტატუსი და ფუნქციები შეიძლება შეიცვალოს და გაუმჯობესდეს. განათლების მიღების არათანაბარი შესაძლებლობების პრობლემა (გეოგრაფიული, სქესობრივი, სოციალურ-ეკონომიკური) მჭიდროდ უკავშირდება შემოსავლების, კეთილდღეობის, პოლიტიკური ძალაუფლების არათანაბარ გადანაწილებას. სწორედ უმაღლესი განათლების სისტემა შეიძლება გახდეს საზოგადოების ელიტასა და უმრავლესობას შორის უფსკრულის მიზეზი. ცოდნის მიღების სამართლიანი პირობების

უზრუნველყოფის შემთხვევაში განათლებას შეუძლია ხელი შეუწყოს თაობებს შორის მობილობას.

განათლების ეკონომიკური უკუგება ვლინდება ადამიანთა და გარე სამყაროს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებით. უკვე კარგად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ ცხოვრების მაღალი ხარისხი მეტწილად დამოკიდებულია გარე სამყაროზე. ინდუსტრიულ ქვეყნებში არ შეიძლება უგულებელვყოთ ის ფაქტი, რომ ფიზიკურ და ბიოლოგიურ პროცესებს შეიძლება ჰქონდეთ არასასურველი შედეგები - დაუდევარი ინდუსტრიალიზაცია და ზრდის შეუზღუდავი სურვილი. განვითარებად ქვეყნებში პრობლემები, როგორცაა წყლის რესურსების სიმცირე, მიწისა და მინერალური რესურსების უსაზღვრო ექსპლუატაცია, სწრაფი ურბანიზაცია, ბავშვთა არასრულფასოვანი კვება არის „დამახინჯებული“ განვითარების მიზეზი.

უმაღლესი განათლება მედიასთან, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად აღნიშნული პრობლემების აღიარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად, განათლების ეკონომიკური უკუგება მდგომარეობს იმაში, რომ შეცვალოს ადამიანთა შეხედულებები, აძლევს მათ შესაძლებლობას შეიძინონ ახალი ცოდნა და შეცვალონ თავიანთი ქცევა. გარე სამყაროს შესახებ ცოდნის მიღება მიზნად ისახავს იმას, რომ ადამიანმა ისწავლოს რესურსების გამოყენება საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ისე, რომ არ მიაყენოს ზიანი ბუნებას. სწორედ ამ მიზნით ყალიბდება უმაღლესი განათლება მძლავრ იარაღად ადამიანის ქცევის შეცვლისათვის ბუნებასთან მიმართებაში.

დასკვნა. განათლების ხარისხის მართვის ეკონომიკური ასპექტი უნდა იქნეს განხილული როგორც ქვეყნის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამ პროცესში დომინანტს წარმოადგენს ადამიანური რესურსი, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინსტიტუტების ეფექტურ ფუნქციონირებას, გარემოს ეკოლოგიურად მდგრად განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებას. ყველა ეს კომპონენტი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა უმაღლესი განათლება ყველა მათგანის საფუძველია.

უმაღლესი განათლება და მეცნიერება არ შეიძლება იყოს მხოლოდ საქონელი და მომსახურება, რამდენადაც ისინი არიან არა მარტო საზოგადოებრივი პრიორიტეტი და ეროვნული სიმდიდრე, არამედ ქვეყნის მდგრადი განვითარების, თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებისა და ცხოვრების ხარისხის ზრდის, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის,

მსოფლიო ბაზრებზე წარმატების, ცოდნის ეკონომიკის განვითარების ერთად-ერთი გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე // განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, კვლევის ანგარიში, თბ.2013.
2. უმაღლესი განათლება და დასაქმება // განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, კვლევის ანგარიში, თბ.2013. https://www.tsu.ge/data/file_db/xarixsis_martvis_dep/ganatilebis-politika-5.pdf
3. Виды функций и структура современной системы образования // эл-ресурс, <https://zaochnik.com/spravochnik/pedagogika/obrazovatel'naja-sistema-rossii/sovremennaja-sistema-obrazovanija/>
4. Галагузова М.А. Корпоративное образование: сущность и проблема, образование и наука. 2008. № 6, с.89-97 <https://cyberleninka.ru/article/n/korporativnoe-obrazovanie-suschnost-i-problemy>
5. Бехманн Готтхард Б.// Современное общество: общество риска, информационное общество, общество знаний / Готтхард Бехманн ; [пер. с нем. А.Ю. Антоновского, Г.В. Гороховой,]. — М. : Логос, 2010
6. Карпенко М.П. // Концепция вуза XXI века “Науки об образовании”, с. 137-147 <https://cyberleninka.ru/article/n/kontseptsiya-vuza-xxi-veka>
7. Кагерманьян В.С. // Современная система воспитания студентов вузов: концептуальные основы и программа развития / М.,2006., 68 с. <https://www.dissercat.com/content/nravstvennoe-vospitanie-studentov-v-sovremennom-tekhnicheskom-vuze/read>
8. Миндибекова Л.А. // Социальные функции высшего образования и проблемы реализации, <http://id.atiso.ru/node/77>
9. Основы социальной работы / Под ред. П.Д.Павленка. - М.: ИНФРА- М, 2007. -395 с. http://www.studmed.ru/view/pavlenok-pd-osnovy-socialnoy-raboty_05586ab4895.html
10. Уметов Т.Э. // Функции образования и их роль в современном обществе, <http://arch.kyrlibnet.kg/uploads/UAUMETOV2012-2.pdf>

Методы усвоения экономических понятий при формировании профессиональных компетенций

Methods of Assimilating Economic Concepts in the Formation of Professional Competencies

Файзуллаева Нилуфар Садуллаевна

доцент кафедры «Инновационное образование»

Ташкентский государственный экономический университет

Узбекистан

Nilufar Fayzullaeva

Associate Professor of the Department of "Innovative Education"

Tashkent State University of Economics

Uzbekistan

Аннотация. В статье рассматривается актуальность проблемы формирования экономических компетенций студентов при усвоении экономических понятий. Обосновываются различные подходы к обучению, развивающие профессиональную культуру обучающихся. Раскрываются основные приёмы и методы формирования основных понятий, являющихся методологической основой исследования. Описываются приёмы закрепления усвоения знаний. Автором для оценки развития экономических компетенций предлагается содержательное наполнение приведенных критериев.

Ключевые слова: образовательный процесс, экономические компетенции, эффективность обучения, методика преподавания, методы преподавания, экономическое образование

Abstract. The article examines the relevance of the problem of the formation of economic competencies of students in the assimilation of economic concepts. Various approaches to training are substantiated that develop the professional culture of students. The main techniques and methods of forming the basic concepts, which are the methodological basis of the research, are revealed. The methods of consolidating the assimilation of knowledge are described. To assess the development of economic competencies, the author proposes a content filling of the above criteria.

Index Terms: educational process, economic competencies, learning efficiency, teaching methods, teaching methods, economic education.

Введение. Проблемы общественного развития, рост объёма информации, повышение требований студенческой аудитории, реформирование системы образования – всё это обязывает преподавателей систематически совершенствовать своё педагогическое мастерство. Не секрет, что эффективность образовательного процесса во многом определяется методикой преподавания. Широкое использование активных методов и переход на тестовый контроль за усвоением студентами предметов формально снижает роль преподавателя в процессе обучения. Между тем уровень подготовки и эффективность обучения находятся в прямой зависимости от взаимодействия звена преподаватель-студент. В учебном процессе обе стороны должны играть творческую роль.

Постановка задачи. Методика преподавания должна обеспечить преподавателей совокупностью приёмов, с помощью которых, можно довести до студента теоретическое содержание изучаемой науки и сформировать необходимые умения и навыки использования этих знаний в профессиональной деятельности и в жизни. Различные методы и формы обучения позволяют включить в учебный процесс научные знания, расширяющие кругозор учащихся, развивающие их профессиональную культуру, умение формировать определенный подход к оценке событий и явлений экономической и общественной жизни.

Первые попытки формулировки законов образовательного процесса предложены Сократом, который утверждал, что рождение мысли учащегося зависит от организованного педагогом диалога.

Особенности нашей памяти помогают выявить следующую закономерность процесса обучения (конус обучения Эдгара Дейла): мы запоминаем 10% прочитанного, 20% услышанного, 30% увиденного, 50% услышанного и увиденного, 80% того, что сами говорим, и 90% того, что сами говорим и одновременно делаем. Данная закономерность подчёркивает роль активного обучения в преподавании различных дисциплин, перехода пассивного восприятия в активное взаимодействие.

Методология и методика исследования. Различные подходы к обучению и его модели дают возможность преподавателям анализировать учебный процесс с разных сторон, выбирать и включать в процесс преподавания самые разнообразные методы, опираясь на цели обучения, свои личностные характеристики, опыт, свою оценку событий и явлений окружающей действительности, мотивацию и другие особенности.

Владение методическими знаниями обеспечивает результативную профессиональную деятельность педагога. Они тесно связаны с приемами и методами этой деятельности, а также с индивидуально-типологическими особенностями педагога, уровнем его компетентности, жизненным и педагогическим опытом и интуицией. Характеризуя эти основы, можно констатировать, что выбор методики должен вытекать из самой сущности учебной дисциплины. При собственной активности и проявления творчества педагог должен придерживаться важнейших требований, которые определяют содержание, организацию и методику преподавания определенной дисциплины. Кроме общих принципов педагогу необходимо знать специфические принципы преподавания экономических дисциплин. К ним относятся:

1. Принцип учёта жизненного опыта и наличия экономических знаний у студента. В соответствии с этим принципом преподавание экономических дисциплин следует проводить дифференцированно.
2. Принцип постоянной личностной вовлеченности студента в учебный процесс. Этот принцип определяется тем, что студент постоянно соотносит содержание учебных занятий и знания, полученные из других источников, с представлениями о собственном профессиональном развитии.
3. Принцип включения содержания изучаемой дисциплины в социальную ситуацию личностного развития студента. Задача преподавателя в процессе обучения, опираясь на данный принцип - сделать так, чтобы содержание дисциплины было жизненно значимо для студента.

Следование общим дидактическим и специфическим принципам позволяет преподавателю достигать цели не только овладения студентами необходимыми для будущей профессии знаниями, умениями и навыками, и высокого уровня личностного развития будущих специалистов.

Выбранная методика должна обеспечивать качественные образовательные услуги и учитывать потребности общества и рынка труда. В методике профессионального обучения конкретной учебной дисциплине доминируют вопросы: как обучать? С помощью каких средств обучения происходит трансформация содержания в знания, умения и навыки обучающихся? Как контролировать успехи познавательной деятельности обучающихся?

Одним из главных препятствий у студентов при изучении дисциплины является работа с понятийно-терминологическим аппаратом. Как и в любой науке, в методике преподавания специальных дисциплин ее основные понятия служат фундаментом процесса обучения предмету и в то же время являются показателем уровня ее развития. Опираясь на обобщенный опыт развития в методике преподавания специальных дисциплин, методическое знание формируется в понятиях, в определении этих понятий по законам логики.

Формирование понятий в процессе обучения является одной из составляющих целого комплекса проблем, связанных с формированием мышления студентов. Любая учебная дисциплина имеет свой понятийный аппарат, включающий в себя набор категорий, принципов и законов. С их помощью раскрывается методология исследования, предметное содержание дисциплины. Формирование понятий – научный метод определения, включающий анализ понятия, его определение и формулировку. Любое понятие имеет своё содержание, которое состоит из взаимосвязи признаков.

Пример слово «элемент». На данный момент оно является для нас неопределённым понятием. Мы не знаем точно, что собой представляет данный объект. Это может быть батарейка в пульте управления, одна из деталей металлоконструкции или социальная прослойка общества. Нашему головному мозгу нужно больше информации. При её получении оказывается, что это химический элемент. Теперь неопределённое понятие переходит в определённое. При более детальном изучении выясняется, что это плутоний. С этого момента определённое понятие становится определением (дефиницией). То есть абстракция превращается в конкретный предмет с точными, фиксированными свойствами.

Кроме того, в структуру отдельного понятия входят связи, соединяющие в той или иной степени данное понятие с другими. Таким образом, формирование понятий имеет две основные фазы: на первой человек замечает важные характеристики, признаки, а на второй улавливает логическую связь характеристик понятия и другими объектами.

При формулировании понятия необходимо сначала обозначить наиболее характерные и отличительные свойства признаков, входящих в данное понятие. Затем понятие необходимо постоянно уточнять и углублять. Только после выделения существенных признаков можно дать определение понятия, подчеркнув то, что нужно учитывать и несущественные признаки.

В настоящее время особую актуальность приобретает теория формирования умственных действий и понятий П.Я.Гальперина и Н.Ф.Талызиной. данная теория основывается на том что, человек не получает от природы в готовом виде мыслительную деятельность, а учится мыслить, усваивает мыслительные операции. Задача педагога – умело управлять этим процессом, контролировать не только результаты мыслительной деятельности, но и ход её формирования. Вся цепь умственных действий обеспечивает их переход из внешнего плана во внутренний. Такой процесс называется интериоризацией.

Кроме указанной теории формирования понятий в современной дидактике выделяют следующие приёмы и методы формирования основных понятий.

1. Прежде всего, следует обратить внимание на использование приема «наращивания» понятия, углубления его содержательного компонента. Такой подход отражает таксономия образовательных целей Б. Блума, когда мысль движется от простого к более сложному.
2. При изложении той или иной проблемы в конкретной экономической дисциплине можно предложить разные определения категорий. Объясняется такое положение дел целями педагога, методологией

исследования, позицией субъекта познавательной деятельности. К примеру, в экономической литературе представлены различные подходы по определению монополии. Одни теоретики отражают сущность термина в рамках капиталистической системы, другие придерживаются внеисторического подхода к определению монополии; третьи требуют пересмотра этой категории, так как считают, что от нее мало пользы при анализе современной обстановки. Безусловно, любое определение всегда недостаточно, потому что действительность многогранна, и качественные изменения, происходящие в реальной жизни, приводят к пересмотру воззрений и теоретических положений.

3. Немаловажен в методике изложения категорий прием сопоставления, когда одно и то же явление анализируется в разных общественных условиях, на разных этапах развития общества. Примером использования данного приёма является хронологический анализ развития термина «предприниматель».
4. Нахождение семантических и межпредметных связей между значением слова и содержанием понятия, рассказ о происхождении – этимология данного понятия.
5. Введение игровых элементов. Например:

Задача с подсказкой – дано определение понятия в его существенных признаках, но признаки записаны вразброс. Необходимо составить определение данного понятия.

Использование литературно-художественного моделирования и фольклора. Например, отражение понятия инфляция (гиперинфляция) в произведении Э.М.Ремарк «Три товарища»: « В 1923 году заведовал рекламой на фабрике. То было время инфляции. В месяц я зарабатывал двести миллиардов марок. Деньги выдавали два раза в день, и каждый раз делали на полчаса перерыв, чтобы сбегать в магазины и успеть купить хоть что-нибудь до очередного объявления курса доллара, так как после этого деньги снова наполовину обесценивались».

Кроме того, эффективными являются приёмы закрепления усвоения знаний. К ним можно отнести:

- составление и разгадывание тематических кроссвордов. Данный приём позволяет в игровой непринужденной форме проверить понимание учащимся содержания основной профессиональной терминологии, выяснить неусвоенные понятия данной темы.

- подготовка кратких докладов по отдельным терминам. Тема или раздел изучены, и студенты по желанию выбирают то или иное понятие и работают

над закреплением его сущности. Уровень собственных знаний осознается лучше, когда хочешь сообщить свои мысли другим.

С внедрением идей гуманизации в систему образования широкое значение в теории и методике обучения получили интерактивные методы обучения. Название методов происходит от психологического термина «интеракция» - взаимодействие. Интеракционизм – это направление в современной психологии и педагогике, базирующееся на концепции американского социолога и психолога Дж. Г. Мида. интерактивное педагогическое взаимодействие – это усиленная целенаправленная деятельность педагога и учащихся по организации взаимодействия между собой в целях развития.

Методы интерактивного обучения могут использоваться на различных этапах учебного процесса:

- на этапе первичного овладения знаниями могут использоваться такие методы, как эвристическая беседа, учебная дискуссия, метод «мозговой штурм» и др;

- на этапе контроля знаний (закрепление) могут быть использованы такие методы, как метод «круглого стола», тестирование, конкурсы практических работ с их обсуждением и т.д.;

- на этапе формирования профессиональных умений и навыков на основе знаний и развития творческих способностей возможно использование моделирования, метода деловой игры, метода Case- study и др.

Следует отметить, что большинство интерактивных методов обучения имеет многофункциональное значение в учебном процессе.

Результаты. В традиционном преподавании экономических дисциплин основными критериями качества обучения считаются полнота воспроизведения учащимися определений научных понятий, понимание основных научных положений и закономерностей профессионального и личностного развития человека. При этом не всегда принимается во внимание специфика дисциплины, совмещающей в себе особенности восприятия информации и проявления экономического мышления учащихся.

Эффективность формирования профессиональных компетенций обучающихся на разных образовательных уровнях обусловлена рядом объективных, субъективных и объективно-субъективных факторов, которые были учтены при создании модели формирования экономических компетенций на разных образовательных уровнях и концепции непрерывного экономического образования.[2]

Суммируя промежуточные результаты всех этапов, мы пришли к выводу, что профессиональных компетенции обучающихся как результат, критерий профессионально направленной учебной работы закрепляется в определенной организационной структуре, которая выступает в виде уровней проявления экономических компетенций и обладает уровневой характеристикой.

В формировании экономических компетенций обучающихся нами были выделены уровни: низкий, средний и высокий. В основе каждого уровня лежит степень сформированности экономических компетенций (ключевых, профессиональных и дополнительных) в виде индивидуально-личностного развития студента. Экономические компетенции рассматривались нами как интегративное понятие, представляющие собой профессионально-важные качества специалиста и включающие три компонента. Уровень экономических компетенций обучающихся определялся по трем критериям: когнитивно-познавательному, мотивационно-личностному и деятельностно-креативному. Каждый из критериев раскрывается посредством системы эмпирических показателей, отражающих степень сформированности отдельно взятого компонента.

Таким образом, для оценки результатов экспериментальной работы были выделены три критерия с характеристикой показателей по каждому критерию и уровню, а также с учетом ключевых, профессиональных и дополнительных экономических компетенций на разных этапах.

Результаты диагностических исследований служили основой для разработки рекомендаций по совершенствованию профессионально направленной учебной работы и экономической подготовки студентов.

Методика определения реального уровня экономических знаний, умений и навыков включала три шага: 1 шаг – экономические знания, 2 шаг – экономические умения, 3 шаг – экономические навыки. Каждый шаг объединял задания по основным темам, аспектам, проблемам экономики нарастающей сложности.

Для каждого этапа и уровня заданий, были разработаны собственные критерии оценки, обусловленные особенностями учебной дисциплины, специальности подготовки, курса обучения.

Первую группу заданий составили тесты, с помощью которых оценивался уровень теоретических экономических знаний студентов. В качестве основного инструмента диагностики экономических компетенций обучающихся выступали кейс-измерители – это совокупность ситуационных моделей, включающих проблемные задачи, предлагающие студенту осмыслить реальную экономическую ситуацию, описание которой

не только отражает какую-либо жизненную, производственную или социальную проблему, но и актуализирует определенный комплекс экономических и профессиональных знаний, необходимых для разрешения данной проблемы. Такую проблему отличает отсутствие однозначных решений, что побуждает студента искать пути оптимизации подходов, анализировать методы решений и аргументировать свой выбор метода.

Для систематизации баллов каждого студента мы использовали сводную таблицу оценки сформированности показателей по каждому из критериев:

Когнитивно-познавательный критерий экономических компетенций студентов		
№ п/п	Показатель	Методы диагностики и оценки
K1	знание экономических терминов и понятий, умение объяснить их смысл	Тестирование
K2	проявление интереса к экономическим проблемам современности	Тестирование
K3	умение планировать расходы	Тестирование, Кейс-измерители
K4	применение знаний для характеристики экономических проблем	Тестирование, Кейс-измерители
K5	умение правильно анализировать и устанавливать причинно-следственные связи экономических проблем	Тестирование, Анкетирование, Кейс-измерители
K6	способность выявления закономерности функционирования рыночных механизмов	Тестирование, Кейс-измерители
K7	применение экономических знаний для решения стереотипных и нестандартных задач	Тестирование, Анкетирование, Кейс-измерители, Экспертная оценка

Табл.1 Когнитивно-познавательный критерий экономических компетенций студентов

Таким образом, для получения необходимых эмпирических сведений нами использовалась система общепринятых методик качественного анализа устных и письменных ответов, контрольных работ, бесед, наблюдений, экспертная оценка, тестирование, кейс-измерители, статистические методы обработки результатов, в частности, вычисление процентных соотношений и средних арифметических чисел.

Рекомендации. Система экономического обучения студентов заключается в определённой последовательности её этапов. Полагаем, успех формирования профессиональных компетенций зависит от того, насколько сильно обозначены межпредметные взаимодействия. Определено, что, если между изучаемыми науками нет интеграции, слабо осуществляются

межпредметные связи, то получаемые знания недостаточно прочны, быстро идёт процесс забывания, студент не способен целостно воспринять мир, эффективно работать с информацией. В ходе исследования использовались интегрированные занятия с применением средств образовательных технологий.

Литერატურა

1. Блинов В.И.. Методика преподавания в высшей школе: учебно-практическое пособие для вузов. М.: Издательство Юрайт, 2015 стр.96-100.
2. Интеракционизм в американской социологии и социальной психологии первой половины XX века: Отв. ред. Д.В. Ефременко. – М., 2010. – 322 с. – (Сер.: Теория и история социологии). 273-276 стр.
3. Шамсутдинова Т.М. Проблемы обучения студентов концептуальному анализу данных // Бизнес-аналитика. Вопросы теории и практики. Использование аналитической платформы Deductor в деятельности учебных заведений. – Рязань: Лаборатория баз данных, 2010. – С. 40–44.

პროფესიული განათლება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში Vocational Education in Schools of Georgia

ნათია გორგაძე - დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Natia_gorgadze@yahoo.com

Natia Gorgadze - PhD student, Georgian Technical University,
Natia_gorgadze@yahoo.com

ასტრაქტი. დღეს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურს-დამთავრებულთა 60%-ზე მეტი არჩევანს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელებაზე აკეთებს და მიაჩნია, რომ ეს არის ეფექტური გზა შემდგომი დასაქმებისა და კარიერული წინსვლისა. სამწუხაროდ, პროფესიულ პროგრამებს შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 6% ირჩევს, რაც ძალზე დაბალი მაჩვენებელია. ამ პირობებში მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური კვალიფიკაციის მიღების, მაღალანაზღაურებადი პროფესიების დაუფლების და დასაქმების უმოკლესი გზაც არსებობს პროფესიული განათლების სახით.

დღეს ზოგადი განათლების საფეხურზე არ არის განვითარებული კარიერის მართვის სერვისები, რომლებიც უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს პროფესიის არჩევის პროცესში და თავისი შესაძლებლობებისა და უნარების გააზრებაში.

აღნიშნული მიზნებისათვის, საჯარო სკოლებში 2017 წლიდან დაიწყო და დღემდე წარმატებით ხორციელდება სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების კურსები მ.შ. 2019 წლიდან სასერტიფიკატო კურსები.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სასკოლო ასაკში პროფესიული უნარების გამომუშავება მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, მოსწავლეებს ეხმარება განათლების შემდგომ საფეხურზე არჩევანის უკეთ ჩამოყალიბებასა და შრომის ბაზარზე ეფექტურ გადასვლაში.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განათლება, პროფესიული კოლეჯი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, საჯარო სკოლა, შრომითი უნარები, კარიერის მართვის სერვისი.

Abstract. Nowadays more than 60% of graduates of general educational institutions prefer to continue study in higher educational institutions as it is considered as the most effective way for the further employment and career development. Unfortunately, only 6% of relevant age-group prefers to study vocational programs, which is too low index. In this situation it is especially important to raise awareness of young people regarding vocational education as the shorter way to get qualifications relevant to the labor market, to acquire high earning professions for further employment.

Nowadays career management services are not developed at the general education level that should help pupils to consider their abilities and skills and choose future profession.

For these goals since 2017 has been successfully implementing vocational skills' development courses and since 2019 - certification courses for pupils.

Considering best international practice, acquiring vocational skills increases motivation of pupils, supports development of their academic achievements, helps them to better define their choice at the next level of their education for further entering to the labor market.

Key words: Vocational education, vocational college, general educational institution, public school, working skills, career development service.

ძირითადი ტექსტი. განვითარებულ ქვეყნებში საშუალო ზოგადი განათლების საფეხურზე მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ზოგად განათლებასთან ერთად დაეუფლონ პროფესიულ უნარ-ჩვევებს და საშუალო ზოგადი განათლების საფეხურის დასრულებასთან ერთად მიიღონ პროფესიული განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატიც, რაც მათ შემდგომი პროფესიული განათლების გაღრმავების შესაძლებლობასაც აძლევს, ამასთანავე, შეუძლიათ არსებული პროფესიული კვალიფიკაციის გათვალისწინებით დასაქმდნენ. მაგალითად, ნორვეგიაში პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია საშუალო განათლების ეტაპზე. უფროსი კლასის (მე-8 - მე-10 კლასები) მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ და შეისწავლონ ერთ-ერთი პროფესიული სპეციალობა. სწავლების მთავარი მოდელია „2+“ სწავლება, რაც გულისხმობს საკლასო და წარმოების ადგილებში სწავლებას. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები იღებენ სრული საშუალო განათლების დამადასტურებელ ორი ტიპის სერტიფიკატს (დიპლომს): ა) სრული საშუალო განათლების სერტიფიკატს, რომელშიც ასევე მითითებულია პროფესიული კვალიფიკაცია; ბ) სრული საშუალო განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

საქართველოში არსებული განათლების სისტემის მიხედვით, პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია პროფესიულ კოლეჯებში საბაზო განათლების დასრულების შემდგომ. საშუალო განათლების საფეხური სკოლებში მოიცავს მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო

დისციპლინებს და პროფესიული უნარების კომპონენტი აქ წარმოდგენილი არ არის.

2017 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით საჯარო სკოლებში საბაზო და საშუალო განათლების საფეხურებზე შეიქმნა არაფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული განათლების კომპონენტის გაჩენის შესაძლებლობა. კერძოდ, ამოქმედდა „საჯარო სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების პროგრამა“. აღნიშნული პროგრამის დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შეიქმნა სკოლის მოსწავლეების საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსების კონცეფცია. მოგვიანებით, 4 სახელმწიფო კოლეჯის ბაზაზე განხორციელდა სასწავლო კურსის პილოტირება.

პროგრამის ძირითადი მიზანია, მოსწავლეებისათვის პროფესიის არჩევის პროცესში დახმარების გაწევა და საჯარო სკოლებში კარიერის მართვის სერვისების დანერგვის ხელშეწყობა. პროგრამის ბენეფიციარები არიან მე-8 - მე-12 კლასების მოსწავლეები, რომლებიც 2-3 თვის განმავლობაში გადაიან სწავლების კურსს სხვადასხვა პროფესიაში, რათა გამოსცადონ საკუთარი ძალები და მიიღონ გააზრებული და ინფორმირებული გადაწყვეტილება სკოლის დასრულების შემდეგ კარიერის არჩევისას.

პროგრამა ზოგადი და პროფესიული განათლების თანამშრომლობის საწყისებს ეფუძნება და პირველი ნაბიჯი პარტნიორის მოძიებაა. საჯარო სკოლის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება, ხოლო კოლეჯის/უნივერსიტეტის შემთხვევაში პარტნიორი საჯარო სკოლის ან სკოლების მოძიება. პარტნიორ კოლეჯსა და საჯარო სკოლას/სკოლებს შორის ფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რის შემდგომაც იწყება ერთობლივი მუშაობა საკონკურსო განაცხადზე. პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვაა, რათა დადგინდეს ამა თუ იმ პროფესიით მათი დაინტერესების მაჩვენებელი. საკონკურსო განაცხადებს იხილავს სამინისტროში შექმნილი კომისია, იწონებს წარმოდგენილ პროექტებს და იღებს მათი დაფინანსების გადაწყვეტილებას. სამინისტრო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სრულად ფარავს საჯარო სკოლებში ორგანიზებული სწავლების მთლიან ხარჯებს.

2019 წლიდან პროგრამა გახდა ორკომპონენტისანი, რაც მოიცავს მე-8 - მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსების შეთავაზებას და მე-10 - მე-12 კლასების მოსწავლეებისათვის პროფესიული უნარების განვითარების

სასერტიფიკატო კურსების შეთავაზებას. სასერტიფიკატო კურსების შემთხვევაში, საორიენტაციო კურსებისგან განსხვავებით, ხდება არამართო პროფესიის გაცნობა, არამედ პროფესიის ვიწრო მიმართულებით შესწავლა.

2017 წლიდან დღემდე 31 საჯარო და კერძო კოლეჯისა და 250-ზე მეტი საჯარო სკოლის ჩართულობით მომზადება 10 000-ზე მეტმა მოსწავლემ გაიარა.

პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო და სასერტიფიკატო კურსები არაფორმალური განათლების კომპონენტებია. დღეისათვის არ ხდება პროფესიული უნარების განვითარების სასერტიფიკატო კურსების ფარგლებში მიღწეული სწავლების შედეგების აღიარება. აუცილებელია სახელმწიფომ შეიმუშაოს არაფორმალური განათლების აღიარების ის წესი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული სასერტიფიკატო კურსის ფარგლებში სწავლის შედეგების აღიარებას, რაც ხელის შემწყობი ფაქტორი იქნება ახალგაზრდებისათვის პროფესიულ კოლეჯებში სწავლის გაგრძელების ან/და დასაქმების/კარიერული ზრდის/თვითდასაქმების საქმეში.

სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა სხვადასხვა ასპექტით მაღალი სარგებლის მომტანია როგორც განათლების სისტემისათვის, ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

საბჭოთა წარსულიდან მოყოლებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა ხშირად ზოგადსაგანმათლებლო სკოლებში ცუდი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა თავშესაფრად და მათთვის სწავლის გაგრძელების ალტერნატივად განიხილებოდა. დღეს, ქართულ რეალობაში, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, აღნიშნული სტიგმა ჯერ კიდევ მუშაობს და პროფესიული განათლების სისტემა, მიუხედავად მრავალი წინგადადგმული ნაბიჯებისა, ჯერ კიდევ არაპრესტიჟულია საზოგადოებაში. ამდენად, თანამედროვე პროფესიული განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სწორედ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. პროფესიული განათლების სისტემის ცნობადობისა და პრესტიჟის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამას შეუძლია. დღეისათვის ზოგადი განათლების საფეხურზე სუსტად არის განვითარებული კარიერის მართვის სერვისები, რაც უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდებში გააზრებული და ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილების მიღებაზე. ფრაგმენტული და მოკლევადიანი PR აქტივობებისგან განსხვავებით, პროგრამა კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს ახალგაზრდებმა და მათმა მშობლებმა უკეთ გაიცნონ პროფესიული განათლების სისტემა და მისი შესაძლებლობები.

სკოლის მოსწავლეებს ზოგადად, პროფესიული განათლებისა და კონკრეტულად, მათთვის საინტერესო პროფესიის გაცნობისათვის აქვთ არანაკლებ 2-3 თვე, რაც სრულიად საკმარისი პერიოდია წინა პროფესიულ უნარებში გააზრებული ცოდნის მისაღებად. აღნიშნული გამოცდილება შემდგომ მათ სწორი პროფესიული არჩევანის მიღებაში დაეხმარება.

ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობის და/ან ხშირ შემთხვევაში არარსებობის გამო მნიშვნელოვანი ჩავარდნაა განათლების საფეხურებს შორის. აღნიშნული პროგრამა ამ ორ სისტემას აძლევს მეტად დაახლოებისა და ერთმანეთის საქმიანობის უკეთ გაცნობის შესაძლებლობას, რაც სამომავლოდ დაეხმარება ზოგადი და პროფესიული განათლების სისტემის ჰარმონიულ ინტეგრაციას და საბაზოდან პროფესიულ განათლებაზე ტრანზაციის გამარტივებას.

პროფესიული უნარების კურსის შემუშავებისა და განხორციელების გზამკვლევზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამა ხელს უწყობს სკოლებში სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. 2017 წლიდან დღემდე პროგრამაში მონაწილე სკოლებისა და განხორციელებული კურსების რაოდენობიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლები პროგრამის ფარგლებში აღიჭურვა საკმარისი რაოდენობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მისასაღებელი ფაქტია და იძლევა შესაძლებლობას დაიწყოს ე.წ. „პროფესიული ჰაბების“ ჩამოყალიბების პროცესი.

დღეისათვის რეგიონულ დონეზე პროფესიული საგანმანათლებლო ქსელით დაფარვა არათანაბარია, რაც მოსახლეობის მატერიალური სიდუხჭირის პირობებში განათლების ხელმისაწვდომობაზე ხელის შემშლელი ფაქტორია. მნიშვნელოვანია პროფესიული კოლეჯების დაარსება, თუმცა აღნიშნული პროცესი სხვადასხვა ფაქტორთან ერთად დიდ ფინანსურ დანახარჯებს უკავშირდება. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და საბიუჯეტო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება საჯარო სკოლებმა განავითარონ ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პროფესიული სერვისების მიწოდებისათვის და რეგიონული მოთხოვნის გათვალისწინებით შეიქმნას რიგი საჯარო სკოლების ბაზაზე ე.წ. „პროფესიული ჰაბების“ ჩამოყალიბების წინაპირობა.

დასკვნა. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განათლების კომპონენტის გაჩენის პირველ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს „საჯარო სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების პროგრამა“. ამა თუ იმ პროფესიაში შრომითი უნარების გამომუშავება დაეხმარება ახალგაზრდებს, შემდგომი განათლების

საფეხურის არჩევისას მიიღონ უფრო მეტად გააზრებული გადაწყვეტილება და უკეთ შეაფასონ თავიანთი შესაძლებლობები და უნარები. თავის მხრივ, პროფესიული განათლების სისტემა მიიღებს მეტად მომზადებულ და მოტივირებულ კადრებს შემდგომი განათლების მისაღებად. ამასთან, დაეხმარება სისტემის ცნობადობისა და პრესტიჟის ამაღლებას საზოგადოებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოჭორიშვილი ე., პერანიძე ნ. და სხვ. „განათლების სექტორი საქართველოში“, 2020 წელი;
2. Далабаев Ж.К., Далдыбаева А.Б., Утемисов А.У. , Омарбекова Ж.К., Сейдагалиева А.М. „Обзор зарубежных систем технического и профессионального образования“ 2012 წელი;
3. European Commission „Organisation of the Education System and of Its Structure“; 2019 წელი ვებგვერდი : https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/norway/organisation-education-system-and-its-structure_en;
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021წწ)“, 2017 წელი;
5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის“ გზამკვლევი, 2019 წელი, ვებგვერდი: <https://www.mes.gov.ge/uploads/files/gzamkvlevi.pdf>;
6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ)“ პროფესიული განათლების 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2020 წელი. ვებგვერდი: http://mes.gov.ge/mesgifs/1584105785_2019-Angarishi-VET.pdf.

„ინოვაციების ცენტრის“ სტრატეგიული, მდგრადი განვითარების გეგმის
შემოქმედების საფუძვლები, საქართველოს უსდ-ების მაგალითზე
**Fundamentals of Strategic, Sustainable Development Plan of
the Innovation Center, on the Example of Georgian HEIs**

ბორის გითოლენდია - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ასოცირებული პროფესორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
boris.gitolendia@gtu.ge

ლუკა ქემოკლიძე - მაგისტრანტი; საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
l.kemoklidze@gtu.ge

Boris Gitolendia – Doctor of Business Administration, Associated Professor
Georgian Technical University
boris.gitolendia@gtu.ge

Luka Kemoklidze - Master in Telecommunications Management
Georgian Technical University.
L.kemoklidze@gtu.ge

აბსტრაქტი. სტატიაში, საქართველოს უსდ-ების მაგალითზე, სიტუაციური ანალიზის შედეგად დამუშავებულია ე.წ. „ინოვაციების ცენტრის“, როგორც ინოვაციურ ეკოსისტემის მხარდაჭერასა და განვითარებაზე ორიენტირებული პოტენციური დამხმარე ფუნქციური ერთეულის გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების მიზნებისათვის, საქმიანობის მიმართულებები; შემოთავაზებულია ცენტრის მართვის მოდელირებული სტრუქტურა; იდენტიფიცირებულია სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები და ჩამოყალიბებულია მონიტორინგის მექანიზმები. სტატიაში, პროექტის სახით წარმოდგენილია ე.წ. „ინოვაციების ცენტრის“ განვითარების ხედვა, რომელმაც ავტორთა აზრით, ხელი უნდა შეუწყოს და კიდევ უფრო გააუმჯობესოს ქართულ უსდ-ებში ინოვაციების ხარისხი და მისი მასშტაბები. სტატია მომზადებულია ბრიტანეთის საბჭოს საერთაშორისო ინიციატივის - „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ მესამე წლის პროექტის ფარგლებში³⁷.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსდ); ინოვაციების ცენტრი; სტრატეგიული გეგმა; მდგრადი განვითარება;

Abstract: In the following article, on the example of Georgian HEIs and as a result of situational analysis by the authors, areas and activities of the Innovation Center, as a potential

³⁷ „შემოქმედებითი ნაპერწკალი“ არის დიდი ბრიტანეთის მიერ ინიცირებული 5-წლიანი ინიციატივა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს წახალისოს საერთაშორისო საუნივერსიტეტო და ინსტიტუციური პარტნიორობები სამეწარმეო უნარების და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების მიმართულებით და ამ გზით ბენეფიციარ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის შენარჩუნებას შეუწყოს ხელი. პროგრამა ხორციელდება დიდ ბრიტანეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში.
<https://www.britishcouncil.ge/en/programmes/education/creative-spark>

supporting functional unit in terms of supporting innovative ecosystem and advancement for long-term sustainable development, are presented; A model of management structure of the center is proposed; The resources required for the implementation of the strategic plan are identified and the mechanisms for the implementation and monitoring of the plan is established. The article presents the vision of the development of the "Innovation Center" as a project, which, according to the authors, as an auxiliary functional unit, should promote and further improve the quality and scale of innovation in Georgian HEIs. The article was prepared as part of the British Council International Initiative - "Creative Spark: Higher Education Enterprise Programme", third year project.

Keywords: Innovation; Higher Educational Institution (HEI); Innovation Center; Strategic Plan; Sustainable Development;

შესავალი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინოვაციურმა პროცესებმა და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მათი ზეგავლენის ასპექტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ინოვაციები განიხილება ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში არსებული წინააღმდეგობების და კრიზისების დაძლევის მძლავრ ბერკეტად, რაც საბოლოოდ საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის მთავარ ფაქტორად გვევლინება.

ინოვაციების შექმნისა და გავრცელების კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსდ) და იქ მიმდინარე კვლევებისა თუ სხვა პროცესების ინოვაციურობის ხასიათი და ხარისხი. შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტად იზრდება ინოვაციების გავრცელების კუთხით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ) მნიშვნელობა. თითქმის მსოფლიოს ყველა წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულება - მათ შორის ქართული უსდ-ები შეძლებისდაგვარად ცდილობენ შექმნან და დანერგონ ინოვაციები, გახდნენ ინოვაციების ჰაბი და ინოვაციები წარმოადგინონ როგორც მათი ინსტიტუციური განვითარების მთავარი, სტრატეგიული ელემენტი.

ძირითადი ნაწილი - სიტუაციური ანალიზი. თანამედროვე უსდ-ებში ინოვაციების მაღალი დონე ერთ-ერთ ძლიერ კონკურენტულ უპირატესობად არის მიჩნეული. უსდ-ები წარმოადგენენ აქტიურ მონაწილეებს ინოვაციის გავრცელებისა და ცოდნის ტრანსფერის ინტერაქტიულ პროცესებში, შესაბამისად სხვადასხვა მასშტაბით მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან ცოდნის ინფრასტრუქტურაში. ინოვაციებისა და ცოდნის ტრანსფერის სტრატეგიების შემუშავებისას, უნივერსიტეტების მხრიდან, ინდივიდუალური, სახასიათო გარემოებების გარდა, მხედველობაში მიიღება ინოვაციურობის მაჩვენებელი


ინდიკატორები³⁸ და ამის მიხედვით ხდება ერთიანი სტრატეგიის შემუშავება. ავავდროულად, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტების წესდების შესაბამისად, უნივერსიტეტები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საკუთარი ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტებს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების, საზოგადოების, აკადემიური და სტრატეგიული პარტნიორების ინტერესების გათვალისწინებით. ისინი შეძლებისდაგვარად ხელს უწყობენ ინოვაციების წახალისებას.

პრაქტიკული ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანი იყო წარმოგვედინა რეკომენდაციები, უსდ-ს ისეთი სტრუქტურული ერთეულებისათვის, რომელთა საქმიანობის საფუძველი მდგომარეობს ინოვაციების მხარდაჭერასა და განვითარებაში უსდ-ების მამულებით და ემსახურებიან მის ტრანფერს გარეთ. მსგავსი ტიპის ფუნქციურ ერთეულს, ამ სტატიაში პირობითად ვუწოდებთ „ინოვაციის ცენტრს“, რომელიც სხვადასხვა სტატუსით შესაძლებელია ფუნქციონირებდეს უსდ-ების ორგანიზაციულ სტრუქტურაში, დებულებით განსაზღვრული ქონდეს მიზნები და ფუნქციები, რომელიც ცხადია სრულად უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის წესდებას და უზრუნველყოფდეს უსდ-ს სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით, უსდ-ების ხარჯების ოპტიმიზაციის მოტივით, “ინოვაციების ცენტრი”, ორგანიზაციული სტატუსის თვალსაზრისით ოპტიმალურია ოპერირებდეს როგორც თვითდაფინანსების პრინციპზე მოქმედი ცენტრი. ცენტრის

³⁸ **Global Innovation Index (GII)** - საინოვაციო საქმიანობის შეფასება ევროპული ინდიკატორების გამოყენებით ხორციელდება. ასეთ ინდიკატორებად აღიარებულია: 1. ინოვაციური პოტენციალის შეფასება, რითაც განისაზღვრება ინოვაციური პოტენციალისთვის საჭირო სტრუქტურული პირობები; 2. კვლევასა და განვითარებაში ჩადებული ინვესტიციების რაოდენობა; 3. კორპორატიულ დონეზე ინოვაციებზე გაწეული ხარჯები; 4. ინოვაციურ სექტორებში ცოდნის გამოყენებით მიღებული დამატებითი ღირებულება, მეწარმეობრივი ცოდნა და უსარები; 5. ინტელექტუალური საკუთრების რაოდენობა, რომლითაც გაიზომება ნოუ-ჰაუს საკითხებში მიღწეული შედეგები. ქვეყნებში არსებული ინოვაციების დონე ბოლო 9 წელია რაც გლობალური ინოვაციის ინდექსით (GII) იზომება, რომელიც 7 კომპონენტისგან შედგება. ესენია: ინსტიტუტები (პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი გარემო, ბიზნეს გარემო); ადამიანური კაპიტალი და კვლევა (ზოგადი განათლება, უმაღლესი განათლება, კვლევა და განვითარება); ინფრასტრუქტურა (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, ზოდადი ინფრასტრუქტურა, ეკოლოგიური მდგრადობა); ბაზრის განვითარების დონე (კრედიტები, ინვესტიციები, ვაჭრობა, კონკურენცია და ბაზრის მასშტაბი); ბიზნესის განვითარების დონე (დასაქმებულთა ცოდნის დონე, ინოვაციისათვის საჭირო კავშირების არსებობა, ცოდნის მიღების შესაძლებლობა); ცოდნა და ტექნოლოგიები (ცოდნის შექმნა, ცოდნის გავლენა ინოვაციების შექმნის პროცესში, ცოდნის გავრცელება); შემოქმედებითობა (არამატერიალური აქტივები, შემოქმედებითი პროდუქტი და მომსახურება, ელექტრონული შემოქმედებითობა).

სტრუქტურული მართვის ორგანიზაციული საკითხები და პერსონალის უფლება მოვალეობები დეტალურად უნდა იქნეს გაწერილი ცენტრის დებულების შესაბამის თავებში, კერძოდ პუნქტებად უნდა გაიწეროს: პერსონალის კოორდინაციის და მართვის მექანიზმები - მათ შორის დაქვემდებარების ჯაჭვში უფლებამოსილების, პასუხისმგებლობის და დელეგირების საკითხები; ცენტრის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა და სხვა აუცილებელი საქმიანობები; დასკვნით დებულებებში მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ „ინოვაციების ცენტრის“ უნივერსიტეტთან ფინანსური და საქმიანი ურთიერთობის რეგულირების პოლიტიკა განისაზღვრება უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად; ცენტრი უნივერსიტეტების მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამუშაო ფართით და შესაბამისი ინვენტარით, ვინაიდან ცენტრს უნდა გააჩნდეს ყველა მატერიალური და სამართლებრივი საშუალება იმუშაოს დასახული პრიორიტეტული მიზნების მისაღწევად და სტრატეგიული გეგმის ინპლიმენტაციისათვის. შესაბამისად უსდ-ების წესდება და „ინოვაციების ცენტრი“-ს დებულება შესაძლებელია იყოს დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მომზადდეს „ინოვაციების ცენტრის“ სტრატეგიული მდგრადი განვითარების გეგმა, რომელიც ჩვენი აზრით შეიძლება მოიცავდეს საქმიანობის შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

საქმიანობის განსაზღვრული მიმართულებების სქემა (ნახაზი 1)



მიმართულება 1: განათლება და მეცნიერება

რაც შეიძლება მეტი პირი დააინტერესოს ინოვაციური საქმიანობით და აღმოაჩინოს ინოვაციური იდეები და მისი ავტორები სხვადასხვა

მიმართულებით, მათ შორის სასწავლო-სამეცნიერო და ტექნოლოგიების დარგში.

ამ მიმართულებით განსახორციელებელი სარეკომენდაციო აქტივობები:

- ინსტიტუციური საჭიროებების განსაზღვრა/იდენტიფიცირება და მისი ინოვაციური გადაწყვეტის გზების მოძიება;
- თემატური ჯგუფების შექმნა (სხვადასხვა სფეროების მიხედვით დაინტერესებული პირების შერჩევა და მათი აქტიურად ჩართვა ცენტრის საქმიანობაში);
- პედაგოგიკის ინოვაციური მეთოდების შემუშავებისა და მისი სასწავლო პროცესში შემდგომში დანერგვის მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება და მისი შეთავაზება როგორც ინდივიდუალურად ასევე ინსტიტუციურ დონზე;
- სწავლის შედეგების შეფასების ინოვაციური მეთოდების შემუშავება და შესაბამისი პროექტების მომზადება და მისი შეთავაზება როგორც ინდივიდუალურად ასევე ინსტიტუციურ დონზე;
- საუნივერსიტეტო სპეციფიკის საქმიანობასთან კავშირში მყოფი ნებისმიერი ინოვაციური იდეის მხარდაჭერა და მისი მუდმივი სტიმულირება და პოპულარიზაცია, ამისათვის შესაბამისი მექანიზმების მომზადება და დანერგვა;
- ინოვაციების წახალისების მიზნით სპეციალური ჯილდოს დაწესება და ინოვაციური კულტურის სტიმულირება საუნივერსიტეტო გარემოში;

მიმართულება 2: - მეწარმეობა (ბიზნესი)

იგულისხმება სამეწარმეო სულისკვეთებისა და ბიზნეს ცნობიერების განვითარების მიზნით საუნივერსიტეტო გარემოში ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის შექმნის ხელშეწყობა.

ამ მიმართულებით განსახორციელებელი სარეკომენდაციო აქტივობები:

- ბიზნეს ინკუბატორის ფუნქციონირება - ცენტრი უნდა ზრუნავდეს სამეწარმეო (ბიზნეს) უნარების განვითარებაზე და მიზნად ისახავდეს, თითოეულ დაინტერესებულ პირს (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული) მისცეს შესაძლებლობა, განვითაროს საჭირო სამეწარმეო და სტარტაპ უნარები და დაეხმაროს მათი საქმიანობის განხორციელებასა და განვითარებაში;
- უსდ-ს შიგნით არსებული შესაძლებლობების და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების ხელშეწყობა (ურთიერთობა შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებთან და თანამშრომლობის განვითარება);
- სტარტაპ აკადემია - მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების შეთავაზება მეწარმეობისა და ბიზნეს უნარების განვითარებისათვის;

- არსებული რესურსების გამოყენებით, ინოვაციური აკადემიური მოდულების მომზადება და მისი შეთავაზება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ავტორებისათვის;

- კონსულტაციის გაწევა იდეის ავტორებისთვის, იდეების განხორციელების მხარდამჭერი მექანიზმების განვითარება, სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, უნივერსიტეტში შესაძლებლობების ძიების მექანიზმებისა და მეთოდების შემუშავება, არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი მეთოდების დანერგვა, იდეის ავტორებისთვის საწყის ეტაპზე დახმარება, მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება და ამ კუთხით, იდეის ავტორების გრძელვადიანი მხარდაჭერა, სერვისებისა და მომსახურების ხარისხის უწყვეტი განვითარება.

მიმართულება 3: დამატებითი სერვისების შეთავაზება შიდა და გარე მომსახურებისათვის

აღნიშნული შესაძლებლობების განხორციელებისა და ეკოსისტემის განვითარებისთვის ცენტრმა უნდა იზრუნოს დამატებითი პროდუქტებისა და სერვისების შექმნასა და განვითარებაზე - მათ შორის დამატებითი შემოსავლების გენერირების მიზნით.

ამ მიმართულებით განსახორციელებელი სარეკომენდაციო აქტივობები:

- მომსახურების სერვისების გამრავალფეროვნება და პროცესებში დაინტერესებულ პირთა (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, ბიზნეს ორგანიზაცია და სხვა) ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა;

- სატრენინგო ცენტრის უწყვეტი ფუნქციონირება - პროფესიული კურსების და ტრენინგების რეგულარული შეთავაზება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ინოვაციური პედაგოგიკის; საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების; მეწარმეობისა და ბიზნესის და სხვა აქტუალური თემატიკის მიმართულებით;

- კონფერენციების, პრეზენტაციების, ფესტივალების, სიმპოზიუმების, გამოფენების, საზაფხულო და ზამთრის სკოლების და მსგავსი ტიპის აქტივობების ჩატარება;

- სხვადასხვა ინფორმაციების დასადგენად რეგულარული კვლევების ჩატარება (მათ შორის მარკეტინგული) და მისი ანალიზი, შედეგების გაზიარება შესაბამის დონეზე;

- აბიტურიენტების სპეციალური შეთავაზებების მომზადება, მისი მარკეტინგული დამუშავება. ამ მიმართულებით პროექტების მომზადება და მისი შეთავაზება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისათვის და ასევე ინსტიტუციურ დონეზე. მაგ „აბიტურ-ცენტრების“ ფუნქციონირება; „ღია კარის დღეების“ ორგანიზება; სკოლებთან კომუნიკაცია და ა.შ.;

- არსებული რესურსების გამოყენებით, ცენტრის პოპულარობის გაზრდის მიზნით, გარედან (ადგილობრივ და საერთაშორისო მასშტაბით) სხვადასხვა ინიციატივების და პროექტების მოზიდვა - საზოგადოების მუდმივი ინფორმირება.

მიმართულება 4: საგრანტო მუშაობა და საგარეო ურთიერთობები

დასახული მიზნების მიღწევის და მდგრადი განვითარების მიზნით, რეკომენდირებულია ცენტრი აქტიურად ეძებდეს შესაძლებლობებს საგრანტო პროგრამებში მონაწილეობისათვის, როგორც ლოკალურად ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

ამ მიმართულებით განსახორციელებელი სარეკომენდაციო აქტივობები:

- ცენტრის კომპეტენციების გათვალისწინებით, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებში და ორგანიზაციებში სტრატეგიული ინიციატივების გავრცელება, კომუნიკაციის განვითარება და ურთიერთობების ფორმალიზება;

- საგრანტო ინიციატივების და იდეების გენერირება და დაფინანსების დამატებითი შესაძლებლობების მუდმივი ძიება;

- საპროექტო გუნდის ფორმირება და მუდმივი განვითარება;

მიმართულება 5: მუდმივი ორგანიზაციული მხარდაჭერა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან

რაც გულისხმობს იმას, რომ მართვის ზოგადი სამოტივაციო მექანიზმების უზრუნველყოფის მიზნით, „ინოვაციების ცენტრს“ უნდა ჰქონდეს მუდმივი ორგანიზაციული მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და სტრუქტურული ერთეულებიდან. განსაზღვრული იყოს უნივერსიტეტის სტრუქტურაში მისი ფორმალური ადგილი, პასუხისმგებლობის და უფლებამოსილების არეალი, რამაც ცენტრის წარმატებით მუშაობის შემთხვევაში, სამომავლოდ უნდა უზრუნველყოს, ცენტრის შემდგომი გაფართოების და განვითარების ინსტიტუციური შესაძლებლობები.

ამ მოდელით ფუნქციონირებადი „ინოვაციების ცენტრის“ ორგანიზაციული სტრუქტურის დიზაინი ფუნქციების, უფლება-მოვალეობების და მიმდინარე საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შემოთავაზებულია შემდეგი სახით (იხ. ნახ. 2).

- გათვალისწინებული უნდა იყოს, თანამშრომელთა, სტუდენტთა და ზოგადად ძირითადი საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული ერთეულების ჩართულობის მაღალი ხარისხი;
- უნდა განისაზღვროს ჩართული და პასუხისმგებელი პირების წრე, შესაბამისი კომპეტენციითა და უნარებით (იგულისხმება ენის კარგი ცოდნა, თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის უნარი, კარგი საკომუნიკაციო თვისებები, პროექტების მართვის გამოცდილება, სწავლისა და ინოვაციების ძიების უნარი და ა.შ.);
- უნდა გაიწეროს აქტივობის ფორმები/მეთოდოლოგია: (შეკრებების ინტენსივობა, მუშაობის ფორმატი, შუალედური ანგარიშები და ა.შ.).

სტრატეგიული გეგმის მართვა:

სტრატეგიული გეგმის მართვის ინდიკატორებად წინასწარ განსაზღვრულია ისეთი მექანიზმები, როგორიცაა:

- ლიდერობა;
- მუდმივი თანამშრომლობის აუცილებლობა;
- მართვის თითოეულ რგოლში პასუხისმგებელი და საკომუნიკაციო პირების არსებობა;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- გუნდურობა;
- მკაფიოდ განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი;
- იურიდიული დოკუმენტებისა და შესაბამისი აქტების არსებობა;
- ქართული და უცხოენოვანი საინფორმაციო რესურსების არსებობა;
- შესაბამისი სტატისტიკა;
- მოტივაციის თანამედროვე მექანიზმების სრულყოფა.

ხარისხის კონტროლის და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმები:

ამასთან დაკავშირებით მაღალი სტანდარტების შედეგის მიღწევის მექანიზმი შეიძლება ითვალისწინებდეს ბიზნესპროცესების მართვის ისეთ აპრობირებულ მექანიზმებს, როგორიცაა მაგალითად: სტრატეგიის მუდმივი გაუმჯობესება - დემინგის ციკლი (PDCA). სტრატეგიის მუდმივი გაუმჯობესება ეფუძნება “PDCA” ციკლის პრინციპებს, რაც გულისხმობს იმას, რომ დაგეგმილი სტრატეგიის განხორციელების შემდეგ აუცილებელია ეფექტურობის სისტემატიური მონიტორინგი, რაც საშუალებას მოგვცემს სტრატეგიის კორექტირებისა თუ ცვლილების განხორციელების, ეს კი მუდმივი გაუმჯობესების ყველაზე ეფექტური და აპრობირებული გზაა.

მონიტორინგი უნდა განხორციელდეს წელიწადში ერთხელ შემდეგი გზით:

- რეგულარული კვლევების საფუძველზე უნდა შეიქმნას კვალიფიციური თემატური კითხვარები და შემუშავდეს გამოკითხვის შესაბამისი ფორმები;

- საქმიანობის შედეგები შედარდეს დასახულ მიზნებთან და განხორციელდეს მისი მრავალმხრივი ანალიზი;
- განხორციელდეს სტუდენტების და სხვა ბენეფიციარების კონკრეტულ პროექტებში ჩართულობის შეფასება და ანალიზი;
- ჩატარდეს მიმდინარე პროექტებში ჩართული სტუდენტებისა და სხვა ბენეფიციარების კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი;
- მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დაისვას ცვლილებების აუცილებლობის საკითხი და შემუშავდეს მისი განხორციელების მეთოდოლოგია.

დასკვნა. საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ, უმაღლესი განათლების სფეროში წარმოქმნა კონკურენცია უმაღლეს სასწავლებლებს შორის საგანმანათლებლო მომსახურებაზე. როგორც ზევით არის აღნიშნული განათლების ხარისხთან ერთად ინოვაციები წარმოადგენს მნიშვნელოვან მახასიათებელს, რომელიც განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლებლის კონკურენტუნარიანობას. შესაბამისად, ინოვაციები, როგორც ინსტიტუციონალური გაძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, უმეტესი (თითქმის ყველა) ქართული უნივერსიტეტის გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია, როგორც პრიორიტეტული მიზანი და სტრატეგიული საკითხი. ის მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის, მეცნიერებას, კვლევებს, სწავლას, სწავლებას, ტექნოლოგიებს, განვითარებას და ა.შ. ამასთან, უსდ-ების წინაშე ინოვაციების კონტექსტში დასმული გამოწვევების ოპტიმალური გადაწყვეტის მოტივით, ინსტიტუციურად დარეგულირებულია მართვის საკითხები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში, იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის ინოვაციაზე არის საუბარი კონკრეტულ შემთხვევაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ სამეცნიერო სტატიად შექმნილი სარეკომენდაციო დოკუმენტი, პირობითი ე.წ. “ინოვაციების ცენტრის“ განვითარების სტრატეგიული გეგმის საფუძვლების სახით წარმოადგენს უსდ-ებში გრძელვადიანი მდგრადი განვითარების სტრატეგიის კონტექსტში, ინოვაციების განვითარებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული ერთეულის მართვის ხედვას, რომელმაც ჩვენი აზრით, როგორც დამხმარე ფუნქციურმა ერთეულმა, საკუთარი დებულებით განსაზღვრული მიზნების, ამოცანების და ფუნქციების გათვალისწინებით, მხოლოდ ხელი უნდა შეუწყოს და კიდევ უფრო გააუმჯობესოს ინოვაციების ხარისხი და მისი მასშტაბები კონკრეტულ უსდ-ში. ჩვენს მიერ შემუშავებული მართვის მექანიზმები დაფუძნებულია ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების კვლევებზე, საუკეთესო პრაქტიკასა და მეორადი მონაცემების ანალიზზე. ჩვენ მხოლოდ მოხარულები ვიქნებით, თუ

პრაქტიკულ საქმიანობაზე დამყარებული მეცნიერულად დამუშავებული კვლევის შედეგები და რეკომენდაციები რომელიც წარმოდგენილია ამ სტატიაში, დაეხმარება კომპეტენტურ ორგანიზაციებსა და საკითხით დაინტერესებულ პირებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gareth R Jones, Jennifer M George - "Contemporary Management"- 2006;
 2. თ. დუშუაშვილი - გლობალური ინოვაციის ინდექსი და საქართველო - "Forbes Georgia" 10.01.2017;
 3. თ. ბრეგვაძე, ქ. გურჩიანი, ი. გრძელიძე, ა. კახიძე - უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში - ერაზმუს + ეროვნული ოფისი საქართველოში - 2017 წ.
- ვებ-გვერდები:
4. www.gita.gov.ge
 5. www.gtu.edu.ge
 6. www.iliauni.edu.ge
 7. www.mes.gov.ge
 8. www.matsne.gov.ge

ბულინგი ბავშვებში Bullying of Children

ლია მეტრეველი - განათლების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
metreveli.lia@mail.ru

Lia Metreveli - Doctor of Education Sciences, Professor,
Georgian Technical University,
metreveli.lia@mail.ru

Abstract. Bullying is a form of psychological and physical abuse and most often occurs within groups of adolescent peers. Bullies are more likely to manifest the oppression and ridicule behavior. Bullying ranges from individual bullying through to group one. For example, one child might bully another, or one group might bully another group, or a group can bully the child. Moreover, the reasons of bullying might be different: Any kind of difference, physical handicap, different opinion and others.

The school environment and teachers' attitude, plays an important role for the children's personality development process. Revealing violence or bullying is one of the main tasks and goals of the modern school.

The role of teacher in teacher-student relationships is essential and very sensitive. Sometimes, teacher's behavior might become a reason for a bullying in school or class. Sometimes, bullying in the school or classroom may be provoked by the teacher's behavior. For example, when teacher singles out a favorite or outsider student from the class. Hashtags: bullying, buller, oppression, peer, adolescent, teacher.

„ბულინგი“, აქტუალური პრობლემაა, როგორც მსოფლიოში, ისევე საქართველოში. ეს არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმა, რომელიც მოზარდ თანატოლთა შორის არის გავრცელებული. შეიძლება განიმარტოს, როგორც წინასწარ განზრახული, განმეორებადი, აგრესიული ქმედება. ერთი მხრის მიერ მეორის დაჩაგვრისა და დაცინვაში გამიხატება. შედეგად კი ძალიან ცუდ მდგომარეობას ვიღებთ., ხშირ შემთხვევაში ბავშვის სწორად განვითარება წყდება და დიდი ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათ. ბულინგის შედეგები უშუალოდ შეიძლება დაუკავშიროთ დაბალ თვითშეფასებას, რომელიც ძალიან უარყოფითად მოქმედებს პიროვნების განვითარებაზე.

ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი. მაგრამ განსაკუთრებით დაუცველები არიან ბავშვები. რომლებიც განსხვავდებიან თავისი ტოლებისაგან, როგორც ფიზიკური ისევე ფსიქიკური მიმართულებით. რისკ - ჯგუფში ხვდებიან განსხვავებული ფიზიკური მონაცემების მქონე თავისებური ხასიათისა და ქცევის, სხვადასხვა ეროვნების ბავშვები, ბულინგის მოტივაციის კი მრავალფეროვანია - შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა, ხასიათის თავისებურებები და სხვა.

შეუძლებელია, არ განვიხილოთ, განსხვავება ორ მოვლენას - ბულინგსა და შევიწროვებას შორის.

ბულინგი გულისხმობს თანატოლის ან თანატოლთა მხრიდან პირდაპირ ძალადობას. მისი დაშინების ან დამორჩილების მიზნით, ხოლო რაც შეეხება შევიწროვებას ის ჩნდება მაშინ, რდესაც მოსწავლე განიცდის ბულინგს მისი პიროვნული მახასიათებლის გამო. ანუ, განმსაზღვრელ ფაქტორად ამ შემთხვევაში გვევლინება მოსწავლის გენდერი, წარმომავლობა ან ქმედითუნარიანობა. ბავშვზე ძალადობა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს, ბავშვის განვითარების ყველა ასპექტზე ავლენს გავლენას, ის არღვევს ფიზიკურ ჯანმრთელობა, იწვევს ფსიქოლოგიურ დეგრადაციას, აფერხებს ინტელექტუალურ განვითარებას. ბავშვის ქცევა ხდება დესტრუქციული. მსხვერპლმა მოზარდმა მომავალში დიდი ალბათობით შეიძლება თავად აირჩიოს ძალადობისა და კრიმინალის გზა, მის მიმართ გამოვლენილი აგრესიული ქმედების გამო, და ასეთი გზით მოახდინოს საკუთარი აგრესიის სხვის მიმართ გამოხატვა. ბულინგის მსხვერპლმა ასევე შესაძლებელია სიცოცხლე სუიციდითაც კი დაასრულოს.

ბავშვსა და მოზარდებს შორის ძალადობა, საბოლოო ჯამში, არის რეაქცია იმაზე, რომ მათ სათანადო ყურადღება არ აქცევენ და არ აფასებენ, ამიტომ, მნიშვნელოვანია ძალადობის პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების

გატარება. ძალადობისაგან ბავშვების დაცვა, ყველა სახელმწიფოს კეთილი ნება და ქვეყნის მომავალზე ზრუნვის გამოხატულება.

„ბულინგი და აგრესიის თემა არ არის მხოლოდ სკოლებში და არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. ეს არის მთელი მსოფლიოს პრობლემა. აქ ცალსახად მინდა აღვნიშნო, რომ ერთადერთი საშუალება იმისთვის, რომ აგრესიის დონემ დაიწიოს სკოლაში, რომ ბულინგი აღმოვფხვრათ, საჭიროა მთელ საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესში.“

2008 წლის გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით გამოკითხული ბავშვების 80%-მა თანატოლების მხრიდან ერთხელ მაინც განიცადა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა.

ფსიქოლოგების განმარტებით, ძალადობა არის ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხყოფს, ემოციური, სოციალური, ეკონომიკური, ფიზიკური, სექსუალური ზიანი მიაყენოს მას, შეულახოს კანონით მინიჭებული უფლებები, ღირსება, თავისუფლება...

საინტერესოა, ბულინგის განმარტება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ: ბულინგი არის ფიზიკური ძალიან ან ძალაუფლების განზრახ გამოყენება რეალური ან მუქარის სახით მიმართული საკუთარი თავის, სხვის პირის, პირთა ჯგუფის ან თემის წინააღმდეგ, რომლის შედეგს წარმოადგენს სხეულის დაზიანებები, ფსიქოლოგიური ტრამვა, დესტრუქციული ქცევა და სხვა სახის ზიანი. (საქართველოს საზოგადოებრივი და მედიცინის განვითარების ფონდი, ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები თბ. 2011წ).

ბულინგი ყველაზე მაღალი სიხშირით სამწუხაროდ, სწორედ სკოლაში გვხვდება, რაც საკმაოდ დიდი ხნის პრობლემაა.

გამოყოფენ ბულინგის რამდენიმე ტიპს:

1. ვერბალური ანუ სიტყვიერი ბულინგი;
2. ფსიქოლოგიური ბულინგი;
3. ფიზიკური ბულინგი;
4. ფარული ანუ შენიღბული ბულინგი;
5. ჰომოფობიური ბულინგი;
6. მენტალური ბულინგი;
7. კიბერბულინგი.

განვიხილოთ, თითოეული მათგანი. ვერბალური ანუ სიტყვიერი ბულინგი - არის ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმა, ამ შემთხვევაში, მოსწავლის დამცირებას და მასზე ძალადობას აქვს ვერბალური ხასიათი. მისი ფორმებია: დაცინვა, შეურაცხყოფა, ჰომოფობიური ან რასისტული გამონათქვამები, ღირსების შელახვა, დამინება, შეურაცხყოფა.

ფსიქოლოგიური ბულინგი - ანუ ემოციური ძალადობა, წარმოადგენს ბულინგის ისეთ ფორმას, რომელიც გულისხმობს, ბავშვთან ურთიერთობის გარკვეულ ფორმის, რომელიც იწვევს სულიერ ტკივილს, მაგალითად: შეურაცხყოფის მიყენება, კრიტიკა, ასაკისათვის შეუფერებელი მოთხოვნების წაყენება, დაშინება, დამცირება, შანტაჟი, მუქარა, მისი მოთხოვნილებების უგულვლყოფა, უსამართლო ბრალდების წაყენება, ემოციური მანიპულაცია. გადამეტებული კონტროლი, იზოლირება, დაცინვა, დამცინავი სახელებით მიმართვა და მრავალი სხვა. ყოველივე ასეთი და მსგავსი ქმედება იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ყოველივე ეს ფსიქოლოგიური ძალადობის ელემენტებია. ემოციური ძალადობა შეიძლება ვლინდებოდეს ცალკე და ასევე შეიძლება წარმოადგენდეს ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შემადგენელ ნაწილს.

ფიზიკური ბულინგი - წარმოადგენს ბულინგის გავრცელებულ ფორმას, რომელიც გულისხმობს ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ, მასზე ფიზიკურ ზემოქმედებას, რომელიც ხელტოფს პირად სივრცეს, ტკივილს აყენებს ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას. მაგალითად: დარტყმა, კბენა, სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პირადი ნივთების დაზიანებას, ჯანმრთელობის შერყევას.

გარდა ამისა, ფიზიკურ ძალადობად ითვლება თავდასხმა ცივი იარაღით ან ცეცხლსასროლი იარაღით, აგრეთვე სიცოცხლისათვის ნებისმიერი სხვა სახიფათო ქმედება.

ფარული ანუ შენიღბული ბულინგი - ეს არის მორალურ - ემოციური ძალადობის ფორმა, რომელიც პირდაპირ არ არის მიმართული ობიექტისადმი, რთული მისახვედრია როდის ხორციელდება. ამ დროს მოძალადე „ჩაგრული“ პერსონის ზურგს უკან მოქმედებს, რათა საფრთხე შეუქმნას მის რეპუტაციას და დაამციროს საზოგადოების წინაშე ფარული ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: ტყუილი, ჭორების გავრცელება, იზოლაციაში მოქცევა, ამ ამის მცდელობა.

ჰომოფობიური ბულინგი - გულისხმობს ორიენტაციისა და გენდრეული იდენტობის ნიშნით განხორციელებულ ბულინგა. ბავშვზე სექსუალური ძალადობა რიგი თავისებურებებით ხასიათდება, ძალადობის ამ ფორმით აღმოჩენა იოლი არ გახლავთ, რადგან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი სირცხვილის, მორიდების, დაშინების, შიშის, სტრესის ფონზე მალავს ძალადობის აქტს, რითაც მოძალადე მხარეს, უნებლიეთ განმეორების შესაძლებლობას აძლევს, იგივე ან სხვა მსხვერპლთან.

მენტალური ძალადობა - გულისხმობს ისეთ ქცევას, რომელთა მიზანია, აკონტროლოს და მართოს ბავშვის მოქმედებები და ემოციები მისი

დამორჩილების მიზნით. როგორცაა: დაცინავი მიმართვა, ცილისწამება, მუქარა....

კიბერბულინგი - გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ფარულ, ზოგჯელ კი აშკარა დაშინების მიზნით განხორციელებულ ქმედებას. კიბერბულინგში მოიაზრება: სოციალურ ქსელში შეურცხმყოფელი ფოტოებისა ან ვიდეოების განთავსება, უხამსი ჭორების გავრცელება, სხვათასახელით გვერდების, ზოგჯელ კი ანგარიშების შექმნა. საყურადღებოა, ის გარემოებაც, რომ კიბერბულინგში, აგრესორის დადგენა საკმაოდ რთულია, ამის მიზეზი კი გახლავთ ის, რომ კიბერბერ სივრცეში მარტივად არის შესაძლებელი კომუნიკაციის განხორციელება ზუსტი იდენტობის გამოვლენის გარეშე.

ბულინგი არის ძალადობის ერთ-ერთი, განსაკუთრებით საზიანო ფორმა, რომელიც ძირითადად სკოლაში გვხვდება. (სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია რომ ბულინგიახალი ფენომენიარ გახლავთ, იგი ყოველთვის არსებობდა.)

ბულინგი, რომ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ამას ცხადყოფს არაერთი საერთაშორისო კვლევა. ბულინგის შედეგები უმძიმესია, ბოლო პერიოდში ბულინგი, სუიციდის მიზეზიც კი გამხდარა. ამასთანავე ხშირად, ბავშვი, ვიზეც ძალადობენ, დიდი ალბათობით, თავად ხდება ბულერი. ბულინგის კვლევისათვის მნიშვნელოვანია იმ თვისებების გამოყოფა, რომელიც დამახასიათებელია მასში ჩართული პირთათვის. ბულინგის მონაწილენი გახლავთ: „მომალადე“, „მსხვერპლი“ და „მოწმე.“

მათი ძირითადი მახასიათებლები, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „მომალადე“, ანუ ბულერადმოიხსენიებიან ბავშვები, რომლებიც სხვათა მიმართ სხვადასხვა ფორმის ძალადობას ანხორციელებენ. ასევე ბულერი, მისწავლე შეიძლება იქნას მოხსენიებული, როგორ - აგრესორი. ინიციატორი დევნის და ჩგვრის. მომალადეს გააჩნია საშუალო ან ზომზე დაბალი შფოთვის დონე, გამოირჩევა ადამიანის დამონების და დამორჩილების ძლიერი მოთხოვნილებით. ახასიათებს, საკმაოდ ძლიერი მოთხოვნილებები ადამიანის დამარჩილების და ჩაგვრის. იქცევა ძალიან გამომწვევად და აგრესიულად, ყოველივე ეს მათ ძალიან გამართლებულად მიაჩნიათ.

როგორც წესი, აგრესორ ბავშვებს საკმაოდ დიდი, შეიძლება ითქვას მოჭარბებული ენერჯია აქვთ. ისინი არ იცავენ და არც ემორჩილებიან სოციალურად მისაღებ წესებს. თვითდამკვიდრებისათვის, კი სწორედ ასეთ წესებს და მეთოდებს იყენებენ.

ბულერი ბავშვისათვის, ასევე დამახასიათებელია, ნარცისული თვისებები. ყურადღებიანი მშობელი მას ადრეიული ასკიდანაც (ოთხი, ხუთი) წლიდანაც კი შეამჩნევს. რაოდენ უცნაურიც, არ უნდა იყოს ბავშვთა მშობლები, დიდი ალბათობით შესაძლოა თავადაც გახდნენ ნარცისულები. ხშირად ბულერები ხდებიან, ისეთი ბავშვებიც, რომლებიც, მხოლოდ ერთი

მშობლის მიერაა აღზრდილი, რომელთა დედებთანაც შესაძლებელია აღინიშნებოდეს გარკვეული ნეგატივიზმი. ოჯახებში სადაც სჭარბობს კონფლიქტური სიტუაციები, ბავშვები, რომლებსაც უჭირთ სტრესთან გამკლავება და, კომპრომისებზე წასვლა. ცხადია აღნიშნულ თავისებურებებზე უდიდეს გავლენას ახდენს ოჯახური აღზრდა. საყურადრებო ფაქტი გახლავთ ისიც, რომ ბულერებს არა აქვთ დანაშაულის განცდა, მატთვის უცხოა ემპათია.

ჩაგვრის „მსხვერპლი“ ხასიათდება, როგორც მგრძნობიარე, ჩაკეტილი და მორცხვი ადამიანი. ისინი არ არიან დარწმუნებულები საკუთარ თავში, აქვთ საკმაოდ დაბალი თვით შეფასება. საინტერესო მომენტი ის გახლავთ, რომ ჩაგვრის მიზეზი შეიძლება იყოს დაზარალებულის სხვადასხვა თვისება, მაგალითად: ფიზიკური ნაკლი, ფსიქოლოგიური თავისებურებები, ძალიან სამწუხაროდ, ზოგჯელ მასწავლებლის დამოკიდებულებაც. ოჯახის შემოსავალი, სოციალური სტატუსის დაბალი დონე. გენდერი ან ნაციონალური კუთვნილება და მრავალი სხვაც.

ისინი („მსხვერპლი“), გამოირჩევიან განსხვავებული ემოციური ქცევით; ხშირად ტირიან, ადვილად ეცვლებათ გუნენა - განწყობილება, გამოირჩევიან არა ადეკვატური ქცევით, აქვთ პრობლემები ძილთან და კვებასთან და რასაკვირველია აქვთ თვითშეფასების საკმაოდ დაბალი დონე. არიან სუიციდისაკენ მიდრეკილნი, თავს არიდებენ სხვებთან ურთიერთობას, ახასიათებთ მარტოობის სურვილ, დამოკიდებულება სხვის აზრზე.

ბულინგის მსხვერპლი ასევე შეიძლება გახდეს ღონიერი მოსწავლეც, მოსწავლე, რომელიც საერთო ენას უკეთ პოულობს უფროსებთან ვიდრე თანაკლასელებთან. მოსწავლე, რომელის რაიმე მიზეზით, საკმაოდ ხშირად „ჩივის“, პედაგოგთან, ასევე ახლად გადმოსული მოსწავლე, სხვებზე მეტად აქტიური მოსწავლეც.

შესაძლებელია, რომ ბულინგის მსხვერპლმა დიდი ხნის მანძილზე ვერ მოახერხოს თავის დალწევამის მიმართ განხორციელებული ჩაგვრისაგან. ბულერი ბავშვები, ხშირ შემთხვევაში, ზრდასრულ ასაკშიც ახორციელებენ ძალადობის გამოვლენას სხვის მიმართ, მიმართავენ კრიმინალს. ბულინგს აქვს, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი ნეგატიური გავლენა მსხვერპლზე და მოძალადეზეც. ამიტომაც აუცილებელია ორივე მათგანის ფსიქო - სოციალური დახმარების აღმოჩენა.

„მოწმის“, პოზიცია ყველაზე უფრო ძნელია ტიპოლოგიური თვისებების განსახორციელებლად, ვინაიდან ჩაგვრის სიტუაციაში, უმრავლესობას ყოველგვარი თავისი პირადი მრავალფეროვნებით უხდება მოწმის როლში ყოფნა. საინტერესოა, რომ „მოწმე“, არის ბულინგის პერიფერიულ მსხვერპლი. მოძალადისა მსხვერპლის გვერდით, მათ აქვთ გარკვეული როლი, რომლებიც, რომელიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ, რადგან

მათმა რეაქციამ აღნიშნულ მდგომარეობაში დაზარალებილს, შესაძლებელია გაუწიოს დახმარება ან მიაყენოს ძალიან დიდი ზიანი. მკვლევართა აზრით; „ისინი წარმოდგენენ. ბულინგის მნიშვნელოვან მონაწილეებს. (კ. ვანგსტენი). ბულინგი არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მსოფლიოს წარმატებული საგანმანათლებლო სისტემის პრობლემაა. გარკვეულ ეტაპზე, ხდება ბავშვის ქცევის გართულება, რომელიც დაკავშირებულია მოზარდობის პერიოდთან და რომელსაც გარდატეხის ასაკს უწოდებენ; ბავშვობიდან მოზარდობაში გადასვლის პროცესი, მძაფრად და ზოგჯერ გრამატილადაც მიმდინარეობს. მასში სოციალური განვითარების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებია გადახლართული. ერთი მხრივ, ამ რთული პერიოდისთვის დამახასიათებელია ნრგატიური გამოვლინებები-პიროვნების დისჰარმონია, პროტესტის გამომხატველი ქცევა, უკვე ჩამოყალიბებული ინტერესების შეცვლა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, უამრავი დადებითი ფაქტორი - მოზარდის დამოუკიდებლობა, ურთიერთობათა მრავალფეროვნება, პასუხისმგებლობის განვითარება და სხვა.

სამწუხარო რეალობაა, რომ მოზარდობა ზრდის ბულინგის განხორციელების ალბათობას, ამ პერიოდში მოზარდისათვის უმნიშვნელოვანესი ხდება თვითდამკვიდრება სოციუმში, თანაც აღნიშნული ეტაპი დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ ცვლილებებთან მოზარდის ორგანიზმში. ამ დროს ადგილი აქვს ჰარმონალურ ცვლილებებს. სწორედ ამ პერიოდში ხდება მოზარდის სქესობრივი მომწიფება, რაც დიდგავლენას ახდენს მოზარდის ქცევაზე, მთელ მის შინაგან სამყაროზე, იგი ხდება ძალიან აგრესიული, ფეთქებადი. ყოველივე ამას ჰორმონალური დისბალანსი განაპირობებს. სწორედ ეს მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ პრობლემებთან.

ამ პერიოდის დამახასიათებელ ნიშნებს საინტერესოდ აღწერს ფსიქოანალიტიკოსი ერიკ ერიკსონი: მოზარდობის ეტაპი ეს არის ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპი ადამიანის ცხოვრებაში, რადგან მოზარდი ამ დროისათვის ცდილობს თავით დამკვიდრებას სოციუმში. ის ვარაუდობდა, რომ ადამიანები ჩამოუყალიბებელი იდენტობით, მკვიდრდებიან საკუთარ თავში დაურწმუნებელ, დეპრესიულ პიროვნებებად. ასეთი მოზარდთა ნაწილი მიმართავს დელიკვანთურ ქცევას. ვინაიდან ასეთი სახით ურჩევნიათ საკუთარი თავის დამკვიდრება, გარიყულ პოზიციაში ყოფნას. ხშირ შემთხვევაში, თვითმეფასების და თვითპატივისცემის გაზრდის სურვილი ხდება დელიქვანტური ქცევის მიზეზი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბულინგი- ბავშვთა ძალადობა, აქტუალური პრობლემა გახლავთ, მთელ მსოფლიოში, სამწუხაროდ, ამ უდიდეს პრობლემას, ვერც საქართველომ „აუარა“ გვერდი.

2017 – 2018 წწ. გაეროს ბავშვთა ფონდმა, (იუნისეფი) ჩაატარა საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევა. სამწუხაროდ, კვლევის თანახმად, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ბულინგის ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში არ არსებობს. ეს ნაწილობრივ დაკავშირებულია თავად ბულინგის იდენტიფიცირების სირთულესთან სკოლებში. ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებლები ან მშობლები სიტყვიერი, ფიზიკური აგრესიის შემცველ ქცევას ბავშვურ სიცვლქედ მიიჩნევენ და ამაზე ყურადღებას არ ამახვილებენ. გარდა ამისა, მჩაგვრელი ბავშვი იშვიათად ახორციელებს მსგავს ქცევას უფროსის თანდასწრებით. იცის რა, რომ შეიძლება დაისაჯოს, მსხვერპლის დასაჩაგრად ირჩევს საკლასო ოთახს - შესვენებაზე, ან ცარიელ დერეფანს - გაკვეთილების მსვლელობისას.

ჩვენ შევეცადეთ, მოხსენებაში პასუხი გაგვეცა, ისეთ საჭირობოროტო კითხვებზე, როგორცაა; რა არის ბავშვთა სისასტიკის მიზეზი? ვინ არის პასუხისმგებელი მსგავსი მოვლენების პრევენციაზე? როგორია სკოლის, ოჯახის და მთლიანად საზოგადოების როლი პრობლემის დროულად შეფასებასა და აღმოფხვრაში? რა ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა მინიმუმადე დავიყვანოთ ბულინგის საფრთხე?

სწორედ, ამ თემების, (ანტიოციალური) შედეგების შესწავლის და მასთან დაკავშირებით რეალურად არსებული საშიში ხასიათის მდგომარეობის პრაქტიკულად გააზრების მიზნით, კვლევა ჩავატარეთ, ასაკობრივი პერიოდის გათვალისწინებით: უნივერსიტეტის სტუდენტებთან, საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებთან.

კვლევის პროცესი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ჩვენი საკვლევი ობიექტისთვის თავიდანვე იყო ცნობილი კვლევის ანონიმურობა, მიუხედავად ამისა, გარკვეულმა პროცენტმა თავი მაინც შეიკავა მონაწილეობაზე. (ეს საკმაოდ ნიშანდობლივი დეტალი გახდა ჩვენი კვლევისათვის). კვლევა საკმაოდ ლაკონური იყო, იმისთვის რომ ჰიპოტეზასთან ახლოს მდგარი ვალიდური პასუხი მიგვეღო.

მაგალითისათვის დაკონკრეტებული იყო 2017 წელს პირველი დეკემბრის ტრაგედია, რომელიც დატრიალდა ხორავას ქუჩაზე. (ინციდენტი, სისხლიანი გარჩევა, მოხდა თბილისის ორ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა შორის. რომელიც საუბედუროთ, ორი მოსწავლის გარდაცვალებით დასრულდა).

„ხორავას ქუჩის ტრაგედიის შემდეგ სკოლებში ბულინგის თემა კვლავ აქტუალური გახდა. ეს პრობლემა პოსტსაბჭოთა სივრცის ქართულ სკოლაში განსაკუთრებული სიმწვავეით გამოჩნდა, თორემ ბულინგი ჩვენს სკოლებში ყოველთვის იყო. მოზარდების მიერ ერთმანეთის ჩაგვრას, დამცირებასა და ღირსების შელახვას დღეს უკვე სხვა ფორმები და მასშტაბები აქვს, რასაც

განათლების ექსპერტები, ფსიქოლოგები, პედაგოგები ქართველ საზოგადოებაში არსებული პრობლემებით ხსნიან.“ შალვა ტაბატაძე - განათლების ექსპერტი.

რაოდენობრივად გავეცანით სამოცდაათ სტუდენტთა და მოსწავლეთა ნააზრევს, რა დროსაც ცალსახად გამოიკვეთა აგრესიის გამომწვევი მიზეზები, რომელიც მთლიანად შეესაბამება ჩვენი მოხსენების თეორიულ მოსაზრებებს.

გამოკითხულითა 90%-ზე მეტს მიაჩნია, რომ მოზარდის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებლობა ეკისრება ოჯახს, გარემოს და სკოლას, თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ უმთავრესი მაინც არის ოჯახი. შემდეგ ისინი აკონკრეტებენ და ასახელებენ ძირითად ფაქტორებს:

1. ბავშვის არა მარტო გაზრდა, არამედ სწორად აღზრდა; მშობლის უკონტროლობა ყოვრლგვარ სისასტიკეზე, ზოგადად უყურადღებობა, აფექტური ფონი, რასაც ძირითადად იწვევს უთანაბრო სოციალური პირობები, ანუ გაბოროტების ერთ-ერთი მიზეზი..... იმ ვითარებაში, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენა პიროვნების ქცევაზე მაინცდამაინც გასაგები არ არის, პრობლემური ოჯახი ამჟამად აღიარებულია აგრესიული ქცევის ჩამოყალიბების აშკარა ფაქტორად. კარგადაა ცნობილი, რომ აგრესია ვლინდება არა მხოლოდ მტრების, უცნობი ადამიანების ან კონკურენტების მიმართ. ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობა იშვიათობა არ არის მრავალი ოჯახისთვის. აგრესიის გამოვლინების ფორმები ოჯახში სხვადასხვაგვარია. ეს შეიძლება იყოს: პირდაპირი ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა, სიცივე, შეურაცხყოფა, ნეგატიური შეფასებები, პიროვნების დამცირება, ბავშვის ემოციონალური მიუღებლობა. ოჯახის წევრები შეიძლება თავად ახდენდნენ აგრესიული ქცევის დემონსტრირებას ან განამტკიცებდნენ ბავშვის არასასურველ მოქმედებებს, მაგალითად, გამოხატავდნენ სიამაყეს ჩხუბში მისი გამარჯვების გამო.

კვლევისა სტუდენტებმა და მოსწავლეებმა დაასახელეს, კიდევ რამდენიმე მიზეზი

ა. უსამართლობის განცდა, სიმართლის დამახინჯება;

ბ. არასასურველი სამეგობრო წრე და მიმზამველობა გ. დაუსჯელობის სინდრომი,

დ. საზოგადოების მხრიდან გულგრილობა (ეს მე არ მეხება) ე. კომპიუტერული და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება და სოციალური ქსელები;

ვ. თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლა; სიყვარულისა და მზრუნველობის ნაცვლად შიშის ჩანერგვა,

ზ. ქურდული მენტალიტეტის ჩანერგვა.

კვლევის ჩატარების დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ზოგიერთმა მოსაუბრემ, ამიტომ გთავაზობთ, მათ ციტირებას

– „მამიკოს ფულების განებივრებულები სხვებს ჩაგრავენ და ეს ხდება აგრესიული ფორმით, უბანში თავიანთი კანონები აქვთ და ცდილობენ ეს კანონები იმავე ტერიტორიაზე პატარებში გაავრცელონ, რატომ ხდება ყოველივე ეს მშობლებისთვის შეუმჩნეველი?!“;

– „მოზარდის ფსიქიკის ჩამოყალიბებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია გარდატეხის ასაკი. ამ დროს თანაბრად მნიშვნელოვანია მშობლისა და საგანმანათლებლო დაწესებულების როლი მისი პიროვნების და მენტალობის ჩამოყალიბებაში“;

– „პირველ დეკემბერს მომხდარ ტრაგედიაში დამნაშავეა, როგორც მშობლები და მასწავლებლები, ასევე საზოგადოება, რადგანაც მათ გაშვებულებაც კი არ მოინდომეს, არც პატრული გამოიძახეს. ეს ამდენი ბავშვი ქუჩაში კრიმინალური გარჩევით იყო დაკავებული ან სკოლამ არ იცოდა?! ხოლო მშობელმა არ ასწავლა მოყვასის სიყვარული“;

– „შვილები მშობლებისა და იმ სოციუმის ანარეკლს წარმოადგენენ, რომელთანაც უწვეთ ცხოვრება“ – ეს ფრაზა ცნობილ სოციოლოგსა და ფსიქოლოგს გუსტავ ლებონს ეკუთვნის. ჩემი აზრით, მოზარდთა შროის არსებული ურთიერთობები და დამოკიდებულებები ნათლად წარმოაჩენს იმ პრობლემებს, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაშია თავმოყრილი. საზოგადოება, რომელშიც არ არსებობს ერთმანეთის სიყვარული დაღუპვისთვისაა განწირული“.მამასადამე, ჩვენი რესპონდენტების აზრით, ადამიანი არ იბადება დამნაშავედ.ისინიგამოსავალს ხედავენ ადრეულ პრევენციაში პრობლემა საკმაოდ მაშტაბური და მწვავეა,მაგამ მიუხედავად ყოველივე ამისა თანამიმდევრულად, შესატყვისად შერჩეულ პრევენციას, ინტერვენციას შეუძლია ბულინგის მაშტაბების შემცირება და უმძიმესი შედეგების თავიდან აცილება.კვლევისას გავეცანით ბულინგის ინტერვენციის საერთაშორისო გამოცდილებას,რომელიც შემუშავებულია დან ოლვეუსის მიერ 1995წელს. მოდიფიცირდება სკოლის და ქვეყნის სფეციფიკიდან გამომდინარე.

გავეცანით ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაშრომებს, მოვახდინეთ ფოკუსირება მიღებულ ინფორმაციაზე. თემატიკა საკმაოდ აქტუალურია, მასზე დიდი სჯა-ბაასი მიმდინარეობს, როგორც ფსიქოლოგთა წრეში, ასევე მთლიანად საზოგადოებაში. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს ჩვენი მოხსენების აუცილებლობაზე.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ბულინგი მოზარდებში არის მსოფლიო პრობლემა.(მოგეხსენებათ, რომ აგრესია იწვევს აგრესიას)და სანამ მოზარდი გადაიქცევა ბულერად საჭიროა და აუცილებელი დროული პრევენცია სწორი

და სამართლიანი მიდგომებით. მიუხედავად პრობლემების მაშტაბურობისა და სიმწვავისა თანამიმდევრულად, შესატყვისად შერჩეული პრევენციას და ინტერვენციას შეუძლია ბუღინგის შემცირება და უმძაფრესი შედეგების თავიდან აცილება.

პრევენციის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეების ინფორმირება, არა მხოლოდ პრობლემის შესახებ, არამედ იმის შესახებაც, თუ ვის უნდა მიმართონ ბუღინგის შემთხვევაში და რა კონკრეტული სტრატეგია აქვს სკოლას პრობლემების გადასაჭრელად.

და ბოლოს, კვლევის შედეგებით, მოხსენებაში დასტურდება ჩვენს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზა, რომელიც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ასეთნაირად:

- გამოიკვეთა, რომ მოხსენებაში გადმოცემული პრობლემის მიღწევა შესაძლებელია გარემოს შექმნით (ოჯახი, სკოლა, სამეზობლო);
- აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემაში პირველადი პრევენცია;
- ფსიქოლოგების ჩართულობა, – პედაგოგების გადამზადება, – მშობლების გააქტიურება, თანამიმდევრული პრევენციული სერვისების მიწოდება და აგრესიულობის მართვა ასაკობრივი ზღვრის მიხედვით.
- დაზუსტებულია უმთავრესი ფაქტორი და ეს არის მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა და ახლებური მიდგომა, რომლის გარეშე შედეგი პრაქტიკულ დონეზე ვერ დადგება.

დასკვნა. ბუღინგის პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, საჭიროა ამ საკითხზე უფრო და უფრო მეტად იქნას გამახვილებული ყურადღება, მოიძებნოს ეფექტური გზები, გზები რომელიც ხელს შეუწყობს ამ პრობლემის დიდად შემცირებას, რადგან ყოველივე ამას საკმაოდ სავალალო შედეგებამდე მიყვავართ. ბუღინგს, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, და ამასთან ერთად მისი შედეგები უმეტეს წილად გრძელვადიან სახეს ღებულობს. შესაბამისად ამ საკითხის შესწავლა საკმაოდ აქტუალურია და დაეხმარება არა მარტო, მისწავლე - ახალგაზრდობას, არამედ სხვადასხვა სფეროში მომუშავე ფსიქოლოგებს, პედაგოგებს და ყველა ამ საკითხით დაინტერესებულთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში: გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
2. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი, ბავშვებზე ძალადობია ძირითადი საკითხები. თბ.2011წ
3. მ. ბოჭორიშვილი ბუღინგის სახელმწიფო ფაქტორები, გამოვლენის ფორმები და აღმოფხვრის გზები ქალაქ თბილისისა და ბათუმის სკოლებში, 2014წ
3. მ. ცირამუა, „ფონდი გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, მოზარდთა შორის ძალადობის პრობლემის გადასაჭრელად. თბ; 2018წ
4. ძალადობა ბავშვებზე, <http://phf.org.ge.ka/resources/bavhvzve-dzladobis-prevencia>
5. www.gurianews.com > article > mtavari > mtavari-tema

Stigmatization and social stereotypes

Lela Bakradze – PhD student,
Georgian Technical University, LLbakradze@gmail.com
Ela Skhirtladze – Psychologist,
European Solidarity Corps. E_skhirtladze@cu.edu.ge

Abstract. The formation of social stigma and stereotypes always takes place in a specific historical context. They are influenced by many factors, including personal, institutional, social, cultural, economic, and so on. It should be noted that these factors are often causally related to each other and create a common social attitude and relevant discourse. Accordingly, stigmatization has pronounced negative consequences, both socially and psychologically. Numerous studies conducted in Georgia in recent years have shown that tolerance towards various marginalized groups is not one of the priority values in Georgian society. Their appearance in public places creates a feeling of discomfort and causes negative attitude, which in turn is manifested in aggression, disgust, avoidance and other discriminatory actions. This is especially true for vulnerable groups, including sexual minorities, people with mental health problems and drug addicts. Therefore, it is important to have an effective communication strategy aimed at overcoming stigma and raising public awareness to combat negative stereotypes about these vulnerable groups. Furthermore, it is necessary for the media, various governmental institutions as well as non-governmental sectors to be actively involved in the implementation of the given strategy.

Keywords: Social Stereotype, Stigma, Stigmatization, Overcoming Stigma.

Numerous studies conducted in recent years in Georgia have shown that fear of groups who do not belong to the mainstream culture is an internal feature of our country's daily practices. Members of these groups are considered "strangers". This applies to different minorities - religious, ethnic, sexual, etc. - as well as people with disabilities and others. These groups experience social exclusion as they do not have equal access to economic and social goods and services. Social exclusion is multidimensional and it can have economic, cultural, legal and political aspects.³⁹ There are frequent cases where the situation of stigmatized people is perceived as an individual error and not as a defect in the existing social system (e.g. stigma of large families living below the poverty line and/or homelessness), which further aggravates their situation, oppression and exclusion.

The term "stigma" has Greek origin and means "stamp". This word in ancient Greece was used to literally refer to a mark. This sign (mark) was engraved on the body of a man who was unacceptable to the public. Mostly slaves and criminals had the given stamp.

³⁹ Study on Stigmatization of Children with Disabilities. (UNICEF. Institute of Social Studies and Analysis). Analytical Report, 2016. <https://www.unicef.org/georgia/media/1181/file/stigmatization.pdf>

Over time this term has undergone a transformation and today it represents a certain set of negative stereotypes. Stigma is a pronounced social label or physical mark that devalues and discredits the identity of an individual or group. It is a multidimensional concept and is found in both societies and the families (<http://dictionary.css.ge/content/stigma>). Consequently, stigma is a characteristic of a person or group that is perceived as flawed, it evokes a desire for punishment/isolation, and diminishes the person who is thought to be attributed by that characteristic (Smelser, J. Neil, 1994).

Stereotype is not an unequivocally negative concept, moreover, it is a function of the psyche to adapt to the environment and is one of the expressions of schematic thinking. The term is of Greek origin. "στερεός" means solid, and "τύπος" means imprint, impression. This name referred to a heavy printing plate in the printing press that duplicated any typography and was used for printing. The term "stereotype" was used in the social sciences only in 1922 when the American journalist Walter Lippmann published his work "Public Opinion".⁴⁰

Stereotypes allow people to perceive the reality around them without an extra effort. Stereotypes involve a standardized collective experience and offer a kind of scheme of events, a common formula and these stereotypical perceptions are activated automatically. When stigma involves the distinction between physical and social factors, these factors contribute to social categorization. Individuals united in one categorization are similar to each other and thus form a prototype characteristic of their group. Due to this, the perceived difference between the groups is exaggerated. It is important to note that social categorization implies decreasing as well as increasing information. Some information about a particular person may often be lost, but other information may become a common feature for the whole group. Social categorization affects the processing, storing and retrieving information, also the way behavior is explained and interpreted. Therefore, often social stereotypes distort perceptions of reality, perceiving an object or situation without individual determinants, which can often lead to negative attitudes and discrimination.

Stigmatized people are discredited by any sign, and their social identities are devalued by society. Such people often become the object of ridicule and violence, which in turn exacerbates the stigma. At this time, social identity is devalued and appears the issue of self-esteem. Due to the abundance, it is impossible to identify every sign by which an individual may be stigmatized. Gender, race, sexual orientation, body weight, physical or mental illness are the most common categories

⁴⁰ <https://archive.org/details/publicopinion001ippgoog/page/n440>

of stigma. Stigma has existed in all times and epochs, although it has been the subject of serious scientific study since the second half of the twentieth century.

According to Irving Goffman's (1922-1982) theory of social stigma, stigma is an attribute, behavior, or reputation that is socially unacceptable. In particular, it leads to the classification of a person by other members of society on the basis of unwanted, negative stereotypes. The paper "STIGMA: NOTES ON THE MANAGEMENT OF SPOILED IDENTITY" distinguishes three different types of stigma:

1. "Disgust, hatred of the body" - "ugliness of the body, disgust" - it refers to an inalienable or acquired physical characteristic, which carries the impairment of social identity, such as various physical limitations of skills; Conditions that change the shape of the body. (Eg overweight - obesity).

2. "Personality traits perceived as flawed" are "black spots" of an individual nature, which serve to devalue social identities related to an individual's personality or behavior (mental disorders, bad habits and addictions, homosexuality, etc.).

3. "Group identity" - a stigma prevalent in the community that is known or passed down from generation to generation and implies membership in an impaired racial, ethnic or religious group (e.g. race, sex, religion, nationality).⁴¹

According to his attitude towards stigma, Goffman distinguishes three categories of people: 1. "Stigmatized" - a person with a stigma, 2. "Normal" - those who do not belong to the stigma, 3. "Wise" - a representative of the category of "normal", made to belong to the category of "wise" based on their status by people with a stigma.

"Wise-normal" people are not at all the people for whom stigma is acceptable. These are individuals who, due to special circumstances, have come into contact with the hidden aspects of the lives of the stigmatized, have shown compassion, respect and acceptance. As a result, members of the stigmatized group view them as honorary members of the stigmatized group. For stigmatized people, a "wise" are members of society with whom they do not need special self-control, in case of error "wises" do not rebuke the stigmatized people and treat them as ordinary members of society. Goffman notes that in certain social situations, the "wise" may be stigmatized. For example a white woman who is in a relationship with a black man.

There is also a "positive stigma". When a person is very smart, rich, etc. Such people, in Goffman's view, have a legitimate right to deviate from established norms of behavior, since their status significantly exceeds the expectations of the group. The main part of Goffman's "Theory of Stigma" is devoted to people with a sharply expressed, often grotesque stigma (e.g. a girl born without a nose). However, in

⁴¹ Goffman E. Stigma : notes on the management of spoiled identity. Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1963.

reality Goffman speaks of the fact that we are all stigmatized, at one time or another. (e.g. Jew - in a Christian society, an overweight person in a non-obese environment, etc.).

It is also interesting to discuss the "Organizational stigma," the term was first used by Hudson in his article published in 2008 and later developed by Devers and his colleagues. They formulated the concept of stigma about the organization. Similarly to an individual and a group, an organization can be rejected and unaccepted. Hudson separated the core stigma and the event stigma. The first is related to the essence of the organization itself, its nature, and the second to the temporary, isolated one-time events. He also discussed how organizational stigma is related to other social constructs.⁴²

There are two main mediators for dealing with stressful events: cognitive assessment and coping. There are several ways to overcome stigma. It can be aimed at: 1. about oneself, 2. about others, 3. about the situation. These strategies are used separately or simultaneously and serve to make a difference in the relationship between stigmatized individuals and the environment.

1. Overcoming strategy directed at self - changing or obscuring any aspect of the self that will reduce the formation of a negative relationship influenced by stigma.

2. Overcoming strategy directed at others - trying to change others so as not to undermine the stigmatized person and his or her social status.

3. Situation-oriented strategy - structuring the situation so that stigma does not negatively affect the individual.

4. Protest - confrontation with the existing misconceptions, on the one hand, with the media that spreads them, and on the other hand with the people who believe and share these views.

5. Education - dissemination of correct information, which is one of the most effective methods, confirmed by many studies.

6. Contact - the more contact the public has with people who are stigmatized, the easier it will be to overcome misconceptions and see reality.

The urgency of the problem of stigmatization has become even more acute in the light of recent events. On March 11, 2020, the World Health Organization declared the spread of COVID-19 as a pandemic (<https://www.who.int/news>). This period turned out to be especially stressful for Georgia as well as for the whole world. Lack of information, fear and anxiety have especially intensified the tendency to blame someone and shift responsibility to others. Numerous rumors and speculations were spread, and the media spread a lot of often contradictory information, which further

⁴² Devers, Cynthia E.; Dewett, Todd; Mishina, Yuri; Belsito, Carrie A. A General Theory of Organizational Stigma. *Organization Science*. 2008, 20 (1): 154–171.

aggravated the situation. All this was followed by a severe economic crisis and numerous social problems. Consequently, humanity is faced with an entirely new reality and challenge. This situation continues today, the death toll exceeds millions and unfortunately the contours of the end of the pandemic are still unclear. We have witnessed the impact of this situation on our society and especially on vulnerable groups (for example, when a transgender person tried to burn herself in front of the Tbilisi City Hall due to the current inconvenience). The exact data confirmed by studies are not yet available, nevertheless, it is undeniable that numerous groups of people, during the COVID-19 pandemic, have been victims of stigmatization. Among them: certain racial and ethnic groups (a number of photos were spread on the social network, including one taken in one of the shops in Georgia, with a photo of two people holding a sheet with the caption "We are Japanese. I do not have a virus, I have lived in Tbilisi for a long time"). Also people having the COVID-19 even if they have already recovered and left the clinic; people with disabilities, developmental and/or behavioral disorders as they often have difficulty following recommendations, etc.

As already mentioned, stigmatization has the most severe social and psychological consequences, therefore, instead of focusing on the disease that causes the most problems, a person with a fear of stigmatization may hide symptoms and not immediately seek appropriate health care until the condition is aggravated. This was one of the reasons why it became so difficult to control the spread of the pandemic and it led to disastrous consequences. At this point, the widespread information campaigns and the fact that Covid-19 has affected almost every family in some way, as well as open statements by a number of well-known individuals about their health and transmitted or current COVID-19 have helped alleviate some of the stigma. However, the complete elimination requires a lot of effort and more work.

As mentioned, stigmatization has horrible social and psychological consequences. Including feelings of shame and guilt, hopelessness, constant stress, issues with self-identity, low self-esteem and so on⁴³. Therefore, it is important to have the most effective communication strategy to overcome stigma and conduct a proper educational campaign. It is also necessary that the media be actively involved in this process and aim to raise public awareness to overcome misconceptions and the negative social stereotypes about the dangers of vulnerable groups. All of these, in turn will help to increase acceptance towards the stigmatized people and form adequate attitudes towards them.

⁴³ Kranke D.A, Floersch J, Kranke B.O, Munson M.R. A qualitative investigation of self-stigma among adolescents taking psychiatric medication. *Psychiatr Serv.*, 2011, 62(8):893-9.

Bibliography

1. Devers, Cynthia E.; Dewett, Todd; Mishina, Yuri; Belsito, Carrie A. A General Theory of Organizational Stigma. *Organization Science*. 2008, 20 (1): 154–171.
2. Goffman E. *Stigma : notes on the management of spoiled identity*. Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1963.
3. Kranke D.A, Floersch J, Kranke B.O, Munson M.R. A qualitative investigation of self-stigma among adolescents taking psychiatric medication. *Psychiatr Serv.*, 2011. 62(8):893-9.
4. Kurzban R, Leary MR . Evolutionary Origins of Stigmatization: The Functions of Social Exclusion (PDF), *Psychological Bulletin*, 2001, 127 (2): 187–208.
5. Lazarus R.S & Folkman S. *Stress, Appraisal, and Coping*. New York:: Springer-Verlag, 1984.
6. Майерс Д. *Социальная психология*. Изд. Питер, 2003.
7. O'Brien, B. M. THE SOCIAL PSYCHOLOGY OF STIGMA. *Annu. Rev. Psychol.*, 2005. 56:393–421.
8. STUDY ON STIGMATIZATION OF CHILDREN WITH DISABILITIES.
9. (UNICEF. Insitute of Social Studies and Analysis). *Analytical Report*, 2016. <https://www.unicef.org/georgia/media/1181/file/stigmatization.pdf>
10. Smelser, J. Neil. *Sociology*. Prentice Hall. 1994.
11. არონსონი ე. *სოციალური ცხოველი*. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.
12. გერიგი, რ., ზიმბარდო, ფ. *ფსიქოლოგია და ცხოვრება*, თბილისი, თსუ. 2009.
13. გოგიჩაიშვილი მ., ხეჩუაშვილი ლ., მესტვირიშვილი მ. *სტიგმა, სექსუალური იდენტობა და ცხოვრების ისტორია*. GESJ: Education Science and Psychology, 2016. No.4(41)
14. სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობის ფორმები წარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ და სექს-ზიზნესში ჩართულ ქალებში. (ევროკავშირი საქართველოსთვის), თვისებრივი კვლევის ანგარიში, 2018. <http://femicide.ge/res/docs/stigma.pdf>. retrieved 17.01.2021
15. <https://www.who.int/news>. retrieved 18.01.2021
16. <https://archive.org/details/publicopinion001 ippgooog/page/n440>. retrieved 01.12.2020.

ძველი ქართული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურული მნიშვნელობა და თარგმანის როლი

The Worldwide Role of Translation and Old Georgian Literature

ინგა კონიაშვილი - სტუ საინჟინრო ეკონომიკისა და მედიატექნოლოგიების ფაკ-ი
მასკომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა, დოქტორანტი

Ingakoniashvili27@gmail.com

Inga Koniashvili - Doctorate PhD, Georgian Technical University,
Faculty of Engineering, Economics Media Technologies
and Social Sciences Mass Communication Program
Ingakoniashvili27@gmail.com

აბსტრაქტი. სტატია ეხება ლიტერატურის, კერძოდ, ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელობას და მის ადგილს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში და განიხილავს თარგმანს, როგორც მედიაციის საშუალებას კულტურული ტრანსფერის თვალსაზრისით.

სტატიაში აგრეთვე საუბარია ქართული მწერლობის, უძველესი ნიმუშის, ი. ცურტაველის „შუშანიკის წამების“ სოციო-კულტურულ და ენობრივ-ლიტერატურულ დანიშნულებაზე მსოფლიოს სამეცნიერო წრეებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

სტატიაში მოყვანილია ცნობები უცხოელი მეცნიერების მხრიდან ძველი ქართული მწერლობით დაინტერესების და „შუშანიკის წამების“ ადრეული და უახლესი თარგმანების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა, ძველი ქართული მწერლობა, კულტურული ტრანსფერი, თარგმანი, კომუნიკაცია, მედიაცია

Abstract. The article deals with the importance of literature, namely, old Georgian literature and its place in World Heritage Honours List and regards translation as a media means in respect of cultural transfer.

The article also mentions the prominence of “The Martyrdom of The Blessed Queen Shushanik” by I. Tsurtaveli as one of the oldest Georgian piece of literature; its socio-cultural and linguistic-literary priorities for world scientific and wide audiences.

The article introduces the excerpts from publications about the interest of cross-country and European scientists towards old Georgian literature as well as refers to the earlier and latest translations of “The Martyrdom of The Blessed Queen Shushanik.”

Key words: Literature, old Georgian literature, cultural transfer, translation, Communication, mediation

შესავალი: ლიტერატურა, როგორც კულტურის ნაწილი, ასახავს საზოგადოების ცხოვრების წესს, ქცევას, მრწამსს, ფასეულობებს და რაც მთავარია, ერთმანეთთან კომუნიკაციას და მის ფორმებს. შესაბამისად, მსოფლიო ლიტერატურაც მსოფლიო კულტურის ევოლუციის ისტორიის ამსახველია, რომელშიც ქართველმა ხალხმა თავისი წვლილი შეიტანა ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშებით. ქართული მწერლობის ისტორია ფეოდალური ხანის მწერლობით იწყება, რომელიც ძველ მწერლობად იწოდება და მეხუთედან მეცხრამეტე საუკუნემდე გრძელდება.[1] იგი მეცნიერულად საინტერესო და შინაარსობრივად მრავალფეროვან ორ დარგს მოიცავს. ესენია: სასულიერო და საერო მწერლობა.

ძირითადი ნაწილი: ქართული სასულიერო მწერლობა და ზოგადად, ქართული ქრისტიანობა განეკუთვნება ქრისტიანული ხანის აღმოსავლურ შტოს . იგი კულტურული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მსოფლიო მასშტაბით, რადგან ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური აღმავლობის სხვადასხვა საფეხურზე მოხდა ქართული ქრისტიანობის ფორმირება, რომელიც გადმოცემულია ქართულ ორიგინალურ და თარგმნილ სასულიერო –სალიტერატურო ნაწარმოებებში. [1] „როდესაც ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, ძველი საქრისტიანო მწერლობის სპეციალისტი, ა. ჰარნაკი, გაეცნო 1903 წელს ნ. მარის მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ წინასწარ ანგარიშს 1902 წელს მისი და ივ. ჯავახიშვილის მოგზაურობის შესახებ აღმოსავლეთში, იერუსალიმსა და სინას მთაზე, მან

პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში შემდეგი სიტყვები მოათავსა: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შეძლებენ, შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით, ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლოს ეს საუნჯე?“ ეს „საუნჯე“ ყველასთვის მნიშვნელოვანია იქამდის, რომ დღეს არ შეიძლება ძველი ლიტერატურის ისტორიიდან დამუშავება არც ერთი საკითხისა, თუ სათანადო ანგარიში არ გაეწია ქართულ სალიტერატურო ძეგლებს.“ [2]

„ძველი ქართული მწერლობა უამრავ დოკუმენტს მოიცავს, რომელთა შესახებ არაერთი დოკუმენტაცია და სანდო წყარო არსებობს და რომელიც მდიდარი მასალით მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს მსოფლიო მეცნიერებისთვის. ქართველი მეცნიერების გარდა , მე-18 საუკუნიდან შეინიშნება ძველი ქართული მწერლობით დაინტერესება ისეთი ცნობილი ევროპელი მეცნიერებისა და ქართველოლოგებისა, როგორებიც იყვნენ ვენის უნივერსიტეტის პროფესორი Fr. Alter-ი , რომელმაც ვენაში გამოსცა თხზულება ‘Uber Georgianischen Literatur, რომელიც იყო ევროპელების მიერ ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობით პირველი დაინტერესება. M. Brosset, რომელმაც თარგმნა და ევროპელებისთვის ხელმისაწვდომი გახადა ქართული მწერლობის ზოგიერთი ნიმუში. ბელგიელი ორიენტალისტი P.Peeters-ი ,რომელიც ეწეოდა აგიოგრაფიული ძეგლების მთრგმნელობით და კვლევით საქმიანობას ჟურნალ ‘ Analecta Bollandiana-ში’ძირითადად ქართველთა გამოცემიდან ‘ Monumenta hagiographica Georgican ტ.1.რამოდენიმე ნაწარმოებს შორისაა მის მიერ გადათარგმნილი და დაბეჭდილი „მუშანიკის წამება.“ იგი თარგმნიდა ლათინურ ენაზე. ამერიკელი ორიენტალისტი , აკად. ნიკო მარის მოწაფე, 1918–20 წწ . ახლადდარსებული თბილისის უნივერსიტეტის, ხოლო შემდგომში

ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი, R.P. Blake-ი. საზღვარგარეთ იბეჭდება მოკლე მიმოხილვები ქართულ ლიტერატურაზე, ამ მხრივ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის Fr.N. Fink-ს, მან მოათავსა ესკიზი ისეთ წონად გამოცემაში, როგორცაა 'Die Kultur der Gegenwart (1,7,1906), Die Orientalischen Literaturn-ის განყოფილებაში. ასევე აღსანიშნავია Die Georgischen Literaturn პროფ. ბაუმსტარკისა (A. Baumstark), რომელიც წარმოადგენს მეცნიერული ქართველოლოგიის მიღწევებზე დაფუძნებულ ნაშრომს და ქართული მწერლობის მიმოხილვას დარგების მიხედვით, თუმცა ფინკის ნაშრომზე მეტად ნაკლები ცდომილებებით გამოირჩევა. მათ გვერდით ასევე აღსანიშნავია სტრასბურგის პროფესორის J. Karst-ის 'Literature Georgienne Chretienne,' რომელიც არის მოკლე მიმოხილვა ქართული ლიტერატურისა და შედეგადად ორი ნაწილისგან. პირველი მოიცავს საეკლესიო, ხოლო მეორე-საერო ლიტერატურას. აგიოგრაფიულ დარგში ცალკე თავადაა გამოყოფილი ლეგენდების ციკლი და მათ შორის სომხურ-ქართული (შუშანიკი, გობრონი). დასავლეთ ევროპაში ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებულია და შეისწავლის ბელგიელი, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი ჟ.გარიტი (G.Garitte). იგი კარგად ფლობს ძველქართულს და უკეთესად ერკვევა ძველ ქართულ ტექსტებში. იგი სხვადასხვა საკითხთან ერთად აქვეყნებს საინტერესო მასალებს ძველი ქართული მწერლობიდან ისეთ სამეცნიერო ორგანოებში, როგორებიცაა Le Museon, Analecta Bollandiana, Revue d Histoire Ecclesiastique, Corpus scriptorum christianorum orientalium.“[2]

აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ რომში მოღვაწე ქართველი მკვლევარი მ. თარხნიშვილი, რომელიც Corpus Scriptorum Christianorum Orientalium-ის გამომცემლობაში ქართულ სექტორს კურირებდა, მოეპოვება არაერთი ნარკვევი ქართველოლოგიის ცალკეულ საკითხებზე და სოლიდური გამოცემები, რომელთა შორის აღსანიშნავია 1956 წელს გამოცემული Geschichte der kirchlichen Georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der Georgischen Literaturgeschichte von K. kekelidze . Bearbeitet von M. Tarchnisvili in Verbindung mit Dr. Julius Assfalg. ეს შრომა წარმოადგენს კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომის თარგმანს. მიუხედავად ავტორის ბევრი საკუთარი მოსაზრებისა, იგი საინტერესო მასალას წარმოადგენს მკვლევართათვის.“ [3]



ინგლისელი ქართველოლოგი, პროფ. დონალდ რეიფილდი, თავის წიგნში 'The Literature of Georgia' („ქართული ლიტერატურის ისტორია“) [4] საუბრობს წმინდანთა ქართული ორიგინალური თარგმანების, როგორც კულტურული ფასეულობების შესახებ და დასძენს, რომ მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა, ჩვენამდე მოღწეული ადრეული ლიტერატურული ტექსტი არის ძლიერი ჰაგიოგრაფიული ნარატივი „წამებად წმიდისა შუშანიკისი

დედოფლისა.“ (The Passion of Queen Saint Shushanik “). თანამდეროვე ხედვით ნარატივი აღწერს ქალს, რომელმაც შური იძია შეუპოვრობით მოძალადე მწაგვრელზე. გარდა იმისა რომ ტექსტი დიდი ოსტატობითა დაწერილი, მას გააჩნია უდიდესი ისტორიული და სოციოლოგიური ღირებულება. (გვ.42-43)

„შუმანიკის წამება“ შეტანილია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ენციკლოპედიაში. (იხ. ილუსტ. 1).



Project Gutenberg Self-Publishing Press
Contemporary Books and Poetry for the Independent Reader



ილუსტ.1

როგორც ვხედვთ, ქართული მწერლობით, კერძოდ, ძველი ქართული მწერლობით, გამოწვეული ინტერესი საკმაოდ მაღალია. ამას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ საქრისტიანო სალიტერატურო ძეგლების არსებობის შესახებ პირველი ცნობა მეხუთე საუკუნეს განეკუთვნება. მეხუთე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში ქართულ ენაზე დაიწერა ქართული ორიგინალური თხზულება იაკობ ცურტაველის „შუმანიკის მარტილობა.“ ჰაგიოგრაფიული ძეგლი თავისი მხატვრული დონით, მოქნილი ენით და სხარტი და გემოვნებიანი სტილით, უდაოდ ჩვენი ერის მდიდარ ლიტერატურულ წარულზე და მემკვიდრეობაზე მიგვანიშნებს. მაგალითად, V-VI სს. მეხუთე -მეექვსე საუკუნეებში ქართული მწერლობის არსებობას ადასტურებს უცხოელთა დამოწმებაც ,რომელთა მიხედვითაც ქართველთა მწიგნობრობას იცნობდნენ არა მარტო მეზობელი , არამედ სხვა ერებიც.

როგორც ვხედავთ , ქართული მწერლობა ინტერესის საგანს წარმოადგენდა ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ, რომლის პოპულარობა განაპირობა მთარგმნელობითმა საქმიანობამ, როგორც სხვადასხვა კულტურათა შორის კომუნიკაციის საშუალებამ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურით უცხოელთა დაინტერესებამ თავისთავად წარმოშვა თარგმანების შექმნის საჭიროება.

თარგმანი ერთ-ერთი უძველესი ლინგვისტური ფენომენია. თარგმანის მთავარი ღირსება მდგომარეობს ორი სხვადასხვა კულტურისა და ენის მატარებელს შორის კომუნიკაციის დამყარებაში. მთარგმნელობითი საქმიანობა ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას, ეკონომიკურ ზრდას და კულტურულ კომუნიკაციას. ამ თვალსაზრისით სოციალური ბუნება ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია თარგმანისთვის.

ი.ცურტაველის „შუშანიკის წამება“ თავისი მრავალპლანაიანობის გამო რამდენჯერმე ითარგმნა სხვადასხვა ენაზე. საზოგადოებისათვის „შუშანიკის წამების“ ინგლისური თარგმანის ორი ვერსიაა ცნობილი -პროფ .დევიდ ლანგისა დ ელიზაბეტ ფულერის,რომელიც შედის 1983 წელს გამოცემულ საიუბილეო გამოცემაში მესამე ვერსია კი ეკუთვნის ქართველ მთარგმნელს ჯუმბერ ჩოლობარგიას, რომელიც 2006 წელს გამოიცა .

არცთუ დიდხნის წინ კი პრესამ და ტელევიზიამ გააშუქა კიდევ ერთი კულტურული მოვლენა : 2019 წლის 17 მაისს საქართველოს საელჩოში შედგა „შუშანიკის წამების“ ჰოლანდიური თარგმანის პრეზენტაცია. თარგმანი ეკუთვნის არჩილ ჯავახაძეს.[5] ქართული ლიტერატურისა და კულტურის გაცნობა ჰოლანდიელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველი და ჰოლანდიელი ხალხების კულტურულ ურთიერთობებში. მთარგმნელმა ისაუბრა ნაწარმოების იდეურ ღირსებაზე , მის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებაზე ხალხთა შორის ურთიერთობის თვალსაზრისით. ა. ჯავახაძემ ასევე წარმოადგინა ქართულად თარგმნილი წიგნის პრეზენტაცია:“ ბერნარდი-ნიდერლანდების სამეფოს პრინცი.“ არჩილ ჯავახაძეს ასევე თარგმნილი აქვს კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა,“ დ.ტურაშვილის „ტყეების მეფე- ლეგენდები დავით აღმაშენებელზე,“ გ. ოდიშარიას „პრეზიდენტის კატა.“ იგი ასევე ავტორია პირველი ნიდერლანდურ-ქართული და ქართულ -ნიდერლანდური ლექსიკონისა. პრეზენტაციის გარდა, საელჩოში ჩატარდა ქართული დამწერლობისადმი მიძღვნილი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ანბანი: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. პრეზენტაციას ასევე ესწრებოდნენ ნიდერლანდების საგანმანათლებლო ინსტიტუციების ქართული დიასპორის წარმომადგენლები. (იხ.ილუსტ.2)



On May 17, presentation of the first extant piece of Georgian literature "The Martyrdom of the Holy Queen Shushanik" translated into Dutch language for the first time was organized at the Embassy of Georgia.

"The Martyrdom of the Holy Queen Shushanik" purported to have been written in 5th Century between 476 and 483. The author is lakob Tsurtaveli, a contemporary and participant of the events described in this hagiographic novel.

The Ambassador of Georgia H.E. George Sharvashidze welcomed the audience and thanked the translator Archil Djavakhadze for .introducing Georgian literature to Dutch society.

"Het martelaarschap van de heilige vorstin Shushanik" is een hagiografische roman uit de 5^e eeuw, geschreven tussen de jaren 476 en 483. De roman beschrijft het martelaarschap van de heilige Shushanik, een Armeense edelvrouw die gemarteld werd door haar schijnschik, joodsche (heilige) Vorstin. Vankeer heeft het christendom afgeworpen en is overgegaan tot het roomsche. Shushanik weigert haar schijnschik herte te wijgen en is zware pijniging onderworpen en uiteindelijk sterft zij daerom.

De heilige is het oudste bekende Georgische literaire werk. De vertaling is, vijf en half eeuwen na de oorspronkelijke tekst van dit werk door vertalers van de 17^e en 18^e eeuw. Georgische geschiedenissen moesten hebben bestaan. In de tekst wordt het Georgisch genoemd en herant wordt ook wel genoemd. De heilige die al vertoerd Georgische verhalen van het Nieuwe Testament bekend waren onder de Georgische bevolking.

Shushanik is heilighelands door de Georgische Orthodoxe Kerk en wordt vereerd door de Armeense Apostolische Kerk. Zij wordt in Georgi op 17 oktober herdenkt en is bekend op de zondag tussen 26 en 28 september.

De auteur van deze roman, lakob Tsurtaveli, was present bij het van de joodsche. Hij was een onderwijzer en was betrokken bij de gebeurtenissen die in deze hagiografische beschreven zijn.

De eerste editie (Eerste editie) heeft al diverse vertalingen van boeken op zijn naam staan, in samenwerking met Tineke van Hagen. Eerder vertaalde hij "De rechtvaardig van godsmoeder Koonstantin van Konstantine Constantino. De heilige der heiligen van Hain Tsurtaveli in "De heilige van de Geestes Oudheden."

Nu meer dan 1500 jaar is nu een van de oudste bekende vertaling van "Het martelaarschap van de heilige vorstin Shushanik" beschikbaar. Deze roman heeft ook de oorspronkelijke Georgische tekst.

Uitgeverij Utp
ISBN 9789077458287

9 789077 458287

Het martelaarschap van de heilige vorstin Shushanik

ილუსტ.2

ბ-ნ არჩილ ჯავახაძის მიერ ნიდერლანდურ ენაზე თარგმნილი „შუშანიკის წამების „ თარგმანის შესახებ დავუკავშირდი პატივცემულ მთარგმნელს სოციალური ქსელის მეშვეობით და ვთხოვე მოეწოდებინა ინფორმაცია გამომხატურებების თაობაზე, რაზედაც სიამოვნებით დამთანხმდა და მომწერა შემდეგი [6] :

“შუშანიკის წამებასთან” დაკავშირებით ვესაუბრე ენათმეცნიერების დოქტორს, ნიდერლანდისტს ბატონ ბერტ ჰოფმანს (Bert Hofman), თეოლოგიის და ეკონომიკის დოქტორს, ტილბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ბატონ იოჰან გრააფლანდს (Johan Graafland) და ტილბურგის უნივერსიტეტის მკვლევარ-ფსიქოლოგს ქალბატონ თინეკე ჰაგენს (Tineke Hagen).

საინტერესო საუბარი შედგა ბატონ ბერტ ჰოფმანთან. იგი ძალიან გაცოცდა, როცა გაიგო, რომ ‘შუშანიკის წამება’ წარმოადგენს დღემდე შემორჩენილ პირველ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებს. მისი აზრით, ეს ალბათ მე-18 საუკუნეში იქნებოდა დაწერილი, რადგან თავად მაღალი კულტურის მქონე ნიდერლანდებში პირველი ნაწარმოები დაახლოებით მე-12 საუკუნეში შეიქმნა. მისთვის გასაცხადი იყო, რომ ეს ნაწარმოები მე-5 საუკუნეში იქნა დაწერილი, თანაც ისეთი გასაგები ლიტერატურული ენით, რომ დღესაც კი სრულიად გასაგებია ამ ნაწარმოების სულისკვეთება. ნაწარმოების თემა დღესაც აქტუალურია მსოფლიოში.

ბატონმა იოჰან გრააფლანდმა აღნიშნა, თვით ნაწარმოებიდან ჩანს, რომ უკვე მე-5 საუკუნეში სახარება საქართველოში ცნობილი იყო ფართო მასებისთვის და ისინი საუბრებში მის ციტირებასაც კი ახდენდნენ. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ დროისთვის სახარება უკვე კარგა ხანია ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო ნათარგმნი. აგრეთვე ნათელია, რომ საქართველო უკვე კარგად ჩამოყალიბებული სახელმწიფო იყო თავისი სტრუქტურებით. ამ ნაწარმოების მაღალი ლიტერატურული დონიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართულ ენაზე წინაქრისტიანული ლიტერატურაც უნდა ყოფილიყო შექმნილი.

ქალბატონმა თინეკე ჰაგენმა განსაკუთრებით აღნიშნა ნაწარმოებში მოყვანილი ფსიქოლოგიური პორტრეტების მაღალ დონეზე აღწერა. თავად ნაწარმოები ისე თავისუფლად და გასაგებად იკითხება, თითქოს იგი რამდენიმე ათეული წლის წინ ყოფილიყოს შექმნილი.

ბრაზანტის (ნიდერლანდების პროვინცია) ეპისკოპოსმა გერარდ დე კორტემ (Gerard de Korte) აღნიშნა, რომ ამ ნაწარმოების ნიდერლანდური თარგმანი მისთვის დიდ საჩუქარს წარმოადგენს, რადგან აქ აღწერილია ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოს ისტორია და ბრძოლა რწმენის სიწმინდისა და განმტკიცებისთვის.

დასკვნა: ზემოაღნიშნული მოვლენა კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ თარგმანის სოციოლოგია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ემპირიულ მასალებს მთარგმნელობით საქმიანობაში. ამ მასალების აღწერისა და ანალიზის საშუალებით, ჩვენ შესაძლებლობა გვძლევს ავთენტურად წარმოვადგინოთ მთარგმნელობითი საქმიანობის მრავალფეროვანი სქემები, რაც ხელს შეუწყობს კულტურათა ტრანსფერს და ეფექტურ კომუნიკაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ექვსტომეული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. ტ.1 „ძველი ქართული სასულიერო მწერლობა.“
2. ბარამიძე აღ., „ქართული ლიტერატურის ისტორია გერმანულ ენაზე“ „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ IX (ავტორის შრომების კრებული) „მეცნიერება“ თბილისი 1997 .
3. თურნავა, ს. „ფრანგული უნივერსალიები ენციკლოპედიის ფურცლებზე“ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 7 იანვარი, 1972წ. N1 (1794) .
4. 51. Rayfield Donald, THE LITERATURE OF GEORGIA ქართული ლიტერატურის ისტორია A HISTORY Second revised edition. Published in the UK in 2000 by CURZON PRESS England CAUCASUS WORLD.
5. www.netherlands.mfa.gov.ge : Presentation of the Dutch translation of The Martyrdom of the Holy Queen Shushanik.
6. https://www.facebook.com/photo/?fbid=10211823204594368&set=a.10202064742438913&__tn__=%3C

პოლიტიკური ოპოზიცია საქართველოში Political Opposition in Georgia

თეიმურაზ ქარელი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული მკვლევარი
temurkareli1@gmail.com

Teimuraz Kareli - Ilia State University Institute of Political Science,
Doctor of History, Associate Researcher
temurkareli1@gmail.com

Abstract. In the bag round of recent developments in Georgia, the issue of political opposition has become an issue of priority. The study of political opposition and protest movement in political science remains a current problematic situation. The article aims to present the research of methodological issues of the Georgian political opposition, to analyze them, and to describe the research program of the political opposition model. It describes three blocks of the program: 1. Participation in the political opposition; 2. Political "challenges"; 3. "Outrage" of the Georgian society. The paper characterizes the understanding of the mechanism of political opposition, with its latent and manifest opposition. To clarify the nature of the opposition, the paper explains the essence of the fundamental problems of the socio-cultural identity of the Georgian society. It highlights the waves of modernization in Georgia, "culture", the effect of "fatigue", the demonstration of the mechanism of political mobilization, the "demand" of opposition. The author singles out and analyses the "outrage" of the society. The interpretation of the current opposition's demands implies the understanding of the mechanism of political mobilization. Moreover, it considers such problems as the socio-cultural identity of the Georgian society; inequality in the development of the civilization process; detachment from the masses of the ruling "elite"; the social character of the person; type of social structure; prioritization of political issues; the dominance of legitimate demands. Particular attention is paid to the description of the conceptual image of the political opposition. The paper emphasizes that the analysis of relevant issues of the current political situation is associated with great difficulties. In this regard, firstly, it is necessary to create a monitoring base and, most importantly, conceptual processing of the issue, which will lead to a deeper understanding and interpretation of data, expanding the scope of research.

Key concepts: Opposition; Political opposition; Waves of Modernization; "Culture" in Georgia; Public "Outrage"; "Effect of Fatigue"; Political Mobilization; The "Demands" of the Opposition; Social Character of the Person; Type of Social Structure; Conceptual Picture of Political Opposition.

ოპოზიცია დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკური პროცესის ორგანული შემადგენელი ნაწილი, ხელისუფლებაში პოლიტიკური პარტიების როტაციის ბუნებრივი სუბიექტია. დასავლეთში, სახელდობრ, ბრიტანეთში, წამყვანი ოპოზიციური პარტიის ლიდერი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, ოპოზიცია ოფიციალურ დონეზე მოიხსენიება „მისი უდიდებულესობა ოპოზიციად“; ის ქმნის „ჩრდილოვან კაბინეტს“, რომლის „მინისტრებიც“ მათი სფეროების ფარგლებში თვალს ადევნებენ, აკრიტიკებენ ხელისუფლების პოლიტიკას და ელექტორატს ალტერნატიულ კურსს სთავაზობენ. დემოკრატიული სახელმწიფო პოლიტიკის თუ პოლიტიკის მეცნიერების ეს ანბანური ქეშმარიტება თითქოს ჩვენთვისაც მისაღები უნდა იყოს, პოლიტიკური სისტემა ამ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს და მოქმედებდეს, მაგრამ, ფაქტია,

ვესტიმინსტერული სისტემის თუ ზოგადად კონსოლიდირებული დემოკრატიის დამკვიდრება ქვეყანას გადაულახავ დაბრკოლებად ექცა. რატომ ხდება ასე, ნუთუ ძირშივე გამორიცხულია ზემოაღნიშნულს თუნდაც მიახლოებული ქართული ანალოგი?

ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, პოლიტიკური ოპოზიციის თემას პრიორიტეტული ხასიათი მიეცა, დროდადრო ოპოზიციური და საპროტესტო მოძრაობის ტალღა სისტემას „ჩამოშლით“ ემუქრება, კრიზისი, არასტაბილურობა ქვეყანას გამოუვალ მდგომარეობაში ამყოფებს. ამკარა ხდება, რომ პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისი პრობლემატიკის ანალიზი დიდ სირთულეებს უკავშირდება. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ქართულ პოლიტიკის მეცნიერებაში პოლიტიკური ოპოზიციის და საპროტესტო მოძრაობის კვლევა პრობლემურ სიტუაციად რჩება. ცალკეული პუბლიკაციები ქართულ გაზეთებში სამწუხარო რეალობას ვერ ცვლის. ოპოზიციის მოქმედებებს ქართველი ექსპერტების კრიტიკა არ აკლია. ყველას გულწრფელად სურს „ძლიერი და სოლიდური, თავის თავში საფუძვლიანად და ობიექტურად დარწმუნებული, სახელმწიფო ინტერესებზე შეგნებული პასუხისმგებლობით და არა გიმნაზისტური ტრფობა-გატაცებით მზრუნავი ოპოზიციის ხილვა“.⁴⁴ მაგრამ, მათი ეს შეფასებები მხოლოდღა ინტუიტიური ხედვის შედეგია და გაცილებით ღრმა ანალიზს ითხოვს. ამიტომაც, ვფიქრობთ, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია სამონიტორინგო ბაზის შექმნა და, რაც მთავარია, საკითხის კონცეფტუური დამუშავება, რომელიც მონაცემთა უფრო ფართოდ გააზრების და ინტერპრეტაციის, საკვლევი საკითხის წრის გაფართოების საშუალებას მოგვცემს.

სტატია მიზნად ისახავს საქართველოში პოლიტიკური ოპოზიციის კვლევის მეთოდოლოგიური საკითხების წამოწევას, მათ ანალიზს, პოლიტიკური ოპოზიციის მოდელის საკვლევი პროგრამის აღწერას. პროგრამა სამი ბლოკისგან შედგება. ესენია:

1. *მონაწილეობა პოლიტიკურ ოპოზიციისაში.* ვინ უწევს სახელმწიფოს ოპონირებას ქართულ საზოგადოებაში? ვინ არის ოპოზიციისაში: არასტრუქტურირებული მასა თუ საზოგადოების ცალკეული ჯგუფებია? საზოგადოების რომელი ჯგუფებია სახელმწიფოს მიმართ ოპოზიციისაში? როგორ არის ის ორგანიზებული ქართულ საზოგადოებაში: მასობრივი ოპოზიციიდან სისტემური ოპოზიციისკენ თუ პირიქით?

2. *პოლიტიკური „გამოწვევები“:* რას მოითხოვს ოპოზიციისა? რა იწვევს საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში მასობრივ ოპოზიციას? რას მოითხოვს

⁴⁴ იხ. ცინცაძე სოსო. ქართული ოპოზიციის პროფილსა და ანფასში. – „მთელი კვირა“, 2009. 17 აგვისტო, № 219 (609)

შიდასისტემური ოპოზიცია? როგორია ქართული საზოგადოების შიდა და გარე პოლიტიკური ინტერესები. როგორია მასობრივი ოპოზიციის არაპოლიტიკური მოთხოვნები: შეუძლია თუ არა ამ მოთხოვნებს სახელმწიფოს დესტაბილიზაციის გამოწვევა? ვის მიმართაა ეს „გამოწვევა“: ცენტრის, რეგიონის თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ?

3. ქართული საზოგადოების „აღშფოთება“: როგორ მოქმედებს ოპოზიცია? შიდა სისტემური ოპოზიცია: მომართულია პოლიტიკური სისტემის კონსოლიდაციაზე თუ მის გათიშვაზე? სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული საზოგადოების აღშფოთება; არასანქციონირებული მასობრივი პროტესტი; სტაბილური სახელმწიფოს პოტენციური საფრთხეები. პოლიტიკური ძალადობა: სახელმწიფოსთან კონფლიქტის რეალურობა. სახელმწიფოს სტაბილურობის პოტენციური და რეალური საფრთხეების ლოკალიზაცია.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულ საკითხთა ჩამონათვალი შეიძლება შეივსოს. მაგალითად, დამატოს ბლოკი „პოლიტიკური სისტემის ქცევა“, რომელიც მისი ცვლილების საკითხს მოიცავს და ა.შ. თუმცა, ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც საკვლევი მოდელის საფუძვლის შერჩევის პრობლემაა.

ამ მოდელში *პოლიტიკური ოპოზიციის მექანიზმის* გაგება ასეთია: თუ ინდივიდებს მათ მიერ გაზიარებული ფასეულობათა სისტემის საშუალებით არ შეუძლიათ მათივე მოთხოვნების, წუხილების რეალიზაცია და იძულებულნი არიან თავისი ქცევა შეუფარდონ მათთვის *უცხო ოფიციალურ* ანდა *ფაქტობრივად გაბატონებულ* პოლიტიკურ და სამართლებრივ ნორმებს და ინსტიტუტებს, ამ შემთხვევაში წარმოიშვება სახელმწიფოსგან საზოგადოების გაუცხოების პროცესი; ეს თავის მხრივ, იწვევს ქცევის პასიურ ან აგრესიულ ფორმებს. აგრესიული ფორმა ინდივიდუალურ ან კოლექტიურ კონფლიქტურ ქცევაში ვლინდება, მათ შორის პოლიტიკურშიც. ამით „ფასეულობების კონფლიქტი“ ლატენტურიდან მანიფესტირებად კონფლიქტურ მოქმედებად გარდაიქმნება, რასაც ჯერ სოციალური სისტემის, შემდგომ კი პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაცია მოსდევს.

ამრიგად, ოპოზიცია არ გულისხმობს მხოლოდ პოლიტიკურ ორგანიზაციებს ან პარტიებს (ლათინური სიტყვიდან „oppositio“ - დაპირისპირება). ოპოზიცია არის ინდივიდის, ჯგუფის ან ორგანიზაციის ქცევითი წინასწარგანწყობა (ლათენტური ოპოზიცია), რასაც, გარკვეულ პირობებში, შესაძლოა მათი კონკრეტული მოქმედებებიც მოჰყვეს (მანიფესტირებადი ოპოზიცია). ეს უკანასკნელი გამოიხატება: (ა) „კოლექტიური ქცევით“ (მოვლენით, ამბავით), რომელიც (ბ) მიზნად ისახავს არსებული პოლიტიკური სისტემის შეცვლას და (გ) ვლინდება

შიდასისტემური და/ან მასობრივი აქტების ფორმით, მათ შორის პოლიტიკური ძალადობითაც.

მოდერნიზაციის ტალღები საქართველოში. ქვეყანაში უწინდელი თუ ახლანდელი ოპოზიციის ხასიათის გასარკვევად აუცილებელია ქართული საზოგადოების სოციოკულტურული იდენტობის ფუნდამენტური პრობლემის არსის გარკვევა. მოდერნიზაცია არის ტრადიციულიდან ისეთ თანამედროვე საზოგადოებაზე გადასვლის პროცესი, რომელიც დამყარებულია რაციონალიზმის, ინდუსტრიული ეკონომიკის საკუთარი გამოცდილების, კერძო საკუთრების, ტერიტორიის, როგორც ეკონომიკური განვითარების საფუძვლის და ა.შ. ფასეულობებზე. თუ ამ განსაზღვრებას დავეთანხმებით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ მოდერნიზაციის რამოდენიმე ტალღა გადაიტანა: რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, 1918-1921 წლებში, საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში, განსაკუთრებით ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდში; ბოლოს, 1990 წლიდან დღემდე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ წლებში.

XX საუკუნემდე საქართველოში ბატონობდა ტრადიციული საზოგადოება, რომელშიც ადამიანთა უმეტესობა მცირე, გაფანტულ ერთობებად, თემებში ცხოვრობდა; მას არსებობის მწირი საშუალებები და ასეთივე მცირე ნამეტი პროდუქტი ჰქონდა, არ იცოდა „წერა-კითხვა“ და ანგარიში. სიტუაცია ნაკლებად შეცვალა რუსეთის იმპერიაში ცნობილმა სხვადასხვა რეფორმებმა, „მოდერნიზაციის ტალღებმა“, რომლებიც ბუნებრივია საქართველოსაც შეეხო.

განსაკუთრებით საყურადღებოა გასული საუკუნის მიწურულს, 80-იან წლებში წამოსული ტალღა, რასაც თან მოჰყვა იმპერიის კოლაფსი და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმოშობა. ამ პერიოდში ნათელი გახდა, რომ პიროვნების ფასეულობითი ორიენტაცია, საკუთარი ორიენტაციების სელექციურად მოწესრიგების საკუთარი უნარი წარმოიშვება არა იმდენად ეკონომიკასთან ურთიერთქმედებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, კულტურის სისტემასთან ინტერაქციით, რასაც ინდივიდი თავისი არსებობის, სიცოცხლის პირველივე ნაბიჯებიდან ითვისებს სოციალიზაციისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებით, ეკონომიკური და პოლიტიკური ანომალიების დაბრკოლებათა გადალახვით.

მოდერნიზაციის პროცესის შედეგად საქართველოში თანამედროვე საზოგადოების დამკვიდრება ისტორიულად სამ ტიპს (ფაზას) გაივლის. ესენია: 1. *ადრეული მოდერნიზაცია* (იდეოლოგიური ფაზა), რომელიც გულისხმობს საზოგადოების მიერ განვითარების ერთიანი სტრატეგიის არჩევანს; 2. *მოწინაველი მოდერნიზაცია* (პოლიტიკური ფაზა) - თანამედროვე სახელმწიფოს, როგორც განვითარების სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმის შექმნა; 3. *გვიანი მოდერნიზაცია* (ეკონომიკური ფაზა), რაც

გულისხმობს განვითარების სტრატეგიის მატერიალურ რეალიზაციას. თუ პრობლემას ამ კუთხით შევხედავთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამჟამად საქართველო პირველიდან მეორე ფაზაზე გადასასვლელზეა და ეს უკანასკნელი კი ორიენტირებულია თანამედროვე სახელმწიფოს შექმნაზე.

„კულტურა“ საქართველოში. სხვადასხვა მაჩვენებლებით საქართველოს დღემდე არ გააჩნია ის საერთო კულტურა ანუ „სიმბოლოების“ და „ქცევის წესების“ ისეთი მთლიანი სისტემა, რომელსაც საზოგადოების ყველა ჯგუფი გაითავისებდა და უზრუნველყოფდა ინდივიდთა ნორმალური ცხოვრების აუცილებელ საერთო „წესრიგს“. ეს აიხსნება იმით, რომ თანამედროვე საზოგადოება ტრადიციულს მხოლოდ მაშინ გადასწონის, როდესაც საზოგადოების თავდაპირველი სტრუქტურირება მეორეული სტრუქტურირებით შეიცვლება; ამ პროცესში ტრადიციული ჯგუფების წარმომადგენლები (ეთნოგენური ჯგუფები, სხვადასხვაგვარი მოდიფიკაციის თემები) ერთი და იმავე სტატუსური ჯგუფის მონაწილეები გახდებიან, რაც შეარბილებს ტრადიციულ-ჯგუფურ განსხვავებებს და შექმნის მათთვის ერთიანი საზოგადოების წარმოქმნის პირობებს.

ს. ბრემერის მართებული მოსაზრებით საზოგადოების ჯგუფური სტრუქტურირება, ე.წ. სარესურსო-მობილიზაციური თვალთახედვით, ოპოზიციური კოლექტიური ქცევის ინტერპრეტაციის მნიშვნელოვანი მხარეა.⁴⁵ ამ მოდელით ნებისმიერ საზოგადოების რესურსი ყოველთვის გარკვეულწილად შეზღუდულია; ამდენად მასში გარდაუვალია მნიშვნელოვანი კონკურენციის აღმოცენება, მათ შორის ძალაუფლების რესურსების განაწილების სფეროშიც. აქედანაა სწორედ პოლიტიკური ოპოზიციის წარმოშობის ფესვებიც. ამ თვალსაზრისით კონკურენციის მექანიზმი უკავშირდება „კოლექტიურ ქცევას“ (რაიმე ხდომილებას, ამბავს, მოვლენას), რომლის თავდაპირველი სუბიექტია ჯგუფი, როგორც საზოგადოების სტრუქტურის ერთეული. „კოლექტიური ქცევის“ გასაგებად მთვარი ფაქტორია ინდივიდის ჯგუფთან ურთიერთობის ხასიათი, თუმცა სხვა ფაქტორებთან ერთად, პოლიტიკური ოპოზიციის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესურსების (ჯგუფური ლოიალურობის, საფინანსო სახსრების და ა.შ.) მიდაჯგუფური მობილიზაციის უნარიც, რაც აუცილებლად ზღუდავს კოლექტიური ოპოზიციური მოქმედების განხორციელების მექანიზმებსაც.

1921 წელს დიდი ხნით შეწყდა საქართველოს საზოგადოების თანამედროვე სტრუქტურიზაციის ბუნებრივი პროცესი. 1980-იანი წლების ბოლოს კი ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდში ხალხში ფესვგადგმულმა

⁴⁵ Bremer S.A. (ed.) (1987). The Global Model Computer Simulation of Worldwide Political and Economic Developments. Boulder (Colr).

ფასეულობებმა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძალდატანებით „დამარხულმა“ ტრადიციებმა თავი იჩინა და რეპრესიების მოხსნის პირობებში თვითგანახლების პროცესები სწრაფად განვითარდა, ეთნოპოლიტიკური მოქმედებების აქტივიზაციამ მმართველ ელიტაში განხეთქილება და საბოლოოდ სსრკ-ს დაშლა გამოიწვია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ოპოზიციის პრობლემის მეორე მხარეც, რომელმაც მოდერნიზაციის მიმდინარეობის პროცესში გამოვლინდა. ეს არის პოლიტიკურ პროცესში საზოგადოების ჯგუფების მონაწილეობის გააქტიურება, რაც საზოგადოების ორგანიზებულობის გარკვეულ დონეს გულისხმობს. საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზებულობის, ე.ი. მის მიერ შექმნილი ორგანიზაციებით (პარტიებით, გაერთიანებებით და ა.შ.) სახელმწიფოს კონტროლის უნარის მაჩვენებელია „პოლიტიკური კონკურენციის“ ინდექსი.⁴⁶ ეს მაჩვენებელი ტოტალიტარულ და ავტორიტარულ პოლიტიკურ რეჟიმებში ხასიათდება „კონკურენციის ჩახშობით ან არარსებობით“. საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით სტალინის დროს, სახელმწიფო პოლიტიკა საზოგადოებასთან მიმართებით უმთავრესად ელიტურ მხარდაჭერას - „ნომენკლატურულ“ კონსოლიდაციას - ემყარებოდა; ამით სახელმწიფო იძულების და რეპრესიების ისეთი მასშტაბით განხორციელების შესაძლებლობას იძენდა, რომელიც გამორიცხავდა ყოველგვარი პოლიტიკური ოპოზიციის არსებობას, ოპოზიცია სისტემის პათოლოგიად ცხადდებოდა და არა პოლიტიკური ცხოვრების ნორმად. და მაინც, ორგანიზების ის მინიმალური დონე, რაც მასობრივი მოქმედების განსახორციელებლად არის საჭირო, მანიფესტირებადი ოპოზიციის წარმოშობის პირობაა. გამოკვეთილი სტრუქტურირებული ინტერესების ინსტიტუციონალიზირებული ოპოზიციური ორგანიზაციების (პარტიების, მოძრაობების და ა.შ.) არსებობა ან არარსებობა, რომლებსაც უნარი ექნებათ თავის გარშემო დააჯგუფონ არსებული მდგომარეობით უკმაყოფილონი და პოლიტიკურ ნაკადში მოაქციონ ჯგუფების „კოლექტიური ქცევები“ - არის *სწორედ პოლიტიკური მობილიზაციის მექანიზმი*. პოლიტიკური მობილიზაცია არის ლატენტური ოპოზიციის მანიფესტირებად ოპოზიციად გარდაქმნის მექანიზმი. მობილიზაცია არის ორგანიზაციის ან ლიდერების ჯგუფის მიმართ საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფის ლოიალურობის უზრუნველყოფით „კოლექტიური ქცევისთვის“ მზაობის გაზრდის პროცესი.⁴⁷ მობილიზაციით ხდება ძველი სოციალური, ეკონომიკური და

⁴⁶ Gur T.R. (1978) Comparative Studies of Political Conflict and Change: Cross National Datasets. Ann Arbor (Mich).

⁴⁷ Camsson W.A. (1974). The Strategy of Social Protest. Homewood (III).

ფსიქოლოგიური ვითარებების ძირითადი მასივის მოშლა და სოციალიზაციის და ქცევის ახალი მაგალითების მიმართ ინდივიდების აღქმის უზრუნველყოფა. მობილიზაციის პროცესი მოიცავს როგორც (1) ოპოზიციის პოტენციალის შექმნას, ასევე (2) ოპოზიციის პოტენციალის გააქტიურებას. პირველი გულისხმობს „კოლექტიური ქცევის“ მიმართ ჯგუფის მზაობის გაჩენას, მეორე კი - კონკრეტულ აქციებში იმ პირთა მიზიდვას, რომლებსაც უკვე გააჩნიათ ჯგუფის მიმართ გარკვეული მოვალეობები, რაც ჯგუფის ორგანიზაციის აუცილებელ დონეს ითვალისწინებს.

„დადლილობის ეფექტი“. მობილიზაციის საპირისპირო მხარეა ე.წ. „დადლილობის ეფექტი“, რომელიც გვიხსნის დროთა განმავლობაში როგორც რაციონალური, ასევე ირაციონალური სახის მოტივების ზემოქმედების შედეგად მანიფესტირებადი ოპოზიციის დონის შემცირების ფენომენს. ხანგრძლივი ემპირიული დაკვირვებები და სოციოლოგიური კვლევებიც ნათლად აჩვენებს, რომ, თავისი მაქსიმალური მნიშვნელობის, პიკის მიღწევის შემდეგ ოპოზიციის ინტენსივობას დროთა განმავლობაში ავტომატურად დაღმასვლის ტენდენცია აქვს. მაგალითად, ითვლება, რომ კონფლიქტის 10 წლით გაჭიანურების დროს მისი მოგვარების ალბათობამ შესაძლოა მხოლოდ „დადლილობის ეფექტის“ ხარჯზე მიაღწიოს პროპორციას 9:10, მაგრამ ეს პროპორცია მხარეთა ძალისმიერი ურთიერთქმედების პირობებში მკვეთრად ეცემა 1:10, რაც მათ მობილიზაციას გულისხმობს.⁴⁸

პოლიტიკური მობილიზაციის მექანიზმის დეფორმაცია. ქართულ საზოგადოებაში, ტრადიციონალიზმის შენარჩუნების პირობებში, იმის გამო, რომ პოლიტიკური ორგანიზების ფუნქციებს უფრო ხშირად მმართველი ელიტები ასრულებენ, მიმდინარეობს პოლიტიკური მობილიზაციის მექანიზმის დეფორმაცია. საქართველოში მიმდინარე მოდერნიზაციის პროცესს ელიტები მატერიალური და სტატუსური რესურსების გადასანაწილებლად თავის სასარგებლოდ იყენებენ. საზოგადოებრივ ინსტიტუტებს ფაქტობრივად ჩაენაცვლება სახელმწიფო ინსტიტუტები, რასაც არ შეიძლება არ მოჰყვეს სოციალური პროცესების ხელოვნური პოლიტიზაცია. ამის შედეგად იზრდება ძალდატანებით პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის ალბათობაც, ვინაიდან პოლიტიკური მობილიზაციის მექანიზმის ხელოვნური გააქტიურება, რაღაც დარენდორფის თქმით, არღვევს მოდერნიზაციის მიმდინარეობის პროცესში ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ბალანსს „ხელისუფლებაში ჩართულ ან ხელისუფლებიდან ამორთულ“ ჯგუფებს და ორგანიზაციებს შორის. ამ

⁴⁸ Mason T.D., Felt P.J. (1996 (4)).How Civil Wars End: A Rational Choice Approach // The Journal of Conflict Rezolution, vol 40.

კონტექსტით, პოლიტიკური ოპოზიცია არის „ხელისუფლებიდან ამორთული“ ჯგუფი (ორგანიზაცია). ამასთან, ამ ჯგუფის თვითორგანიზების უნარი, რაც შესაძლებელია მხოლოდ გაერთიანების თავისუფლების არსებობის შემთხვევაში, „ნორმალური“ პოლიტიკური პროცესის სტანდარტია. საპირისპირო შემთხვევაში, მაგალითად, ტოტალიტარულ საზოგადოებაში, არსებული ხელისუფლებითი ურთიერთობებით უკმაყოფილება ლატენტური რჩება, ამ პირობებში პოლიტიკური სისტემის შესაძლო შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოვლენა თუ ამბავი, განუჭვრეტელ, არაკონტროლირებად და უფრო ხშირად ძალდატანებით ხასიათს იძენს.

ქართული საზოგადოების სტრუქტურულიზაციის და ორგანიზებულობის ნორმალური პროცესის დაუსრულებლობას მოწმობს პარლამენტში პარტიული სიით კენჭისყრის შედეგები. ჩვენში „მემარჯვენეობას“ და „მემარცხენეობაზე“ მსჯელობა ძალზე პირობითია და საერთოდ მათ შორის რაიმე პროპორციაზე საუბარიც მწელია. თუმცა, სოციალური ფონი საშუალებას იძლევა ითქვას მემარცხენეების სასარგებლოდ არსებულ პროპორციაზე. მემარცხენეთა მიზანდასახულობა კი „სოციალური სამართლიანობის“ მიღწევაა. საყურადღებოა, რომ განვითარებად ქვეყნებში ეს ბალანსი საშუალოდ გამოიხატება პროპორციით 45:55, თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებაში კი - 51:49, რასაც საზოგადოების და სახელმწიფოს დონეზე მოსდევს ქმედუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტის თანხვედრი ინტერესების თვითგანახლება, რომლებიც გამიზნულია თავისი საბაზრო მოთხოვნილებების დამოუკიდებლად დაკმაყოფილებაზე, ხოლო საბოლოო ჯამში საზოგადოების და სახელმწიფოს მიერ განვითარების სტრატეგიის აღქმაზე.

საზოგადოების განვითარებულობის დონეს მოწმობს ლიბერალიზმის, რადიკალიზმის და კონსერვატიზმის იდეოლოგიების ელემენტების თანაფარდობა, რომლებიც განვითარებულ საზოგადოებაში გამოიხატება პროპორციით 40:10:50, განვითარებად საზოგადოებაში 25:45:30. საქართველოში ამ მიმართებით მდგომარეობა გასარკვევია. ვფიქრობთ, ლიბერალური განზომილებით საქართველო განვითარებადი საზოგადოების დონეზეა, რადიკალური განზომილებით - ხასიათდება არსებულ წესრიგთან თავისი მოსახლეობის უმეტესობის ანტაგონისტური უთანხმოებით, კონსერვატიული თვალსაზრისით - უადრესად სუსტი მემკვიდრეობით განვითარების პროცესში. დღევანდელი ქართული საზოგადოების ჯგუფური სტრუქტურულიზაციის დაუსრულებლობა და „არანორმალურობაც“ კი თავს იჩენს მის დაბალ შეკავშირებულობაში - საქართველოში „კონსენსუსური“ კულტურის მხარდამჭერები „პოლარიზებული“ პოლიტიკური კულტურის მომხრეებს მნიშვნელოვნად აჭარბებს. ეს იმას ნიშნავს, რომ რადიკალურ

პარტიებს უფრო მეტი ამომრჩეველი ჰყავთ. საყურადღებოა, რომ განვითარებად ქვეყნებში „პოლარიზებული“ და „კონსენსუსური“ პირების მიმართება შეადგენს 45:25, თანამედროვე საზოგადოებებში ეს მაჩვენებლები გამოიხატება პროპორციით 10:55.

ოპოზიციის „მოთხოვნები“. ოპოზიციის „კოლექტიური ქვეყის“ უმნიშვნელოვანესი ელემენტია მის მიერ გაცხადებული „მოთხოვნები“. არსებითად, პოლიტიკური პროცესების შინაარსი გამოიხატება იმით, რომ ოპოზიციური ჯგუფები და/ან ორგანიზაციები, მათი ლიდერების მიერ ფორმულირებულ ან მათ მიერ მიღებულ დოკუმენტებში ასახულ მოთხოვნებში აცხადებენ თავის მიზანდასახულობებს, ამოცანებს და ა.შ., რაც შემდგომ უკვე მოქმედებებით რეალიზდება. თუ „პოლიტიკა“ არის „წესრიგისა და სამართლიანობის“ მიღწევასთან დაკავშირებული მოქმედება, მაშინ, გასაგებია, რომ ოპოზიციის „პოლიტიკური“ მოთხოვნების ობიექტი „სახელმწიფოა“, რომელსაც ებრძვის ხელისუფლებისთვის, ე.ი. კონკურენციაში ერთვება „წესრიგის და სამართლიანობის“ უზრუნველყოფის ფუნქციების შესასრულებლად. ამიტომ ქვეყანაში ამჟამინდელი ოპოზიციის მოთხოვნების ინტერპრეტაცია გულისხმობს პოლიტიკური მობილიზაციის მექანიზმის გაგებას ისეთი პრობლემების გათვალისწინებით, როგორცაა: ქართული საზოგადოების სოციოკულტურული იდენტობა; ცივილიზაციური პროცესის განვითარების უთანაბრობა; მმართველი „ელიტის“ მასებისგან მოწყვეტა; პიროვნების სოციალური ხასიათის ტიპი; სოციალური სტრუქტურის ტიპი; პოლიტიკური პრობლემატიკის პრიორიტეტულობა; ლეგიტიმური მოთხოვნების დომინირება.

ცივილიზაციური განვითარების უთანაბრობის პროცესი, სოციოკულტურულ იდენტობასთან ერთად ის მახასიათებლებია, რომლებიც ქართული მენტალიტეტის „სპეციფიკას“ ხსნის. ადამიანთა ერთობები, როგორც ერთიანი კაცობრიობის ნაწილები, მართალია ობიექტურ დროში კი თანაარსებობენ, განიცდიან ერთი და იგივე გარე ზემოქმედებას, მაგრამ მათ მაინც თავისი „ისტორიული“ დრო აქვთ, ამდენად ისინი ერთმანეთის მიმართ განსხვავებულ, ზოგჯერ კი - კონფლიქტურ მდგომარეობაში ექცევიან. თუ სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებს მოდერნიზაციის პროცესის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაზებად პერიოდიზაციასთან შევაჯერებთ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობა უფრო განვითარების ტრადიციულ დონეზე რჩება; ქალაქის ჯგუფები საქართველოში, მართალია აქტივობის სხვადასხვა ხარისხით, უკვე მონაწილეობენ მოდერნიზაციის პროცესში; არაქართული ეთნოჯგუფები, მათ შორის ქალაქისა, საუკეთესო შემთხვევაში, მოდერნიზაციის იდეოლოგიურ ეტაპებზე - განვითარების სტრატეგიის არჩევანის სტადიაზე - იმყოფებიან; რაც შეეხება ქალაქის ქართულ ეთნოსს,

ის იმყოფება მოდერნიზაციის პოლიტიკური ფაზის დასაწყისში - თანამედროვე სახელმწიფოს, როგორც განვითარების ინსტრუმენტის შექმნის სტადიაზე; ქართული საზოგადოების ყველა ჯგუფი შორსაა მოდერნიზაციის ეკონომიკური ფაზისგან.

რაკიდა თითოეული ჯგუფი თავის ქმედებას ფასეულობათა საკუთარ სისტემაზე დამყარებით და ზოგჯერ ფორმალურად დადგენილი წესრიგის საწინააღმდეგოდ ახორციელებს, ქვეყანაში წარმოიშვება „ფასეულობების კონფლიქტის“ სისტემა, რომლებიც სოციალურ, მის კვალად კი - პოლიტიკურ არასტაბილურობას ინიცირებენ. მაგალითად, განსხვავება მთისა და ბარის მოსახლეობის სოციოკულტურული განვითარების დონეებს შორის უზარმაზარია და დროის ინტერვალში გადაყვანით ასწლეულობით იზომება, რაც ადასტურებს „ფასეულობათა კონფლიქტის“ არსებობას მოსახლეობის ჯგუფებს შორის. „ფასეულობათა კონფლიქტის“ კიდევ ერთი წყაროა მმართველი ელიტისგან ქვეყნის მოსახლეობის სოციო-კულტურული გაუცხოება. ეს ამცირებს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის თანხმობის მიღწევის შესაძლებლობას, ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური განვითარების მდგრადობას. ერთი მხრივ, თითქოსდა ელიტის სოციო-კულტურული დაწინაურება მას აძლევს საშუალებას ეფექტიანად გაუძღვეს საზოგადოების განვითარების პროცესს. მეორე მხრივ კი განვითარების მხარდაჭერით ასეთი „ბელადები“ შორდებიან ხალხს და თავის სტატუსს, ზოგჯერ თავის სიცოცხლესაც კი საფრთხეს უქმნიან, რადგან მეტოქეები, რომელთათვისაც საკუთარი კარიერის ინტერესები საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებებზე უფრო მნიშვნელოვანია, ტრადიციულ მასასთან ყოველთვის უფრო ახლოს არიან და, ამდენად, პოლიტიკურად უფრო მომგებიან პოზიციებზე იმყოფებიან. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ელიტა ხშირად პოლიტიკური (მათ შორის ეთნოპოლიტიკური) კონფლიქტების ინიცირების წყაროა, რადგან ტრადიციული საზოგადოების პოლიტიკური ინდიფერენტულობის და მის მიერ გაცხადებული „დამოუკიდებლობის“ და „სუვერენიტეტის“ მოთხოვნების ირგვლივ ელიტა „კოსოლიდაციის“ პრაქტიკულად ერთადერთი საშუალებაა. ამისთვის ელიტა ზოგჯერ ოპოზიციის რიგებში კრიმინალური დაჯგუფებების ჩართვაზეც უარს არ ამბობს, ეს უკანასკნელი კი ქვეყნის მოსახლეობის მარგინალიზაციის შედეგად საკმაოდ გაზრდილია.

პიროვნების სოციალური ხასიათის ტიპი. საქართველოში ცივილიზაციის დამკვიდრების პროცესები სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობს. შესაბამისად, სოციალური ხასიათის აზროვნების ტიპი, ამერიკელი სოციოფსიქოლოგის დ. რისმანის ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებთ, წარმოდგენილია: „ტრადიციულად ორიენტირებული“ პიროვნებით („ინდიფერენტებით“), რომელიც დასავლეთ ევროპაში XVI

საუკუნეში ბატონობდა; „შინაგანად ორიენტირებული“ პიროვნებით („მორალისტები“), რომლებიც იქ XVII საუკუნეში დამკვიდრდნენ; „გარეორიენტირებული“ პიროვნებით, რომელიც აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ომისშემდგომ პერიოდში წარმოიშვა.⁴⁹ ტრადიციული ტიპის ადამიანები სოციალური ხასიათით პოლიტიკურად ინდიფერენტულნი არიან, თავისი საბაზრო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიმართ აქვთ მინიმალური მოლოდინები, გამოირჩევიან ეთნორელიგიური „სიმბოლოების“ თავყვანისცემით და „ბელადის“ ავტორიტეტისადმი დაქვემდებარებით. ამიტომ, ტრადიციულად ორიენტირებული მოსახლეობის ოპოზიციის მობილიზაციური პოტენციალის წყაროა არა იმდენად სოციალურ-ეკონომიკური „შეჭირვება“, რასაც კონფლიქტური ქცევის ასახსნელად მოდერნიზებულ საზოგადოებაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც არსებული ხელისუფლებისგან ადამიანთა გაუცხოება.

ამ კონტექსტით გაბრიელ ალმონდის მიერ დამუშავებული „პოლიტიკური კულტურის“ ტიპოლოგია,⁵⁰ რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს „მინმჯდომთ“, პოლიტიკური პროცესების პასიურ „სუბიექტებს“ და მის აქტიურ „მონაწილეებს“, საშუალებას იძლევა დავადგინოთ საქართველოში სოციალური ხასიათის სხვადასხვა ტიპის პიროვნებების მიახლოებითი თანაფარდობა პოლიტიკური პრობლემატისადმი მათი მიმართების გათვალისწინებით. ქართულ საზოგადოებაში სახეზეა „ინდიფერენტების“ და „შინაგანად (ინტრა)ორიენტირებული მორალისტების“ მეტისმეტი გავრცელება, რაც ამჟამად ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტია და სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, ეს კი 1970-იანი წლების ავტორიტარულ პორტუგალიაში არსებული სიტუაციის ანალოგიურია. იმ პერიოდში პორტუგალიის პოლიტიკურად აქტიური (არათანამედროვე) მოსახლეობის ხვედრითი წილი შეადგენდა მხოლოდ 10%, პასიური (თანამედროვე) მოსახლეობისა - დაახლოებით 60% და ინდიფერენტული (ტრადიციული) მოსახლეობისა - დაახლოებით 30%.

სოციალური სტრუქტურის ტიპი. ტრადიციული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სოციალური სტრუქტურის ტიპია იერარქიულად აგებული სოციალური ურთიერთობების სისტემა, ე.ი. გამარტივებული ვერტიკალური სტრუქტურა, სადაც ზემოთ მცირერიცხოვანი მმართველი კლასია, ქვემოთ კი - პოლიტიკურად ინდიფერენტული არაორგანიზებული

⁴⁹ Riesman D. With Glazer N., Denney R. (1961). The Lonely Crowd. A Study of the Changing American Character. New Haven.

⁵⁰ Almond G. (ed), (1974). Comparative politic Today: A World View. Boston, P. 50.

და ეთნოკულტურულად წინააღმდეგობრივი მასა. ტრადიციული საზოგადოებისგან განსხვავებით თანამედროვე საზოგადოება, ერთი მხრივ, ანგრევს სოციალური ურთიერთობების იერარქიას, მეორე მხრივ კი, გადადის ჰორიზონტალურ ურთიერთობებზე, რომლის ფარგლებშიც მას თავდაპირველად მხოლოდ ე.წ. ურთიერთობების რეალისტური ტიპი აითვისებს, იმისათვის, რომ სამომავლოდ სოციალური ურთიერთობების პლურალისტური სტრუქტურა შექმნას.

ურთიერთობების რეალისტური ტიპი განვითარების პროცესში გიგანტური ნაბიჯია, განსაკუთრებით ქართულ საზოგადოებაში სტრუქტურისა და დაუსრულებლობის და არასაკმაო პოლიტიკური ორგანიზებულობის პირობებში, წარმოშობს სოციალური სისტემის სტრუქტურის, ყველა დონის „ატომიზაციის“ მოვლენას. აქედანაა - ქართულ საზოგადოებაში დღეს გაბატონებული ეგოცენტრულობა, რომელიც გამოიხატება სოციალურ სფეროში მოქალაქეთა „ინდივიდუალიზაციით“, ეკონომიკურ სფეროში - მათი „მერკანტილურობით“, პოლიტიკურ სფეროში კი - ცალკეული ეთნოგენური ჯგუფების ბაზაზე სახელმწიფოს „ნაციონალიზაციით“. ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ საქართველოში ოპოზიციისთვის დამახასიათებელია: (1) პოლიტიკური პრობლემატიკის პრიორიტეტულობა, მათ შორის ეკონომიკური პრობლემების მიმართ. (2) ლეგიტიმური მოთხოვნების დომინირება პოლიტიკური საკითხების ფარგლებში.

საზოგადოების „აღშფოთება“. საზოგადოების „აღშფოთების“ ინტერპრეტაციისას პრობლემების სამი კომპლექსი გამოიყოფა: კოლექტიური ქცევის საბაზისო მოდელები; ოპოზიციის „მოთხოვნების“ და მისი ფიზიკური ქცევის ურთიერთკავშირი და ოპოზიციის „აღშფოთების“ პოლიტიკური კონტექსტი. ურთიერთობების რეალისტური ტიპისთვის დამახასიათებელია სოციალური ქცევის სტატუსური მოდელი, რომელიც ორიენტირებულია სოციალური სისტემის მონაწილეების ძალთა ბალანსზე, თავის ველში მოაქცევს ძალადობას მხოლოდ კონფლიქტის გადაჭრის *Ultima ratio* (ბოლო საშუალების) სახით და ამიტომ მათი რეგულირების სტრატეგიაზე გადის ამა თუ იმ მორალური, სამართლებრივი ან პოლიტიკური „ქცევის წესებით“.

ე.წ. პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული კონფლიქტების უმეტესობის ანალიზით დასტურდება აქ შემორჩენილი ტრადიციონალიზმის დიდი მასშტაბები, რადგან ეს კონფლიქტები ტრადიციული საზოგადოებისთვის მახასიათებელი ქცევის ჰეგემონური მოდელის განხორციელებაა. სახელდობრ, ეს მოდელია: ირაციონალურობასა და ელიტის პირად ინტერესებზე ორიენტაცია; რეჟიმულ კონფლიქტებთან შეთავსება და ეროვნულ-განმათავისუფლებელ კონფლიქტებზე სწრაფი გადასვლის

ტენდენცია; კონფლიქტის მხარეების მიერ „ნულჯამოვანი თამაშის“ სტრატეგიის ავტომატური არჩევა, რომელშიც ერთი მხარის მოგება მეტწილად მეორე მხარის წაგების ტოლფასია. ამასთან დაკავშირებით ჰეგემონური მოდელი ლეგიტიმური მოთხოვნებით ეთნიკური ჯგუფის ქცევის ინტერპრეტაციის საბაზო მოდელია, მაშინ როდესაც, სტატუსური მოდელი შეიძლება რეჟიმული მოთხოვნების მქონე სტატუსური ჯგუფების ქცევის ინტერპრეტაციის საფუძველი იყოს.

პოლიტიკური ოპოზიცია: კონცეფტური სურათი. „ჰიბრიდულ“ პოლიტიკურ რეჟიმებში პოლიტიკური ოპოზიციის საკვლევად⁵¹ საჭიროა არა იმდენად ახალი ტიპოლოგიის, რამდენადაც ერთგვარი კონცეფტური სურათის შექმნა, რომელიც სხვადასხვა სახეობის პოლიტიკური ოპოზიციის გამოვლენასთან ერთად, პოსტრანსფორმაციულ პერიოდში მათ დინამიკაზე დაკვირვების შესაძლებლობასაც შექმნიდა.

ამ სურათის „კოორდინატების ბადედ“ მიზანშეწონილია შეირჩეს, რ. დალის და გ. სმიტის მიხედვით,⁵² ორი ძირითადი პრობლემური განზომილება - *ოპოზიციათა მიზნები და საშუალებები*. ოპოზიციების მიზნები შეიძლება გამოისახოს კონტინუუმის სახით. მოცემული კონტინუუმის ერთ ბოლოზე განლაგდებიან ის პოლიტიკოსები, ჯგუფები და პარტიები, რომლებიც არ არიან წარმოდგენილნი მთავრობაში, მაგრამ მზად არიან შემთხვევითანავე შევიდნენ მის შემადგენლობაში არა მხოლოდ რეჟიმის, არამედ - ზოგჯერ - მისი პოლიტიკური კურსის არსებითი ცვლილებების გარეშე. ხ. ლინცის⁵³ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, აღვნიშნოთ ისინი „ნახევრადოპოზიციად“⁵⁴. მაშინ სკალის მოპირდაპირე ბოლოში აღმოჩნდება „პრინციპული“ ოპოზიცია⁵⁵, ე.ი. პოლიტიკური ძალები, რომლებსაც თუ ხელისუფლებას მთლიანად დაეუფლებიან თავისი მიზნების მიღწევის უნარი აქვთ (და, როგორც წესი, თუმცა არცთუ

⁵¹ Diamond L. (2002). Thinking about Hybrid Regimes. — *Journal of Democracy*, vol. 13, 1 2.; Levitsky S., Way L. 2002. The Rise of Competitive Authoritarianism. — *Journal of Democracy*, vol. 13, 1 2.

⁵² Dahl R. (1966b). Patterns of Opposition. — Dahl R. (ed.) *Political Oppositions in Western Democracies*. New Haven, L. 341-347; Smith G. (1987). Party and Protest: The Two Faces of Opposition in Western Europe. 59-63.

⁵³ Linz J. (1973). Opposition to and under an Authoritarian Regime: The Case of Spain. — Dahl R. (ed.) *Regimes and Oppositions*. New Haven, .:191

⁵⁴ ამგვარი ძალების განსაზღვრებისთვის სხვა ტერმინებსაც იყენებენ. მაგალითად, ფ. ბარგჰორნი უწოდებს მათ „ფრაქციულ“

ოპოზიციას (იხ.:Barghoorn F. 1973. Factional, Sectoral, and Subversive Opposition in Soviet Politics. — Dahl R. (ed.) *Regimes and Oppositions*. New Haven, L.], ლინცი კი მათ „კვაზიოპოზიციად“ მოიხსენიებს [Linz 1973: 191]

⁵⁵ Kirhheimer, 1957.

ყოველთვის, თავად რეჟიმს რადიკალურად გარდაქმნიან). ცხადია, რომ ამგვარი კონტინუუმი შესაძლოა ოპოზიციის ყველა ტიპს მოიცავდეს - როგორც „არასტრუქტურულს“, რომელიც პოლიტიკური კურსის ცალკეული ასპექტების ცვლილებაზე ორიენტირებული⁵⁶, ასევე „სტრუქტურულსაც“, რომელიც იბრძვის პოლიტიკური რეჟიმის შესაცვლელად (მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის და სსრკ 1989-1991 წლების კომუნისტური რეჟიმების პერიოდის დემოკრატიული მოძრაობები).

გაცილებით რთულია პოლიტიკური ოპოზიციების საშუალებების კლასიფიკაცია. ამ მიმართებით ყველაზე ადექვატური მგონია ლინცის მიერ შემოთავაზებული ოპოზიციის დაყოფა ლოიალურ, ნახევრადლოიალურ და არალოიალურ ოპოზიციად. ლინცის თანახმად, ლოიალურ ოპოზიციას მიეკუთვნებიან ძალები, რომლებიც ლეგალური პოლიტიკური ბრძოლის გარეთ არ გადიან და უარყოფენ ძალადობას, არალოიალურს - ისინი, რომლებიც ფსონს დებენ ძალადობრივ ან არაკანონიერ მეთოდებზე ან მისი გამოყენებით იმუქრებიან.⁵⁷ ამ ტიპოლოგიის ამბივალენტურობის მიუხედავად (რასაც თავად ავტორიც აღიარებს),⁵⁸ ეს, თუნდაც გარკვეული დათქმით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა რეჟიმების პირობებში მოქმედი პოლიტიკური ოპოზიციების ორგანიზაციული სტრუქტურის სურათის აგებისას.

ახლა განვიხილოთ ის ფაქტორები, რომლებიც პოლიტიკური ოპოზიციების მახასიათებლებს და მათი ტრანსფორმაციის ტრაექტორიებს განსაზღვრავენ. აქ საკვანძო როლს ასრულებენ პოლიტიკური რეჟიმების თავისებურებები - მათი შეჯიბრებითობის ხარისხი და გაბატონებული პოლიტიკური ინსტიტუტების სპეციფიკა. მაგრამ, ეს კატეგორიები საჭიროებენ ოპერაციონალიზაციას. პოლიტიკური რეჟიმების შეჯიბრებითობა მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკური ელიტის სტრუქტურას, მოცემული კონტექსტით - აქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკურად ნიშნადი გადაწყვეტილებების მიღებაზე.⁵⁹ ამ სტრუქტურის ელემენტებია: ელიტების ინტეგრაცია (გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამშრომლობის უნარი) და დიფერენციაცია (სხვადასხვა ჯგუფების ორგანიზაციული და ფუნქციონალური გამიჯვნა და მათი ფარდობითი ავტონომია ერთმანეთის და სახელმწიფოს მიმართაც).

⁵⁶ Dahl 1966b: 342

⁵⁷ Linz J. (1978). *The Breakdown of Democratic Regimes: Crisis, Breakdown, and Reequilibration*. Baltimore, L.: 27-38

⁵⁸ Linz 1978: 28

⁵⁹ Burton M., Gunther R., Higley J. (1992). Introduction: Elite Transformations and Democratic Regimes. — Higley J., Gunther R. (eds.): 10

შესაბამისად, შესაძლებელია ელიტის სტრუქტურის ოთხი ტიპი: *იდეოკრატიული* (მაღალი ინტეგრაცია, დაბალი დიფერენციაცია), *ფრაგმენტირებული* (დაბალი ინტეგრაცია, მაღალი დიფერენციაცია) და *კონსენსუსური* (მაღალი ინტეგრაცია, მაღალი დიფერენციაცია).⁶⁰ პირველი ტიპის ელიტის სტრუქტურა მდგრად არადემოკრატიულ რეჟიმებს ახასიათებს, მეოთხე კი - სტაბილურ დემოკრატიებს.

ზემოაღნიშნული ტიპოლოგია უშუალო კორელაციაშია ოპოზიციების მახასიათებლებთან. მაგალითად, ელიტების დაბალი ინტეგრაცია ასტიმულირებს პრინციპულ ოპოზიციას, მაშინ როდესაც, მაღალი ინტეგრაცია, პირიქით, ასეთ შესაძლებლობას არ იძლევა და უფრო ხელსაყრელია სამთავრობო ჯგუფებთან ოპოზიციის „ვაჭრობის“ კოოპერატიული სტრატეგიის განსამტკიცებლად.⁶¹ ანალოგიურადვე, ელიტების დაბალი დიფერენციაცია გამორიცხავს ლოიალურ ოპოზიციას, მაღალი კი, როგორც წესი, აქვეითებს არალოიალურობის პოტენციალს. გამონაკლისია „პოლარიზებული პლურალიზმის“,⁶² ე.ი. ფრაგმენტირებული ელიტის მოდელი. ამ შემთხვევაში ლოიალური ოპოზიციის კრიზისის პირობებში ლოიალურმა ოპოზიციამ შესაძლოა ადგილი დაუთმოს ნახევრადლოიალურს, რომელმაც შესაძლებელია ძირი გამოაცალოს დემოკრატიულ რეჟიმს.⁶³

ინსტიტუციურ ფაქტორებიდან ოპოზიციის მახასიათებლებზე ყველაზე მეტ გავლენას ახდენს ტრადიციული განსხვავება საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემებს (და მათ ცალკეულ ქვესახეობებს) შორის.⁶⁴ საპრეზიდენტო და შერეული, საპრეზიდენტო-საპარლამენტო სისტემები, რომლებიც აგებულია პრინციპზე „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“,⁶⁵ პრინციპული ოპოზიციის განვითარების ნიადაგს ქმნის. თავის მხრივ, საპარლამენტო რეჟიმები ხელს უწყობენ სამთავრობო ჯგუფებთან ოპოზიციის „ვაჭრობას“ კვალიციური და კორპორაციული სტრატეგიის

⁶⁰ Higly J., Bayulgen O., George J. (2003). *Political Elite Integration and Differentiation in Russia*, - Steen A., Gel'man V. (eds) *Elites and Democratic Development in Russia*. L., N.Y.: 12-14

⁶¹ Dahl 1966b: 344-345

⁶² Sartori G. (1976). *Parties and Party Systems: A Framework for Analysis. Vol.1*. Cambridge.

⁶³ Linz J. (1978). *The Breakdown of Democratic Regimes: Crisis, Breakdown, and Reequilibration*. Baltimore, L.

⁶⁴ იხ. დაწვრილებით: Shugart M., Carey J. 1992. *Presidents and Assemblies: Constitutional Design and Electoral Dynamics*. Cambridge.

⁶⁵ Linz J. 1994. *Presidential or Parliamentary Democracy: Does it Make a Difference*. — Linz J., Valenzuela A. (eds.) *The Failure of*

განსამტკიცებლად.⁶⁶ პრინციპული ოპოზიციის პოტენციალს ამცირებს პროპორციული საარჩევნო სისტემა (მაჟორიტარულის საპირწონედ), აგრეთვე დეცენტრალიზაცია და ფედერალიზმი. ამ ფაქტორების - ელიტის სტრუქტურის და ინსტიტუციური ცვლილებების დინამიკის - კონსტელაცია იძლევა პოლიტიკური ოპოზიციის ევოლუციის დეტერმინანტებს.

რა თქმა უნდა წარმოდგენილი მოდელი მხოლოდ ზემოთ აღწერილი მახასიათებლებით როდი შემოიფარგლება. მას არც რაიმე განსაკუთრებულობაზე აქვს პრეტენზია და არც სხვა შესაძლო მიდგომებს გამორიცხავს. ამავდროულად, ეს მოდელი გათვლილია ემპირიული მასალებით კორექტირებაზე, პოლიტიკური ოპოზიციის ანალიზის ეფექტიანი მოდელების და ქართული სახელმწიფოს სტაბილურობის მიღწევის ძიებაზე. დღევანდელი ფინანსური და სახელისუფლებო - ინსტიტუციური კრიზისის გამწვავების ურთიერთკავშირის პირობებში კი ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცინცაძე სოსო. ქართული ოპოზიცია პროფილსა და ანფასში. – „მთელი კვირა“, 2009. 17 აგვისტო, № 219 (609)
2. Almond G. (ed.) (1974). Comparative politic Today: A World View. Boston.
3. Barghoorn F. 1973. Factional, Sectoral, and Subversive Opposition in Soviet Politics. - Dahl R.(ed.) *Regimes and Oppositions*. New Haven, L.
4. Bremer S.A. (ed.) (1987). The Global Model Computer Simulation of Worldwide Political and Economic Developments. Boulder (Colr).
5. Blondel J. (1997). Political Opposition in the Contemporary World, — *Government and Opposition*, vol. 32, 4.
6. Burton M., Gunther R., Higley J. (1992). Introduction: Elite Transformations and Democratic Regimes. — Higley J., Gunther R. (eds.).
7. Camsson W.A. (1974). The Strategy of Social Protest. Homewood (III).
Dahl R. (ed.) (1966a). *Political Oppositions in Western Democracies*. New Haven, L.; Dahl R. (ed.) 1973. *Regimes and Oppositions*. New Haven, L.
Dahl R. (1966b). Patterns of Opposition. — Dahl R. (ed.) *Political Oppositions in Western Democracies*. New Haven, L.
Dahl R. (1966c). Some Explanations. — Dahl R. (ed.) *Political Oppositions in Western Democracies*. New Haven, L.
Diamond L. (2002). Thinking about Hybrid Regimes. — *Journal of Democracy*, vol. 13;
Levitsky S., Way L. 2002. The Rise of Competitive

⁶⁶ Dahl 1966b: 344-345. ზოგიერთ ავტორს მოცემული გარემოება ოპოზიციის „გაქრობის“ დასტურად მიაჩნია.

Government and Opposition, (1997). vol. 32.

Gur T.R. (1978) Comparative Studies of Political Conflict and Change: Cross National Datasets. Ann Arbor (Mich).

8. Higly J., Bayulgen O., George J. (2003). Political Elite Integration and Diferentiation in Russia, - Steen A., Gel'man V. (eds) *Elites and Democratic Development in Russia*. L., N.Y.
9. Kirchheimer O. (1957). The Waning of Opposition in Parliamentary Regimes. — *Social Research*, vol. 24.
10. Kolinsky E. (ed.) (1987a). *Opposition in Western Europe*. L., Sydney.
Kolinsky E. (1987b). Introduction. — E.Kolinsky (ed.) *Opposition in Western Europe*. L., Sydney.
11. Levitsky S., Way L. 2002. The Rise of Competitive Authoritarianism. — *Journal of Democracy*, vol. 13.
12. Linz J. (1973). Opposition to and under an Authoritarian Regime: The Case of Spain. — Dahl R. (ed.) *Regimes and Oppositions*. New Haven.
Linz J. (1978). *The Breakdown of Democratic Regimes: Crisis, Breakdown, and Reequilibration*. Baltimore, L.
13. Mason T.D., Felt P.J. (1996 (4)).How Civil Wars End: A Rational Choice Approach // The Journal of Konflikt Rezolution, vol 40.
Pulzer P. (1987). Is There Life After Dahl? — Kolinsky E. (ed.) *Opposition in Western Europe*. L., Sydney.
Riesman D. With Glazer N., Denney R. (1961). *The Lonely Crowd. A Study of the Changing American Character*. New Haven.
14. Sartori G. (1976). *Parties and Party Systems: A Framework for Analysis. Vol.1*. Cambridge.
Smith G. (1987). *Party and Protest: The Two Faces of Opposition in Western Europe*.
15. Shugart M., Carey J. (1992). *Presidents and Assemblies: Constitutional Design and Electoral Dynamics*. Cambridge.

მედია როგორც პოლიტიკური ოპოზიცია Media as a Political Opposition

ია მახარაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
სექუპმენტარულ მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი
Ia.makharadze@gmail.com

Ia Makharadze - Associate Professor of the Bachelor's Degree Program in Journalism
Faculty of Humanities, Georgian National University
Ia.makharadze@gmail.com

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია მასმედიის პოლიტიკური ოპონირების ფორმები, რომელსაც პირველი პერიოდული გამოცემები ბუნებრივად უზრუნველყოფდნენ და გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. პოლიტიკური ოპონირების წარმოქმნის უნარი იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ჟურნალისტების შრომის თითქმის ყველა ასპექტს შეეხება. იმ მასალებიდან დაწყებული, რომლითაც ჟურნალისტი კონკრეტული მოვლენისა თუ გარემოებისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ცდილობს. ასეთი მასალები შეიძლება შეიცავდეს ჟურნალისტურ პროგნოზს, ანალიზს, კვლევას, შეფასებას რომელიც მოსალოდნელ შედეგებს უწინასწარმეტყველებენ პოლიტიკურ წრეს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას. საინფორმაციო წყაროების მოძიებისა და დამუშავების გზებს ჟურნალისტები ყოველდღიურად იყენებენ. მედიის წარმომადგენლები ამ ტექნოლოგიების გამოყენებით საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფენ და აუდიტორიას ისე აწვდიან კონკრეტულ თემებს, რომ პოლიტიკური პროცესების დისკუსიის დაწყებას განაპირობებენ. დღესდღეობით ჟურნალისტების პოლიტიკური ოპონირების უამრავი მეთოდი არსებობს: ტრადიციული და ახალი მედია საშუალებები, სხვადასხვა სოციალური ქსელები, ონლაინ/ინტერნეტ, საძიებო პროგრამები, პირადი შეხვედრები. ამას გარდა, დისკუსიის, ინტერვიუს ჩატარების მეთოდები უფრო მრავალფეროვანი გახდა. ქართულ პოლიტიკურ რეალობაში მედია, როგორც „დიდი არბიტრი“, „მეთხე ხელისუფლება“ განსაკუთრებით დიდ ძალას იძენს და ერწყმის პოლიტიკურ სფეროს.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური ოპონირება; ოპოზიციის ტვირთი; პოლიტიკური რეფორმები.

Abstract. The article discusses the forms of political opposition of the media, which the first periodicals naturally provided and influenced the formation of public opinion. The ability to generate political opposition is so pervasive that it covers almost every aspect of a journalist's work. Starting from the materials with which the journalist tries to draw the public's attention to a specific event or circumstance. Such materials may include journalistic forecasting, analysis, research, evaluation, which predict the expected results of the political circle, government and society. Journalists use the ways of finding and processing news sources on a daily basis. Media representatives use these technologies to engage the public and inform the audience about specific topics in a way that initiates a discussion of political processes. There are many methods of political opposition of journalists today: traditional and new media, various social networks, online / internet search programs, personal meetings. In addition, the methods of discussion and interview have become more diverse. In the Georgian political reality, the media, as the "big arbiter", the "fourth government" is gaining especially great power and merging with the political sphere.

Keywords: political opposition; The burden of opposition; Political reforms.

შესავალი. პოლიტიკური ოპონირება ჟურნალისტური თეორიისა და პრაქტიკის საფუძველია. ისტორიულად პრესამ კრიტიკისა და ოპონირების ფუნქცია თავისი თავისუფლების მოთხოვნებითა და ჟურნალისტების ქცევების ზნეობრივი იმპერატივებით გაამართლა. მასმედია გარკვეული ისტორიული პროცესის შედეგად პოლიტიკური სტრატეგიების რეალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა. ტრანსფორმირებად პოლიტიკურ სისტემებში მედიის სტრუქტურების როლი არაერთგვაროვნად წარმოჩინდება. დემოკრატიის ჯგუროვანი ფუნქციონირების აუცილებელი კომპონენტი თავისუფალი საზოგადოების თანხმობაა. იმისთვის, რომ ეს თანხმობა ინფორმირებული იყოს, საზოგადოებას საჭირო ცნობები სწორედ სამთავრობო და ნებისმიერი სხვა კონტროლისგან თავისუფალმა პრესამ უნდა მიაწოდოს: აცნობოს ხალხს არჩევითი და დანიშნითი თანამდებობის პირთა საქმიანობაზე; გამოიძიოს ის, რის ხალხისგან დაფარვაც ურჩევნიათ პოლიტიკოსებს. ხმის უფლება მისცეს მათ, ვისიც არავის ესმის. შექმნას სადისკუსიო გარემო, მიაწვდინოს ხელისუფლებას მოქალაქეების აზრი. გამოიკვლიოს ინფორმაცია დაფარულ შემთხვევებზე. იყოს ინფორმაციის წყარო. ამდენად, „მეოთხე ხელისუფლებად“ წოდებული მასმედია დანარჩენი სამი (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) ხელისუფლების მსგავსად, ერთ პოლიტიკურ ვერტიკალს არ უნდა ემორჩილებოდეს. ერთი შეხედვით ამკარაა, რომ ამ კონტექსტში ჟურნალისტები და ხელისუფლების ჩინოსნები მეტოქეები არიან. ამერიკელი მკვლევრის დოუნის განმარტებით, „ჟურნალისტებმა უნდა გააცნობიერონ ის ფაქტი, რომ მათი კვლევები, გამოძიებები მეტკვიანულია ჩინოსნებისთვის. ამ ჩინოსნებმა უღალატეს ხალხის ნდობას, ზიანი მიაყენეს ადამინებს და მათ სურთ, ეს გამჟღავნდეს. ასეთ ჟურნალისტებს მთავრობები პირად მტრებად აღიქვამენ. მედია სწორედ პოლიტიკური ოპოზიციის ტვირთს კისრულობს და იღებს თავის თავზე ვალდებულებას საზოგადოების წინაშე დააყენოს, მისი აზრით, მნიშვნელოვანი საკითხები და ხელი შეუწყოს მათ ღიად განხილვას. თომას ჯეფერსონმა ეს მარტივად თქვა: „სადაც პრესა თავისუფალია და ყველამ იცის კითხვა, იქ უსაფრთხოებაა“. აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება კი ამ შეთანხმებულ სისტემას საკანონმდებლო საფუძველს უქმნის. ნაშრომის მთავარი მიზანაც სწორედ ამ არსებული პრობლემიდან გამომდინარეობს და გულისხმობს: პოლიტიკურ სისტემებში მასმედიის როგორც პოლიტიკური ოპონენტის როლისა და ადგილის თავისებურებათა განსაზღვრას.

პირითადი ტექსტი. მედიას, განსაკუთრებით, მის ყველაზე რთულ სფეროს - საგამოძიებო ჟურნალისტიკას სოციალური პასუხისმგებლობა აქვს. მეორე საკითხია, ზოგჯერ ამ ფუნქციის იმდენად გაფართოვება, რომ მედიის ეს მიმართულება პოლიტიკურ ოპოზიციას უერთდება. ბეჭდვითი მედიის

წარმოშობიდან მისი ძირითადი როლი პოლიტიკური ოპონირებითა და იდეათა აგიტაციით განიხილებოდა.⁶⁷ პრესის დაფუძნებიდან დღემდე მსოფლიო მედიისთვის ეს საკითხი დღემდე აქტუალურია. უპირველესად, გავრცელებული იყო კრიტიკული ხასიათის პუბლიკაციები, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენა უნდა მოეხდინა. მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო ტირაჟირება კომერციულმა პრესამ. იმავე პერიოდში, სულ უფრო მეტი პოპულარულობა შეიძინა დამოუკიდებელმა ჟურნალისტის ინსტიტუციამ, რომელიც ნებისმიერი პოლიტიკური ინტერესებისა და პარტიებისგან დამოუკიდებელად საქმიანობს.⁶⁸

მედის ამ როლს თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ბრიტანული ჟურნალისტიკა ტეტჩერის მმართველობისას. საგამოძიებო პროექტის გადაცემა „Dispatches“ რედაქტორი წერდა: „როდესაც ჩვენ გამოვედით ასპარეზზე, პოლიტიკურ ოპოზიციას, უბრალოდ, არ შეეწვდა ტეტჩერისათვის ოპოზიციის გაწევის უნარი. მეორე მხრივ, ტეტჩერის ხელისუფლება ყოველმხრივ ავიწროვებდა ჩვენს ხელისუფლებას, თანაც, ყველა სფეროში, და, ასე რომ, პოლიტიკური ოპოზიციის ტვირთი ჩვენ ვიკისრეთ“.⁶⁹

გაზეთ „გარდიანის“ რედაქტორი წერდა: „დღეს მთელმა ჟურნალისტიკამ იკისრა ოპოზიციის ტვირთი; როდესაც ხელისუფლებას ასეთი დიდი უმრავლესობა აქვს მთვარობაში, ხოლო პარლამენტში დებატებამდე საქმე არც კი მიდის, - ასეთ ვითარებაში კრიტიკისა და ოპონირების ფუნქცია, სრულიად ბუნებრივად, პრესას ეკისრება“.

სექსუალურ ცხოვრებაში გაბმული აშშ-ის პრეზიდენტის ამბები, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სურათები, რომელიც დაღუპულ პრინცესას გლოვობს, მიკროფონებისა და კამერებით გარშემორტყმული კანცელარია.. 90-იანი წლების ბოლოს მედიისა და მთავრობის ურთიერთობის ამსახველი კიდევ უფრო უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.⁷⁰ მოსაზრება, რომ ჟურნალისტიკა პოლიტიკური რეფორმების ძლიერი კატალიზატორია, ამერიკაში „უოტერგეიტის“ ცნობილი სკანდალის შემდეგ, 60-იან წლებში, დამკვიდრდა. მას შემდეგ თითქმის 20 წლის განმავლობაში ამერიკული საინფორმაციო ბაზარი გაჯერებულია ისტორიებით მეზრძოლ ჟურნალისტებზე, რომლებიც ააშკარავებდნენ და ამ გზით ითავსებდნენ პოლიტიკური ოპონენტის როლს. ამერიკაში 1960-

⁶⁷ Mackenzie, C. Wayne, J. S.O'Brien Cole, L. 1995. The Politics of American Government. University of Virginia. pp.205.

⁶⁸ გოგიჩაიშვილი, ა. ხაჟომა, ნ., 2003. საგამოძიებო ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა. თბილისი: ევროპის საბჭო. ავტოგრაფი. გვ. 25-26.

⁶⁹ იქვე. გვ. 106.

⁷⁰ დევდარიანი, ზ. დარჩია, მ. ტლაშაძე, მ. 2001. აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან. თბილისი. საქართველოს გაეროს ასოციაცია. ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

1970წწ. ჩატარებულმა ჟურნალისტურმა გამოძიებებმა ჟურნალისტიკა საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვა საშუალებებისგან განაცალკევა. მანამდე შეუმჩნეველი ხალხის მოსაზრებებისა და საზოგადოებისგან დამალული თაღლითობების ძიებისა და გამოვლინებით ჟურნალისტებმა ძირითად პრინციპად საზოგადოების ფარული საკითხების შესწავლის საკუთარი ვალდებულება აქციეს. პრესა პოლიტიკურ ლიდერებს იმის გაკეთებაში უშლიდა ხელს, რის გაკეთებაც არ შეიძლებოდა“. ამერიკელი ჯარისკაცების ვიეტნამში მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვაზე ჩატარებულმა საგამომიებო მოქმედებებმა და პერმანენტულად გაშუქებულმა დოკუმენტურმა მასალებმა ომის საწინააღმდეგო სახალხო მოძრაობას დაუდო საფუძველი. ზოგიერთი ჟურნალისტის აქტივიზმა, ინიციატივიანმა საკითხების გაშუქებამ, ხელისუფლებების საქმიანობის მოკვლევამ, დოკუმენტირებამ, საზოგადოების საჭიროებებმა სამუდამოდ შეცვალა ამერიკის საგარეო პოლიტიკა. ამავე პერიოდში ჟურნალისტურ გამოძიებათა შედეგად გამოვლინდა თეთრი სახლის მაღალჩინოსანთა კავშირი „უოტერგეიტის“ სკანდალთან, რასაც ხელისუფლების ფართო წრე და პრეზიდენტი ნიქსონი შეეწირა.

პოლიტიკური საკითხების გაშუქების ამ ნიმუშებმა ნათლად წარმოაჩინა მთავრობისა და მედიის ურთიერთდამოკიდებულების დროს საქმე ეხებოდა ამბივანტურ ურთიერთობას, სადაც ნდობა და ლოიალობა შეზღუდული იყო. აქტუალური პოლიტიკური სიტუაციებისადმი ინტერესისა და სკანდალთა დინამიკის გამო ყოველ წუთს შეიძლებოდა რთულ მდგომარეობაში გადაზარდილიყო: პოლიტიკური მემარჯვენეები მიიჩნევდნენ, რომ ჟურნალისტიკის ასეთი პრინციპების მიდგომით პოლიტიკასა და ბიზნესში მოღვაწე ავტორიტეტებს საბოლოოდ გამოუთხრიდა ძირს, ხოლო მემარცხენეები აცხადებდნენ, რომ საგამომიებო პუბლიკაციების შედეგი ამერიკული დემოკრატია და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით ქვეყნის მართვა იყო.⁷¹

ეს მოსაზრება შესაძლოა, ვინმეს გაზვიადებულადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ გაიხსენეთ ყოფილი საბჭოთა კავშირი, სადაც 1917 - 1980 წლებში ასობით ათასი უძველესი წიგნი თუ ხელოვნების ნიმუში განადგურდა; უზარმაზარი რეგიონები საბოლოოდ დაბინძურდა, ათობით მილიონი ადამიანი მოკლეს. საბჭოთა მედიას არ შეეძლო და ვერც შეძლებდა პროტესტის გამოხატვას. როდესაც მედია სათანადოდ ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, ნებისმიერი საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესია

⁷¹ გოგიჩაიშვილი, ა. ხაჟომა, ნ., 2003. საგამომიებო ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა. თბილისი: ევროპის საბჭო. ავტორგრაფი. გვ. 46.

ერთადერთი საკითხი - როგორ შეიძლება მედია პოლიტიკურ ოპონენტად იქცეს.⁷²

მთლიანობაში მედია შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარმოება, საზოგადოებრივი სამსახური და აგრეთვე პოლიტიკური ინსტიტუტი. მედიის სტრუქტურა, კულტურა, რომელიც თანამედროვე დასავლურ დემოკრატიებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, კომუნიკაციის მართვის მნიშვნელოვანი პირობაა. 80-იანი წლების შუა რიცხვებში დაწყებული ინდივიდუალური და მასობრივი კომუნიკაციის ცვლილებების ხანგრძლივი პროცესის მეშვეობით, პოლიტიკურმა კომუნიკაციამ დინამიკა და კომპლექსურობა შეიძინა.⁷³

მსოფლიოში მიმდინარე ყველა საჯარო მოვლენას მედია ამუშავებს, ამიტომ პოლიტიკური ინსტიტუციების მონაწილენი ცდილობენ პოლიტიკა სინამდვილის მედიალურ კონსტრუქციასა და მისი თამაშის წესებს მიუსადაგონ. ჩვენ მართლაც ვიგებთ, რომ პოლიტიკური ისტაბლიშმენტი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ძალიან დაუახლოვდა მედიას. ამ თვალთახედვით მთავრობის კომუნიკაცია მედიასთან მისი PR – ის სტრატეგიული კომუნიკაციის შედეგია. მთავრობის განკარგულებაში PR – ის ინსტიტუტები და რესურსებია, თუმცა აქვე ერთი კითხვა შეიძლება დაისვას. რამდენადაა ახალი ამბებისა და პოლიტიკური პრობლემების ინტერპერეტაციის სტრატეგიული მენეჯმენტი თანხმობის მენეჯმენტის იარაღი ოპონენტურ მედიასთან.⁷⁴ წერის თავისუფლება, როგორც ნებისმიერი სხვა თავისუფლება, მით უფრო სახიფათოა, რაც ახალია. ხალხს, რომელსაც არასოდეს მიუღია მონაწილეობა სახელმწიფო საქმეთა განხილვაში, სჯერა პირველი ტრიბუნისა, თავადვე რომ წარმოიჩინდება.⁷⁵ პულიცერის სიტყვებით რომ განვმარტოთ, რედაქტორებმა უნდა მოიძიონ საინტერესო თემები, წერონ უსამართლობასა და დანაშაულზე. ეს ჩვენს თანამედროვეობაშიც კი მოწოდებაა, ძალიან გავრცელებული ჟურნალისტური მიდგომაა თავის საზოგადოებას სამოქმედო გეგმა დაუსახონ. მაგალითისთვის, ლონდონური „სანდი ტაიმზის“ რეაქტორმა ჰაროლდ ევანზმა განაცხადა: პრესის ნამდვილი ძალაა, რომ მას შეუძლია „მექმნას საზოგადოების სამოქმედო გეგმა“. 1970-80 - იანი წლების არგენტინაში სისხლიანი დიქტატურის რეჟიმის პირობებში რამდენიმე

⁷² დევიდარიანი, ზ.დარჩია,მ.ტლაშაძე, მ. 2001. აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან. თბილისი. საქართველოს გაეროს ასოციაცია. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. გვ. 11

⁷³ იქვე. გვ 12.

⁷⁴ იქვე. გვ 10.

⁷⁵ დე ტოკველი, ა. 2011. დემოკრატია ამერიკაში. თბილისი.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. გვ. 147.

გაზეთმა გააპროტესტა სკოლის მოსწავლეების, სტუდენტების, ფეხმძიმე ქალების დაპატიმრება, წამება და ხოცვა.... რეჟიმი ყველას უსწორდებოდა, ვინც ტირანიას გააკრტიტიკებდა ან შეებრძოლებოდა: იჭერდნენ სახლებში, ქუჩაში, ყოველგვარი გასამართლების გარეშე აწამებდნენ, ნარკოტიკებით აბრუებდნენ, ფატრავდნენ და სამხედრო თვითფრინავებიდან ოკეანეში ჰყრიდნენ. ჟურნალისტები თავს საფრთხეში იგდებდნენ, მაგრამ მაინც წერდნენ, გამოთქვამდნენ თავის აღშფოთებას: ინგლისურენოვანი გაზეთის „ბუნეოს აირეს ჰერალდის“ ამერიკელმა რედაქტორმა რობერტ კოქსმა პირველ გვერდზე უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიები გამოაქვეყნა. რედაქციის ოფისი მუქარის წერილებით აივსო. კოქსი დააპატიმრეს და გარკვეული დრო ციხეში გაატარა. გაზეთის გამომცემელმა ქვეყნის დატოვება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მისმა ვაჟმა წერილი მიიღო, რომელშიც ეწერა, რომ თუ მათი ოჯახი იქაურობას არ დატოვებდა „დახოცავდნენ“.⁷⁶ ჟურნალისტმა როდოლფო უოლმა დაწერა საჯარო საბრალდებო წერილი „არგენტინის ისტორიაში ყველაზე ველური ტერორისტული რეჟიმის“ წინააღმდეგ: „ხელისუფლებამ ყველა ძირითად სამხედრო ბაზაზე ნამდვილი საკონცენტრაციო ბანაკები შექმნა, მოძალადეებს სურდათ გაენადგურებინათ თავიანთი მსხვერპლები. წაერთმიათ ყველანაირი ადამიანური ღირსება“. უოლი ხვდებოდა, რომ საკუთარ სასიკვდილო განაჩენს აწერდა ხელს. დასკვნით სახით დაწერა: „არ შემძლო, არ გამომეთქვა გულისნადები, რადგან უნდა შევასრულო დიდი ხნის წინ დადებული აღთქმა და გამოვიდე მოწმედ ძნელბედობის ჟამს ისტორიის სასამართლოზე“. ამ განცხადების გამოქვეყნებისთანავე იგი გაიტაცეს. მას შემდეგ იგი აღარავის უნახავს.⁷⁷ 1990 წელს არგენტინულმა გაზეთმა „GLarin“ 1976 წლის სამხედრო გადატრიალებისას პოლიტიკურ დისიდენტთა განადგურების ფაქტები გამოაქვეყნა. გაზეთმა „Pagina“ ჰორაციო ვერბიცის ჟურნალისტური გამოძიება „სასიკვდილო ფრენები“ დაბეჭდა, რომელშიც აღწერილი იყო, თუ როგორ იჭერდნენ დისიდენტებს ხუნტას ბრძანებით და შემდეგ თვითფრინავიდან ოკეანეში ყრიდნენ. პოლიტიკური ოპონირების იმპულსი ყოველთვის იყო და დღემდე რჩება ამერიკული მედიის მთავარ მამოძრავებელ ძალად. ჯერ კიდევ 300 წლის წინათ, რეპორტაჟულ დონეზე პოლიტიკური ოპოზიციის ტვირთის აღების ტრადიცია ამერიკაში უკვე ჩამოყალიბებული იყო. მაგალითად, პირველ კოლონიურ გაზეთებში ბევრი პუბლიკაციაა, სადაც პოლიციელი

⁷⁶ დე ტოკველი, ა. 2011. დემოკრატია ამერიკაში. თბილისი.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. გვ. 147.

⁷⁷ მენჩერი, მ. 2013. ახალი მშენებელი ჟურნალისტიკა. თბილისი: დიოგენე. გვ. 556. იქვე. 555.

ადგილობრივ კრიმინალებთან კავშირშია მხილებული.⁷⁸ აქედან გამომდინარე სწორედ ამერიკაში იშვიათია პრესის დევნა სასამართლოს გამოყენებით. ამის მიზეზი მარტივია: ამერიკელებმა სახალხო მმართველობის დოგმა აღიარეს და მეტი რეალობა შესძინეს. მათ აზრადაც არ მოსვლიათ, იმ ელემენტებისგან - ყოველდღიურად რომ იცვლებიან - შეექმნათ ისეთი კონსტიტუციები მუდმივად რომ იარსებებდა. დღესდღეობით, არსებულ კანონზე თავდასხმა არ გახლავთ დანაშაული, ცხადია, თუ სახეზე არაა კანონთა მორჩილებისგან თავდაღწევის მცდელობა ძალის მეშვეობით. ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ სასამართლოებს არ ძალუძთ ზომიერების ჩარჩოებში ჩააყენონ პრესა და ადამიანის მეტყველება, რადგან მოქნილი სიტყვა ყოველთვის უსხლტება იურიდიულ პროცესს და სამართალდარღვევები ერთგვარად უჩინარდებიან იქამდე, ვიდრე გაწვდილი ხელი მათ არ დაიჭერს. ამერიკელები ფიქრობენ, რომ პრესაზე ქმედითი ზეგავლენის მოსახდენად, საჭირო იქნებოდა ისეთი სასამართლოს შექმნა, რომელიც არა მხოლოდ უერთგულებდა არსებულ მმართველობას, არამედ შეძლებდა მაღლა დადგომას იმ საზოგადოებრივ აზრზე, მის ირგვლივ რომ დულს; სასამართლო, რომელიც განსჯათა საჯაროობის გარეშე გამოიტანდა თავის განაჩენს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე და სიტყვებზე მეტად ზრახვის გამო უფრო დასჯიდა. ვისაც ექნებოდა ძალა შეექმნა და შეენარჩუნებინა ამგვარი ტრიბუნალი, ამაოდ დაკარგავდა დროს პრესის თავისუფლების დევნაში, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი თავად გახდებოდა საზოგადოების აბსოლუტური ბატონ-პატრონი და შეეძლებოდა, საერთოდ თავი დაეხწია მწერლებისგანაც და მათი ნაწერებისგანაც. პრესას რაც შეეხება, რეალურად მისთვის არ არსებობს სხვაობა მონობასა და ნებართვას შორის. იმ ფასდაუდებელი სიკეთეების მისაღებად, რასაც პრესის თავისუფლება უზრუნველყოფს, უნდა შეგვეძლოთ, დამორჩილდეთ იმ გარდაუვალ ბოროტებასაც სიკეთესთან ერთად რომ წარმოიქმნება.⁷⁹ სურვილი - მოიპოვო ერთი და აიცილო მეორე - ნიშნავს დანებდეთ ერთ-ერთ იმ ილუზიას, რომელითაც ჩვეულებრივ, მეორე და მესამე დონის ქვეყნები იმშვიდებენ თავს ბრძოლით დადლილი და ქანცგაწყვეტილი ისინი ეძებენ საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ერთსა და იმავე ნიადაგზე ერთდროულად თანაარსებობა აიძულო მტრულ აზრებსაც და მის საპირისპირო პრინციპებსაც.⁸⁰

⁷⁸ გოგიჩაიშვილი, ა. ხაჟომა, ნ., 2003. საგამომიებო ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა. თბილისი: ევროპის საბჭო. ავტოგრაფი. გვ. 49

⁷⁹ დე ტოკველი, ა. 2011. დემოკრატია ამერიკაში. თბილისი.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. გვ. 149.

⁸⁰ იქვე. გვ 147.

აქედან დასკვნა, მართვა პოლიტიკურ სისტემასა და მის საზოგადოებრივ თუ მედიალურ გარემოს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია, რომელიც სამთავრობო მონაწილეების კომუნიკაციურ კომპეტენტურებაზეა დამოკიდებული.⁸¹ პრესის თავისუფლება გავლენას ახდენს არა მხოლოდ პოლიტიკურ მოვლენებზე, არამედ ადამიანის ყველა აზრზეც. ცვლის სამართლებრივ ჩარჩოებსა და მორალურ ნორმატივებს. განსასაზღვრია თავისუფალი პრესის ზემოქმედების ხარისხი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, რაც აისახება ადამიანების გონებასა და გრძნობებზე.⁸²

სამთავრობო კომუნიკაციის ჟურნალისტიკის კონტექსტში აღქმა არათუ აიოლებს ანალიზს, არამედ რამდენიმე ძირეულ საკითხს წამოსწევს წინ, რომელიც სტატიას წითელ ხაზად გასდევს. რა არის მედიის მხრიდან მართვა და რა ფუნქცია აკისრია სამთავრობო კომუნიკაციას? რა არის სამთავრობო ინსტიტუციების კომუნიკაციის პოლიტიკური, ინსტიტუციონალური, მედიალური და სტრუქტურულ-კონტექსტუალური პირობები? რა შედეგი ექნება პოლიტიკური კომუნიკაციის მედიაციას და რა სამოქმედო პოზიციები გააჩნიათ სამთავრობო კომუნიკაციების წარმომადგენლებს?

ქართული მედიის ისტორიაში, დასავლური მედიების საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეპოქაში მოღვაწეობდა ჟურნალისტი, მას ჰქონდა მკაფიო მიზანი - გაემუქებინა პრობლემა და ამ გზით გამოეწვია საზოგადოების განსჯა. შეექმნა პრობლემისადმი კრიტიკული საზოგადოებრივი აზრი და ამ გზით ებრძოლა მისი მოგვარებისთვის: ქართული პერიოდული პრესის ისტორიიდან დაწყებული ყოველი დროის მონიშნულ მონაკვეთში გადავაწყდებით გაზეთებს, რომლის ძირითადი იდეა - ეროვნულობის, ნაციონალიზმის, იდენტობისა და დემოკრატიული იდეოლოგიების ცნებებია. დამოუკიდებლობის წლების პრესაში კი პარტიებს შორის დისკუსიები, პოლიტიკური იდეოლოგიური დაპირისპირებებია. ყურადღებას იპყრობს საგარეო პოლიტიკური საკითხების განხილვა - საქართველოს სივრცითი ორიენტაციის საკითხზე, ვექტორებით: დასავლეთი/აღმოსავლეთი. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართულ პრესაში რამდენად იყო შესაძლებელი პოლიტიკურ და საგამომცემლო სტრუქტურებს შორის სისტემური კავშირების იდენტიფიცირება. საინტერესოა, ჟურნალისტურ მოდელსა და პოლიტიკის ურთიერთობების მიმართულებით კავშირების გამოკვეთა.

⁸¹ დევდარიანი, ზ. დარჩია, მ. ტლაშაძე, მ. 2001. აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან. თბილისი. საქართველოს გაეროს ასოციაცია. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. გვ.

⁸² დე ტოკველი, ა. 2011. დემოკრატია ამერიკაში. თბილისი.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. გვ. 148.

ქართული პრესა როგორც პოლიტიკური ოპონენტი, ინსტიტუცია როგორ მუშაობდა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და პოლიტიკური თავისუფლების პირობებში 1918-1921 წწ. ვინ იყვნენ იმ პერიოდის პოლიტიკური ჟურნალისტები, რამდენად ძლიერი იყო ცენზურა.

საქართველოსა და მთელს კავკასიაში პირველი გამოცემა „საქართველოს გაზეთი“ 1819 წლის 8 მარტს გამოიცა. გაზეთში ძირითადად პროტოკოლური ინფორმაციები ქვეყნდებოდა: საიმპერიო ხელისუფლების, ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის ბრძანება-განკარგულებები, განცხადებები, უცხოეთის ქრონიკა, პოპულარული რუსული ლიტერატურის ნაწყვეტები.

პირველი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის იდეა წამოაყენა. ეს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენის პირველი ხმამაღალი განაცხადი იყო. 1902 წლიდან გიორგი დეკანოზიშვილი მუდმივად იმყოფებოდა საფრანგეთში, მონაწილეობდა გაზეთების - „საქართველოს“ და „La Georgie“-ს გამოცემის საქმეში. 1904-1905 წლებში მიმდინარე რუსეთ-იაპონიის ომისა და 1905 წლის რუსეთის რევოლუციის წლებში მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა დამყარებული იაპონიის წარმომადგენლებთან ევროპაში, რომელთა მხარდაჭერითაც ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას უწევდა ანტიკოლონიალურ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. 1905 წლის ივნის-დეკემბერში უშუალოდ ხელმძღვანელობდა გემ „სირიუსით“ საქართველოში იაპონელთა ფინანსური დახმარებით ნაყიდი იარაღის გამოგზავნას, რის გამოც რუსეთის იმპერიული მთავრობის მიერ სახელმწიფო პოლიტიკურ დამნაშავედ იყო გამოცხადებული. სიცოცხლის ბოლომდე იძულებული იყო დარჩენილიყო ემიგრაციაში. გასული საუკუნის 60-იან წლებში გიორგი დეკანოზიშვილის ქალიშვილმა თინათინ დეკანოზიშვილმა მამის უმდიდრესი პირადი არქივი, სრული ფოტოასლებით საფრანგეთის ეროვნულ არქივს გადასცა. საფრანგეთში მცხოვრებმა ისტორიკოსმა, მკვლევარმა გიორგი მამულიამ პირველად ჩამოიტანა საფრანგეთიდან საქართველოში ეს უნიკალური არქივი.⁸³

აქედან გამომდინარე, ნეიტრალურ, ინფორმაციულ და პროპაგანდისტულ ჟურნალისტკას შორის ბალანსი სხვადასხვა პოლიტიკურ გარემოში არაერთგვაროვანია. ასე მაგალითად, მე - 19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სათანადო ნებართვით კერძო პირები დამოუკიდებლად

⁸³ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია <https://1tv.ge/audio/saqartvelos-demokratiuli-respublikis-istoriuli-faqtebi/> [წვდომის თარიღი 20 იანვარი, 2021 წელი] მახარაძე, ი. 2018. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული ფაქტები.

აფუძნებდნენ პერიოდულ გამოცემებს, რომლის დამფინანსებლები თვითონვე იყვნენ. პრესა მათთვის ბიზნესი არ იყო, მუდმივად ჰქონდათ ფინანსური პრობლემები. ეს უკეთ ხსნის იმ პერიოდის გამომცემლების სწრაფვას პრესის თავისუფლებისადმი. ცენზურა სწორედ მათ აკონტროლებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში პრესისთვის მნიშვნელოვანი მონაკვეთია 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომი პერიოდი. ამ დროს გაუქმდა ცენზურა და გამოცემებს შესაძლებლობა მიეცათ ეწერათ და გამოექვეყნებინათ თავისუფლად. ამ დროიდან პრესის ძალაუფლების შეზღუდვის პრობლემები აღარ არსებობდა. სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის პოლიტიკა გამოცემების მიმართ 1918 წლიდან თავისუფალია. შეიძლება ითქვას იმ ეპოქის ქართული პრესა თავისუფლების ხარისხით და პოლიტიკური შინაარსით განვითარებულია დასავლური სტანდარტების შესაბამისად. ანალიტიკური სტატიებს ევროპაში განათლება მიღებული პუბლიცისტები წერდნენ. პარტიებთან პრესის უშუალო მიბმა თვალსაჩინოა. გამოცემებში უფრო ხდება პოლიტიკური პოზიციების დაკავება – მაგალითად, ყველა ქალაქში არსებობდა ჟურნალ - გაზეთები, რომლებიც წარმოადგენდნენ ძირითად პოლიტიკურ პარტიებს. სამთავრობო მხოლოდ ერთი გაზეთი იყო - „საქართველოს რესპუბლიკა“.⁸⁴ დანარჩენი გავლენიანი პოლიტიკურ ძალის გამოცემები იყო. მაგალითად, „საქართველო“ (ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას), „სახალხო საქმე“ (ფედერალისტთა პარტიას), „შრომა“ (ესერთა პარტიას). მმართველი სოციალ-დემოკრატიის მთავარი ბეჭდვითი ორგანო „ერთობა“ იყო.

დაშვებული გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი ნორმები გათვალისწინებულია გარკვეული პრინციპით: შინაგან საქმეთა სამინისტროს შეეძლო დაეხურა ნებისმიერ ბეჭდვითი ორგანო, საქართველოს საზღვრებიდან გაემევიბინა ან დაეპატიმრებინა პირი, რომელიც თავისი მოქმედებით ზიანს მიაყენებდა საქართველოს ინტერესებს, მთლიანობას ან სიტყვით თუ წერილობით აგიტაციას ეწეოდა ქვეყნის წინააღმდეგ. სახელმწიფოსადმი მტრულად მხოლოდ ბოლშევიკები იყვნენ განწყობილნი. ისინი არ აღიარებდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, სეპარატისტულ მოძრაობებს ეხმარებოდნენ. მათ გამოცემებს ყველაზე ხშირად ჰქონდა პრობლემები მთავრობასთან. ამ მიზეზებით შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ბოლშევიკური გამოცემების გარდა, სხვადასხვა დროს დროებით დაუხურავთ გაზეთები „Новости дня“, „Тифлисская газета“, „საქართველო“, „სალი კლდე“ და სხვ. 1920 წლის 7 მაისს, რუსეთთან ხელშეკრულება გაფორმდა, რუსეთმა აღიარა საქართველო, ამ საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტში ჩაწერილი იყო

⁸⁴ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 7 ივლისი

ბოლშევიკური პრესის ლეგალიზაცია. ამის შემდეგ მათი გამოცემები აღარ იხურებოდა.. ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის, პროპაგანდისთვის ყველა პასუხს სამართლებრივ დონეზე აგებდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში თავისუფლების საკითხებზე სტატიები თითქმის არ იწერებოდა...1910-იან წლებში შენიღბულად წერდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების ჟურნალები: „ერი“, „კლდე“ და გაზეთები „სამშობლო“ და „საქართველო“. ჟენევაში 1913-1914წწ.ქართული ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ გამოდიოდა. ჟურნალი პირდაპირ სვამდა საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემას.. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე პერიოდულად ქვეყნდებოდა პუბლიკაციები, რომლების შინაარსი თავისუფლების იდეა იყო. ღიად კი დამოუკიდებლობის აღდგენაზე პრესა ვერ წერდა. 1917 წელს ეროვნულ-დემოკრატიების რადიკალური პოზიციის გაზეთზე ეწერა „თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში“. ასეთი შინაარსის სათაურის დატანება გაზეთზე გამოიწვია რუსეთსა და ჩვენ ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა პროცესებმა: - რუსეთში დროებითი მთავრობა შეიქმნა და დამფუძნებელი კრების მოწვევა გამოცხადდა. ამ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა რუსეთის და მასში შემავალი ქვეყნების მომავალი.. ანუ ეროვნულ-დემოკრატიები ამ ეტაპზე ავტონომიას ეთანხმებოდნენ, რადგან თუ რუსეთი დემოკრატიული ქვეყანა გახდებოდა, ასეთი ფორმით საქართველოს ავტონომიაც საკმაოდ მაღალი ხარისხის იქნებოდა: შინაგან საქმეებში არავინ ჩაერეოდა და საგარეო უსაფრთხოებას რუსეთის ჯარი დაიცავდა.

პოლიტიკური სიტუაცია საქართველოს სასარგებლოდ უფრო უკეთესად წარმართა, საბოლოოდ 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის სეიმი რუსეთს გამოეყო და შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციულ-დემოკრატიული რესპუბლიკა. 3 ერი გაერთიანდა ერთ სახელმწიფოში. საქართველოს ცალკე გამოყოფაზე ფიქრობდნენ, მაგრამ პრესაში ამაზე არ იწერებოდა, ჯერ არ იყო დადასტურებული ყველაფერი და თან ბევრი საფრთხე და გამოწვევა იყო: რუსის ჯარი, ფრონტი მოშლილი იყო. ქართველი ბოლშევიკებიც ცდილობდნენ ეს ჯარი გამოყენებინათ და ქვეყანაში გადატრიალება მოეწყოთ. პოლიტიკურად რთული სიტუაცია იყო, 25 მაისსაც არსად ეწერა, ხვალ დამოუკიდებლობას ვაცხადებთო. 26 მაისიდან როგორც ქვეყანაში, პრესაშიც დღესასწაულია.. 1918-1921 წწ. ქართულ პერიოდულ პრესაში პრიორიტეტული სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების პრობლემები, ახლად შექმნილი სახელმწიფოს წინაშე წამოჭრილი საშინაო და საგარეო გამოწვევებია. იმ პერიოდის ქართული ჟურნალისტიკის უმთავრესი წარმომადგენლები გახლდათ გამორჩეული პუბლიცისტები, რომელთაც გავლენა ჰქონდათ პრესის პოლიტიკურ ტენდენციებსა და საზოგადოებრივ აზრზე: გერონტი ქიქოძე და შალვა ამირეჯიბი (ეროვნულ-დემოკრატიები),

სამსონ ფირცხალავა, სამსონ დადიანი, არჩილ ჯაჯანაშვილი (სოციალისტ-ფედერალისტები), ლეო შენგელია (ესერი) და სხვ. პოლიტიკური ჟურნალისტები წერდნენ ყველა იმ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რაც იმ დროს ქვეყანაში პოლიტიკურად აქტუალური იყო. პრესის ზეგავლენა საზოგადოებაზე აზრის ფორმირების თვალსაზრისით არსებითად შემდეგია: ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება აქტიურია, მრავალფეროვანი. ამ მიმართებით დასავლური პრესისა და ჩვენს შორის არსებული სხვაობა რომ შევაფასოთ, მხოლოდ ამ პერიოდის ანგლო-ამერიკელების, ევროპის ქვეყნების გაზეთებზე თვალის გადავლებაც კმარა. მაგალითად, საფრანგეთში გაზეთების ყველაზე არსებითი ნაწილი პოლიტიკურ დისკუსებს ეთმობა. ამერიკაში კი თქვენ თვალწინ გადაშლილი გაზეთების სამი მეოთხედი სამთავრობო განცხადებითაა სავსე. დანარჩენ ნაწილში კი უმეტესწილად პოლიტიკური სიახლეები და სათავგადასავლო ისტორიებია განთავსებული. 1917 წლისთვის ამერიკა პირველ მსოფლიო ომში ჩაება. კრიტიკული ოპონენტური ჟურნალისტიკა უკვე აღარ არსებობდა. ჟურნალისტიკის პოლიტიკური ტენდენციების ცვლილება გამოიწვია იმანაც, რომ მძლავრი რეფორმების შემხედვარე საზოგადოების დიდმა ნაწილმა დაიჯერა ცხოვრების შეცვლა და ხელისუფლების კრიტიკას საჭიროდ აღარ მიიჩნევდა. ამას გარდა, რეფორმებთან ერთად, გაუმჯობედა ცხოვრების პირობები, მომძლავრდა ეკონომიკაც და დანაშაულის გამომიებაზე მეტად, ხალხი გართობას უფრო ითხოვდა; და კიდევ ერთი, ცნობილი სინდრომია, რომ როდესაც ქვეყანა ომში მონაწილეობს, ხელისუფლების კრიტიკა აქტუალური არაა, ასეთ დროს ხალხი მთავრობას მხარს უჭერს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ს ეკონომიკა კიდევ უფრო გაუმჯობესდა. სახელისუფლებო სკანდალებს პრესა სასამართლოზე ან პროკურატურაზე დაყრდნობით აშუქებდა, დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამომიებები უკვე აღარ ტარდებოდა.

ამასთანავე, სოციალური პასუხისმგებლობის ტვირთის საკუთარ თავზე აღებისკენ პრესას საბაზრო ეკონომიკა უბიძგებს: ის ბუნებრივად ირჩევს ამ ტვირთს, რადგან მასზე არსებობს მოთხოვნილება, საზოგადოება ყიდულობს ობიექტურ და ხარისხიან ინფორმაციას. ანაგარიშგასაწევი ფაქტორია ისიც, რომ რეკლამის მიმცემნი პრივილეგიას ისეთ გამოცემებს ანიჭებენ, რომელთა შინაარსი მათ აწყობთ. ამდენად, მედია კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მოსაზრება, თითქოს კომერციალიზაცია (კაპიტალიზმი) იდეათ შეჯიბრისა და პლურალიზმის გარანტია, სიმართლეს არ შეესაბამება. თავისუფალი პრესა, სინამდვილეში სულ სხვა ფაქტორების შდეგად მკვიდრდება, ვიდრე ეს საბაზრო ეკონომიკა თუ თავისუფალი ბაზარია. ეს ფაქტორებია: პროფესიული ეთიკა, რომელიც ჟურნალისტებს, მედიამენეჯერებს უბიძგებს შეეწინააღმდეგონ კომერციულ ინტერესებს და ყველაზე მაღლა

საზოგადოების ინტერესები დააყენონ. მეორე ფაქტორი სამართლებრივი ბაზაა, რომელიც სოციალური პასუხისმგებლობის მედიას არსებობის პირობებს უქმნის.

დასკვნა. ამ მცირე არგუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ მასმედია მთავრობის კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს კი იმ შემთხვევაშია განსაკუთრებით აქტუალური თუ მედიის აზრი, საჯარო აზრის შემცველად მოიაზრება. აქედან გამომდინარე, შემდეგი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს: მთავრობის სასიცოცხლო ინტერესებში შედის, რომ მედია და საზოგადოება მის მიერ წამოყენებულ თემებსა და პრიორიტეტებს დაეთანხმოს და მეორე, მედიამ მხოლოდ ისეთი თემები გააშუქოს, რომელიც მთავრობის ქცევაზე დადებით შთაბეჭდილებას მოახდენს.

